## საქართველოს მთავრობა

# ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2017-2020 წლებისათვის

(საბოლოო ვარიანტი)

თბილისი

2017

## თავი I

# სამთავრობო პროგრამა

თავისუფლება, სწრაფი განვითარება, კეთილდღეობა

## წინასიტყვაობა

2012 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობამ შეძლო დაეძლია კრიზისი და დაიწყო ისეთი სახელმწიფოს მშენებლობა, რომელიც ეფუძნება დემოკრატიის უმთავრეს პრინციპებს: სამართლიანობას, თავისუფლებას, თანასწორობას, კანონის უზენაესობას და ადამიანის უფლებათა პატივისცემას, სადაც ხელშეუხებელია საკუთრება, თავისუფალია ბიზნესი, ხელისუფლების გავლენისგან გათავისუფლებულია სასამართლო და მედია, პოლიცია არ ემსახურება ერთ პოლიტიკურ ძალას, სადაც ყველას აქვს განათლებისა და სამედიცინო დახმარების მიღების საშუალება. მთავრობის ძალისხმევა მიმართულია რეალური და გეგმაზომიერი რეფორმების განხორციელებისკენ.

მთავრობა აგრძელებს თანამიმდევრულ მუშაობას კანონის უზენაესობის განმტკიცების მიზნით, რათა სასამართლოს დამოუკიდებლობა და სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობა კიდევ უფრო დაუახლოვდეს საუკეთესო ევროპულ სტანდარტებს; ხელშეუხებელი არის და მომავალშიც იქნება გამოხატვის  თავისუფლება; მედიის დამოუკიდებლობა; გაგრძელდება განათლებისა და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საქართველოს თითოეული მოქალაქისათვის; დაიხვეწება სახელმწიფო სოციალური პროგრამები;  გაჩნდება ახალი სამუშაო ადგილები და დაიძლევა სიღარიბე.

პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავაც დარჩება მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, მეწარმეობისა და ახალი ბიზნესის წახალისება, სოფლის მეურნეობის განვითარება და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის ინტეგრირება.

გამყარდება ქვეყნის უსაფრთხოება და საქართველოს რეგიონალური პოზიციები, გაგრძელდება ძალისხმევა საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანების მიზნით და კიდევ უფრო გაღრმავდება ევროკავშირსა და ნატოსთან ინტეგრაციის პროცესები; საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგის მთავარი თემა იქნება ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკა და, საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით, ქვეყნის დეოკუპაციის მიღწევა. გაგრძელდება მუშაობა აფხაზებსა და ოსებთან პირდაპირი დიალოგისა და შერიგების პროცესის დასაწყებად.

**მთავრობის 4–პუნქტიანი გეგმა**

საქართველოს სწრაფი განვითარებისთვის განხორციელდება რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმა, რომელიც სრულად პასუხობს თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის მთავარ გამოწვევებს და განაპირობებს ქვეყნის ეკონომიკის სწრაფ ზრდას. ამ გეგმით, მთავრობა ფოკუსირებას მოახდენს ზუსტად იმ მიმართულებებზე, რომლებიც მოიტანს თვისებრივ ცვლილებებს ქვეყნის განვითარებაში, უზრუნველყოფს ეკონომიკის სწრაფ ზრდას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

4–პუნქტიანი გეგმით მთავრობა განახორციელებს:

- **ეკონომიკურ რეფორმას,** რომელიც ორიენტირებული იქნება კერძო სექტორის მაქსიმალურ წახალისებასა და მის გაძლიერებაზე. ამ მიმართულებით მთავრობას აქვს გადაწყვეტილებების მთელი პაკეტი, რომელიც ქვეყანაში ბიზნესის კეთებას უფრო მიმზიდველს და მომგებიანს გახდის. შეიქმნება მნიშვნელოვანი საგადასახადო სტიმულები, ბიზნესი აღარ დაიბეგრება მოგების გადასახადით მოგების რეინვესტირების შემთხვევაში. აღნიშნული რეფორმით, ბიზნესსექტორში დარჩება ასეულობით მილიონი ლარი, რაც წაახალისებს ინვესტიციებს, დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას და შექმნის ათიათასობით სამუშაო ადგილს. ბოლო 4 წლის განმავლობაში მთავრობამ განახორციელა მნიშვნელოვანი ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში. საგადასახადო გარემო ბიზნესის მიმართ იქნება კიდევ უფრო მეგობრული და მაქსიმალურად წაახალისებს ინვესტიციებს; გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის, დამწყები ბიზნესისა და ინოვაციების ხელშემწყობი პროგრამები, რაც უზრუნველყოფს დამატებით სამუშაო ადგილებს კერძო სექტორში;
- **განათლების რეფორმა** უზრუნველყოფს ადამიანური კაპიტალის განვითარებას და მის მაქსიმალურ, ეფექტიან ჩართვას ქვეყნის განვითარებაში. პროფესიული განათლების სისტემაში დაინერგება დუალური ანუ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომა საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით. ამ მიდგომით, კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად სასწავლებელი და დამსაქმებელი ერთობლივად განახორციელებენ სასწავლო პროგრამებს და გაინაწილებენ სტუდენტის მიერ მისაღწევ კომპეტენციებს. უმაღლესი განათლება დაეფუძნება ეკონომიკის საჭიროებებს და მოთხოვნებს. შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე, განისაზღვრება და დაფინანსდება უმაღლესი განათლების პრიორიტეტული მიმართულებები. ამასთან, გათვალისწინებული იქნება ქვეყნის სოციალურ-კულტურული თუ სახელმწიფოებრივი განვითარებისათვის აუცილებელი სხვა მიმართულებების სპეციფიკა და საჭიროებები. შედეგად, გაიზრდება სტუდენტებისა და მომავალი დასაქმებულების კონკურენტუნარიანობა და შრომის ბაზრისათვის მზაობის ხარისხი;
- **სივრცითი მოწყობის** გეგმა იქნება ქვეყნის განვითარების მთავარი ჩარჩო. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა არის ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და ცხოვრების ხარისხის ამაღლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. სივრცითი მოწყობის რეფორმის ფარგლებში

მომზადდება ქალაქებისა და სოფლების განაშენიანების რეგულირების გეგმები, წერტილი დაესმება ქაოსურ განაშენიანებას. სწორი სივრცითი მოწყობით საქართველო გახდება ოთხი სეზონის ტურისტული ქვეყანა, რაც უზრუნველყოფს ტურიზმიდან ახალი შემოსავლების მიღებისა და წლის განმავლობაში მათი სტაბილური  განაწილების  საშუალებას. მთელი საქართველოს მასშტაბით დაპროექტდება და დაიგება რეგიონების დამაკავშირებელი სატრანსპორტო ქსელი, რომელიც ყველა რეგიონს მჭიდროდ დააკავშირებს ერთმანეთთან. გეოგრაფიული მდებარეობა აღარ იქნება ბარიერი ბიზნესის წარმოებისა და გადაადგილებისთვის. საქართველოს საავტომობილო გზების ქსელი გახდება მიმზიდველი სატრანზიტო გადაზიდვებისათვის, ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას, განაპირა და მაღალმთიან რეგიონებში სოფლის მეურნეობის განვითარებასა და რეგიონების დაკავშირებას. სწორი დაგეგმარებით და გააზრებული სივრცითი მოწყობით საქართველო ეფექტიანად აითვისებს ქვეყნის განვითარების პოტენციალს და მსოფლიო რუკაზე გაძლიერდება საქართველოს, როგორც ტრანზიტული ჰაბის, მნიშვნელობა.

- **საჯარო მმართველობის რეფორმა** უზრუნველყოფს სახელმწიფო სერვისების პოლიტიკის შემუშავებასა და მომსახურების ხარისხის დახვეწას. ასევე, უწყებების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას. უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდისთვის საჭიროა მმართველობის ეფექტიანობის გაზრდა. რეფორმის ფარგლებში შეიქმნება ერთიანი „ბიზნესსახლი“, სადაც ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება ბიზნესს ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება. გაძლიერდება საზოგადოების ჩართულობა მმართველობის პროცესში და უზრუნველყოფილი იქნება პროცესების ეფექტიანი მონიტორინგის საშუალება. მოხდება ონლაინმომსახურების დახვეწა და გაუმჯობესება, ახალი დისტანციური სერვისების დამატება და სახელმწიფო სერვისების საფასურის ოპტიმიზაცია. გაძლიერდება საზოგადოების ჩართულობა მმართველობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. უზრუნველყოფილი იქნება პროცესების ეფექტიანი საზოგადოებრივი მონიტორინგის საშუალება.

ეს რეფორმები უზრუნველყოფს ეკონომიკის უფრო სწრაფ ზრდას და თვისებრივ გარდაქმნას ქვეყნის განვითარებაში. მმართველობის რეფორმა უზრუნველყოფს სწრაფი განვითარების მიზნის მისაღწევად საჭირო გადაწყვეტილებების სწრაფ და ეფექტიან აღსრულებას.

4–პუნქტიანი გეგმის განხორციელებით მივიღებთ თანამედროვე, განვითარებული და საერთაშორისო სტანდარტის ინფრასტრუქტურის მქონე ქვეყანას, შრომის ბაზრის საჭიროებების შესაბამისი ადამიანური რესურსით, უსაფრთხო და სტაბილური ბიზნესგარემოთი და ეფექტიანი სახელმწიფო მმართველობით. სწორედ ეს კომპონენტები განაპირობებს უფრო სწრაფ განვითარებასა და კეთილდღეობის ზრდას. ეს არის გზა, რომელიც თვისებრივ გარდატეხას შეიტანს ქვეყნის ეკონომიკაში, რაც ახალი, სწრაფი განვითარების ეტაპის დაწყების საწინდარი გახდება.

## *1.* დემოკრატიული განვითარება

2012-16 წლებში საქართველომ მიაღწია ფუნდამენტურ წინსვლას დემოკრატიული განვითარების ყველა მიმართულებით: ადამიანის ღირსების, მისი უფლებებისა და თავისუფლების დაცვა იქცა ხელისუფლების საქმიანობის მთავარ პრიორიტეტად, თვისებრივად ამაღლდა მმართველობისა და პოლიტიკური სისტემების დემოკრატიულობის, აგრეთვე სამოქალაქო სექტორის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის ხარისხი. აღნიშნული მიმართულებით კვლავაც აქტიურად გაგრძელდება მთავრობის მუშაობა, რათა მიღწეული შედეგები იყოს კიდევ უფრო მყარი და შეუქცევადი.

### 1.1. ადამიანის უფლებათა დაცვა, დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა

გარდამავალი დემოკრატიის რთული ეტაპის გადალახვა მნიშვნელოვნად განაპირობა წარსულში ადამიანის უფლებათა კუთხით არსებული პრობლემების ეფექტიანად დაძლევამ. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში შეიქმნა და დაიხვეწა ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები, როგორც საკანონმდებლო ცვლილებების, ისე სისტემური რეფორმების გზით.

საქართველოს მთავრობა ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების მუდმივ გაუმჯობესებას განახორციელებს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის პრინციპების შესაბამისად.

სისხლის სამართლის პოლიტიკის შემდგომი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად გაგრძელდება სისხლის სამართლის რეფორმა სამოქალაქო სექტორის ჩართულობით და საერთაშორისო სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების შესაბამისად.

2015 წელს საქართველომ მიიღო მთელი რეგიონის მასშტაბით უნიკალური და სამაგალითო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, რომელიც ასახავს ბავშვთა მართლმსაჯულების სფეროში საერთაშორისო სამართლის ყველა სტანდარტსა და ნორმას. გაგრძელდება მუშაობა ამ კოდექსის პრინციპებისა და ნორმების პრაქტიკაში დამკვიდრების მიზნით.

**სასჯელაღსრულების სისტემის** შემდგომი გაუმჯობესების მიზნით:

- სულ უფრო მეტი მსჯავრდებულისთვის ხელმისაწვდომი გახდება პროფესიული განათლება; შესაძლებელი გახდება უმაღლესი განათლების მიღება დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში; მსჯავრდებულთათვის შეიქმნება დასაქმების ახალი კერები; გაძლიერდება პატიმართა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის, მათ შორის, სხვადასხვა დამოკიდებულების მქონე პირთა რეაბილიტაციის პროგრამები;
- დაინერგება არასაპატიმრო სასჯელის ახალი სახე - შინაპატიმრობა სრულწლოვანი მსჯავრდებულებისთვის, რომლის აღსრულების კონტროლი განხორციელდება

ელექტრონული მონიტორინგის მეშვეობით; მოხდება შინაპატიმრობის გამოყენება პირობით ვადამდე გათავისუფლების პროცესშიც;

- დაინერგება ახალი არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება - წინა სასამართლო პრობაცია, რაც საერთაშორისო სტანდარტებისა და რეკომენდაციების შესაბამისად, მნიშვნელოვნად შეამცირებს წინასწარ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულების რაოდენობას;
- გაგრძელდება მულტიდისციპლინური ჯგუფის მიერ მსჯავრდებულთა კლასიფიკაცია დაბალი, საშუალო, მომეტებული და მაღალი რისკის კატეგორიებად, რაც ხელს შეუწყობს პენიტენციარულ დაწესებულებებში კრიმინალურ სუბკულტურასთან ეფექტიან ბრძოლას, მსჯავრდებულთა შორის ძალადობის მინიმუმამდე შემცირებას და, საბოლოოდ, განმეორებითი დანაშაულის რისკის შემცირებას;
- შეიქმნება ახალი პენიტენციარული დაწესებულება, რომელიც გათავისუფლებისათვის მოამზადებს დაბალი და საშუალო რისკის მქონე მსჯავრდებულს;
- გაგრძელდება სასჯელის აღსრულება ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად;
- გაგრძელდება პენიტენციარული დაწესებულებების ეტაპობრივი რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია;
- გაგრძელდება პირველადი ჯანდაცვის რგოლის გაძლიერებისა და ინფრასტრუქტურული განვითარების ხელშეწყობა. მუშაობა გაგრძელდება პენიტენციარული ჯანდაცვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესებისათვის;
- გაუმჯობესდება პირობით ვადამდე გათავისუფლებასთან დაკავშირებული პროცედურები, დაიხვეწება უვადო თავისუფლებააღკვეთილ მსჯავრდებულთა გათავისუფლების მექანიზმი; გაუმჯობესდება ავადმყოფობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების მექანიზმი.

სახელმწიფოს მიერ კვლავაც უზრუნველყოფილი იქნება **საკუთრების უფლების** განუხრელი დაცვა. გაგრძელდება სამართლიანობის აღდგენის პროცესი. კონსტიტუციის ფარგლებში და საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, ხელისუფლება გამოიყენებს ყველა სამართლებრივ მექანიზმს, რათა თითოეულ ადამიანს აღუდგეს წინა ხელისუფლების მიერ დარღვეული უფლება.

კიდევ უფრო დაიხვეწება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გახდება **პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის** მარეგულირებელი კანონმდებლობა და ზედამხედველობის სისტემა. გაგრძელდება შიდა და გარე კონტროლის მექანიზმების განვითარება, რომლებიც ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა განხორციელებისას უზრუნველყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას უფრო მაღალი სტანდარტით. აღნიშნული ცვლილებები განხორციელდება იმგვარად, რომ დაცული იყოს გონივრული ბალანსი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და ქვეყნისა და ადამიანების უსაფრთხოების ინტერესებს შორის. განხორციელდება ქმედითი ღონისძიებები პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ასამაღლებლად.

გატარდება ქმედითი ღონისძიებები **თანასწორობის** უფლების რეალიზებისათვის და ადამიანების ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად და აღსაკვეთად.

უზრუნველყოფილი იქნება **რწმენის თავისუფლების** დაცვა ყველა რელიგიური გაერთიანებისა და თითოეული ადამიანისთვის. ხელისუფლება ხელს შეუწყობს საზოგადოებაში შემწყნარებლობის კულტურის შემდგომ განვითარებას.

**ეროვნული უმცირესობების** უფლებების დაცვისა და რეალიზების უზრუნველსაყოფად განხორციელდება სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის 2015-2020 წლების სამოქმედო გეგმა. საქართველოს ყველა მოქალაქეს, განურჩევლად ეთნიკური წარმომავლობისა, ექნება შესაძლებლობა, სრულფასოვნად ჩაერთოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, პოლიტიკურ და სამოქალაქო პროცესებში.

განსაკუთრებით პრიორიტეტული იქნება სახელმწიფო ენის ცოდნის დონის გაუმჯობესება, შესაბამისად, გაიზრდება სახელმწიფო ენის სწავლების პროგრამების ეფექტიანობა, გაფართოვდება წვდომა სახელმწიფო ენის პროგრამებზე აკადემიური პროცესის მიღმაც. უზრუნველყოფილი იქნება ქართული ენის მიზნობრივი სწავლება საჯარო სექტორში დასაქმებული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისათვის.

კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ეთნიკური უმცირესობებისთვის გაუმჯობესდება ადმინისტრაციული წარმოების დოკუმენტებისა და საზოგადოებრივი მომსახურების ხელმისაწვდომობა. განათლების სტრატეგიული დოკუმენტის შესაბამისად, გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობა განათლების ყველა საფეხურზე. გაუმჯობესდება მედიასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა და, შესაბამისად, ეროვნული უმცირესობების ერთიან საინფორმაციო სივრცეში ჩართვა, რაც წარმატებული სამოქალაქო ინტეგრაციის პროცესის ერთ-ერთი წინაპირობაა.

ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში გაგრძელდება ინფრასტრუქტურის, სოციალური და ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება, მათ შორის, სახელმწიფოს შესაბამის პროგრამებსა და სერვისებზე მათთვის გასაგებ ენაზე სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდით. უზრუნველყოფილი იქნება ეროვნულ უმცირესობათა კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების შესაძლებლობები, ტოლერანტული გარემოს წახალისება მთლიანად საზოგადოებაში.

განხორციელდება ქმედითი ღონისძიებები საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით პოლიტიკურ და ეკონომიკურ საქმიანობაში, და გადაწყვეტილების მიღების დონეზე, **გენდერული თანასწორობის** დასაცავად. უზრუნველყოფილი იქნება სწრაფი და ქმედითი რეაგირება გენდერული თანასწორობის დარღვევის თითოეულ ფაქტზე. ხელისუფლება ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებას.

გაგრძელდება **ოჯახში ძალადობის** პრევენციისა და მასთან ბრძოლისათვის საკანონმდებლო რეფორმის განხორციელება. კერძოდ, განხორციელდება „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის („სტამბულის კონვენცია“) რატიფიკაცია. გაუმჯობესდება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის სამართლებრივი დაცვა და ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამებისა და თავშესაფრის ხელმისაწვდომობა. გაგრძელდება ოჯახში ძალადობის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებისთვის ზრუნვა. გაგრძელდება მუშაობა ქალთა და ბავშვთა უფლებების განმტკიცების მიზნით.

დაცული იქნება **შშმ პირთა უფლებები** გონივრული მისადაგების პრინციპის საფუძველზე, მათი საჭიროებების გათვალისწინებით. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში შშმ პირთა სრულყოფილი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ხელს შეუწყობს შშმ პირთა დასაქმებას, ასევე ადმინისტრაციული შენობების შშმ პირთა საჭიროებების გათვალისწინებით ადაპტირებას. ხელისუფლება ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი სატრანსპორტო საშუალებების, გადაადგილებისა და მოგზაურობის თანაბარ ხელმისაწვდომობას შესაბამისი სტანდარტების შემუშავებისა  და დანერგვის გზით.

გაგრძელდება აქტიური **ბრძოლა ტრეფიკინგის, წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ.**

## 1.2. ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები

მომდევნო 4 წლის განმავლობაში საქართველოში კიდევ უფრო გაძლიერდება ადამიანის უფლებების დაცვის ინსტიტუციური მექანიზმები.

ძლიერი, კვალიფიციური და დამოუკიდებელი სასამართლო არის ქვეყნის განვითარების ქვაკუთხედი. მთავრობის მოქმედებები მიმართული იქნება **სასამართლო სისტემის** ნდობის ამაღლებისკენ. ჩვენი პრიორიტეტია თითოეული მოქალაქის და კერძო სექტორის რწმენის ამაღლება ქართული მართლმსაჯულებისადმი.

გაგრძელდება და დასრულდება მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მესამე ტალღა, რაც ბოლომდე მიიყვანს სასამართლო სისტემის რეფორმას როგორც ინსტიტუციურ დონეზე სასამართლოს დამოუკიდებლობის, ისე ცალკეული მოსამართლის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად. სასამართლოს რეფორმის მესამე ეტაპის განხორციელების შედეგად დაიხვეწება მოსამართლეთა შერჩევა-დანიშვნის წესი და დისციპლინური წარმოების პროცედურები; საქმეები განაწილდება შემთხვევითობის წესით, ელექტრონული ფორმით. განხორციელდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეფორმა. მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული გადამზადების უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდება იუსტიციის უმაღლესი სკოლის რეფორმა. 2017 წლის პირველ ნახევარში საქართველოს ერთ-ერთ დიდ სასამართლოში საპილოტე წესით დაინერგება საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემა. მიმდინარე წლის ზაფხულში

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში უკვე შეტანილი ცვლილებების საფუძველზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობა მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელდება.

საერთო სასამართლოების სისტემაში შეიქმნება კომერციული კოლეგიები და პალატები, რომლებიც სპეციალიზებული იქნება კომერციული და საგადასახადო საქმეების განხილვაზე - რეფორმის შედეგად მკვეთრად გაიზრდება მართლმსაჯულების ხარისხი და სისწრაფე კომერციულ და საგადასახადო დავებზე, საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების მეშვეობით ხელი შეეწყობა მედიაციის, როგორც დავების მოგვარების ალტერნატიული საშუალების, დამკვიდრებას და განვითარებას, რამაც მთლიანობაში ხელი უნდა შეუწყოს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ზრდასა და ეკონომიკის წინსვლას.

უზრუნველყოფილი იქნება **საკონსტიტუციო სასამართლოს** დამოუკიდებლობა.

**პროკურატურა** კვლავაც იმუშავებს როგორც საზოგადოების ინტერესებსა და საჭიროებებზე ორიენტირებული სისტემა, რაც ბრალდებულთა და პროცესის მონაწილე სხვა მხარეთა უფლებების მაქსიმალურ დაცვას უზრუნველყოფს. დანაშაულთან ბრძოლის სფეროში შემუშავდება ახალი მიდგომები, დაიხვეწება და ევროპულ სტანდარტებთან კიდევ უფრო დაახლოვდება არსებული საგამოძიებო და საპროკურორო პრაქტიკა. გაიზრდება საზოგადოების მონაწილეობა დანაშაულის პრევენციის უზრუნველყოფის პროცესში. რიგითი პროკურორის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის მიზნით, დაიხვეწება პროკურორთა თანამდებობაზე დანიშვნის, დისციპლინური პასუხისმგებლობის, გათავისუფლებისა და წახალისების (მათ შორის დაწინაურების) სისტემა. შემუშავდება პროკურორთა საქმიანობის გამჭვირვალე და მიუკერძოებელი შეფასების კრიტერიუმები. გაგრძელდება პროკურორთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები.

**შინაგან საქმეთა სამინისტროს** სისტემაში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და საპოლიციო საქმიანობის მაქსიმალური ეფექტიანობისთვის დაინერგება ანალიზზე დაფუძნებული პოლიციის სისტემა.

პოლიციის სანდოობისა და საიმედოობის გაზრდისათვის უზრუნველყოფილი იქნება **საზოგადოების ჩართვა** უსაფრთხოებასა და მართლწესრიგთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებასა და გადაწყვეტაში, აგრეთვე გაძლიერდება არასამთავრობო ორგანიზაციებთან, სამეცნიერო წრეებთან, მედიასა და ბიზნესსექტორთან მუდმივი კომუნიკაციის მექანიზმები.

გაგრძელდება **კრიმინალური პოლიციის მოდერნიზაცია** ქვეყნის მასშტაბით, გაიზრდება ტექნოლოგიების როლი საპოლიციო საქმიანობაში, რაც გააძლიერებს დანაშაულის პრევენციის მიმართულებას, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს გამოძიების ხარისხსა და განავითარებს პოლიციის შესაძლებლობებს.

განხორციელდება **საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების** პროგრამა, რომელიც ქვეითთა, მგზავრებისა და მძღოლების უსაფრთხოების ამაღლებას მოემსახურება და შეამცირებს გზებზე უბედურ შემთხვევებს. ტექნოლოგიების ხვედრითი წილი მნიშვნელოვნად გაიზრდება საგზაო მოძრაობის ადმინისტრირების სფეროშიც.

დაგეგმილ ვადებში დასრულდება **საზღვრის მართვის სისტემის რეფორმა**, რაც უზრუნველყოფს სასაზღვრო პოლიციის მოდერნიზაციას, სტანდარტიზაციასა და უნიფიკაციას.

დასრულდება **საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის** ჩამოყალიბება, რაც უზრუნველყოფს ქმედით კოორდინაციასა და სწრაფ რეაგირებას. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არალეგალურ მიგრაციას და მასთან დაკავშირებული რისკების მართვას, ამ კუთხით სამინისტროს შესაძლებლობების განვითარებასა და სხვა უწყებებთან კოორდინაციის ამაღლებას.

გაღრმავდება **თანამშრომლობა საერთაშორისო საპოლიციო სტრუქტურებთან,** განსაკუთრებით კი ევროპოლთან.

პოლიციის სისტემის გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, ჩამოყალიბდება **ადამიანური რესურსების მართვის ქმედითი სისტემა,** რათა კარიერული წინსვლა დაეფუძნოს ობიექტურ კრიტერიუმებს, დამსახურებასა და კვალიფიკაციას.

მნიშვნელოვანი ინვესტიცია განხორციელდება **შსს აკადემიაში:** დაინერგება ახალი პროგრამები, განახლდება ტექნოლოგიები, აკადემიის ბაზაზე შეიქმნება პოლიციის საერთაშორისო სასწავლო ცენტრი.

პოლიციის საზოგადოებასთან დაახლოების კუთხით გაგრძელდება პოლიციის რეფორმირება იმგვარად, რომ სისტემა მაქსიმალურად მოემსახუროს საზოგადოებასთან თანამშრომლობის მიზანს.

გაგრძელდება მუშაობა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განსახორციელებელი **მომსახურების უფრო მეტი ხელმისაწვდომობის** უზრუნველყოფისა და ხარისხის ამაღლების, აგრეთვე ამ სფეროს შემდგომი განვითარებისა და მოქალაქეებისთვის დამატებითი მომსახურების სახეების შეთავაზების მიზნით.

უზრუნველყოფილი იქნება **სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის** დამოუკიდებელი და ქმედითი საქმიანობა.

გარანტირებული იქნება **სახალხო დამცველის ინსტიტუტის** დამოუკიდებლობა, მისი აქტიური თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტსა და სხვა საჯარო სტრუქტურებთან.

## 1.3. საჯარო მმართველობის რეფორმა, პოლიტიკის სისტემა  და  სამოქალაქო საზოგადოება

ხელისუფლება განახორციელებს ქმედით და სამართლიან პოლიტიკას, რათა უზრუნველყოფილი იყოს მმართველობის სისტემის, პოლიტიკის სისტემისა და სამოქალაქო საზოგადოების შემდგომი  გაძლიერება და ჩართულობა.

2015 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო „საჯარო სამსახურის შესახებ“ ახალი კანონი, რომელმაც უნდა შექმნას სათანადო სამართლებრივი საფუძვლები **საჯარო სამსახურის რეფორმის** სისრულეში მოსაყვანად და „კარგი მმართველობის“ პრინციპების დასანერგად. ეტაპობრივად ჩამოყალიბდება საჯარო სამსახურის კარიერული მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს მოხელეთა სამსახურში აყვანასა და კარიერულ წინსვლას ობიექტური კრიტერიუმების შესაბამისად.

კვლავ გაგრძელდება **პოლიტიკის დაგეგმვისა და მისი მონიტორინგის ერთიანი სისტემის** დანერგვა ქვეყნის მასშტაბით, რაც ეფუძნება გამჭვირვალე, შედეგზე ორიენტირებული, საზოგადოების ჩართულობის პრინციპსა და ანგარიშვალდებულებაზე აგებული სისტემის ჩამოყალიბების იდეას. პოლიტიკის დაგეგმვისა და მონიტორინგის ერთიანი სისტემა საფუძვლად დაედება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალურ დონეზე იმპლემენტაციას და მათ ინტეგრაციას ეროვნული დაგეგმვის დოკუმენტებში.

საჯარო მმართველობის რეფორმის ფარგლებში კვლავ გაგრძელდება აქტიური მუშაობა საჯარო ფინანსების მართვის, ანგარიშვალდებულებისა და თვითმმართველობების მმართველობითი შესაძლებლობების გაძლიერების კუთხით, რათა მიღწეულ იქნეს ამ რეფორმის სრულმასშტაბიანი, წარმატებული განხორციელება.

გაძლიერდება **ადგილობრივი თვითმმართველობა.** სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე გაიზრდება მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებები, რომელთა განხორციელება სოციალურ–ეკონომიკური განვითარების დაგეგმვის უწყვეტ და თანამიმდევრულ პროცესს დაეფუძნება. ფისკალური დეცენტრალიზაციის, აგრეთვე მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებებსა და რესურსებს შორის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ეტაპობრივად გაიზრდება ადგილობრივი ბიუჯეტების შემოსავლების ხვედრითი წილი ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებში. გაძლიერდება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მექანიზმები. საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სათანადოდ აღიჭურვება მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ორგანოები. ეტაპობრივად, მთელი ქვეყნის მასშტაბით, კიდევ უფრო გაფართოვდება „საზოგადოებრივი ცენტრების“ არსებული ქსელი, რომლის მეშვეობით განხორციელდება სახელმწიფო და ადგილობრივი საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდება ყოველ დიდ ან/და ცენტრიდან დაცილებულ დასახლებაში.

უზრუნველყოფილი იქნება **კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის** კუთხით გადადგმული ნაბიჯების ქმედითი კოორდინაცია, სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა, ამ მიმართულებით განათლებისა და საზოგადოების ინფორმირებულობის

დონის გაზრდა, ანტიკორუფციული მექანიზმების დანერგვა და გაძლიერება. დაინერგება ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემა, რაც ხელს შეუწყობს სრულყოფილ მონიტორინგს, კერძოდ, დეკლარაციებში წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორის დადგენას.

საქართველო, როგორც კორუფციასთან ბრძოლის კუთხით რეგიონის აღიარებული ლიდერი და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) თანათავმჯდომარე ქვეყანა, გააგრძელებს მუშაობას იმისათვის, რომ კიდევ უფრო შთამბეჭდავი გახადოს თავისი მიღწევები კორუფციასთან ბრძოლის საქმეში. ამ მიზნით იგი კვლავაც მჭიდროდ ითანამშრომლებს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD), GRECO-სთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

2016 წლის ნოემბერში მთავრობამ დაამტკიცა **ღია მმართველობის პარტნიორობის** მესამე სამოქმედო გეგმა, რომელიც 24 ამბიციურ და ინოვაციურ ვალდებულებას შეიცავს. მათი განხორციელების შედეგად საქართველო კიდევ უფრო განიმტკიცებს თავის რეპუტაციას, როგორც ელექტრონული მმართველობის სფეროში რეგიონისა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი წამყვანი ქვეყანა.

დაიხვეწება საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ნორმები და შემუშავდება ახალი კანონი ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო სტანდარტებსა და სხვა ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკასთან ქართული კანონმდებლობისა და პრაქტიკის შესაბამისობას, ინფორმაციის თავისუფლებაზე ცალკეულ აქტებში გაბნეული ნორმების ერთ საკანონმდებლო აქტში კონსოლიდირებას და არსებული საკანონმდებლო ხარვეზების აღმოფხვრას. კიდევ უფრო მოწესრიგდება საჯარო ინფორმაციის გაცემის არსებული პრაქტიკა.

## *2.* ეკონომიკური განვითარება

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება უნდა ეფუძნებოდეს თავისუფალი ბაზრის პრინციპებს, რომელიც ძლიერი კერძო სექტორის წინაპირობაა. შესაბამისად, თავისუფალი ბაზრის პრინციპებზე დაყრდნობით, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, ერთი მხრივ, მიმართული იქნება კერძო სექტორის შემდგომი განვითარებისა და კერძო სექტორში არსებული პრობლემების გადაჭრისკენ, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში კერძო სექტორის გაძლიერებასა და სამუშაო ადგილების გენერირებას, ხოლო, მეორე მხრივ, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სასურველი დონის მიღწევამდე, უზრუნველყოფს მოსახლეობის იმ ფენების მხარდაჭერას, რომლებიც ამას ყველაზე მეტად საჭიროებენ.

ინკლუზიური ეკონომიკური ზრდა არის მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი. მთავრობა მიზნად ისახავს ისეთი მოდელის დანერგვას, რომლის პირობებშიც, ეკონომიკური ზრდის პარალელურად, მცირდება სიღარიბე და უმუშევრობა მოსახლეობაში. მთავრობის

ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკურ ეფექტიანობასთან ერთად, იხელმძღვანელებს სოციალური უსაფრთხოებისა და სამართლიანობის პრინციპებით.

გრძელვადიანი სწრაფი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია ეკონომიკის ფაქტორების მაქსიმალური ჩართვა ქვეყნის განვითარებაში. მთავრობის მიერ შემუშავებული 4-პუნქტიანი გეგმა მიმართულია ბიზნესის, როგორც ეკონომიკური ზრდის მთავარი მამოძრავებლის, განვითარებაზე, ადამიანური რესურსების პოტენციალის მაქსიმალურად გამოყენებაზე ქვეყნის განვითარებაში, ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასა და ღია მმართველობის პრინციპების დანერგვაზე.

## 2.1. მაკროეკონომიკური სტაბილურობა

მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნება მაკროეკონომიკური სტაბილურობის, როგორც ეკონომიკური განვითარების ფუნდამენტის, პრინციპებისადმი ერთგულებას.

ფისკალური დისციპლინა, უმუშევრობის დაბალი დონე და ფასების სტაბილურობა, მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებლობა, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის თანდათანობითი შემცირება და ფინანსური სექტორის სტაბილურობის შენარჩუნება ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორებია.

საქართველო არის მცირე, ღია ეკონომიკის ქვეყანა. შესაბამისად, ის ვერ იქნება იზოლირებული რეგიონსა და გლობალურ ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებისაგან. თუმცა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო მნიშვნელოვანია ნეგატიური საგარეო შოკების ზემოქმედების შერბილებისათვის.

მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და საბიუჯეტო პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით:

- გაგრძელდება ხარჯების ოპტიმიზაციის უწყვეტი პროცესი, რაც მიმართული იქნება სახსრების გამოთავისუფლებასა და მათ გადანაწილებაზე პრიორიტეტული მიმართულებებით. ამასთან, შემცირდება ადმინისტრაციული ხარჯები და მომავალში შეიზღუდება მათი ზრდა;
- უზრუნველყოფილი იქნება პროგრამული ბიუჯეტის პრინციპების სრულყოფა;
- გაიზრდება ბიუჯეტის გამჭვირვალობა;
- სახელმწიფო ვალი მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით შენარჩუნდება იმ დონეზე, რომელიც ქვეყნის სტაბილურ საკრედიტო რეიტინგსა და დადებით საინვესტიციო იმიჯს უზრუნველყოფს;
- უზრუნველყოფილი იქნება ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანი კოორდინაცია;
- ქვეყნის განვითარებისათვის აუცილებელი მასშტაბური პროექტების დაფინანსების მიზნით, ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზებისთვის, გამოყენებული იქნება კანონმდებლობით გათვალისწინებული დროებითი ღონისძიებები;

- ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა იქნება ხელშეუხებელი;
- ხელი შეეწყობა ლარით  დაკრედიტების ზრდას.

## 2.2. დასაქმება

ხელისუფლების ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ორიენტირი მოსახლეობის დასაქმებაა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2016-2017 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, ბიზნესის კეთების მხრივ, უპირველესი პრობლემა კვლავ კვალიფიციური სამუშაო ძალის ნაკლებობაა. ამავე დროს, უმუშევრობა რჩება მწვავე პრობლემად. ეს ვითარება ნათლად მიუთითებს შრომის ბაზარზე არსებულ დისბალანსს. ერთი მხრივ, არსებობს მოთხოვნა კერძო სექტორის მხრიდან, თუმცა, ეს მოთხოვნა ვერ კმაყოფილდება იმ სამუშაო ძალით, რომელიც შრომის ბაზარზეა წარმოდგენილი.

შრომის ბაზარზე არსებული დისბალანსის აღმოსაფხვრელად და დასაქმების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლის გასაუმჯობესებლად, მთავრობის 4–პუნქტიანი გეგმის შესაბამისად, გატარდება განათლების რეფორმა, რომლის შედეგადაც გაიზრდება სტუდენტებისა და მომავალი დასაქმებულების კონკურენტუნარიანობა და შრომის ბაზრისათვის  მზაობის ხარისხი.

განხორციელდება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა და უზრუნველყოფილი იქნება მჭიდრო კოორდინაცია სამუშაოს მაძიებელთა და დამსაქმებელთა შორის. სახელმწიფო ინფორმაციულ დახმარებას გაუწევს სამუშაოს მაძიებლებს პროფესიის არჩევის, მომზადებისა და გადამზადების კუთხით. სახელმწიფო აქტიურად შეუწყობს ხელს პოტენციური დამსაქმებლების ჩართულობას პროფესიული გადამზადების პროცესში.

უმაღლესი განათლება დაეფუძნება არა ასიმეტრიულ მოთხოვნას, რომელიც რამდენიმე დომინირებული პროფესიით შემოიფარგლება, არამედ რეალურ საჭიროებებს, რომლის წინაშეც ქვეყანა დგას. შესაბამისად, უზრუნველყოფილი იქნება შრომის ბაზარზე არსებული დისბალანსის აღმოფხვრა. ამასთან, გათვალისწინებული იქნება ქვეყნის სოციალურ-კულტურული თუ სახელმწიფოებრივი განვითარებისთვის აუცილებელი სხვა მიმართულებების სპეციფიკა და საჭიროებები.

## 2.3. ბიზნესგარემო

საქართველოს ხელისუფლება ბიზნესგარემოს შემდგომი გაუმჯობესებისა და მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით, გააგრძელებს აქტიური პოლიტიკის გატარებას, კერძოდ:

- დაცული იქნება საკუთრების უფლების ხელშეუვალობის პრინციპი;
- დაიხვეწება სამოქალაქო, სამეწარმეო, გადახდისუუნარობის, აღსრულებისა და დავების

მოგვარების ალტერნატიული საშუალებების მარეგულირებელი კანონმდებლობა;

- უზრუნველყოფილი იქნება საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობა - ამოქმედდება უძრავ ნივთზე საკუთრების ხელყოფის ან სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის ადმინისტრაციული (არასასამართლო) წესი, როგორც საკუთრების უფლების დაცვის ეფექტიანი საშუალება, იმ შემთხვევებისათვის, როდესაც არ იქნება საოჯახო, მემკვიდრეობითი, სამეზობლო თუ სხვა სახის დავა. გარდა ამისა, ალტერნატივის სახით, შეიქმნება ამ კატეგორიის დავებზე სასამართლო წესით უფლების დაცვის ეფექტიანი საპროცესო მექანიზმი და გამკაცრდება კონტროლი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ვადებზე;
- განხორციელდება საგადასახადო დავების სისტემის რეფორმა.

მთავრობის 4–პუნქტიანი გეგმის შესაბამისად, გაუმჯობესდება **საგადასახადო ადმინისტრირება.** სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე ვეღარ მოხდება ბიზნესის ანგარიშების დაყადაღება. კომპანიების საგადასახადო შემოწმების ვადა იქნება რეგლამენტირებული და გაუქმდება ეკონომიკური დანაშაულისთვის წინასწარი პატიმრობის გამოყენება განსაკუთრებული შემთხვევების გარდა. აღნიშნული ნაბიჯები ბიზნესს მისცემს მეტ თავისუფლებას და გააჩენს განვითარების დამატებით პოტენციალს ეკონომიკაში.

ხელისუფლების მნიშვნელოვანი მონაპოვარია **ბიზნესის დაწყების ხელშეწყობა.** ქართულ სინამდვილეში მოხდა უპრეცედენტო ფაქტი, როდესაც ქვეყანაში გაჩნდა „სტარტაპების“ დაფინანსების ინსტრუმენტი. „სტარტაპების“ დაფინანსება იქნება სწრაფი განვითარების 4-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება.

**ფინანსებზე წვდომის გაუმჯობესების** კუთხით, გაგრძელდება მეწარმეობის ხელშეწყობის არსებული პროგრამები, მოხდება მათი ოპტიმიზაცია ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით.

სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ეფექტიანი ურთიერთობების ხელშეწყობისთვის შეიქმნება **ერთიანი სივრცე „ბიზნესსახლი“,** სადაც ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება კერძო ბიზნესს ერთი ფანჯრის პრინციპით მოემსახურება. შედეგად, ბიზნესს შეუმცირდება სახელმწიფოსგან შესაბამისი მომსახურების მიღებისთვის საჭირო დრო და რესურსები.

კიდევ უფრო დაიხვეწება და გაუმჯობესდება არსებული **ონლაინსერვისები,** შესაძლებელი გახდება როგორც კომპანიის ელექტრონულად დარეგისტრირება, ისე არსებულ მონაცემებში ცვლილებების ელექტრონულად განხორციელება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მისვლის გარეშე.

მოხდება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული **ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია,** მათ შორის:

- გაუქმდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა მოქმედებებისთვის, რომლებიც თავისი შინაარსით ისეთი საგადასახადო სამართალდარღვევაა, როგორიცაა სასაქონლო ზედნადების არასრულად ან/და არასწორად შევსება (საქონლის რაოდენობის ან/და ფასის შემცირება), 10000 ლარზე მეტი ღირებულების საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე

ტრანსპორტირება, სავალდებულო მარკირებას დაქვემდებარებული არააქციზური საქონლის მარკირების გარეშე რეალიზაცია, ბუღალტრული აღრიცხვის წესის დარღვევა;

- 100 000 ლარამდე გაიზრდება გადასახადებისგან თავის არიდებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების ზღვარი, რაც 2017 წლიდან, ხანდაზმულობის ვადის 3 წლამდე შემცირების ფონზე, მნიშვნელოვანი ეფექტის მომტანი იქნება ბიზნესისთვის;
- გამოცხადდება სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე (ყალბი საგადასახადო დოკუმენტის დამზადება ან გამოყენება) და 218-ე (გადასახადისთვის თავის არიდება) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების სრული ამნისტია. შესაბამისად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელისაგან გათავისუფლდებიან პირები, რომლებმაც აღნიშნული დანაშაული 2013 წლის 1 იანვრამდე ჩაიდინეს.

გადახდისუუნარობის/გაკოტრების საქმისწარმოებასთან დაკავშირებული პროცედურების დასახვეწად გატარდება **გადახდისუუნარობის სისტემის რეფორმა.** გამარტივდება ასევე ბიზნესის ლიკვიდაციის პროცედურები.

ფართოდ დაინერგება **რეგულირების გავლენის შეფასების (RIA) ინსტრუმენტი,** რაც მოგვცემს საშუალებას, თითოეული გადაწყვეტილების გავლენა ბიზნესზე იყოს წინასწარ გაანალიზებული, რითაც ბიზნესს დავიცავთ შესაძლო ნეგატიური გავლენებისგან.

გამოცხადდება **მორატორიუმი** ახალი ლიცენზიებისა და ნებართვების შემოღებაზე. აღნიშნული მორატორიუმი შეეხება ნებისმიერი ტიპის საქმიანობას, გარდა იმისა, რომელიც იმპერატიულად მოთხოვნილია, რომ იყოს ლიცენზირებადი საქმიანობა საქართველოს მიერ გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმებებით. მორატორიუმი გამოცხადდება ასევე ახალი მარეგულირებელი სტრუქტურების შექმნაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს იმპერატიულად არის მოთხოვნილი საქართველოს მიერ გაფორმებული საერთაშორისო შეთანხმებებით.

გაძლიერდება **ინვესტიციების დაცვის** საკანონმდებლო ჩარჩო - შეიქმნება ახალი კანონი ინვესტიციების შესახებ - საქართველოში ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების მიერ ინვესტიციის განხორციელების მხარდაჭერისა და ხელშეწყობის მიზნით, რომელიც სრულად უპასუხებს თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს. ამავე კანონით დადგინდება ისეთი საკანონმდებლო ნორმა-პრინციპი, რომელიც სხვადასხვა სფეროს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, ინვესტორისათვის უზრუნველყოფს მოქმედი ლიბერალური ნორმებისა და შეღავათების შენარჩუნებას გარკვეული ვადით, რათა მან შეძლოს ბიზნესის თავისუფლად დაგეგმვა და არ ჰქონდეს ინვესტიციის განხორციელების შემდგომ უახლოეს პერიოდში რეგულაციების შეცვლის (დამძიმების) მოლოდინი.

კონკურენტული ბიზნესგარემოს ხელშეწყობისთვის, მოხდება სახელმწიფოს ეტაპობრივად გამოსვლა ეკონომიკის იმ დარგებიდან, რომლებსაც აქვს დამოუკიდებლად ფუნქციონირებისა და განვითარების პოტენციალი. გაძლიერდება ქვეყნის კონკურენტუნარიანი დარგების

სახელმწიფო მხარდაჭერა როგორც ადგილობრივი წარმოების ზრდის, ისე საექსპორტო პოტენციალის გაფართოების მიმართულებით.

## 2.4. ეკონომიკური რეფორმები

საქართველოში ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის, ზოგადად ბიზნესგარემოს გაუმჯობესების გარდა, საქართველოს მთავრობა გეგმავს მასშტაბური რეფორმების განხორციელებას.

### 2.4.1. კაპიტალის ბაზრის რეფორმა

ქვეყანაში განვითარებული კაპიტალის ბაზრის არსებობა გულისხმობს, საბანკო დაკრედიტების პარალელურად, კომპანიებისათვის გრძელვადიანი ფინანსური რესურსების მოზიდვის ეფექტიან შესაძლებლობას. ამით კაპიტალის ბაზარი ქმნის კონკურენტულ გარემოს არა მხოლოდ დაკრედიტების, არამედ დანაზოგების ეფექტიანად გადანაწილების მიმართულებითაც. მეტიც, თუ რაიმე მიზეზით საბანკო დაკრედიტება იზღუდება, ობლიგაციების ბაზარი შესაძლოა ასრულებდეს დამბალანსებლის როლს. კაპიტალის ბაზრის ფუნქცია არა მხოლოდ ბიზნესისათვის ფინანსური რესურსების მიწოდებაა, არამედ განვითარებული ბაზარი ქვეყნის მოსახლეობის დანაზოგების განთავსების დამატებითი ინსტრუმენტიცაა. შედეგად, განვითარებული და გამჭვირვალე კაპიტალის ბაზარი ხელს უწყობს სტაბილურ ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა საქართველოს რეგიონალურ ფინანსურ ცენტრად ჩამოყალიბებაა. ამ მიზნის მისაღწევად განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- ხელი შეეწყობა კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, რაც გამორიცხავს ბაზრის ცალკეული სეგმენტების, ინსტრუმენტების ან მონაწილეების დისკრიმინაციას, უპირატეს ან მონოპოლიურ მდგომარეობაში ჩაყენებას. სახელმწიფო და კაპიტალის ბაზრის რეგულატორები უზრუნველყოფენ სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული ბაზრის მონაწილეთა ღია და გამჭვირვალე საქმიანობას;
- დაიხვეწება შესაბამისი საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმები. აღნიშნული ცვლილება გულისხმობს საგადასახადო სისტემის უფრო მეტად ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულობას, ასევე სხვადასხვა ფინანსური ინსტრუმენტის თანაბარ პირობებში ჩაყენებას;
- ხელი შეეწყობა მოსახლეობის ფინანსური განათლების დონის ამაღლებას;
- დაიხვეწება მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებების დაცვის გარანტიები. მაქსიმალურად იქნება დაცული წვრილი და ნაკლებად გათვითცნობიერებული ინვესტორების ინტერესები, რაც კაპიტალის ბაზრის სხვადასხვა სეგმენტის განვითარების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობაა. აღნიშნულ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება

დაეთმობა მარეგულირებლის, საგანმანათლებლო, კორპორაციული მართვისა და ფინანსური აღრიცხვიანობის საკითხებს.

მომდევნო წლებში, განხორციელებული რეფორმის შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბებული კაპიტალის ბაზარი იქნება რესურსების მოზიდვის მაღალეფექტიანი წყარო. იგი ბაზრის ყველა მონაწილეს მისცემს საშუალებას, მიიღოს თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული საფინანსო მომსახურების სრული სპექტრი. ამასთან, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი და მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული მარეგულირებელი გარემო უზრუნველყოფს მაღალი დონის სანდოობასა და ინვესტორთა დაცულობას.

### 2.4.2. საპენსიო რეფორმა

სახელმწიფო გაატარებს საპენსიო რეფორმას, რომლის მიზანია კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა. აღნიშნული რეფორმა კაპიტალის ბაზრის შედარებით ფართო რეფორმის შემადგენელი კომპონენტია, რადგან იგი ხელს უწყობს გრძელვადიანი ფინანსური რესურსების წარმოქმნას.

საპენსიო რეფორმის უმთავრესი ამოცანაა მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება, აგრეთვე არსებული სოციალური სისტემის ფისკალური მდგრადობის შენარჩუნება. ფისკალური სტაბილურობის გათვალისწინებით, კერძო დაგროვებითი პენსია ოპტიმალური მოდელია საპენსიო უზრუნველყოფის ადეკვატურობის გაუმჯობესების კუთხით. კერძო საპენსიო სისტემა შესაძლებლობას მისცემს მოქალაქეს, შექმნას დანაზოგი, რომელიც წლების განმავლობაში დასაქმებულის მიერ გამომუშავებული ხელფასის პირდაპირპროპორციული იქნება.

გარდა ამისა, კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემას აქვს ეკონომიკის მასტიმულირებელი ეფექტი. კერძო დანაზოგების ზრდა, რაც ნიშნავს გრძელვადიანი ფინანსური რესურსის მობილიზებას, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადილობრივი კაპიტალის ბაზრის განვითარებას და, საბოლოოდ, დადებითად აისახება ეკონომიკურ ზრდაზე.

### 2.4.3. მიწის რეფორმა

განხორციელდება სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაცია, რაც გულისხმობს მთელი ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფო ქონების აღრიცხვასა და ერთიან ბაზაში თავმოყრას. აღნიშნული ხელს შეუწყობს სახელმწიფო აქტივების მართვა-განკარგვის პროცესს, გამოუყენებელი აქტივების ბრუნვაში ჩართვას, ქვეყანაში მიწის კადასტრის სრულყოფასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას. ინვენტარიზაციის პროექტი დასრულდება 2016 წლის ბოლოს და დაინერგება ქონების გამარტივებული რეგისტრაცია, რაც, პირველ რიგში, განხორციელდება კერძო მესაკუთრეთა ინტერესების გათვალისწინებით.

2016 წლის 1 აგვისტოდან ამოქმედდა და 2 წლის განმავლობაში იმუშავებს „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული

რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ კანონი, რომელიც მაქსიმალურად ამარტივებს და მოქალაქეებისთვის ხელმისაწვდომს ხდის მიწის რეგისტრაციის პროცესს, ახალისებს რეგისტრაციას სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის რეგისტრაციისათვის მომზადებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების საფასურის ანაზღაურების, ასევე მომსახურების სხვა საფასურისაგან გათავისუფლების და სარეგისტრაციო პროცედურების მაქსიმალურად გამარტივების გზით. სახელმწიფო მოქალაქეს ეხმარება საკუთრების დამადასტურებელი საბუთების მოძიებასა და მედიაციის გზით დავების მოგვარებაში. დამტკიცებულია მაღალმთიან რეგიონებში ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთების პრივატიზების ხელშეწყობის პროგრამა და დაიწყება მისი განხორციელება.

### 2.4.4. საჯარო-კერძო პარტნიორობის სისტემის განვითარება

ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია საჯარო-კერძო პარტნიორობა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის თანამშრომლობით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა. საჯარო-კერძო პარტნიორობის სისტემის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, აუცილებელია შესაბამისი კანონმდებლობის დახვეწა.

იმ პირობებში, როდესაც მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები მნიშვნელოვან ფინანსურ რესურსებს მოითხოვს, განსაკუთრებით ისეთ დარგებში, როგორიცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი და სხვ., თანამშრომლობის აღნიშნული ფორმა ხელს უწყობს პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული რისკების გადანაწილებას საჯარო და კერძო სექტორებს შორის და სახელმწიფოსა და ბიზნესის მიერ რესურსების მობილიზებას, რითაც უფრო რეალური და ადვილი ხდება მნიშვნელოვანი  პროექტების განხორციელება.

ხელისუფლება განავითარებს შესაბამის კანონმდებლობასა და სისტემას საჯარო-კერძო პარტნიორობის გაფართოებისთვის. სისტემა ხელს შეუწყობს საქართველოში ინვესტიციების შემოდინებას და სახელმწიფოსა და ბიზნესის მიერ მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების უფრო სწრაფად და ეფექტიანად განხორციელებას.

## 2.5. სივრცითი მოწყობა

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა არის ქვეყნის მდგრადი განვითარების და ცხოვრების დონის ამაღლების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომლის ამოცანებია: გააუმჯობესოს ურთიერთკავშირი ქალაქსა და სოფელს შორის; ხელი შეუწყოს მაღალხარისხიანი მდგრადი ტურიზმის განვითარებას, ასევე საქართველოს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო და ლოგისტიკურ ჰაბად ჩამოყალიბებას, შექმნას ინვესტირებისთვის მასტიმულირებელი და მიმზიდველი გარემო, შეამციროს გარემოზე მავნე ზემოქმედება.

ქვეყნის სივრცითი მოწყობის მიმართულებით, საქართველოს მთავრობა გაატარებს აქტიურ პოლიტიკას, მათ შორის: მომზადდება  საქართველოს  სივრცითი მოწყობის სქემა; დასრულდება

თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა; მომზადდება ახმეტისა და მესტიის მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმები, თუშეთის 12 სოფლისა და მულახის თემის 10 სოფლის განაშენიანების რეგულირების გეგმები; მცხეთის, კობი-გუდაურის, ბაკურიანი-დიდი მიტარბის, ბახმაროს, ქობულეთის, ხელვაჩაურის მიწათსარგებლობის გეგმები; იყალთოს ხევის, შაორის, უწერის განაშენიანების რეგულირების გეგმები.

სწორი დაგეგმარებითა და გააზრებული სივრცითი მოწყობით საქართველო გახდება ოთხი სეზონის ტურისტული ქვეყანა, რაც უზრუნველყოფს ტურიზმიდან ახალი შემოსავლების მიღების და წლის განმავლობაში მათი სტაბილური განაწილების საშუალებას.

გაგრძელდება წყალტუბოს, სამცხე-ჯავახეთის, ყაზბეგი-გუდაურის, მცხეთა-მთიანეთის, თუშეთის, რაჭის რეგიონებში ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება და თანამედროვე, საერთაშორისო დონის კურორტების შექმნა. ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შესაბამისად, მოხდება გუდაური-კობის, ბაკურიანის, დიდველის, კოხტა-მიტარბის, თეთნულდი-ჰაწვალის, გოდერძის სამთო-სათხილამურო კურორტების განვითარება და არსებულ კურორტებზე ახალი მიმართულებების დამატება, მათ შორის, გათვალისწინებული იქნება კურორტების ზაფხულის განმავლობაში დატვირთვის შესაძლებლობები.

## 2.6. საგარეო-სავაჭრო ურთიერთობები

საქართველოსთვის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების დამყარება დანარჩენ მსოფლიოსთან ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია.

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების, კერძოდ, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმებით, ქართულ ეკონომიკაში შეიქმნა მნიშვნელოვანი შესაძლებლობები ექსპორტის ზრდის, ინვესტიციების მოზიდვისა და ქვეყანაში პროდუქტიულობის ზრდის კუთხით.

ხელი მოეწერა შეთანხმებას  ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციასთან (EFTA), დასრულდა მოლაპარაკებები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. ამჟამად, მიმდინარეობს მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე ჰონგ-კონგთან, ხოლო თურქეთთან მოლაპარაკებები წარიმართება არსებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფართოების მიმართულებით. გაგრძელდება პრიორიტეტულ ქვეყნებთან ლიბერალური სავაჭრო რეჟიმების განვითარების კუთხით მუშაობა. შედეგად, გაიზრდება ქართული პროდუქციის საექსპორტო პოტენციალი და საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებულობა.

ამასთან, საქართველოს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით მიღებული შესაძლებლობის ეფექტიანი და სწრაფი გამოყენება. ამ მიზნით საქართველოს მთავრობა გააგრძელებს აქტიური პოლიტიკის განხორციელებას, კერძოდ:

- დაეხმარება ბიზნესს ახალი ბაზრების ათვისებაში; კერძოდ, მოხდება ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემსუბუქება, აგრეთვე ექსპორტთან ასოცირებული რისკების დაზღვევა;
- განვითარდება ონლაინპლატფორმა, რომელიც სრულ ინფორმაციას მიაწვდის ქართველ ექსპორტიორებს მათთვის საინტერესო ბაზრებზე არსებული მდგომარეობის შესახებ;
- ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების გაფართოების ხელშეწყობის მიზნით, იმოქმედებს კომერციული ატაშეების ინსტიტუტი;
- არსებული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით განსაზღვრული შესაძლებლობების მაქსიმალურად ასათვისებლად და ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, გაიზრდება შესაბამისი საწარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა (როგორც ფინანსური, ისე ტექნიკური). ეს განსაკუთრებით შეეხება სოფლის მეურნეობის საწარმოებს; ამავე დროს, ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული რეგულაციების გადმოღება განხორციელდება ამ შეთანხმებით მკაცრად განსაზღვრულ ვადებში და საქართველოს ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით. ყოველი წლის დასაწყისში მთავრობა დაამტკიცებს და გაასაჯაროებს მისაღები რეგულაციების ნუსხას.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობის, ქართული ექსპორტის გაზრდისა და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის სრულფასოვანი მონაწილეობის მიზნით:

- განხორციელდება საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი ბაზის სრულყოფა და გაფართოება (ინვესტიციების ურთიერთწახალისების, ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების, ვაჭრობის ხელშეწყობის და სხვა მიმართულებით);
- ხელი შეეწყობა ქართველ და უცხოელ ბიზნესმენებსა და ბიზნესგაერთიანებებს შორის პირდაპირი კავშირების დამყარებას და თანამშრომლობის განვითარებას, გაგრძელდება უცხოეთში ქართული ბიზნესის ინტერესების დაცვა.

## 2.7. ინფრასტრუქტურული განვითარება

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საქართველოს რეგიონების განვითარების, საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებში საქართველოს მაქსიმალური ინტეგრირებისა და ეკონომიკური განვითარების სტიმულირების უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

საქართველოს მთავრობა მკაფიო გეგმით **განავითარებს ქვეყნის ინფრასტრუქტურას.** საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობისა და სატვირთო გადაზიდვების მზარდი დინამიკის გათვალისწინებით, მთავრობის 4–პუნქტიანი გეგმის სივრცითი მოწყობის კომპონენტის ფარგლებში, გაგრძელდება და სწრაფი ტემპით წარიმართება ახალი მაგისტრალური გზების მშენებლობა, არსებული გზების რეკონსტრუქცია და საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება. ქვეყნის მასშტაბით აშენდება საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანზიტო და რეგიონების დამაკავშირებელი შიდა საავტომობილო გზები. ეს იქნება ქვეყნის ხერხემალი,

რომელიც ყველა რეგიონს მჭიდროდ დააკავშირებს ერთმანეთთან და დედაქალაქთან. გეოგრაფიული მდებარეობა აღარ იქნება ბარიერი ბიზნესის წარმოებისა და გადაადგილებისთვის.

ეს პროექტი გააძლიერებს საქართველოს მნიშვნელობას რეგიონში და გაზრდის მისი, როგორც ტრანზიტული ჰაბის, დატვირთვას. 2020 წლამდე დაიგება 800 კმ-ზე მეტი სიგრძის, 3.5 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების საგზაო ინფრასტრუქტურა, დასრულდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტობანის მშენებლობა. შედეგად, საქართველოს საავტომობილო გზების ქსელი გახდება მიმზიდველი სატრანზიტო გადაზიდვებისათვის, ხელი შეეწყობა ქვეყანაში ტურიზმის განვითარებას, განაპირა და მაღალმთიან რეგიონებში სოფლის მეურნეობის აღორძინებასა და რეგიონების დაკავშირებას.

ხარისხიანი **სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების** რეჟიმით მოსახლეობის უზრუნველყოფა საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ამ მიზნის მიღწევა ეტაპობრივად განხორციელდება მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში. 2020 წლისთვის, 24-საათიანი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი იქნება დამატებით 360 ათასი ადამიანი.

აქტიურად გაგრძელდება **წყალმომარაგება–კანალიზაციის და გამწმენდი ნაგებობების** მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და უახლოეს მომავალში დასრულდება წყალმომარაგების სისტემების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები პანკისის ხეობის, კასპისა და ქარელის მუნიციპალიტეტების საზღვრისპირა სოფლებში, რის შედეგადაც 20 ათასამდე ადამიანისათვის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სასმელი წყლის მიწოდების ხარისხი.

**ნარჩენების მართვა** განხორციელდება ევროპული სტანდარტების შესაბამისად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გაუმჯობესდება მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სერვისები; მოხდება არსებული ნაგავსაყრელების ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისობაში მოყვანა და ეტაპობრივი დახურვა; ევროსტანდარტების გათვალისწინებით მოეწყობა ახალი რეგიონალური სანიტარიული ნაგავსაყრელები; დაინერგება ნარჩენების სეპარირების და გადამუშავების სისტემები.

ქვეყნის **ინტერნეტიზაციის პროექტის** ფარგლებში აშენდება 8000-კილომეტრიანი ინფრასტრუქტურა, რის შედეგადაც დამატებით 800 ათასი ადამიანი მიიღებს ინტერნეტს და ქვეყნის მოსახლეობის 90%-ზე მეტს ექნება ინტერნეტთან წვდომა.

## 2.8. დარგობრივი ეკონომიკური პოლიტიკა

საქართველოს ეკონომიკის ძირეული ტრანსფორმაციის გლობალურ ღონისძიებებთან ერთად, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი დარგების გარდაქმნა-განვითარებაზე.

### 2.8.1. ენერგეტიკა

საქართველოს მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიმართულებაა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება, იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივი შემცირება ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების ათვისების, მიწოდების წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიკაციის გზით.

საქართველოს მთავრობა აგრძელებს მუშაობას ელექტრომომარაგების გაუმჯობესების მიზნით. გაგრძელდება ელექტრიფიკაციისა და გამრიცხველიანების პროცესი, სადაც განსაკუთრებული აქცენტი უშუქო სოფლებსა და მაღალმთიან რეგიონებზე გაკეთდება.

ენერგეტიკული პოლიტიკის ეფექტიანად წარმართვის მიზნით იგეგმება:

- იმპორტზე დამოკიდებულების შემცირება ადგილობრივი ენერგორესურსების რაციონალური ათვისების გზით;
- ენერგეტიკის სექტორში ინვესტიციების ხელშეწყობა. 2017-2020 წლებში შეიქმნება, სულ მცირე, 500 მეგავატი დადგმული სიმძლავრე და ენერგეტიკის სექტორში განხორციელდება 3 მლრდ ლარის ოდენობის ინფრასტრუქტურული ინვესტიცია;
- განვითარდება ინფრასტრუქტურა გაზისა და ელექტროენერგიის უსაფრთხო და სტაბილური გადამცემი და გამანაწილებელი სისტემის შესაქმნელად;
- იგეგმება გაზსაცავის მშენებლობა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნისთვის აუცილებელი სტრატეგიული მარაგის შექმნას. გაზმომარაგების გაუმჯობესების მიზნით, უკვე დაწყებულია 210-280 მლნ კუბური მეტრის მოცულობის გაზსაცავის პროექტის განხორციელება;
- გაძლიერდება საქართველოს სატრანზიტო როლი ენერგეტიკის სფეროში. საქართველო აქტიურად მონაწილეობს „სამხრეთის ბუნებრივი აირის დერეფნის“ პროექტის რეალიზაციის პროცესში. გრძელდება მუშაობა საქართველოდან ელექტროენერგიის ექსპორტის შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით;
- დაიხვეწება და ევროპულ სტანდარტებს დაუახლოვდება ენერგეტიკის სფეროს კანონმდებლობა;
- სექტორში გამჭვირვალობის, კონკურენციისა და დამოუკიდებელი რეგულირების ხელშეწყობით გაუმჯობესდება საინვესტიციო გარემო;
- სახელმწიფო ხელს შეუწყობს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს და ინოვაციების დანერგვას;
- პრიორიტეტად დარჩება განახლებადი ენერგიის წყაროების ოპტიმალურად ათვისება;
- განხორციელდება ენერგოდამზოგველი და ენერგოეფექტიანი პოლიტიკა;
- 2020 წლის ბოლომდე დამატებით 200 ათასი ოჯახი მიიღებს ბუნებრივ აირს;
- ე.წ. „უშუქო სოფლებში“ 1 000 ოჯახი პირველად მიიღებს ელექტროენერგიას და ქვეყანაში ელექტროენერგიის გარეშე აღარ დარჩება არც ერთი სოფელი.

### 2.8.2. სოფლის მეურნეობა

მთავრობა გააგრძელებს აქტიურ აგროპოლიტიკას, რომლის მიზანი იქნება მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით აგროსასურსათო სექტორში კონკურენტუნარიანობის ამაღლება, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილური ზრდა, სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სურსათის უვნებლობა და სოფლის განვითარება.

სასოფლო-სამეურნეო დარგში **კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა** იქნება საქართველოს მთავრობის აგროპოლიტიკის სტრატეგიული მიმართულება. მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა კოოპერატივების შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების განხორციელებას.

სასოფლო-სამეურნეო **მიწის ფონდის** რაციონალური მართვის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ბაზრის განვითარებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების მიზნობრივი გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდება ღონისძიებები ფერმერთა რეესტრისა და მიწათსარგებლობის გეოინფორმაციული სისტემის შექმნის მიმართულებით.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა **დეგრადირებული ნიადაგების** გამოკვლევას და მათი ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების ღონისძიებებს.

შემუშავდება **სოფლის განვითარების ერთიანი პოლიტიკა**, რომელიც ორიენტირებული იქნება სოფლად ცხოვრების დონის ამაღლებასა და ეკონომიკური აქტიურობის ზრდაზე.

სახელმწიფო ხელს შეუწყობს **მოსავლის აღების შემდგომი ტექნოლოგიების დანერგვას** - შემნახველი, დამხარისხებელი, შემფუთავი, გადამმუშავებელი და სადისტრიბუციო სექტორების განვითარებას. ამით უზრუნველყოფილი იქნება დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის შემადგენელი კომპონენტების ინტეგრაცია.

დაიხვეწება **აგროდაზღვევის** პროექტი, რაც ხელს შეუწყობს ფერმერთა ინტერესების დაცვას.

გაიზრდება მელიორირებული (წყალუზრუნველყოფილი და დრენირებული) მიწების ფართობები. განვითარდება და გაუმჯობესდება **სარწყავი (საირიგაციო) და დამშრობი (სადრენაჟე) სისტემები.** დამტკიცდება სატარიფო მეთოდოლოგია. ხელი შეეწყობა მორწყვის თანამედროვე სისტემების დანერგვას და წყალმომხმარებელთა გაერთიანებების ჩამოყალიბებას.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა დარგში დასაქმებულთა **ცოდნის ამაღლებას,** აგრობიზნესზე ორიენტირებული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას და შესაბამისი ექსტენციის პაკეტების შემუშავებას. ჩამოყალიბდება თანამედროვე ექსტენციის მოქნილი სისტემა.

გაგრძელდება მუშაობა **ფერმერებისთვის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის** მიმართულებით.

მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო **ტექნიკის ხელმისაწვდომობის** ასამაღლებლად.

**ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების მონიტორინგის** უზრუნველსაყოფად, განისაზღვრება ძირითადი ინდიკატორები და შემუშავდება შესაბამისი მეთოდოლოგია.

გაგრძელდება **სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის** სფეროებში სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი, მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება და მისი შემდგომი სრულყოფა.

სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიის სფეროები დაუახლოვდება DCFTA-ის გეგმით გათვალისწინებულ **ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობას, რაც** განხორციელდება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულ ვადებში. ეს უზრუნველყოფს ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, აგრეთვე მცენარეთა სიჯანსაღის დაცვას, შიდა ბაზარზე ევროპული სტანდარტების დამკვიდრებას და აგროსასურსათო პროდუქტების საექსპორტო პოტენციალის ზრდას, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ეკონომიკის განვითარებაში და ქვეყნის, როგორც საიმედო სავაჭრო პარტნიორის, იმიჯის დამკვიდრებაში.

ქვეყანაში **ბიოაგრომეურნეობების განვითარების** და ასევე **კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის** დამკვიდრების მიმართულებით განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები.

გაუმჯობესდება მონაცემთა შეგროვების, გავრცელებისა და გამოყენების კოორდინირებული სტატისტიკური სისტემა. დაიხვეწება სოფლის მეურნეობის პროდუქციის **ბაზრის საინფორმაციო სისტემა.**

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა **აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციას** ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე.

### 2.8.3. ტრანსპორტი

საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ერთიანი სატრანსპორტო სისტემის ჩამოყალიბება და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება. ამ მიმართულებით საქართველოს მთავრობამ უკვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები.

საფუძველი ჩაეყარა საუკუნის პროექტს - **ანაკლიის საზღვაო ნავსადგურის მშენებლობას,** რომელიც არა მხოლოდ მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის ამაღლებაზე, არამედ გაზრდის საქართველოს როლს რეგიონში და აქცევს მას ლოგისტიკურ ჰაბად. მომავალში გაგრძელდება ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტის ხელშეწყობა.

დასრულდა **ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტი,** რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს აზიასა და ევროპას შორის ტვირთების გადაზიდვისთვის საჭირო დროს და ჩვენი ქვეყნის გავლით დამატებითი ტვირთნაკადების მოზიდვის საწინდარია.

ტრანსპორტის სფეროს შემდგომი განვითარებისა და საქართველოს, როგორც რეგიონალური ჰაბის, პოტენციალის სრულად ათვისებისთვის საქართველოს მთავრობა გაატარებს აქტიურ პოლიტიკას, კერძოდ:

- სატრანზიტო დერეფნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად, გაგრძელდება **საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში ინტეგრაცია** და რეგიონალური თანამშრომლობის გაღრმავება. სხვადასხვა ქვეყანასთან გრძელდება მოლაპარაკებები საქართველოს გავლით ახალი სატრანსპორტო დერეფნების დაფუძნებისა და მათი განვითარების თვალსაზრისით (მაგ., Lapis lazuli, სპარსეთის ყურე-შავი ზღვა, ბალტიის ზღვა-შავი ზღვა);
- მოხდება **სატრანსპორტო სისტემების სრულყოფა** საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, მულტიმოდალური და ინტერმოდალური გადაზიდვებისა და ლოგისტიკური ცენტრების განვითარების ხელშეწყობის გზით;
- **სამოქალაქო ავიაციის** სფეროში ხელი შეეწყობა „ღია ცის“ პოლიტიკის გატარებას;
- მოხდება **„ევროგაერთიანებასა და მის წევრ სახელმწიფოებს და საქართველოს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ“ შეთანხმების იმპლემენტაცია,** რაც უზრუნველყოფს საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სფეროში ფრენის უსაფრთხოების, საავიაციო უშიშროების, გარემოს დაცვის, მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და სხვა მიმართულებების ევროპულ დონეზე განვითარებას და საქართველოს საავიაციო სივრცის ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციას;
- ხელი შეეწყობა **მცირე ავიაციისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას** მთიან რეგიონებში, რაც ამ რეგიონების ეკონომიკურ წინსვლას შეუწყობს ხელს;
- ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, მოხდება საქართველოს **კანონმდებლობის დაახლოება ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირის დირექტივებსა და რეგულაციებთან,** რაც ხელს შეუწყობს სატრანსპორტო ოპერაციების უსაფრთხოების ზრდას.

### 2.8.4. ტურიზმი

ტურიზმის განვითარება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ყოველწლიურად მზარდია ვიზიტორების ნაკადი და ტურიზმის სფეროდან მიღებული შემოსავლები. ტურიზმი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ძალაა და მისი, როგორც პრიორიტეტული დარგის, შემდგომი განვითარებისთვის საქართველოს მთავრობა განახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:

- მოწესრიგდება და განვითარდება საგზაო **ინფრასტრუქტურა**, კეთილმოეწყობა კულტურულ ძეგლებთან და სხვა ღირსშესანიშნაობებთან მისასვლელი გზები, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის სტიმულირებას;

- გააქტიურდება **მარკეტინგული აქტივობები** მიზნობრივ და პოტენციურ ბაზრებზე, რაც ხელს შეუწყობს მეტი უცხოელი ტურისტისა და, შესაბამისად, მეტი შემოსავლის მოზიდვას

ქვეყანაში;

- მოხდება **დაცული ტერიტორიების** გაფართოება და ეკოტურიზმის ხელშეწყობა, რაც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი სიმდიდრეა;
- ხელი შეეწყობა **ტურიზმის სხვადასხვა ტიპის** განვითარებას (მათ შორის, სამედიცინო, სპორტული, ღვინის და სხვ.);
- **საქმიანი ტურიზმის** განვითარების მიზნით, საკონვენციო ბიუროს საშუალებით მოხდება მეტი მაღალმხარჯველი ტურისტის მოზიდვა საქართველოში, ასევე ამ მიმართულებით ინვესტიციების წახალისება და ხელშეწყობა;
- განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება მომსახურების სფეროში მომუშავე **პერსონალის გადამზადებაზე,** მომსახურების ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებამდე გაზრდის მიზნით;
- ტურიზმის პოლიტიკაში ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება იქნება საქართველოს გადაქცევა **ოთხი სეზონის ტურისტულ ქვეყნად,** რაც უზრუნველყოფს ტურიზმიდან ახალი შემოსავლების მიღებას და წლის განმავლობაში მათ სტაბილურ განაწილებას;
- **ზამთრის კურორტების** შემდგომი განვითარება მოხდება გააზრებული განვითარებისა და განაშენიანების გეგმების მიხედვით, მათ შორის, გათვალისწინებული იქნება კურორტების ზაფხულის განმავლობაში დატვირთვის შესაძლებლობები;
- ხელი შეეწყობა **სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის თანამშრომლობის** გაღრმავებას ტურისტული პროდუქტის შექმნისა და მარკეტინგის კუთხით.

## 2.9. რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკა

საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტი ქვეყნის **რეგიონების განვითარება** და მათ შორის უთანასწორობის აღმოფხვრაა.

საქართველოს მთავრობას აქვს რეგიონალური განვითარების სტრატეგიული ხედვა, რომელიც ეფუძნება ევროკავშირის რეგიონების ეკონომიკური და სოციალური განვითარების გათანაბრების პოლიტიკის მიდგომებს. ეს გულისხმობს ინტეგრირებულ, დარგთაშორის და ტერიტორიაზე მორგებულ  დაგეგმვას და შესაბამისი პოლიტიკის  განხორციელებას.

აქტიურად გაგრძელდება რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების ხელშეწყობა, რომელიც შემუშავებულია თითოეული რეგიონისათვის. ასევე ხორციელდება „2015-2017 წლების საქართველოს რეგიონალური განვითარების პროგრამა“.  ზემოაღნიშნული მიდგომების შესაბამისად, მთავრობა შეიმუშავებს მომდევნო, 2018-2020 წლების რეგიონალური განვითარების პროგრამას, რომელიც მიმართული იქნება ქვეყნის რეგიონების დაბალანსებული ეკონომიკური ზრდის შემდგომი ხელშეწყობისკენ.

რეგიონალური განვითარება, თანამიმდევრული დეცენტრალიზაცია და ტერიტორიული ერთეულების აქტიური როლი ადგილობრივი ეკონომიკური პროცესების სტიმულირებაში კვლავ განიხილება როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი საერთოეროვნული წარმატების მისაღწევად. სწორედ რეგიონებში წარმოებული საქონლისა და მომსახურების, მათი საინვესტიციო მიმზიდველობისა და კონკურენტუნარიანობის ზრდას, თანამედროვე ფიზიკური და ინსტიტუციური ინფრასტრუქტურის შექმნას და განვითარებას შეუძლია ეკონომიკური ზრდისა და  მოქალაქეთა ცხოვრების დონის თვისებრივი გაუმჯობესება. შესაბამისი რეგიონალური პოლიტიკის განხორციელებისას, უზრუნველყოფილი იქნება თვითმმართველობების ჩართულობა და მათი საჭიროებების გათვალისწინება, ცალკეული რეგიონის განვითარების პრიორიტეტებისა და გამოვლენილი პერსპექტიული მიმართულებების შესაბამისად.

**მაღალმთიანი რეგიონების განვითარების** კანონის შესაბამისად, მთავრობა აგრეთვე გააგრძელებს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკურ მხარდაჭერას, ადგილობრივი წარმოების განვითარების ხელშეწყობას, მაღალმთიან დასახლებებში დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე და იქ მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობის დონის ამაღლებაზე ზრუნვას.  გაგრძელდება მუშაობა მთის განვითარების სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამის შემუშავებისთვის, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება საშუალოვადიან პერიოდში დამატებით განსახორციელებელი აუცილებელი ღონისძიებები, სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.

რეგიონალური განვითარების დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული **კონფლიქტისპირა რეგიონების მოსახლეობის საჭიროებები  და პრიორიტეტები.**

უზრუნველყოფილი იქნება რეგიონალური განვითარების დაგეგმვის პროცესში ახალი მიდგომების გამოყენება, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონში **დარგთაშორისი კომპლექსური კავშირების განვითარებასა** და ადგილობრივ პირობებთან მაქსიმალურად მორგებული ეკონომიკური მოდელის შემუშავებას.

ხელისუფლება მხარს დაუჭერს რეგიონალურ დონეზე სოციალური, კულტურული, გარემოსდაცვითი, განათლების, ინოვაციების, კვლევის, ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროებში **კერძო ბიზნესის ჩართვას.**

კიდევ უფრო დაიხვეწება რეგიონალური განვითარების **დაფინანსების სისტემა,** მათ შორის, ხარჯსარგებლიანობის ანალიზის გამოყენების ფართოდ დანერგვის გზით.

გაუმჯობესდება რეგიონალური განვითარების **ზედამხედველობისა და ანგარიშგების** ინსტრუმენტები და  მექანიზმები.

დაიხვეწება რეგიონალური განვითარების **სამართლებრივი ბაზა და ინსტიტუციური უზრუნველყოფის** მექანიზმები.

განხორციელდება ადგილობრივი **ეკონომიკური და მატერიალური აქტივებისა და მათი პოტენციალის სრულფასოვანი შესწავლა და სისტემატიზაცია** მათი გონივრული მართვისა და გამოყენების პოტენციალის ამაღლების მიზნით.

## 2.10. გარემოს დაცვა

ეკონომიკური განვითარების პარალელურად, გარემოს დაცვა, მისი მდგრადობის შენარჩუნება და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება მნიშვნელოვანი გამოწვევაა და საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

მდგრადი და ჯანსაღი გარემოს უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობა გააგრძელებს რეფორმებს, კერძოდ:

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების მოთხოვნების შესაბამისად, გაგრძელდება **თანამედროვე გარემოსდაცვითი პრინციპებისა და სტანდარტების** ეტაპობრივი დანერგვა. საქართველო გააგრძელებს ორმხრივი და მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებებისა და მდგრადი განვითარების მიზნების გარემოსდაცვითი მიმართულებების შესრულებას და მწვანე ეკონომიკის პრინციპების ხელშეწყობას;

თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით გაუმჯობესდება **გარემოსდაცვითი მმართველობა;**

ჩამოყალიბდება გამჭვირვალე პროცედურებზე დაფუძნებული **გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემა**. დაიხვეწება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული რისკების შემცველი საქმიანობების ჩამონათვალი. საპროექტო იდეის შემუშავების საწყის ეტაპზევე შეფასდება დაგეგმილი საქმიანობის მიზანშეწონილობა, რაც ინვესტორს დაიცავს ფუჭი ფინანსური დანახარჯებისგან. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობა უფრო ეფექტიანი გახდება. ქვეყნის სივრცითი მოწყობისა და ქალაქების განვითარების გეგმებს, აგრეთვე სხვადასხვა სექტორში მომზადებულ გეგმა-პროგრამებს ჩაუტარდება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, რაც საშუალებას მისცემს ქვეყანას, სხვადასხვა მნიშვნელოვანი სექტორის განვითარების გეგმარებით პროცესში გაითვალისწინოს ჯანდაცვისა და გარემოს დაცვის ასპექტები;

გარემოს დაზიანების პრევენციისა და აღმოფხვრის (კომპენსაციის) მიზნით ჩამოყალიბდება **გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის ეფექტიანი სისტემა;**

მოწესრიგდება **სასარგებლო წიაღისეულის შესწავლისა და მოპოვების** საკითხები, რათა სტიმულირებულ იქნეს ამ სფეროთი კერძო სექტორის მაქსიმალური დაინტერესება; ლიცენზირების პროცესში გათვალისწინებული იქნება ეკოლოგიური ასპექტები; სახელმწიფო შეძლებს რესურსების ეფექტიანად გამოყენება-ათვისებას;

დაინერგება ახალი მარეგულირებელი ნორმები **ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებისა** და ბიოლოგიური რესურსებით მდგრადი სარგებლობის მიზნით, მათ შორის, ნადირობისა და თევზჭერის სფეროებში;

სახელმწიფო უზრუნველყოფს **დაცული ტერიტორიების** გაფართოებასა და ეკოტურიზმის ხელშეწყობას;

**ტყის მდგრადი მართვის პრაქტიკის** დანერგვისა და ხელშეწყობის მიზნით, დამკვიდრდება ტყეების მოვლის, დაცვისა და აღდგენის ეფექტიანი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნება-გაუმჯობესებას;

კლიმატის ცვლილებით განპირობებული ბუნებრივი კატასტროფების საფრთხეების რისკების შემცირების მიზნით, გაფართოვდება **ჰიდრომეტეოროლოგიური დაკვირვების ქსელი,** გაძლიერდება მოდელირების შესაძლებლობები და დაინერგება ადრეული შეტყობინების ეროვნული სისტემა;

**კლიმატის ცვლილების შესახებ პარიზის შეთანხმებით** აღებული ვალდებულებების შესაბამისად, გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები ქვეყანაში სათბურის ეფექტის მქონე აირების გაფრქვევების შესამცირებლად;

გაუმჯობესდება **ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, დადგინდება თხევადი საწვავის ხარისხობრივი ნორმები და გაუმჯობესდება ატმოსფერულ ჰაერში **მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის აღრიცხვის სისტემა;**

გაგრძელდება **წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის სისტემაზე** გადასვლა, რომელიც ეფუძნება სააუზო მართვის ევროპულ პრინციპებს;

გაუმჯობესდება **ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების** ხარისხი, შეიქმნება რადიოაქტიური ნარჩენების მართვის ახალი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის და გარემოს დაცვას რადიაციის შესაძლო მავნე ზეგავლენისგან; გაუმჯობესდება **ქიმიური ნივთიერებების მართვისა და კონტროლის** მექანიზმები;

გაგრძელდება და გაფართოვდება **გარემოსდაცვითი განათლების** ხელშეწყობისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები.

## *3.* სოციალური განვითარება

### 3.1. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

2012 წლის არჩევნების შემდეგ ხელისუფლებამ საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპზე დაფუძნებულ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პოლიტიკას, რომლის შემდგომი სრულყოფა საქართველოში თითოეული ადამიანის ღირსეულ ცხოვრებას და კეთილდღეობას უზრუნველყოფს.

### 3.1.1. ჯანმრთელობის დაცვა

ადამიანზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკის მთავარი მიღწევა **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებაა. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, 2013 წლიდან უკვე დაფინანსდა 2,4 მილიონზე მეტი შემთხვევა.

მთავრობა მომავალშიც შეინარჩუნებს **საყოველთაო ჯანდაცვის სისტემას,** რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლის გადარჩენა და ოჯახების გაღარიბების თავიდან აცილება უზრუნველყო. საქართველოს ყველა მოქალაქე კვლავაც იქნება დაცული სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული მაღალი ხარჯებისაგან. საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, განიხილება საჯარო და კერძო თანამშრომლობის მოდელები და მექანიზმები, რათა დასაქმებულმა ადამიანებმა მეტი წვლილი შეიტანონ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაში.

განხორციელდება **პირველადი ჯანდაცვის** რეფორმის მომდევნო ეტაპი. დაიხვეწება პირველადი ჯანდაცვის სისტემის დაფინანსების მექანიზმები და გაიზრდება ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა, რის საფუძველზეც დაიზოგება როგორც სახელმწიფოს, ისე მოსახლეობის მიერ გაწეული დანახარჯები.

**დაავადებათა პროფილაქტიკა** (პრევენცია) ჯანდაცვის პოლიტიკისთვის იქნება პრიორიტეტული. დაავადებაზე რეაგირების რეჟიმიდან აქცენტი გადატანილი იქნება როგორც დაავადების წარმოქმნის პრევენციაზე, ისე დაავადების დროულად აღმოჩენასა და მისი გართულების თავიდან აცილებაზე.

გაგრძელდება **ჯანდაცვის სპეციალიზებული მიმართულებების პროგრამული დაფინანსება:** C-ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ჩართვის საშუალება მომავალშიც ექნება ყველა პაციენტს; გაუმჯობესდება ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამის ხარისხი როგორც სტაციონარულ, ისე ამბულატორიულ და თემზე დაფუძნებული სერვისების დონეზე.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობას** - ქვეყნის მასშტაბით დაინერგება დედათა და ბავშვთა (პერინატალური) სამედიცინო ცენტრების რეგიონალიზაციის გეგმა; გაგრძელდება აცრების ეროვნული კალენდრით ბავშვთა იმუნიზაცია და ორსულებისა და ახალშობილების უზრუნველყოფა ჯანსაღი განვითარებისთვის აუცილებელი პრეპარატების მიწოდებით.

საფუძველი ჩაეყრება **ონკოლოგიური დაავადებების** მკურნალობის თანამედროვე და მაღალეფექტიან მეთოდებს.

**ჯანდაცვის სისტემის დაფინანსება** დაეფუძნება შემდეგ პრინციპებს: დაიხვეწება არსებული სტანდარტიზებული საყოველთაო ჯანდაცვის საბაზისო პაკეტი; მომსახურების ანაზღაურებისათვის გამოყენებული იქნება დაფინანსების დიაგნოზთან შეჭიდული ჯგუფების და გლობალური ბიუჯეტების მეთოდი, რაც უზრუნველყოფს ამ პროგრამის ხარჯების უფრო ეფექტიან და პროგნოზირებად გაწევას.

**მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის** გაზრდისათვის განხორციელდება სისტემური რეფორმა, რომლის შედეგადაც მოსახლეობის მოწყვლად ჯგუფებს გაეზრდებათ ხელმისაწვდომობა ამბულატორიული მოხმარების მედიკამენტებზე.

ჯანდაცვის სერვისებისა და მედიკამენტების ხარისხი უზრუნველყოფილი იქნება ადეკვატური **სახელმწიფო მონიტორინგის** განხორციელების მეშვეობით, ასევე საკანონმდებლო ბაზის დახვეწის საფუძველზე.

ქვეყნის მასშტაბით დაიწყება **ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემის დანერგვა,** რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესებას.

გამოწვევების შესაბამისი გახდება სალიცენზიო, სანებართვო და მაღალი რისკის შემცველი ამბულატორიული სამედიცინო საქმიანობის **მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტის პირობები.**

ჯანდაცვის ხარისხი უზრუნველყოფილი იქნება **სამედიცინო განათლების** სისტემური რეფორმით, რაც უზრუნველყოფს მაღალი კომპეტენციის მქონე სამედიცინო პერსონალის აღზრდას. დაიხვეწება სამედიცინო პერსონალის დიპლომისშემდგომი განათლების სისტემა, რაც, ერთი მხრივ, გააუმჯობესებს პაციენტებისათვის წარმატებული პრევენციული და სამკურნალო პროცესების შედეგებს, ხოლო, მეორე მხრივ, შეამცირებს სამედიცინო დაწესებულებების დანახარჯებს.

### 3.1.2. სოციალური დაცვა

ხელისუფლების შემდგომი მმართველობის სოციალური დაცვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებს წარმოადგენს: სიღატაკის დაძლევა და სიღარიბის შემცირება, სოციალური დახმარების სისტემის ეფექტიანობა, სამართლიანობა და გამჭვირვალობა, დასაქმების მოტივაციის გაზრდა და ხელშეწყობა.

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, დაიხვეწება **სოციალური დაცვის სისტემა.** უზრუნველყოფილი იქნება სისტემის ფუნქციონირება ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით იმგვარად, რომ გამოირიცხოს სუბიექტური ფაქტორები, გამკაცრდება მონიტორინგის სისტემა.

დაინერგება **დაგროვებითი საპენსიო სისტემის** ახალი მოდელი, რომელიც გახდება საპენსიო ასაკში ღირსეული არსებობის გარანტია. დაგროვებითი სისტემა გულისხმობს თანადაფინანსებას დასაქმებულის, დამსაქმებლისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მხრიდან.

**„ცხოვრება გრძელდება“** პროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა საპენსიო ასაკის კვალიფიციური პირების დასაქმებას.

ხელისუფლება გააგრძელებს **დევნილთა** საცხოვრებელი ფართობებით უზრუნველყოფის ეფექტიან პოლიტიკას. გაგრძელდება დევნილი ოჯახებისათვის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, მოხდება ბინების შესყიდვა მენაშენეებისგან თბილისსა და სხვა დიდ

ქალაქებში, ასევე „სოფლად სახლის“ პროექტის ფარგლებში მოხდება დევნილი ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლების შეძენა. 24 000-ზე მეტ დევნილ ოჯახს, რომელსაც საკუთრებაში აქვს გადაცემული საცხოვრებელი ფართობი, აგრეთვე მათ მიერ შექმნილ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს საკუთრებაში გადაეცემათ საერთო სარგებლობის ფართობებიც (სხვენები, სარდაფები და სხვ.). გაგრძელდება კერძო მესაკუთრეებისგან იმ საცხოვრებელი ფართობების გამოსყიდვა, რომლებიც დევნილებს აქვთ დაკავებული. პარალელურად, მიმდინარეობს მუშაობა, ერთი მხრივ, დონორებთან, ხოლო, მეორე მხრივ, ინვესტორებთან, რათა კერძო და საჯარო პარტნიორობის ფარგლებში აშენდეს ახალი საცხოვრებლები დევნილებისთვის როგორც ქალაქებში, ისე სოფლად. მნიშვნელოვნად გაძლიერდება მცირე სამეწარმეო საქმიანობისა და დევნილთა კოოპერაციის ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან.

გაგრძელდება **ეკომიგრანტი** ოჯახებისთვის საცხოვრებელი სახლებისა და მიწის ნაკვეთების დაკანონების პროცესი. დაგეგმილია ქვეყნის მასშტაბით 1000-მდე ეკომიგრანტი ოჯახისთვის სახლების შეძენა.

**დემოგრაფიული მდგომარეობის** გაუმჯობესების მიზნით, გაძლიერდება სხვადასხვა სოციალური პროგრამა. გაძლიერდება **ხანდაზმულთა პოლიტიკის** სხვადასხვა მიმართულება. პრობლემების მქონე ოჯახებთან მიმართებით გაიზრდება სოციალური მუშაკის როლი.

მოხდება **სასჯელის ლიბერალიზაცია მსუბუქი ნარკოტიკების მოხმარებასთან მიმართებით.** სახელმწიფო გააუმჯობესებს ნარკოდამოკიდებული პირებისათვის ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობასა და ხარისხს. პრევენციული პროგრამებით სახელმწიფო უზრუნველყოფს ნარკოტიკების უკანონო მოხმარებაში ადამიანების, განსაკუთრებით, ახალგაზრდების ჩაბმის თავიდან არიდებას.

სახელმწიფო, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, შეიმუშავებს რეგულაციებს **აზარტული თამაშების** ხელმისაწვდომობის შეზღუდვის კუთხით, განსაკუთრებით არასრულწლოვნებთან და დამოკიდებულ პირებთან მიმართებით. გამკაცრდება სახელმწიფო კონტროლი რეგულაციების შესრულებაზე. გაძლიერდება პრევენციული საგანმანათლებლო კომპონენტი, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსახლეობის ფართო ფენების, განსაკუთრებით ახალგაზრდების, აზარტულ თამაშებში ჩაბმა.

## 3.2. განათლება

განათლება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. დაგეგმილია ისეთი საგანმანათლებლო სისტემის განვითარება, რომელიც ბავშვების, ახალგაზრდებისა და ზრდასრულების სათანადო თეორიული ცოდნით აღჭურვისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებასთან ერთად, უზრუნველყოფს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების სიღრმისეულად გააზრებას, მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას, რაც ქვეყნის ეკონომიკური გაძლიერებისა და საზოგადოების განვითარების საწინდარი იქნება.

მომდევნო 4 წლის განმავლობაში, საქართველოს ხელისუფლება გეგმავს განათლების სფეროს სისტემური ცვლილებების განხორციელებას, რათა განათლებისა და მეცნიერების სისტემა გახდეს ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების მყარი საფუძველი. უზრუნველყოფილი იქნება უწყვეტი განათლება. განათლების სისტემა იქნება ხარისხზე, ხელმისაწვდომობასა და ინკლუზიაზე ორიენტირებული. ქმედითი ნაბიჯები გადაიდგმება იმისათვის, რომ საქართველოს განათლების სისტემამ რეგიონში ლიდერის პოზიციები დაიკავოს და რეგიონალურ საგანმანათლებლო ცენტრად გადაიქცეს.

### 3.2.1 ადრეული და სკოლამდელი განათლება

საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, საჯარო დაწესებულებებში შენარჩუნდება **უფასო** ადრეული და სკოლამდელი განათლება.

ადრეული და სკოლამდელი განათლების თანაბრად მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, ყველა საჯარო და კერძო ადრეულ და სკოლამდელ დაწესებულებაში 2017 წლიდან ამოქმედდება **ერთიანი ხარისხის სტანდარტები,** სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტები, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მაღალი სტანდარტები, კვებისა და ჰიგიენის ერთიანი სტანდარტი. უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხოება და არაძალადობრივი გარემო. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი.

ამოქმედდება აღმზრდელებისა და აღმზრდელ-პედაგოგების ახალი **პროფესიული სტანდარტი.** დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების პოპულარიზაცია, კვალიფიციური კადრების მომზადება და პროფესიაში ახალგაზრდა კადრების მოზიდვა.

გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებების **ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება** და ახალი დაწესებულებების დაფუძნება.

წინასასკოლო ასაკის მოზარდებისთვის მხარდაჭერილი იქნება სასკოლო მზაობის ჯგუფების ფუნქციონირება როგორც საბავშვო ბაღების, ისე სკოლების ბაზაზე.

### 3.2.2 ზოგადი განათლება

ზოგადი განათლების მაღალი ხარისხი და **საყოველთაო ხელმისაწვდომობა** კვლავ პრიორიტეტი იქნება. ამ მიზნით უზრუნველყოფილი იქნება თანასწორი, უსაფრთხო და ინკლუზიური, მოსწავლის წარმატებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს განვითარება. ხარისხის მაღალი სტანდარტების მისაღწევად, დაინერგება ავტორიზაციის ახალი, სწავლისა და სწავლების მაღალ შედეგებზე ორიენტირებული სტანდარტები.

განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით, შეიქმნება ახალი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მაღალ სტანდარტებზე ორიენტირებული **სასწავლო გეგმები,** პროგრამები და

სახელმძღვანელოები, რომელთა დანერგვა I-VI კლასებში უკვე 2017-18 სასწავლო წელს დაიწყება და შემდგომ ეტაპობრივად დაფარავს ზოგადი განათლების სამივე საფეხურს.

სკოლებში დაინერგება **დიფერენცირებული მიდგომები** ტექნიკური და საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი მეცნიერებების, სახელოვნებო, სახელობო გაძლიერებული სწავლების მიმართულებით.

განვითარდება **ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა.** გამოცდების ჩატარების პროცესში გაიზრდება თანამედროვე ტექნოლოგიების როლი.

ხელისუფლება იზრუნებს **პედაგოგის პროფესიის პრესტიჟის ამაღლებაზე.** სახელმწიფო უზრუნველყოფს მასწავლებლების კარიერული ზრდის ხელშეწყობას მათი უწყვეტი პროფესიული განვითარების გზით. გაგრძელდება ანაზღაურების სისტემისა და სამოტივაციო პაკეტების განვითარება. 2017 წლის 1 იანვრიდან განხორციელდება მასწავლებელთა ხელფასების ზრდა დაგეგმილი სქემის მიხედვით  და საშუალო ხელფასი 800 ლარს მიაღწევს. ხელფასების ზრდის ტენდენცია გათვალისწინებული იქნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესაბამისად. გაიზრდება პედაგოგთა სოციალური დაცვის გარანტიები. სწავლა-სწავლების პროცესისა და სკოლების მართვის გაუმჯობესების მიზნით, 2017 წლიდან გაგრძელდება მასწავლებელთა და დირექტორთა პროფესიული განვითარების მასშტაბური პროგრამების განხორციელება, რომელთა დაფინანსებაც მოხდება როგორც სახელმწიფოს მიერ, ისე ათასწლეულის გამოწვევის კომპაქტის 14-მილიონიანი  პროექტის ფარგლებში.

**თავისუფალი გაკვეთილები,** რომლებიც მოსწავლეების ინტერესებზე იქნება მორგებული, გახდება სასკოლო ცხოვრების განუყოფელი ნაწილი. სახელმწიფო ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მრავალფეროვან აქტივობებს და პროექტებს, რომლებიც მათ დაეხმარება ანალიტიკური, კრეატიული, შემოქმედებითი და ინოვაციური აზროვნების, გუნდური მუშაობის, ლიდერობისა და სამეწარმეო უნარების, ასევე სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციების განვითარებაში, წაახალისებს ჯანსაღი ცხოვრების წესსა და სპორტულ აქტივობებს.

სწავლა-სწავლების პროცესში გაძლიერდება **თანამედროვე ტექნოლოგიების, აგრეთვე დისტანციური სწავლების როლი.** მნიშვნელოვნად გაიზრდება სკოლების საინფორმაციო-ტექნოლოგიური შესაძლებლობები. მომზადდება მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები დამხმარე სასწავლო მასალისა და განმავითარებელი თამაშების სახით, შეიქმნება ელექტრონული სწავლების პლატფორმა, რომლის საშუალებითაც დიასპორის წარმომადგენლებისათვის დაინერგება დისტანციური სწავლების გაკვეთილები ქართულ ენაში, საქართველოს გეოგრაფიასა და ისტორიაში.

მნიშვნელოვანი ინვესტიციები ჩაიდება **სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარებაში** უახლესი სტანდარტების შესაბამისად, მათ შორის, ახალი სკოლების მშენებლობაში. 2017 წლიდან, სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პროგრამების პარალელურად, გაგრძელდება ათასწლეულის  გამოწვევის კომპაქტის დაფინანსებით შერჩეული 100-მდე საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით უზრუნველყოფა, რაც

საქართველოს რეგიონებში მცხოვრებ 37 ათასზე მეტ მოსწავლეს საერთაშორისო სტანდარტის სკოლებში სწავლის საშუალებას მისცემს, ასევე ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ბანკის მიერ დაფინანსებული პროგრამის ფარგლებში თბილისის ზოგიერთ სკოლაში ჩატარდება სარეაბილიტაციო და ენერგოეფექტურობის გაზრდაზე მიმართული სამუშაოები. სახელმწიფო უზრუნველყოფს მცირეკონტინგენტიანი, მაღალმთიანი და სოფლის სკოლების გაძლიერების პროგრამების ამოქმედებას.

### 3.2.3 პროფესიული განათლება

პროფესიული განათლების სისტემაში დაინერგება **დუალური, ანუ სამუშაოზე დაფუძნებული, სწავლების მიდგომა** საჯარო-კერძო პარტნიორობის გზით. ამ მიდგომით, კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად სასწავლებელი და დამსაქმებელი გაინაწილებენ პროგრამით გათვალისწინებულ კომპეტენციებს. შესაბამისად, სტუდენტები თეორიულ ცოდნას სასწავლებელში, პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს კი პარალელურად, რეალურ სამუშაო გარემოში დამსაქმებლისგან მიიღებენ. პარალელურად გაგრძელდება მოქნილი მოდულური სწავლების მიდგომის დანერგვა, რაც ახალგაზრდებს სრული მოდულური პროგრამის, ზრდასრულებს კი ცალკეული მოდულების გავლის შესაძლებლობას სთავაზობს შედარებით მოკლე დროში და სწავლის დასრულების შემდეგ გაძლიერებულ საწარმოო პრაქტიკას გულისხმობს. შედეგად, გაიზრდება სტუდენტებისა და მომავალი დასაქმებულების კონკურენტუნარიანობა და შრომის ბაზრისათვის მზაობის ხარისხი.

შრომის ბაზრის კვლევის საფუძველზე, სახელმწიფო განსაზღვრავს პროფესიული განათლების ცალკეულ **პრიორიტეტულ მიმართულებებს** და უზრუნველყოფს დამსაქმებლების სრულფასოვან ჩართვას პროფესიული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების, ასევე სტუდენტების შერჩევისა და შეფასების პროცესებში.

პროფესიული განათლება ფოკუსირებული იქნება როგორც მოზარდებისა და ახალგაზრდების, ისე **ზრდასრულების საგანმანათლებლო საჭიროებებზე.** კერძო სექტორთან თანამშრომლობით შეიქმნება ზრდასრულთა განათლების სისტემა. ამოქმედდება პროფესიული მომზადება-გადამზადების მრავალფეროვანი პროგრამები. პარალელურად, შეიქმნება პროფესიული განათლებიდან უმაღლეს განათლებაში გადასვლის მოქნილი მექანიზმები, სისტემა გახდება უფრო ღია და ინკლუზიური.

დასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარების პარალელურად, სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებისა და კერძო სექტორის გაძლიერების მიზნით, ასევე პრიორიტეტი იქნება **სამეწარმეო განათლებაც.** პროფესიის დაუფლებასთან ერთად, სტუდენტები ისწავლიან მეწარმეობას. ამგვარად, მომზადდება მცოდნე კადრი, რომელიც დასაქმების გარდა, შეძლებს სახელმწიფოს თუ ბიზნესსექტორის მიერ გატარებულ სამეწარმეო საქმიანობის მხარდამჭერ ღონისძიებებში (კონკურსები, დაფინანსებები, სტარტაპების წახალისება) მონაწილეობას და ბიზნესის დაწყებას საკუთარი პროფესიით.

ამოქმედდება ევროპული მიდგომების შესაბამისად მომზადებული **ხარისხის უზრუნველყოფის მოდელი და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო,** რაც ხელს შეუწყობს სტუდენტთა და დასაქმებულთა მობილობას და უწყვეტი განათლების სისტემის ჩამოყალიბებას; პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს ხელი შეეწყობათ, რომ განახორციელონ ერთობლივი პროგრამები ევროპულ და სხვა წარმატებულ სასწავლებლებთან თანამშრომლობით და მოამზადონ კადრები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აშშ-ისა და საქართველოს მთავრობებს შორის ხელმოწერილი ათასწლეულის გამოწვევის მეორე კომპაქტით, 2016-19 წლებში 16 მლნ აშშ დოლარი მოხმარდება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტის **პროფესიული განათლების ახალი პროგრამების** დანერგვას.

გაგრძელდება ევროკავშირთან თანამშრომლობა **ადამიანური რესურსების გაძლიერების** მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მდგრად განვითარებას. ასევე, განათლების დონეების ერთმანეთთან ჰარმონიზებისა და განვითარების, პროფესიული განათლებისა და დასაქმების სფეროების ერთმანეთთან დაკავშირების გზით, აღნიშნული თანამშრომლობა ხელს შეუწყობს **მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის პრინციპის** რეალიზებასაც.

განვითარდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების **ინფრასტრუქტურა** და საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატში გაფართოვდება არსებული გეოგრაფიული ქსელი.

პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის ამოქმედდება **პროფესიული განვითარების** მწყობრი სისტემა, წახალისებული იქნება მათი სასწავლო ვიზიტები საზღვარგარეთ. სახელფასო პოლიტიკა დაეფუძნება ცოდნის, გამოცდილებისა და მიღწეული შედეგების ანალიზს.

### 3.2.4 უმაღლესი განათლება

დაინერგება უმაღლესი განათლების **დაფინანსების ახალი, ეფექტიანი მოდელები,** რომლებიც ორიენტირებული იქნება იმ მიმართულებებისა და სპეციალობების გაძლიერებაზე, რაც ქვეყნის განვითარების საჭიროებებთან, საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ეკონომიკის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული და შრომის ბაზრის ანალიზის საფუძველზე იქნება იდენტიფიცირებული.

დაინერგება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი უმაღლესი განათლების **ხარისხის მართვის ეფექტიანი მოდელები**; ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალი, შედეგებსა და განვითარებაზე ორიენტირებული სტანდარტები და პროცედურები ორიენტირებული იქნება ხარისხის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფაზე. პრიორიტეტი მიენიჭება სწავლისა და მეცნიერული კვლევის ინტეგრაციას.

დაინერგება ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა **მასწავლებელთა მომზადების სისტემის** გაუმჯობესების მიზნით. უმაღლესი განათლების მქონე პირთათვის სახელმწიფო და კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში

ამოქმედდება მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ დაფინანსდება და ხელს შეუწყობს ყოველწლიურად სკოლებში ახალი კადრების დასაქმებას.

მხარდაჭერილი იქნება სპეციალური პროგრამები საქართველოში და საზღვარგარეთ სამეცნიერო-კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებში წარმატებით მოღვაწე წამყვანი ქართველი მეცნიერების უმაღლესი განათლების სისტემაში რეინტეგრაციის მიზნით.

სახელმწიფო განსაკუთრებულად შეუწყობს ხელს უმაღლესი განათლების პროცესში **თანამედროვე ტექნოლოგიების** როლისა და მნიშვნელობის ზრდას, მათ შორის, დისტანციური განათლების კომპონენტის გაძლიერებას.

სახელმწიფო ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების **ინტერნაციონალიზაციას** და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას.

საქართველოს რეგიონალურ საგანმანათლებლო ცენტრად პოზიციონირების მიზნით, განხორციელდება უცხოელი სტუდენტების საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მოზიდვის მასშტაბური პროექტი - **„ისწავლე საქართველოში“.**

ქუთაისში აშენდება **საუნივერსიტეტო ქალაქი,** რომელიც წამყვანი რეგიონალური ცენტრი გახდება ზუსტი, საბუნებისმეტყველო, მათემატიკური, საინჟინრო და სხვა მიმართულებებით.

### 3.2.5 მეცნიერება

განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები საქართველოს ძლიერ, **რეგიონალურ სამეცნიერო ცენტრად** გადაქცევისთვის.

ქვეყნის ეკონომიკის, სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებისა და საზოგადოების საჭიროებების გათვალისწინებით მოხდება **პრიორიტეტული სამეცნიერო მიმართულებების იდენტიფიკაცია** და მათი გაძლიერების მხარდაჭერა.

ხელი შეეწყობა **საზღვარგარეთ სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებთან სამეცნიერო თანამშრომლობას** და ერთობლივი პროექტების განხორციელებას, უცხოელი მეცნიერების სამეცნიერო კვლევებს საქართველოში და ქართველი მეცნიერებისას - მსოფლიო მნიშვნელობის სამეცნიერო ცენტრებში, აგრეთვე ქართველი მეცნიერების მიერ უცხოელ მკვლევარებთან ერთობლივი კვლევითი პროგრამების განხორციელებას. უზრუნველყოფილი იქნება ახალგაზრდების მონაწილეობის ხელშეწყობა მეცნიერებაში მიზნობრივი პროგრამების დანერგვით.

გაძლიერდება მეცნიერების **ინფრასტრუქტურული შესაძლებლობები.**

სახელმწიფო მხარს დაუჭერს **თანამედროვე ტექნოლოგიების** დანერგვას სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში.

სახელმწიფო ხელს შეუწყობს **საზღვარგარეთ ქართველოლოგიური კათედრებისა** და ქართველოლოგის შემსწავლელი მეცნიერების გაძლიერებას.

სახელმწიფო მხარს დაუჭერს ევროკომისიის პროგრამის ,,**Horizon-2020"-ის** ფარგლებში თანამშრომლობას, რაც საერთაშორისო თანამშრომლობისა და დაფინანსების ახალ პერსპექტივებს სთავაზობს ქართველ მეცნიერებს, ბიზნესმენებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

## 3.3 კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობის პოლიტიკა

ყოველწლიურად იზრდება **კულტურის** განვითარებისათვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსება. ევროპასთან ასოცირების შეთანხმების თანახმად, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა და მთავრობამ დაამტკიცა „კულტურის სტრატეგია 2025", რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფოს ხედვას, მიზნებსა და ამოცანებს კულტურის სექტორში. საქართველო ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის პირველია, რომელიც ევროკავშირის პროგრამის - „შემოქმედებითი ევროპის" წევრი გახდა.

მომდევნო 4 წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სფეროში გატარდება შემდეგი ღონისძიებები:

### 3.3.1 კულტურა

დაიხვეწება კულტურასა და ძეგლთა დაცვასთან დაკავშირებული **კანონმდებლობა;** შემუშავდება კულტურული მემკვიდრეობის კოდექსი, რომელიც შექმნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სათანადო საკანონმდებლო საფუძვლებს; გაგრძელდება ალტერნატიული გზების ძიება კულტურის სფეროს დაფინანსების მოძიებისთვის და დივერსიფიკაციისთვის;

**კულტურის მართვა** უფრო ღია, გამჭვირვალე და ინკლუზიური გახდება; გაიზრდება ექსპერტთა და პროფესიონალთა მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებისა და დარგობრივი სტრატეგიების შემუშავების პროცესში;

გაიზრდება **კულტურის ხელმისაწვდომობა** ფართო საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით რეგიონების მოსახლეობისთვის, ეთნიკური უმცირესობებისა და შშმ პირებისათვის; განხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტები კულტურისა და ძეგლთა დაცვის მემკვიდრეობის შესანარჩუნებლადა; მოხდება კულტურის პოპულარიზაცია მოსახლეობის ფართო ფენებისათვის; ხელი შეეწყობა მედიისა და მაუწყებლის პოტენციალის გამოყენებას კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის პოპულარიზაციისა და განვითარებისათვის;

მოხდება **კულტურის ინტეგრირება სხვა დარგების,** განსაკუთრებით ეკონომიკურ, პოლიტიკაში; გაძლიერდება კომუნიკაცია კულტურის სფეროს მუშაკებსა და ბიზნესსტრუქტურებს შორის, პარტნიორობა სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის; ხელი შეეწყობა კულტურის სფეროს

პოტენციალის სამეწარმეო და ტურიზმის მიმართულებით ათვისებას, მათ შორის, **რეწვის ტრადიციული ეროვნული მიმართულებით.** პროგრამა „შემოქმედებითი საქართველოს“ ფარგლებში, სახელმწიფო ხელს შეუწყობს შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებისთვის საჭირო სივრცეებსა და დაწესებულებებს - ლაბორატორიებს, ინკუბატორებს; შემუშავდება შემოქმედებითი ინდუსტრიების წახალისების მექანიზმები; გაუმჯობესდება კულტურის საექსპორტო პოტენციალის ათვისება; შემუშავდება რესურსების შეგროვებისა და კოორდინაციის ახალი მექანიზმები, ელექტრონული მონაცემთა ბაზა და სხვ.

ხელი შეეწყობა **ქართული კულტურის ინტერნაციონალიზაციასა** და ქვეყნის პოპულარიაზაციის მიზნით ქართველი ხელოვანების მონაწილეობას მნიშენელოვან საერთაშორისო ღონისძიებებში; ხელი შეეწყობა კულტურათაშორისი დიალოგის გაღრმავებას და თანამშორმლობით პროექტებს, ინსტიტუციურ, ორგანიზაციულ და ინდივიდუალურ დონეზე;

გაგრძელდება **სახელოვნებო განათლების განვითარების** ხელშეწყობა, დარგის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლება;

უზრუნველყოფილი იქნება ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

### 3.3.2 სპორტი

უზრუნველყოფილი იქნება მწვრთნელებისათვის პროფესიული და უმაღლესი **სასპორტო განათლების ხელმისაწვდომობა;** განხორციელდება სპორტის უნივერსიტეტის რეფორმა ქვეყნის სათანადოდ მომზადებული პროფესიული კადრებით უზრუნველსაყოფად;

ხელი შეეწყობა **მასობრივი სპორტის განვითარებას,** მათ შორის, მოწყვლადი ჯგუფების სპორტში ჩაბმას. სახელმწიფო განახორციელებს ქმედით პოლიტიკას, რათა 15%-ით გაიზარდოს პროფესიულ სპორტში ჩაბმულ პირთა, ხოლო 25%-ით მასობრივ სპორტში ჩაბმულ მოქალაქეთა რაოდენობა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სპორტის სხვადასხვა სახეობაში ბავშვებისა და მოზარდების ჩართვას; ყურადღება დაეთმობა სპორტის განვითარებას პენიტენციარულ დაწესებულებებში;

აშენდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი **ფეხბურთისა და რაგბის კომბინირებული მოედნები**. რეგიონალურ ცენტრებში აშენდება საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი სპორტის სასახლეები; შეიქმნება **სპორტული ინფრასტრუქტურის მართვის** ეფექტიანი მოდელი, რომელიც საჯარო და კერძო სექტორის თანამშრომლობაზე იქნება დაფუძნებული;

მომდევნო 4 წლის განმავლობაში გაგრძელდება საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე სხვადასხვა დონის **საფეხბურთო კლუბებისა და პროგრამების** დაფინანსება; ხელი შეეწყობა საფეხბურთო გუნდების კერძო საკუთრებაში გადაცემას, ბავშვთა და ქალთა ფეხბურთის, ასევე ასაკობრივი გუნდების (მათ შორის, ნაკრების) განვითარებას;

ეროვნულ სპორტულ ფედერაციებთან კოორდინაციით, შემუშავდება **სპორტული ტურიზმის განვითარების** სტრატეგია, რაც ქვეყნის პოპულარიზაციასთან ერთად, განაპირობებს არსებული სპორტული ინფრასტრუქტურის ეფექტიან გამოყენებას;

### 3.3.3 ახალგაზრდობის პოლიტიკა

გაგრძელდება **ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერა** სახელმწიფოს მხრიდან, მათ შორის, არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამების, ჰობი-განათლებისა და რეკრეაციული პროექტების დაფინანსების კუთხით; გაიზრდება ადგილობრივი თვითმმართველობების როლი ახალგაზრდული პოლიტიკის მიმართულებით;

**ახალგაზრდული ტურიზმის** ხელშეწყობის მიზნით გაიზრდება კემპინგცენტრებისა და ტურისტული ბილიკების, ასევე სოციალური თუ ახალგაზრდული კაფეების რაოდენობა;

გაღრმავდება **ევროკავშირთან თანამშრომლობა** ახალგაზრდობის მობილობის, მოხალისეობის ხელშეწყობისა და არასამთავრობო ორგანიზაციების განვითარების მიზნით;

გაუმჯობესდება **არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა** ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობისა და განვითარებისთვის;

გაიზრდება **შშმ პირების ინკლუზიაზე** ორიენტირებული არაფორმალური განათლების პროგრამების მხარდაჭერა, მათ შორის, მათ დასაქმებაზე ორიენტირებული პროექტების რაოდენობა.

## *4.* საგარეო ურთიერთობები, უსაფრთხოება და თავდაცვა

### 4.1 საგარეო ურთიერთობები

ქვეყნის მშვიდობიანი და მდგრადი განვითარების საფუძველი უსაფრთხოების, სტაბილურობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფაა. ხელისუფლების მიზანია თანამედროვე, სტაბილური, განვითარებული დემოკრატიის ევროპული სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესის გაგრძელება და მისი ხარისხობრივად უფრო მაღალ დონეზე აყვანა. ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო გზა ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციაა.

საქართველო რთულ და ცვალებად გეოპოლიტიკურ გარემოში იმყოფება. არსებული გლობალური და რეგიონალური გამოწვევების გათვალისწინებით, ქვეყნის სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების განმტკიცებისათვის საქართველოს ნატოში ინტეგრაციას და აშშ-თან, როგორც მთავარ სტრატეგიულ პარტნიორთან, თანამშრომლობის შემდგომ გაღრმავებას ალტერნატივა არა აქვს. აღნიშნული მიმართულებებით საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების აუცილებელი კომპონენტის სტაბილური და პროგნოზირებადი პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემოს ფორმირების შესაძლებლობას იძლევა.

ქვეყანაში სტაბილური და პროგნოზირებადი გარემოს ფორმირებისთვის აუცილებელია რუსეთიდან მომავალი საფრთხეების მინიმიზაცია და რუსეთთან რაციონალური პოლიტიკის გატარება, ქვეყნის დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, სტრატეგიული ინტერესების დათმობის გარეშე.

ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გაგრძელებისა და რუსეთთან რაციონალური პოლიტიკის წარმართვის საფუძველზე უსაფრთხო და სტაბილური გარემოს ჩამოყალიბება ქვეყნის საინვესტიციო მიმზიდველობის ზრდისა და ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობით განპირობებული სარგებლის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების საწინდარია. ყოველივე ეს საქართველოს მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისა და, ზოგადად, ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.

**ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად, მთავრობის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტებია:**

- უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის განმტკიცება, დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რუსეთის ფედერაციასთან კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების გზით;
- ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია;
- ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;
- მსოფლიო მასშტაბით საქართველოს პოზიტიური იმიჯის პოპულარიზაცია;
- ქართულ დიასპორასთან კავშირების გამყარება და საქართველოს განვითარების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა.

### 4.1.1 უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის განმტკიცება, დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რუსეთის ფედერაციასთან კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების გზით

საქართველოს მთავრობის უმთავრესი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტია საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული საზღვრების ურღვეობისა და სუვერენიტეტის განმტკიცება, ქვეყნის დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რაც მხოლოდ მშვიდობიანი გზით არის შესაძლებელი.

საქართველოს მთავრობა გააგრძელებს ძალისხმევას რუსეთის ფედერაციის მიერ 2008 წლის 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების უზრუნველყოფისა და ამ პროცესში საერთაშორისო ჩართულობის გაზრდის მიზნით.

საქართველო გააგრძელებს კონსტრუქციულ მონაწილეობას ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებების ფორმატში. მთავრობის ძალისხმევა მიმართული იქნება პროგრესის მიღწევისაკენ მოლაპარაკებების დღის წესრიგის ისეთ მთავარ საკითხებზე, როგორიცაა: ძალის არგამოყენება, ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნა

და იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის ესკალაციის პრევენციისათვის, ისევე, როგორც საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, საერთაშორისო ძალისხმევის კონსოლიდაციას. გაგრძელდება მუშაობა საქართველოში დღეს არსებული ერთადერთი საერთაშორისო მექანიზმის - ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სრულად განხორციელების ხელშესაწყობად.

გაგრძელდება აქტიური მუშაობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებათა მონიტორინგისა და დაცვის საერთაშორისო მექანიზმების ამოქმედებისათვის, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის, მათ შორის, განსაკუთრებით მოწყვლადი გალის და ახალგორის რაიონების მცხოვრებთა უსაფრთხოებისა და ჰუმანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს მთავრობა ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკის ფარგლებში, მიმართავს ძალისხმევას საერთაშორისო თანამეგობრობისათვის საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებული მდგომარეობის შესახებ ობიექტური ინფორმაციის მიწოდებასა და აღიარების შესაძლო რისკების პრევენციისკენ. გაგრძელდება მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი სახელმწიფოების ძალისხმევის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის არაღიარების პოლიტიკის მიმართულებით.

საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იქნება საერთაშორისო ძალისხმევის მობილიზება იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა საკუთარ საცხოვრებელ ადგილას უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების ხელშეწყობისათვის. ქართული მხარის ძალისხმევით, აღნიშნული საკითხი დგას და შენარჩუნდება საერთაშორისო დისკუსიების დღის წესრიგში და საერთაშორისო თანამეგობრობის ყურადღების ცენტრში, ვიდრე არ იქნება მიღწეული ამ ფუნდამენტური უფლების რეალიზება.

კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პოლიტიკის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ომითა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილი მოსახლეობის შერიგებასა და ნდობის აღდგენას, ომით დაშორიშორებულ საზოგადოებებს შორის პირდაპირი დიალოგის და შერიგების პროცესის წახალისების, ნდობის აღდგენისკენ მიმართული კონკრეტული პროექტების, კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ჰუმანიტარულ საჭიროებებზე რეაგირების, სახალხო დიპლომატიის და საერთო ინტერესებზე დაფუძნებული თანამშრომლობის ხელშეწყობის გზით.

საქართველოს ხელისუფლება გააგრძელებს ჯანდაცვის სერვისების და C ჰეპატიტის მკურნალობის უპრეცედენტო პროგრამის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისათვის. 2017 წლისთვის დასრულდება მრავალპროფილიანი სამედიცინო კლინიკის მშენებლობა, რომელიც მოემსახურება მთელი

რეგიონის, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიების მცხოვრებლებს. საქართველოს მთავრობა საოკუპაციო ხაზს მიღმა დარჩენილ მცხოვრებლებს შესთავაზებს იმ სარგებელსა და სიახლეებს, განვითარების და უკეთესი მომავლის პერსპექტივებს, რომლებიც, თავის მხრივ, საქართველოს ევროპულ მომავალსა და განვითარებას უკავშირდება და გამომდინარეობს ქვეყნის ევროკავშირსა და სხვა პარტნიორებთან თანამშრომლობის ფორმატებიდან.

### 4.1.2 საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია

**ევროკავშირში ინტეგრაცია**

საქართველოს ევროპული ინტეგრაცია, რომლის მიზანია ევროკავშირში სრულფასოვანი ინტეგრაცია, ეფუძნება და სრულად ასახავს ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ურყევ ნებას გახდეს დემოკრატიული ქვეყნების თანამეგობრობის ღირსეული და სრულუფლებიანი წევრი.

ასოცირების შეთანხმება წარმოადგენს  საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის ჩარჩოს. მთავრობის ამოცანაა სრულად და ეფექტიანად იქნეს გამოყენებული ქვეყნის ევროინტეგრაციით განპირობებული შესაძლებლობები.

გაგრძელდება პოლიტიკური დიალოგი ევროკავშირსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის შესახებ.

გაგრძელდება ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს. გაღრმავდება თანამშრომლობა ასოცირების  შეთანხმებით გათვალისწინებული ინსტიტუტების ფარგლებში.

გაგრძელდება თანამშრომლობა მობილურობის გაზრდისა და ხალხთა შორის კონტაქტების გაღრმავების მიმართულებით და უვიზო მიმოსვლის ამოქმედების საფუძველზე შეიქმნება მეტი შესაძლებლობები ჩვენი მოქალაქეებისთვის;

სექტორალური ინტეგრაციის მიზნით გაგრძელდება ინსტიტუციური და დარგობრივი თანამშრომლობა ევროკავშირთან.

გაღრმავდება თანამშრომლობა ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში.

გაგრძელდება სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობა, რაც ასოცირების შეთანხმების წარმატებით განხორციელების, ქვეყანაში ევროინტეგრაციის საკითხზე საზოგადოებრივი აზრის შემდგომი კონსოლიდაციის, ასევე არსებული ცოდნისა და გამოცდილების მობილიზების შესაძლებლობას იძლევა.

**ნატოში ინტეგრაცია**

ნატოში სრულფასოვანი ინტეგრაცია არის საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანა და საქართველოს უსაფრთხოების განმტკიცებისა და

სტაბილური განვითარების წინაპირობა. საქართველო მიზანმიმართულად გააგრძელებს ძალისხმევას, რათა პრაქტიკულად განხორციელდეს 2008 წლის ნატოს ბუქარესტის სამიტზე მოკავშირეების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ „საქართველო გახდება ნატოს წევრი“.

2016 წლის ივლისში გამართულ ნატოს ვარშავის სამიტზე მიღებულ იქნა ინიციატივები ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებებით, როგორიცაა: საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების განვითარება, ერთობლივი წვრთნები და სწავლებები, შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობა, კრიზისების მართვის შესაძლებლობების განვითარება და სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროს გაუმჯობესება.

ალიანსში ინტეგრაციის დაჩქარების მიზნით:

- არსებული პრაქტიკული ინსტრუმენტების გამოყენებით (ნატო-საქართველოს კომისია, წლიური ეროვნული პროგრამა, ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი) გაგრძელდება ნატოს წევრობისთვის მზადება;
- გაგრძელდება ნატო-საქართველოს „არსებითი პაკეტის“ ეფექტიანი განხორციელება, რომლის მიზანია ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების ამაღლება, რაც დაეხმარება საქართველოს ალიანსში გაწევრიანებისთვის მომზადებაში. ასევე გაგრძელდება მუშაობა ვარშავის სამიტზე მიღებული ახალი ინიციატივების განხორციელების მიმართულებით;
- საქართველო კვლავ იქნება ალიანსის მნიშვნელოვანი პარტნიორი საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში;
- აქტიურად გაგრძელდება მუშაობა ნატოს საპარლამენტო ასამბლეასთან, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ნატოში გაწევრიანების ამოცანებს, ასევე ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

### 4.1.3 ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა

ქვეყნის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის აუცილებელია საქართველოს, როგორც საერთაშორისო საინვესტიციო, საკომუნიკაციო, სატრანსპორტო, ლოგისტიკური, ენერგეტიკული, ტექნოლოგიური, ტურისტული და საფინანსო კვანძის (ჰაბის) პოპულარიზაცია, რითაც უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის სატრანსპორტო-სატრანზიტო პოტენციალის სრულყოფილად ათვისება, ეროვნული წარმოების განვითარება და ექსპორტის ზრდა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ქვეყანაში თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების დანერგვისა და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებში ქვეყნის სრულფასოვანი მონაწილეობის ხელშეწყობა.

საქართველოსთვის მნიშვნელოვანია გაგრძელდეს ძალისხმევა და კიდევ უფრო მეტად ხელი შეეწყოს საქართველოს გავლით ენერგოდერეფნების განვითარებას, ასევე ახალი სატრანსპორტო დერეფნების დაფუძნებასა და გაფართოებას.

მთავრობის მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ახალი აბრეშუმის გზის ფარგლებში ინკლუზიური, კონკურენტული და ეფექტიანი რეგიონალური პროექტების განხორციელებას ტრანსპორტისა და ენერგეტიკის მიმართულებით.

საქართველოს მთავრობის პრიორიტეტია საქართველოსა და უცხო ქვეყნების რეგიონებს შორის საქმიანი კავშირების დამყარების და თანამშრომლობის გაფართოების პროცესის ხელშეწყობა, რათა მოხდეს მსოფლიოს ლიბერალურ ბაზრებთან ქვეყნის ინტეგრაცია. ამ კუთხით, მთავრობის პოლიტიკა მიმართული იქნება საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ეკონომიკური კომპონენტის გაძლიერებისა და კომერციული ატაშეების სისტემის დანერგვისკენ.

### 4.1.4 მსოფლიო მასშტაბით საქართველოს პოზიტიური იმიჯის პოპულარიზაცია

საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია საერთაშორისო ასპარეზზე საქართველო წარმოჩნდეს როგორც სტაბილური და უსაფრთხო ქვეყანა, რომელიც დემოკრატიული განვითარებისა და წარმატებული რეფორმების მხრივ რეგიონის ლიდერია. მსოფლიო მასშტაბით ქვეყნის პოზიტიური იმიჯის ფორმირებისათვის იგეგმება საქართველოში გატარებული რეფორმებისა და მიღწევების საზღვარგარეთ აქტიური პოპულარიზაცია და ამ მხრივ საზღვარგარეთის სხვადასხვა ქვეყნებისთვის შესაბამისი გამოცდილების გაზიარება.

საქართველოს, როგორც უძველესი ისტორიისა და მრავალფეროვანი კულტურის მქონე ქვეყნად, წარმოჩენისათვის საჭიროა აქტიური კულტურული დიპლომატიის წარმოება. მთავრობის პოლიტიკა მიმართული იქნება საერთაშორისო კულტურულ ცხოვრებაში საქართველოს მეტი ჩართულობის ხელშეწყობისაკენ. განხორციელება ძალისხმევა როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატში, საერთაშორისო კულტურული და ჰუმანიტარული თანამშრომლობის განვითარებისა და ერთობლივი საერთაშორისო პროექტების ხელშეწყობის მიმართულებით.

გაგრძელდება საქართველოსა და უცხო ქვეყნების ქალაქებსა და რეგიონებს შორის კონტაქტების დამყარებისა და გაღრმავების ხელშეწყობა. გაგრძელდება გაერთიანებული ერების განათლების, კულტურის და მეცნიერების ორგანიზაციასთან (UNESCO) აქტიური თანამშრომლობის გზით საქართველოს კულტურული და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისა და პოპულარიზაციის ხელშეწყობა; მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების, როგორც ქვეყანაში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორის, პოპულარიზაცია და ახალი ძეგლების ნომინირების პროცესის ხელშეწყობა, ასევე გაგრძელდება თანამშრომლობა UNESCO–სთან საქართველოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებთან დაკავშირებული პრობლემატიკის მოგვარების ხელშეწყობის მიზნით.

### 4.1.5 ქართულ დიასპორასთან კავშირების გამყარება და საქართველოს განვითარების პროცესში მათი ჩართულობის ხელშეწყობა

საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, ასევე საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კონტაქტების განმტკიცება. ქართული დიასპორა უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში.

მთავრობის მიზანია სახელმწიფოსა და დიასპორას შორის ურთიერთობის ინტენსიფიკაცია, სისტემატიზაცია და არსებული პრობლემების ერთიანი ძალისხმევით მოგვარება.

ქვეყნისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ ქართული დიასპორის ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს დიასპორის ჩართულობას მსოფლიოს მასშტაბით ქვეყნის პოპულარიზაციისა და საქართველოს პოზიტიური იმიჯის განმტკიცების საკითხში.

მთავრობა აქტიურად იქნება ჩართული იმ ცალკეული სოციალური საკითხების გადაჭრის პროცესში, რომლებიც აწუხებს ქართულ დიასპორას. მაქსიმალურად იქნება უზრუნველყოფილი დიასპორის წარმომადგენლებისთვის ეფექტიანი იურიდიული და საკონსულტაციო მექანიზმის შეთავაზება და ადგილზე დახმარება.

ამავდროულად, მთავრობის პოლიტიკა მიმართული იქნება იმისკენ, რომ განხორციელდეს უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მათი ოჯახის წევრების მაქსიმალური ჩართულობა ქვეყნის განვითარების პროცესში, ასევე ხელი შეეწყოს უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სამშობლოში ღირსეულ დაბრუნებას.

**ორმხრივი დიპლომატია**

საქართველოს მთავრობა კვლავ გააგრძელებს სტრატეგიულ თანამშრომლობას ამერიკის შეერთებულ შტატებთან როგორც საქართველოს მთავარ მოკავშირესთან, კერძოდ:

- გაღრმავდება აშშ-თან პარტნიორობა საქართველოს თავდაცვითი შესაძლებლობებისა და შეიარაღებული ძალების ინსტიტუციური განვითარებისათვის;
- გაღრმავდება აშშ-თან სამეცნიერო და განათლების სფეროში  თანამშრომლობა; აქტიური მუშაობა წარიმართება აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში ზოგადი, ტექნიკური, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. ასევე, ხალხთაშორისი ურთიერთობების მიმართულებით გააქტიურდება მკვლევართა და სტუდენტთა გაცვლა;
- გაგრძელდება ორმხრივი სავაჭრო და საინვესტიციო ურთიერთობების კუთხით საქმიანობა, ვაჭრობასა და ინვესტიციებზე მაღალი დონის დიალოგის (HLTID) ფორმატში, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობის კუთხით.

საქართველოს მთავარი საგარეო-პოლიტიკური ამოცანების განხორციელების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესი იქნება ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება და სტრატეგიულ პარტნიორობაზე ორიენტაცია. საქართველოს მთავრობა გააგრძელებს მუშაობას საქართველოში გატარებული რეფორმების შედეგების ევროპის ქვეყნებში სრულფასოვნად წარმოჩენისა და საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობის გაზრდის უზრუნველყოფის მიმართულებით.

გასული ოთხი წლის განმავლობაში წარმატებით მიმდინარეობდა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის განმტკიცება და კეთილმეზობლური ურთიერთობების გაღრმავებას მეზობელ სახელმწიფოებთან თურქეთთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან.

რუსეთის ფედერაციასთან, რაციონალური და დეესკალაციის პოლიტიკის ფარგლებში, გაგრძელდება სავაჭრო-ეკონომიკური, კულტურული და ხალხთაშორისი კონტაქტების ხელშეწყობა.

აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ, სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში მჭიდრო თანამშრომლობას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული აბრეშუმის გზისა და ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი სატრანზიტო ფუნქციის მქონე ქვეყნისთვის. საქართველოსათვის პრიორიტეტულია სხვადასხვა მიმართულებებით თანამშრომლობის დიდი პოტენციალის გამოყენება და რეგიონში საქართველოს შესახებ ცნობადობის ამაღლება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ახალი აბრეშუმის გზის ფარგლებში ინკლუზიური, კონკურენტული და ეფექტიანი რეგიონალური პროექტების განხორციელებას ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ასევე ხალხთაშორისი კონტაქტების გაღრმავების მიმართულებით.

ახლო აღმოსავლეთისა და აზიის, აფრიკის კონტინენტისა და ოკეანეთის, ასევე ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის რეგიონის ქვეყნებთან ორმხრივ დონეზე გაღრმავდება პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა სექტორული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ურთიერთობები.

**მრავალმხრივი დიპლომატია**

საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიმართულებაა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და მათ ფარგლებში არსებულ ინსტიტუტებთან აქტიური თანამშრომლობა, მათ შორის, ქვეყნის შიგნით მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების წარმატების უზრუნველყოფის, ადამიანის უფლებათა განმტკიცების, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გაზრდის, ომით გაყოფილ საქართველოს მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების შექმნის მიმართულებებით.

გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს წევრობის პერიოდში (2016-2018), საქართველო მაქსიმალურად გამოიყენებს ამ მნიშვნელოვან ფორმატს ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის

უფლებათა კუთხით არსებულ მდგომარეობასა და მიმდინარე დარღვევებზე საბჭოს ყურადღების გამახვილების მიზნით, მათ შორის, კონკრეტული ინიციატივების გზით.

ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმების შექმნის ხელშეწყობის მიზნით, გაგრძელდება მუშაობა საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო) შესაბამის ინსტიტუტებთან.

გაგრძელდება მუშაობა ეუთოს სამივე განზომილების: სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი და ადამიანური განზომილებების მიმართულებებით, ქვეყნისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე.

გაგრძელდება რეგიონალური სახის თანამშრომლობის განვითარება დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციის - სუამის ფარგლებში. საქართველო, როგორც სუამის თავმჯდომარე ქვეყანა, 2017 წელს გააგრძელებს თანამშრომლობის გაღრმავებას სუამის წევრ სახელმწიფოებთან ორგანიზაციის დღის წესრიგის ძირითად საკითხებზე. გაგრძელდება ურთიერთობების განვითარება არაბულ სახელმწიფოთა ისეთ რეგიონალურ ორგანიზაციებთან, როგორიცაა არაბული სახელმწიფოების ლიგა (League of Arab States) და სპარსეთის ყურის თანამშრომლობის საბჭო (GCC). ასევე გაღრმავდება თანამშრომლობა ფრანკოფონიის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (OIF), პორტუგალიურენოვანი ქვეყნების თანამეგობრობასთან (CPLP) და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

## სტრატეგიული კომუნიკაცია

საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების მიღწევისათვის აუცილებელია აქტიური სტრატეგიული კომუნიკაცია მთავრობის მიერ განხორციელებულ ნაბიჯებთან დაკავშირებით, რათა მოხდეს ქვეყნის საგარეო კურსის მიმართ მოსახლეობის მაღალი მხარდაჭერის შენარჩუნება.

ციფრული დიპლომატიის მეშვეობით გაგრძელდება მოქალაქეებთან პირდაპირი და უშუალო კონტაქტის დამყარება და მთავრობის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ქვეყნის შიდა და გარე აუდიტორიის პროაქტიული ინფორმირება.

საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მაღალი მხარდაჭერის შენარჩუნების მიზნით:

- გაგრძელდება ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ ქმედითი ღონისძიებების განხორციელება ინფორმაციის, სტრატეგიული კომუნიკაციის და არა კონტრპროპაგანდის ან სხვა არადემოკრატიული საშუალებების გამოყენებით;
- გაგრძელდება აქტიური საინფორმაციო კამპანია, რომლის მიზანია საქართველოს მოსახლეობისთვის ზუსტი, ამომწურავი და ობიექტური ინფორმაციის მიწოდება ევროკავშირისა და ნატოს, ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესთან დაკავშირებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების, ასევე ქვეყნის მიერ განსახორციელებელი რეფორმების თაობაზე;

- გაგრძელდება თანამშრომლობა სამოქალაქო სექტორთან მათი პროექტების მხარდაჭერისა და ერთობლივი ძალისხმევის კოორდინირების მიმართულებით;
- შემუშავდება ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებზე ინფორმაციისა და კომუნიკაციის სტრატეგია.

## 4.2 ქვეყნის  თავდაცვისუნარიანობის გაძლიერება

საქართველოს სჭირდება დაბალანსებული, ადაპტირებადი, საკმარისი საბრძოლო ძალის მქონე, მოქნილი, მდგრადი და მობილური შეიარაღებული ძალები, რომლებიც თავსებადია ნატოს საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობისთვის, უზრუნველყოფს სამოქალაქო ხელისუფლების მხარდაჭერას სტიქიური და ტექნოგენური უბედურების დროს, ადეკვატურად პასუხობს როგორც საზღვრებიდან მომდინარე თავდასხმის საფრთხეებს, ისე პირდაპირ სამხედრო აგრესიას.

არსებული უსაფრთხოების გამოწვევების შესამცირებლად მნიშვნელოვანია თავდაცვის სისტემის სრული ტრანსფორმაცია და ისეთი თავდაცვითი შესაძლებლობების შექმნა, რომელიც ეკონომიკური და დიპლომატიური შეკავების ფაქტორებთან თანაფარდ სამხედრო შესაძლებლობებს განავითარებს და ამგვარად, საკმარისი შეკავების ფაქტორის შექმნით, საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების დაცვას შეძლებს. ჩვენი ქვეყნის ნატოში გაწევრიანებისკენ განუხრელი სწრაფვა სწორედ ამ მიზნის თანაზომიერია.

ძლიერი და ეფექტიანი თავდაცვის სისტემის ჩამოსაყალიბებლად, საქართველოს მთავრობა დაამტკიცებს და განახორციელებს 4-წლიან პროგრამას, რომელიც გახდება ქვეყნის თავდაცვის ახლებური ხედვის ცხოვრებაში გატარების სტრატეგიული გეგმა და საფუძვლად დაედება სამხედრო ძალების ტრანსფორმაციისა და მოდერნიზაციის პროცესს. აღნიშნული პროგრამის განხორციელება დაეფუძნება სამხედრო სფეროში დღემდე არსებულ მიღწევებს, შეიარაღებულ ძალებში მიმდინარე წარმატებულ პროგრამებს, ნატო-საქართველოს ერთობლივ პროექტებს, აგრეთვე სამხედრო ძალების რეფორმირების პრინციპულად ახალ ხედვებს, რომლებიც განვითარდება შემდეგი 5 მიმართულებით., ესენია:

- **სტრატეგია და მართვა** - თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის სისტემების ინტეგრირების ხარისხის გაზრდა რესურსების პრიორიტეტული მიმართულებებით ეფექტიანად მიმართვის და გადანაწილების მიზნით;
- **ძალების ოპტიმიზაცია** - სამხედრო შესაძლებლობების დაბალანსებული ერთიანობის შექმნა, რაც განაპირობებს ქვეყნის უსაფრთხოების ამოცანების შესრულებას;
- **ძალების მზადყოფნა** - კრიტიკულ ფაქტორებზე ფოკუსირება სისტემური განვითარების მიმართულებით: პერსონალი, აღჭურვილობა, განათლება- წვრთნები და მდგრადობა;
- **ინსტიტუციური რეფორმები** - თავდაცვის სამინისტროს მართვის მექანიზმების თანამიმდევრული დახვეწა შეიარაღებული ძალების ოპერატიული მოთხოვნების ქმედითი მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად;

- **საერთაშორისო ჩართულობა** - სამხედრო შესაძლებლობების, აგრეთვე ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების ძალებთან თავსებადობის გაზრდის მიზნით, საერთაშორისო პროგრამებსა და აქტივობებში მონაწილეობა.

**ხედვის წარმატებით რეალიზაციისათვის:**

- საბოლოოდ გაიმიჯნება კომპეტენციები გენერალურ შტაბსა და სამინისტროს შორის; განხორციელდება თავდაცვის სამინისტროს და გენერალური შტაბის მართვის, კონტროლისა და უწყებრივი კონსულტაციების სისტემის შემდგომი ინტეგრაცია, დახვეწა და ოპტიმიზაცია;
- განხორციელდება არსებული რესურსების მართვის წესებისა და პროცედურების ინსტიტუციონალიზაცია თავდაცვის რესურსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპებით გამოყენების უზრუნველსაყოფად;
- გაუმჯობესდება შეიარაღებული ძალების საბრძოლო შესაძლებლობები და მობილურობა; უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად დარჩება საჰაერო თავდაცვისა და ტანკსაწინააღმდეგო შესაძლებლობების შემდგომი განვითარება.
- შეჯერდება რეზერვისა და მობილიზაციის კონცეფცია;
- განხორციელდება გზების იდენტიფიცირება კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნების მიზნით;
- ნატოს სტანდარტებთან თავსებადობის უზრუნველსაყოფად, შემცირდება პერსონალური ხარჯების წილი თავდაცვის ბიუჯეტში და განხორციელდება, ზოგადად, თავდაცვის სამინისტროს ხარჯების ოპტიმიზაცია; გარდა ამისა, თავდაცვის სამინისტროს შიგნით მკვეთრად გაიმიჯნება უფლება-მოვალეობები და ფუნქციები;
- უზრუნველყოფილი იქნება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და ლოგისტიკის სისტემის გამართვა; დაიწყება ერთიანი მატერიალურ-ტექნიკური და სამშენებლო ნორმების დანერგვის პროცესი;
- განვითარდება შეიარაღებული ძალების კიბერშესაძლებლობები და გაიზრდება კიბერუსაფრთხოების ხარისხი;
- გაიზრდება სამხედრო-სამედიცინო შესაძლებლობები, რისთვისაც უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის საერთო ეროვნული რესურსებისა და შესაძლებლობების სწორი განაწილება;
- შეიარაღებულ ძალებში განვითარდება სპეციალური დანიშნულების ძალების შესაძლებლობები;
- გაგრძელდება სამხედრო პოლიციის რეფორმირება.

წარმოდგენილი სამთავრობო პროგრამა განსაზღვრავს იმ მთავარ მიზნებს, ამოცანებსა და მიმართულებებს, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს მოქალაქეების თავისუფლებას, ქვეყნის სწრაფ განვითარებას და ხალხის კეთილდღეობას. ,,ქართულ ოცნებას“ შესწევს ძალა შეინარჩუნოს მშვიდობა, გაუმკლავდეს არსებულ საფრთხეესა და გამოწვევებს და წაიყვანოს ქვეყანა წინ.

## საშუალოვადიანი მაკროეკონომკური პროგნოზები

**ცხრილი1. ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორები**

| | 2013 | 2014 | 2015 | 2016 | 2017 | 2018 | 2019 | 2020 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ფაქტ. | ფაქტ. | ფაქტ. | მოსალ. | პროგნ. | პროგნ. | პროგნ. | პროგნ. |
| რეალური მშპ (ზრდის ტემპი) | 3.3 | 4.6 | 2.9 | 2.7 | 4.0 | 5.5 | 6.0 | 6.0 |
| ნომინალური მშპ (მლნ ლარი) | 26,847.4 | 29,150.5 | 31,755.6 | 33,265.2 | 35,979.7 | 39,097.3 | 42,686.4 | 46,605.0 |
| მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი) | 3,596.6 | 3,676.2 | 3,766.6 | 3,771.8 | 3,851.1 | 4,184.9 | 4,569.0 | 4,988.5 |
| სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო პერიოდის განმავლობაში) | -0.5 | 3.1 | 4.0 | 2.0 | 4.0 | 3.0 | 3.0 | 3.0 |
| მიმდინარე ანგარიში (პროცენტულად მშპ-თან) | -5.8 | -10.6 | -11.7 | -12.6 | -12.7 | -10.3 | -8.1 | -5.9 |

### *მშპ*

2016 წელს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა 2.7 პროცენტის ფარგლებშია მოსალოდნელი. საშუალოვადიან პერიოდში ეკონომიკური ზრდა პოტენციური ზრდის ფარგლებში ჩამოყალიბდება და 2017-2020 წლებში 4.0-6.0 პროცენტის ფარგლებში იქნება. 2020 წელს ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი 46.6 მილიარდ ლარამდე გაიზრდება, ხოლო მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2015 წელთან შედარებით 4.0 ათასი ლარით გაიზრდება და 12 471 ლარს გაუტოლდება.

### *ფასები*

საქართველოს ეროვნული ბანკი ახორციელებს ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს ინფლაციის ზომიერი და პროგნოზირებადი ტემპის განსაზღვრას და აღნიშნული მაჩვენებლის მიღწევას, რაც აუცილებელი ფაქტორია გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისთვის. ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 2017 წლისათვის - 4 პროცენტს, ხოლო 2018 წლისათვის - 3 პროცენტს შეადგენს.

არსებული ტენდენციებიდან გამომდინარე, 2017 წელს ინფლაციის პროგნოზირებული მაჩვენებელი 4%, ხოლო 2018-2020 წლებში 3.0 პროცენტის დონეზე იქნება.

### *მიმდინარე ანგარიშის ბალანსი*

2015 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 11.9 პროცენტი შეადგინა. 2017-2020 წლებში ნავარაუდევია მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის თანმიმდევრული შემცირება.

## მიმდინარე ძირითადი ეკონომიკური ტენდენციები

### *მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა*

2015 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 2.9 პროცენტი შეადგინა. პირველ კვარტალში - 3.2%, მეორე კვარტალში - 2.5%, მესამე კვარტალში - 2.9%, ხოლო მეოთხე კვარტალში - 3.0%. 2015 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ნომინალურ გამოსახულებაში 31 755 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 8.9 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მთლიანმა შიდა პროდუქტმა ერთ სულ მოსახლეზე 8 551 ლარი (3 767 აშშ დოლარი) შეადგინა.

მთლიანი შიდა პროდუქტის წლიურმა რეალურმა ზრდამ 2016 წლის წინასწარი შეფასებით 2.2 პროცენტი შეადგინა. 2016 წლის I კვარტალში საშუალო რეალურმა ზრდამ 2.7%, II კვარტალში 3.0%, III კვარტალში 2.3%, ხოლო IV კვარტალში 1.2% შეადგენს. 2016 წლის ცხრა თვის მთლიანი შიდა პროდუქტი ნომინალურ გამოსახულებაში 24 185 მლნ ლარით განისაზღვრა.

### *ეკონომიკური ზრდის დარგობრივი სტრუქტურა*

2015 წლის მონაცემებით ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა (15.2%), საფინანსო საქმიანობა (9.4%), სასტუმროები და რესტორნები (7.4%), ოპერაციები უძრავი ქონებით (6.9%), კავშირგაბმულობა (5.0%), ტრანსპორტი (2.9%).

2016 წლის ცხრა თვეში ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაში წარმართველი როლი სასტუმროებს და რესტორნებს და მშენებლობას უჭირავს. ეკონომიკური ზრდის დარგობრივი სტრუქტურაში ყველაზე სწრაფად გაიზარდა სასტუმროები და რესტორნები 12.0 პროცენტით, მშენებლობა 11.1 პროცენტით, საფინანსო საქმიანობა 9.2 პროცენტით, ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომსახურების გაწევა 6.6 პროცენტით.

### *კერძო სექტორის როლი ეკონომიკურ ზრდაში*

2015 წელს ეკონომიკურ ზრდაში წარმართველი როლი ეჭირა კერძო სექტორს. 2015 წელს ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა გაიზარდა 14.6 პროცენტით, ხოლო პროდუქციის გამოშვება 12.8 პროცენტით.

2016 წლის სამ კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა 12.6 პროცენტით, ხოლო პროდუქციის გამოშვება 12.6 პროცენტით გაიზარდა. 37.4 ათასი ადამიანით გაზრდილია ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა.

### *უმუშევრობის დონე*

2015 წელს უმუშევრობის დონე 2014 წელთან შედარებით 0.4 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს უმუშევრობის დონემ ბოლო წლების განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.

### *ფასები*

საქართველოს მონეტარული პოლიტიკა მისდევს ინფლაციის თარგეთირების პოლიტიკას და მიზნობრივი ინფლაციის მაჩვენებელი 2015-2016 წლებისთვის 5 პროცენტით განისაზღვრა. 2015 წელს საშუალო წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა 4.0 პროცენტი შეადგინა. ხოლო 2015 წლის დეკემბერში 2014 წლის დეკემბერთან შედარებით ინფლაცია 4.9 პროცენტს შეადგენს.

2016 წელს ინფლაციის დონემ 1.8 პროცენტი შეადგენა. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: ალკოჰოლური სასმელები, თამბაქოს ჯგუფში ფასები გაიზრდა 13.1 პროცენტით, სურსათი და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფში ფასები გაიზარდა 1.6 პროცენტით, ხოლო 5.7 პროცენტით ფასები შემცირდა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ჯგუფში.

### *ლარის გაცვლითი კურსი*

2015 წელს ლარი აშშ დოლართან მიმართებაში 27.3 პროცენტით გაუფასურდა. აღნიშნული გაუფასურება გამოწვეულია ერთის მხრივ აშშ დოლარის გამყარებით, ხოლო მეორე მხრივ რუსეთში და რუსეთის ეკონომიკასთან მჭიდროდ დაკავშირებული ეკონომიკების ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისით. აღნიშნულ პერიოდში ლარი ევროსთან მიმართებაში 14.2 პროცენტით გაუფასურდა. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების კურსთან გაუფასურდა 2.3 პროცენტით.

2016 წელს ლარი გაუფასურდა როგორც აშშ დოლართან, ასევე ევროსთან მიმართებაში, შესაბამისად 11 პროცენტით და 7 პროცენტით. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების კურსთან გაუფასურდა 0.2 პროცენტით.

### *ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები*

2015 წელს საგადასახადო შემოსავლები გადაჭარბებით შესრულდა. 2015 წელს ნაერთი ბიუჯეტის ფაქტიურმა საგადასახადო შემოსავლების ზრდამ წინა წელთან 10.6 პროცენტი შეადგინა, რაც ნომინალურ გამოსახულებაში 769.3 მლნ ლარს შეადგენს.

2016 წელს საგადასახადო შემოსავლები გადაჭარბებით შესრულდა. 2016 წელს წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლები 9.7% გაიზარდა, რაც ნომინალურ გამოსახულებაში 775.2 მლნ ლარს შეადგენს.

### *საგარეო ვაჭრობა*

2015 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 9 928 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 13 პროცენტით ნაკლებია; აქედან ექსპორტი 2 204 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (23 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 7 724 მლნ. აშშ დოლარს (10 პროცენტით ნაკლები), აქედან 2015 წლის იმპორტში აღრიცხულია C-ჰეპატიტის წამლების ღირებულება, რომელიც 449 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. 2015 წელს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 5 521 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

2016 წელს საგარეო სავაჭრო ბრუნვა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 20 პროცენტით გაიზარდა და 11 966 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, ექსპორტი 2 114 მლნ დოლარია, ხოლო იმპორტი 9 852 მლნ აშშ დოლარი, რაც შესაბამისად 4 პროცენტით ნაკლები და 27 პროცენტით მეტია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. აღსანიშნავია, რომ განსახილველ პერიოდში

განხორციელდა C ჰეპატიტის მედიკამენტების იმპორტი, რომლის გარეშეც იმპორტი შეადგენს 7 233 მლნ აშშ დოლარს (1% ნაკლები).

### *პირდაპირი უცხოური ინვესტიციები*

2015 წელს, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 11 პროცენტით შემცირდა და 1 565 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, ინვესტიციები ევროკავშირის ქვეყნებიდან 8 პროცენტით შემცირდა, ხოლო დსთ-ის ქვეყნებიდან 32 პროცენტით გაიზარდა, რაც აზერბაიჯანიდან გაზრდილი ინვესტიციების შედეგია.

2016 წლის სამ კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1 298.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 4.9 პროცენტით მეტია 2015 წლის შესაბამის პერიოდის მაჩვენებელზე. უმსხვილესი პირდაპირი ინვესტორი ქვეყნების პროცენტულ სტრუქტურაში პირველ ადგილზე აზერბაიჯანია 33 პროცენტით, ხოლო მეორე ადგილზე თურქეთი 15 პროცენტით.

### *მიმდინარე ანგარიშის ბალანსი*

მიმდინარე ანგარიშის ბალანსის მაღალი დეფიციტი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ მოწყვლადობის წყაროს წარმოადგენს. 2015 წელს, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი 11.9 პროცენტს შეადგენს. თუმცა საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებისაკენ.

### *სახელმწიფო ვალი*

2015 წელს სახელმწიფო ვალი მთლიან ეკონომიკასთან მიმართებაში მშპ-ს 41.4%-ის დონეზეა. აქედან, საგარეო ვალი 32.5, ხოლო საშინაო ვალი 8.9 პროცენტი. აღნიშნული მაჩვენებელი, არ აღემატება ეკონომიკური თავისუფლების აქტით განსაზღვრულ დასაშვებ ნორმას (60% მშპ-სთან მიმართებაში).

## ფისკალური პოლიტიკა

გრძელვადიანი პერიოდისთვის **მთავრობის სტრატეგიაა** ფისკალური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც უზრუნველყოფს ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნებას და მაკროეკონომიკურ სტაბილურობას;

2017-2020 წლებისთვის ***ფისკალური პოლიტიკის ამოცანებს*** წარმოადგენს:

- სახსრების მიმართვა ისეთ პრიორიტეტულ მიმართულებებზე, როგორიცაა საპენსიო უზრუნველყოფა, სოციალური სფერო, ჯანდაცვა განათლება, სოფლის მეურნეობა, ინვესტიციები ინფრასტრუქტურის განვითარებისათვისა და მოსახლეობის დასაქმებისათვის;
- ბიუჯეტის დეფიციტის ნიშნულის ისეთი მოცულობის ფარგლებში შენარჩუნება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკურ სტაბილურობას;
- სახელმწიფო ფინანსების მართვის შემდგომი სრულყოფა.

## საქართველოს 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები

2015 წელს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების სახით მობილიზებულია 8 963.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 101.2%-ია (ცხრილი 2).

**გადასახადების** სახით მობილიზებულია 8 010.9 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 100.4 %-ია, ხოლო მშპ-თან მიმართებაში 25.3% შეადგინა. მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 2 223.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 233.0 მლნ ლარი) 99.6%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 7.0%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 1 025.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 004.0 მლნ ლარი) 102.1%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 3.2%-ია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 3 505.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (3 525.0 მლნ ლარი) 99.4%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 11.0%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 870.7 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (860.0 მლნ ლარი) 101.2%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 2.7%-ია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 69.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (68.0 მლნ ლარი) 101.9%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 0.2%-ია.
- ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 290.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (265.0 მლნ ლარი) 109.5%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 0.9%-ია.
- სხვა გადასახადის სახით მობილიზებულია 26.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (25.0 მლნ ლარი) 107.3%-ია, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 0.1%-ია.

**გრანტების** სახით მობილიზებულია 318.8 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 133.4%-ია.

**სხვა შემოსავლების** სახით მობილიზებულია 633.5 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (635.0 მლნ ლარი) 99.8%-ია.

**ცხრილი 2. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები**

*მლნ ლარი*

| დასახელება | ნაერთი ბიუჯეტი | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | გეგმა | ფაქტი | +/- | % | % მშპ-სთან |
| **შემოსავლები** | **8,853.9** | **8,963.2** | **109.3** | **101.2** | **28.3** |
| **გადასახადები** | **7,980.0** | **8,010.9** | **30.9** | **100.4** | **25.1** |
| საშემოსავლო გადასახადი | 2,233.0 | 2,223.2 | -9.8 | 99.6 | 7.0 |
| მოგების გადასახადი | 1,004.0 | 1,025.2 | 21.2 | 102.1 | 3.2 |
| დამატებული ღირებულების გადასახადი | 3,525.0 | 3,505.5 | -19.5 | 99.4 | 11.0 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აქციზი | 860.0 | 870.7 | 10.7 | 101.2 | 2.7 |
| იმპორტის გადასახადი | 68.0 | 69.3 | 1.3 | 101.9 | 0.2 |
| ქონების გადასახადი | 265.0 | 290.1 | 25.1 | 109.5 | 0.9 |
| სხვა გადასახადი | 25.0 | 26.8 | 1.8 | 107.3 | 0.1 |
| **გრანტები** | **238.9** | **318.8** | **79.9** | **133.4** | **1.0** |
| **სხვა შემოსავლები** | **635.0** | **633.5** | **-1.5** | **99.8** | **2.0** |

**არაფინანსური აქტივების** კლებიდან მობილიზებულ იქნა 355.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (355.0 მლნ ლარი) 100.0%-ია.

**ფინანსური აქტივების** კლებიდან მობილიზებულ იქნა 59.1 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (86.0 მლნ ლარი) 68.7%-ია.

**ვალდებულებების** ზრდის ხარჯზე 2015 წელს მობილიზებულ იქნა 1 370.6 მლნ ლარი, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 4.3%-ს შეადგენს.

2015 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- *სოციალური სფერო - 2 217.6 მლნ ლარი;*
- *განათლება - 833.9 მლნ ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 855.1 მლნ ლარი;*
- *ენერგეტიკა - 23.7 მლნ ლარი;*
- *ტრანსპორტი - 568.7 მლნ ლარი;*
- *დასვენება, კულტურა, სპორტი, რელიგია - 222.6 მლნ ლარი;*
- *თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 1 615.2 მლნ ლარი.*

- 2015 წლის სექტემბრიდან, გაიზარდა ასაკით პენსიის ოდენობა და შეადგინა 160 ლარი. 2015 წლის 1 იანვრიდან 500 ლარით გაიზარდა და განისაზღვრა თითოეულ ოჯახზე 1 000 ლარის ოდენობით საერთაშორისო ოპერაციების ან სხვა სახის სამშვიდობო საქმიანობის განხორციელებისას გარდაცვლილ ან ამ მისიებში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების გამო გარდაცვლილ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა ოჯახის წევრებზე, ასევე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, აგრეთვე 1998 წლის მაისისა და 2004 წლის აგვისტოს მოვლენების დროს დაღუპულთა ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახის წევრებზე გასაცემი სახელმწიფო კომპენსაციის თანხა. სულ საანგარიშო პერიოდში საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამული კოდიდან გადარიცხულ იქნა 1 399.0 მლნ ლარამდე.
- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ღატაკი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებებიდან

ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა, ასევე, სოციალური პაკეტის დაფინანსება შშმ პირებისთვის, შშმ ბავშვებისთვის, მარჩენალდაკარგულებისთვის და სხვა მოწყვლადი კატეგორიებისათვის, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში ფულადი დახმარების გაცემა. სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ 611.8 მლნ ლარი, მათ შორის „სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით 1 156.5 ათასი ლარი.

- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში (სრულად ამოქმედდა 2014 წლის 1 სექტემბრიდან), რომლის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. პროგრამამ მოიცვა ასევე, გეგმიურ-ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები (გეგმიური ქირურგული ოპერაციები, მ.შ. კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები, ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა, მშობიარობა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები და ა.შ.). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 570.7 მლნ ლარი;
- 2015 წლის სექტემბრიდან მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის ყველა პირისთვის (დაახლოებით 25 ათასამდე პირი) სოციალური პაკეტის ოდენობა გაიზარდა 10 ლარით, ხოლო შეზღუდული შეასძლებლობის სტატუსის მქონე ყველა ბავშვისათვის (დაახლოებით 9 200 შშმ ბავშვი) სოციალური პაკეტის ოდენობა გაიზარდა 60 ლარით;
- 2015 წლის აპრილიდან დაიწყო C ჰეპატიტის მკურნალობა ახალი თაობის მედიკამენტით, რომელიც სრულიად უფასოდ მიეწოდებათ საქართველოს მოქალაქეობის მქონე პაციენტებს. დიაგნოსტიკის კომპონენტით ისარგებლა 6 000 პირმა. სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 6 061.3 ათასი ლარი;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობების გასაუმჯობესებლად საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (არსებულ უბნებში) შენობების, წყალმომარაგების სისტემის, საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის, სანიაღვრე არხების, სასმელი წყლის შიდაკომუნიკაციური ქსელების, გზებისა და შიდა ქუჩების რეაბილიტაციაზე, ახალი საცხოვრებელი უბნის მშენებლობაზე, ასევე საცხოვრებელი სახლებისა და ბინების შეძენისთვის მიმართული იქნა 112.3 მლნ ლარი;
- 2015 წლის 13-14 ივნისს ქალაქ თბილისში მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახთა დახმარებისა და აღდგენითი სამუშაოების დაფინანსების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობის სარეზერვო, საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო და საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდებიდან მიმართული იქნა 35.0 მლნ ლარამდე;
- ქვეყანაში არსებული 2.0 ათასზე მეტი საჯარო და 300-მდე კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 430.0 მლნ ლარამდე;

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო 1 143 საჯარო სკოლის 64.0 ათასამდე მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სკოლამდე მისასვლელი მანძილი შესამჩნევად დიდია. ამ მიზნით სულ მიიმართა 16.8 მლნ ლარი;
- ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეთათვის, სასკოლო სახელმძღვანელოებისა და სამუშაო რვეულების გადასაცემად გაწეული ხარჯების დაფინანსების მიზნით მიიმართა 5.6 მლნ ლარზე მეტი;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიიმართა 99.4 მლნ ლარი, მათ შორის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხაზით - 23.1 მლნ ლარი.
- 2015 წელს ქ. თბილისში გამართული ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოსაწყობად (მათ შორის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მულტიფუნქციური სპორტის სასახლისა და საცურაო აუზის ასაშენებლად) მიიმართა 72.6 მლნ ლარი;
- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯული იქნა 488.4 მლნ ლარი. მათ შორის:
- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახარჯულ იქნა 183.9 მლნ ლარი.
- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე მიმართული იქნა 137.5 მლნ ლარი. მათ შორის:
- სათხილამურო ტრასებისა და მთის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, მოვლა შენახვაზე ზემო სვანეთში მიმართულ იქნა 21.0 მლნ ლარი, ხოლო ჭიათურის საბაგირო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციაზე - 5.6 მლნ ლარი;
- სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციასა და აღჭურვაზე მიიმართა 24.4 მლნ ლარზე მეტი;
- საქართველოს ენერგოსისტემის გასაუმჯობესებლად მიიმართა 116,3 მლნ ლარი;
- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში, ხელშეკრულება გაფორმდა 64 ბენეფიციარ კომპანიასთან საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსების მიზნით. დამტკიცებული სესხების საერთო რაოდენობამ შეადგინა 97.3 მლნ ლარი, ხოლო მოსალოდნელმა ინვესტიციამ - 147.1 მლნ ლარი. გარდა ამისა, პროგრამის ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში ქონება გადაეცა 21 ბენეფიციარს;
- საანგარიშო პერიოდში 46,0 მლნ ლარი მიიმართა მცირემიწიან ფერმერთა 2015 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის დასაფინანსებლად, 34.5 მლნ ლარი - შეღავათიანი აგროკრედიტებზე, ხოლო 4.8 მლნ ლარი - აგროდაზღვევის ღონისძიებების დაფინანსების უზრუნველსაყოფად;
- 2015 წლის რთვლის ღონისძიებების ეფექტურად განხორციელების მიზნით, კერძოდ, ყურძნის შესყიდვა-გადამუშავების ხელშეწყობის ღონისძიებების განსახორციელებლად სულ მიიმართა 60.7 მლნ ლარი;
- სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის მიიმართა 63.5 მლნ ლარი, მათ შორის: სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის დასაფინანსებლად და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის შეძენის მიზნით 53.5 მლნ ლარი, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის

მიმდინარე ექსპლუატაციის ხარჯების და კომპანიის სხვა მიმდინარე ხარჯების ნაწილობრივი სუბსიდირების მიზნით 10.0 მლნ ლარი.

## საქართველოს 2016 წლის ბიუჯეტის საპროგნოზო მაჩვენებლები

ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების მოცულობა 2016 წელს განისაზღვრა 9 642.0 მლნ ლარით.

გადასახადების საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 8 740.0 მლნ ლარით, ხოლო მისი წილი მშპ-ის მიმართ 26.3%-ს შეადგენს. მათ შორის:

- საშემოსავლო გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 2 525.0 მლნ ლარს.
- მოგების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 980.0 მლნ ლარს.
- დამატებული ღირებულების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 3 802.0 მლნ ლარს.
- აქციზის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1 012.0 მლნ ლარს.
- იმპორტის გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 75.0 მლნ ლარს.
- ქონების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 321.0 მლნ ლარს.
- სხვა გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი 25.0 მლნ ლარს.

**გრანტების** საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 317.0 მლნ ლარით;

**სხვა შემოსავლების** საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 585.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ს მიმართ 1.8%-ს შეადგენს;

**არაფინანსური აქტივების** კლებიდან მისაღები თანხების მოცულობა განისაზღვრა 305.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ს 0.9%-ია.

**ფინანსური აქტივების** კლებით მისაღები თანხების მოცულობა განისაზღვრა 60.0 მლნ ლარით, რაც მშპ-ს 0.2%-ია.

**ვალდებულებების ზრდის** მოცულობა განისაზღვრა 1 467.0 მლნ ლარით, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის 4.4%-ია.

„საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით 2016 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით გამოსაყოფი ასიგნებები სხვადასხვა სფეროების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდა:

- ✓ *სოციალური სფერო - 2 425.4 მლნ ლარი;*
- ✓ *განათლება - 1 033.4 მლნ ლარი;*
- ✓ *ჯანმრთელობის დაცვა - 902.6 მლნ ლარი;*
- ✓ *ენერგეტიკა - 20.9 მლნ ლარი;*
- ✓ *ტრანსპორტი - 647.3 მლნ ლარი;*
- ✓ *დასვენება, კულტურა, სპორტი, რელიგია - 197.3 მლნ ლარი;*

✓ *თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 1 739.2 მლნ ლარი.*

- მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფისთვის გამოყოფილ იქნა 1 570.0 მლნ ლარი, რომლის ფარგლებშიც 2016 წლის 1 ივლისიდან განხორციელდა ასაკით პენსიონერთათვის პენსიის ზრდა 20 ლარის ოდენობით. ასევე, დაფინანსდა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სოციალური ხარჯები;
- სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციართა სოციალური დახმარებებისთვის გამოიყოფილ იყო 680.0 მლნ ლარი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის გათვალისწინებულ იქნა 841.5 მლნ ლარი, მათ შორის საყოველთაო ჯანდაცვისათვის - 610.0 მლნ ლარი.
- 2016 წელს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის დაგეგმილი იყო 526.6 მლნ ლარამდე;
- რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, აგრეთვე წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისათვის განსაზღვრულ იყო 394.7 მლნ ლარზე მეტი;
- სხვადასხვა რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების დაფინანსების მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიმართულ იყო 230.0 მლნ ლარი, ხოლო სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის გათვალისწინებულ იყო 50.0 მლნ ლარის მიმართვა. ამასთან, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდისათვის გათვალისწინებულ იყო - 20.0 მლნ ლარი.
- მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობაზე მიიმართა 20.0 მლნ ლარზე მეტი;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის განსაზღვრულ იყო 311.1 მლნ ლარზე მეტი, საიდანაც სამელიორაციო სისტემის მოდერნიზაციისთვის მიიმართა 63.0 მლნ ლარი, შეღავათიანი აგროკრედიტების გაცემის მიზნით - 41.0 მლნ ლარი, მცირემიწიან ფერმერთა საზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის მიზნით - 48.0 მლნ ლარი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დაფარვისათვის - 23.0 მლნ ლარი, მევენახეობა-მეღვინეობის განვითარების მიზნით - 32.9 მლნ ლარი.
- იძულებით გადაადგილებულ პირთა სახლების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის გამოყოფილ იყო 74.0 მლნ ლარზე მეტი;
- სპორტის ინფრასტრუქტურის, რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლებისათვის გათვალისწინებულ იყო 13.1 მლნ ლარი;
- 2016 წლის აპრილიდან მასწავლებელთა საბაზისო ხელფასი გაიზარდა 50 ლარით. სულ ზოგადი განათლების დასაფინანსებლად მიიმართა 572.6 მლნ ლარი, აღნიშნულ თანხაში ასევე გათვალისწინებულია „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით მაღალმთიან რეგიონებში მომუშავე პედაგოგებისათვის გათვალისწინებული დანამატების დასაფინანსებლად საჭირო ხარჯები;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარებაზე მიიმართა 89.3 მლნ ლარი, მათ შორის ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხაზით - 25.3 მლნ ლარი.
- საქართველოს ენერგოსისტემის გასაუმჯობესებლად გამოყოფილ იყო 175.0 მლნ ლარი;
- სამედიცინო დაწესებულებების რეაბილიტაციასა და აღჭურვაზე განსაზღვრულ იყო 32.0 მლნ ლარი.

## საქართველოს 2016 წლის ბიუჯეტის წლიური (ოპერატილული) შესრულების მაჩვენებლები

2016 წელს ნაერთ ბიუჯეტში შემოსავლების სახით მობილიზებულია 9 675.5 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 101.1 პროცენტს შეადგენს, ხოლო გადასახადების ფაქტიური მაჩვენებელი წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის 100.5 პროცენტია.

**2016 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულება**

**მლნ ლარი**

| | 2016 გეგმა | 2016 ფაქტი | % შესრულება |
|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | **9,571.8** | **9,675.5** | **101.1%** |
| გადასახადები | 8,740.0 | 8,786.1 | 100.5% |
| გრანტები | 246.8 | 297.3 | 120.5% |
| სხვა შემოსავლები | 585.0 | 592.1 | 101.2% |

**გრანტების სახით** მობილიზებულია 297.3 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (246.8 მლნ ლარი) 120.5%-ია.

**სხვა შემოსავლების სახით** მობილიზებულია 592.1 მლნ ლარი, რაც წლიური საპროგნოზო მაჩვენებლის (585.0 მლნ ლარი) 101.2%-ია.

**არაფინანსური აქტივების** კლებიდან მობილიზებულ იქნა 367.2 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (305.0 მლნ ლარი) 120.4%-ია.

**ფინანსური აქტივების** კლებიდან მობილიზებულ იქნა 79.3 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (60.0 მლნ ლარი) 132.2%-ია.

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა ფისკალურ სფეროში გასატარებელი ღონისძიებებიდან გამომდინარე მოსალოდნელი ცვლილებები და მის მიერ გამოწვეული შესაძლო შედეგები. პროგნოზული გათვლებით, 2017 წლისთვის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლის წილი მშპ-სთან 29.3%-ის, ხოლო გადასახადების წილი 26.5%-ის დონეზე იქნება. 2018-2020 წლების საბიუჯეტო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი მშპ-ს მიმართ საშუალოდ 28.4%, ხოლო საგადასახადო შემოსავლების წილი საშუალოდ 26.0%-ის დონეზეა ნავარაუდევი.

2017 წელს ნაერთი ბიუჯეტის სხვა შემოსავლების წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მიმართ სავარაუდოდ 2.0%-ს გაუტოლდება. ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მისაღები თანხების მოცულობა მშპ-თან მიმართებაში შესაბამისად 0.4 და 0.2 პროცენტი იქნება.

# ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის პროგნოზი | | | 2017 წლის პროგნოზი | | | 2018 წლის პროგნოზი | | | 2019 წლის პროგნოზი | | | 2020 წლის პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები |
| **შემოსავლები** | **8,964.3** | **8,170.5** | **2,038.0** | **9,642.0** | **8,642.0** | **1,920.0** | **10,529.5** | **9,489.5** | **1,928.1** | **11,145.0** | **10,095.0** | **1,950.0** | **12,095.0** | **11,005.0** | **2,140.0** | **13,150.0** | **12,040.0** | **2,310.0** |
| გადასახადები | 8,010.8 | 7,549.6 | 461.2 | 8,740.0 | 8,035.0 | 705.0 | 9,540.0 | 8,820.0 | 720.0 | 10,135.0 | 9,405.0 | 730.0 | 11,085.0 | 10,315.0 | 770.0 | 12,140.0 | 11,350.0 | 790.0 |
| გრანტები | 319.9 | 315.6 | 1,245.6 | 317.0 | 317.0 | 920.0 | 284.5 | 284.5 | 888.1 | 350.0 | 350.0 | 900.0 | 350.0 | 350.0 | 1,050.0 | 350.0 | 350.0 | 1,200.0 |
| სხვა შემოსავლები | 633.6 | 305.3 | 331.2 | 585.0 | 290.0 | 295.0 | 705.0 | 385.0 | 320.0 | 660.0 | 340.0 | 320.0 | 660.0 | 340.0 | 320.0 | 660.0 | 340.0 | 320.0 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **ხარჯები** | **7,917.1** | **7,875.0** | **1,286.3** | **8,816.5** | **8,406.5** | **1,330.0** | **9,094.2** | **8,769.1** | **1,213.2** | **9,350.0** | **8,960.0** | **1,290.0** | **9,660.0** | **9,354.0** | **1,356.0** | **9,985.0** | **9,770.0** | **1,415.0** |
| შრომის ანაზღაურება | 1,601.7 | 1,376.8 | 224.9 | 1,760.0 | 1,450.0 | 310.0 | 1,683.5 | 1,393.5 | 290.0 | 1,735.0 | 1,425.0 | 310.0 | 1,780.0 | 1,460.0 | 320.0 | 1,830.0 | 1,500.0 | 330.0 |
| საქონელი და მომსახურება | 1,203.1 | 946.2 | 256.9 | 1,419.0 | 1,119.0 | 300.0 | 1,417.5 | 1,144.3 | 273.2 | 1,460.0 | 1,180.0 | 280.0 | 1,470.0 | 1,180.0 | 290.0 | 1,500.0 | 1,190.0 | 310.0 |
| პროცენტი | 329.9 | 326.6 | 6.2 | 404.0 | 394.0 | 10.0 | 513.0 | 503.0 | 10.0 | 575.0 | 565.0 | 10.0 | 675.0 | 659.0 | 16.0 | 750.0 | 740.0 | 10.0 |
| სუბსიდიები | 735.8 | 255.8 | 480.0 | 695.0 | 325.0 | 370.0 | 785.0 | 430.0 | 355.0 | 760.0 | 370.0 | 390.0 | 780.0 | 370.0 | 410.0 | 800.0 | 380.0 | 420.0 |
| გრანტები | 20.0 | 1,261.3 | 0.0 | 70.0 | 990.0 | 0.0 | 77.2 | 950.3 | 15.0 | 85.0 | 970.0 | 15.0 | 90.0 | 1,120.0 | 20.0 | 100.0 | 1,275.0 | 25.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 3,036.7 | 2,802.4 | 234.3 | 3,390.0 | 3,140.0 | 250.0 | 3,503.0 | 3,313.0 | 190.0 | 3,620.0 | 3,420.0 | 200.0 | 3,720.0 | 3,510.0 | 210.0 | 3,830.0 | 3,610.0 | 220.0 |
| სხვა ხარჯები | 989.9 | 905.9 | 84.0 | 1,078.5 | 988.5 | 90.0 | 1,115.0 | 1,035.0 | 80.0 | 1,115.0 | 1,030.0 | 85.0 | 1,145.0 | 1,055.0 | 90.0 | 1,175.0 | 1,075.0 | 100.0 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **საოპერაციო სალდო** | **1,047.2** | **295.5** | **751.7** | **825.5** | **235.5** | **590.0** | **1,435.3** | **720.4** | **714.9** | **1,795.0** | **1,135.0** | **660.0** | **2,435.0** | **1,651.0** | **784.0** | **3,165.0** | **2,270.0** | **895.0** |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **არაფინანსური აქტივების ცვლილება** | **1,421.1** | **690.3** | **730.8** | **843.7** | **515.0** | **328.7** | **1,506.5** | **1,101.5** | **405.0** | **2,115.0** | **1,535.0** | **580.0** | **2,815.0** | **2,175.0** | **640.0** | **3,370.0** | **2,620.0** | **750.0** |
| ზრდა | 1,776.4 | 977.6 | 798.8 | 1,148.7 | 740 | 408.7 | 1,666.5 | 1,191.5 | 475.0 | 2,265.0 | 1,615.0 | 650.0 | 2,955.0 | 2,255.0 | 700.0 | 3,500.0 | 2,700.0 | 800.0 |
| კლება | 355.3 | 287.3 | 68.0 | 305.0 | 225.0 | 80.0 | 160.0 | 90.0 | 70.0 | 150.0 | 80.0 | 70.0 | 140.0 | 80.0 | 60.0 | 130.0 | 80.0 | 50.0 |

| დასახელება | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის პროგნოზი | | | 2017 წლის პროგნოზი | | | 2018 წლის პროგნოზი | | | 2019 წლის პროგნოზი | | | 2020 წლის პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები | ნაერთი ბიუჯეტი | სახელმწიფო ბიუჯეტი | ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **მთლიანი სალდო** | **-373.9** | **-394.8** | **20.9** | **-18.2** | **-279.5** | **261.3** | **-71.2** | **-381.1** | **309.9** | **-320.0** | **-400.0** | **80.0** | **-380.0** | **-524.0** | **144.0** | **-205.0** | **-350.0** | **145.0** |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **ფინანსური აქტივების ცვლილება** | **592.3** | **561.2** | **28.5** | **1,061.3** | **815.0** | **271.3** | **1,184.2** | **879.3** | **332.9** | **1,115.0** | **1,035.0** | **100.0** | **1,000.0** | **856.0** | **169.0** | **1,170.0** | **1,010.0** | **185.0** |
| ზრდა | **694.5** | **633.1** | **72.5** | **1,284.3** | **885.0** | **433.3** | 1,326.3 | **963.3** | **406.0** | 1,290.0 | **1,125.0** | **200.0** | 1,096.0 | **946.0** | **190.0** | 1,246.0 | **1,100.0** | **186.0** |
| კლება | 102.2 | 71.9 | 44.0 | 223.0 | 70.0 | 162.0 | 142.1 | 84.0 | 73.1 | 175.0 | 90.0 | 100.0 | 96.0 | 90.0 | 21.0 | 76.0 | 90.0 | 1.0 |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **ვალდებულების ცვლილება** | **966.2** | **956.0** | **7.6** | **1,079.5** | **1,094.5** | **10.0** | **1,255.4** | **1,260.4** | **23.0** | **1,435.0** | **1,435.0** | **20.0** | **1,380.0** | **1,380.0** | **25.0** | **1,375.0** | **1,360.0** | **40.0** |
| ზრდა | 1,379.5 | 1,361.4 | 29.2 | 1,477.0 | 1,481.0 | 30.0 | 1,792.7 | 1,792.7 | 43.0 | 2,160.0 | 2,160.0 | 35.0 | 2,250.0 | 2,250.0 | 40.0 | 2,280.0 | 2,260.0 | 60.0 |
| *საგარეო* | *1,046.7* | *1,046.7* | | *1,058.0* | *1,058.0* | *0.0* | *1,392.7* | *1,392.7* | | *1,660.0* | *1,660.0* | | *1,800.0* | *1,800.0* | | *1,910.0* | *1,910.0* | |
| *საშინაო* | *332.8* | *314.7* | *29.2* | *419.0* | *423.0* | *30.0* | *400.0* | *400.0* | *43.0* | *500.0* | *500.0* | *35.0* | *450.0* | *450.0* | *40.0* | *370.0* | *350.0* | *60.0* |
| კლება | 413.3 | 405.4 | 21.6 | 397.5 | 386.5 | 20.0 | 537.3 | 532.3 | 20.0 | 725.0 | 725.0 | 15.0 | 870.0 | 870.0 | 15.0 | 905.0 | 900.0 | 20.0 |
| *საგარეო* | *369.5* | *369.5* | *0.0* | *331.0* | *331.0* | | *457.0* | *457* | | *650.0* | *650.0* | | *800.0* | *800.0* | | *820.0* | *820.0* | |
| *საშინაო* | *43.8* | *35.9* | *21.6* | *66.5* | *55.5* | *20.0* | *80.3* | *75.3* | *20.0* | *75.0* | *75.0* | *15.0* | *70.0* | *70.0* | *15.0* | *85.0* | *80.0* | *20.0* |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| **ბალანსი** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** | **0.0** |

## მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების და რიცხოვნობის ზღვრული მოცულობები, მათ მიერ დაგეგმილი პროგრამები და მათი დაფინანსება

| დასახელება | მომუშავეთა რიცხოვნობები | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები | 1,331.0 | 60,131.0 | 62,977.6 | 65,960.0 | 69,089.0 |
| საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია | 150.0 | 9,800.0 | 9,800.0 | 9,800.0 | 9,800.0 |
| საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი | 38.0 | 1,800.0 | 1,800.0 | 1,800.0 | 1,800.0 |
| საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია | 240.0 | 16,500.0 | 16,500.0 | 16,500.0 | 16,500.0 |
| სახელმწიფო აუდიტის სამსახური | 370.0 | 14,517.2 | 14,952.7 | 15,402.3 | 15,864.4 |
| საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია | 500.0 | 60,500.0 | 63,377.0 | 25,475.0 | 64,527.0 |
| საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო | 109.0 | 4,110.0 | 4,110.0 | 4,110.0 | 4,110.0 |
| საქართველოს უზენაესი სასამართლო | 184.0 | 7,700.0 | 8,000.0 | 8,500.0 | 9,000.0 |
| საერთო სასამართლოები | 1,963.0 | 69,000.0 | 72,800.0 | 74,800.0 | 70,800.0 |
| საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო | 80.0 | 2,700.0 | 2,700.0 | 2,700.0 | 2,700.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთსა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში | 34.0 | 800.0 | 800.0 | 800.0 | 800.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში | 32.0 | 610.0 | 610.0 | 610.0 | 610.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში | 33.0 | 735.0 | 735.0 | 735.0 | 735.0 |

| დასახელება | მომუშავეთა რიცხოვნობები | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში | 33.0 | 725.0 | 725.0 | 725.0 | 725.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტში | 32.0 | 592.0 | 592.0 | 592.0 | 592.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში | 32.0 | 585.0 | 585.0 | 585.0 | 585.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში | 32.0 | 595.0 | 595.0 | 595.0 | 595.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში | 33.0 | 860.0 | 860.0 | 860.0 | 860.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში | 33.0 | 625.0 | 625.0 | 625.0 | 625.0 |
| ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 60.0 | 2,845.0 | 2,950.0 | 2,950.0 | 2,950.0 |
| შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 31.0 | 1,215.0 | 1,250.0 | 1,250.0 | 1,250.0 |
| საქართველოს დაზვერვის სამსახური | 0.0 | 13,500.0 | 13,500.0 | 13,500.0 | 13,500.0 |

| დასახელება | მომუშავეთა რიცხოვნობები | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო | 4,785.0 | 82,300.0 | 82,300.0 | 82,300.0 | 82,300.0 |
| საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო | 804.0 | 365,467.0 | 413,547.0 | 271,559.0 | 151,570.0 |
| საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო | 376.0 | 350,057.0 | 399,530.0 | 441,650.0 | 497,870.0 |
| საქართველოს იუსტიციის სამინისტრო | 1,665.0 | 59,630.0 | 63,800.0 | 70,800.0 | 70,430.0 |
| საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო | 4,947.0 | 139,100.0 | 145,000.0 | 150,000.0 | 150,000.0 |
| საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო | 775.0 | 110,000.0 | 114,417.0 | 115,517.0 | 117,930.0 |
| საქართველოს თავდაცვის სამინისტრო | 42,257.0 | 670,000.0 | 673,700.0 | 673,800.0 | 673,800.0 |
| საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო | 29,908.0 | 585,000.0 | 586,600.0 | 586,600.0 | 586,600.0 |
| საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური | 3,850.0 | 118,000.0 | 123,000.0 | 128,000.0 | 133,000.0 |
| საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო | 1,657.0 | 1,018,110.0 | 1,041,300.0 | 1,062,700.0 | 1,081,100.0 |
| საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო | 7,976.0 | 99,615.0 | 96,450.0 | 96,350.0 | 95,950.0 |
| საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო | 285.0 | 84,790.0 | 94,600.0 | 104,600.0 | 109,600.0 |
| საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 3,225.0 | 3,415,800.0 | 3,497,300.0 | 3,597,300.0 | 3,697,300.0 |
| საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო | 144.0 | 30,700.0 | 31,000.0 | 31,000.0 | 31,000.0 |
| საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 1,404.0 | 222,885.0 | 190,640.0 | 189,605.0 | 189,950.0 |
| საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო | 1,858.0 | 31,150.0 | 32,165.0 | 32,727.0 | 32,650.0 |
| საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო | 349.0 | 136,820.0 | 160,115.0 | 139,815.0 | 139,915.0 |
| საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური | 3,634.0 | 55,000.0 | 55,000.0 | 55,000.0 | 55,000.0 |
| საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი | 123.0 | 4,800.0 | 5,500.0 | 6,000.0 | 6,500.0 |
| სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი | 184.0 | 46,405.0 | 50,270.0 | 54,290.0 | 58,640.0 |
| სსიპ – კონკურენციის სააგენტო | 43.0 | 1,900.0 | 2,100.0 | 2,100.0 | 2,100.0 |

| დასახელება | მომუშავეთა რიცხოვნობები | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|---|---|
| ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია | 90.0 | 2,460.0 | 2,460.0 | 2,460.0 | 2,460.0 |
| საქართველოს საპატრიარქო | 0.0 | 25,000.0 | 25,000.0 | 25,000.0 | 25,000.0 |
| სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო | 0.0 | 2,500.0 | 2,500.0 | 2,500.0 | 2,500.0 |
| სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი | 221.0 | 7,575.0 | 8,150.0 | 8,450.0 | 8,550.0 |
| სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური | 39.0 | 1,180.0 | 1,180.0 | 1,180.0 | 1,180.0 |
| სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო | 38.0 | 1,750.0 | 1,750.0 | 1,750.0 | 1,750.0 |
| სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო | 31.0 | 1,250.0 | 1,300.0 | 1,300.0 | 1,300.0 |
| პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი | 43.0 | 1,900.0 | 2,000.0 | 2,100.0 | 2,200.0 |
| საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა | 43.0 | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 |
| სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური | 240.0 | 5,800.0 | 6,500.0 | 6,700.0 | 7,000.0 |
| სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური | 106.0 | 6,400.0 | 5,200.0 | 5,200.0 | 5,200.0 |
| სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო | 22.0 | 5,330.0 | 5,330.0 | 5,330.0 | 5,330.0 |
| სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური | 32.0 | 2,150.0 | 2,150.0 | 2,150.0 | 2,150.0 |
| ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი | 7.0 | 260.0 | 260.0 | 260.0 | 260.0 |
| სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია | 168.0 | 3,850.0 | 3,850.0 | 3,850.0 | 3,850.0 |
| საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი | 78.0 | 3,600.0 | 3,600.0 | 3,600.0 | 3,600.0 |

მხარჯავი დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული ასიგნებები 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში გადანაწილდეს შემდეგი პრიორიტეტების ფარგლებში:

- ხელმისაწვდომი ხარისხიანი ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება
- რეგიონალური განვითრება, ინფრასტრუქტურა და ტურიზმი
- განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება
- მაკროეკონომიკური სტაბილურობა და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება
- ინსტიტუციონალური განვითარება და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერა
- იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა სახელმწიფო მხარდაჭერა და რეინტეგრაციის ხელშეწყობა
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი
- საერთაშორისო ურთიერთობები და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია
- სოფლის მეურნეობა
- სასამართლო სისტემა
- გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მართვა

## ძირითადი მიმართულებები 2017-2020 წლებისათვის

## საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

### *სახელმწიფო ფინანსების მართვა*

მაკროეკონომიკური ანალიზის და პროგნოზირების გასაუმჯობესებლად მეთოდოლოგიის დახვეწა და მისი არეალის გაფართოება, გრძელვადიანი პროგნოზირების გაუმჯობესება, მაკროეკონომიკური განვითარების სცენარების მოდელირების სრულყოფა, ფისკალური რისკების მართვის და შეფასების სისტემის ჩამოყალიბება;

ხარჯების საშუალოვადიანი გეგმებისა და წლიური ბიუჯეტების პროექტების მომზადება, სახელმწიფოს ფუნქციებისა და ვალდებულებების შესასრულებლად სათანადო რესურსების მობილიზებისა და ეფექტურად განაწილების მიზნით;

სახელმწიფო ფინანსების მართვა და ფისკალური წესების შემდგომი რეგულირება სტაბილური ფისკალური პარამეტრების მიღწევის მიზნით, საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო გამოცდილების შესაბამისად;

საბიუჯეტო პროცესის კალენდრით გათვალისწინებული ეტაპების ჯეროვანი შესრულება;

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშების სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშთა სისტემაში და ბიუჯეტის მართვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში სრულად მოქცევა;

საჯარო ფინანსების მართვის რეფორმების შემდგომი ეტაპების დაგეგმვა საბიუჯეტო პროცესის, ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების შემდგომი განვითარების მიზნით (მათ შორის, პროგრამული ბიუჯეტის და საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მომზადების კოორდინაცია, საინვესტიციო

პროექტების მომზადება/განხორციელების მეთოდოლოგიის პილოტირება/სრულად დანერგვის კოორდინაცია);

საგადასახადო პოლიტიკის შემდგომი სრულყოფა, მათ შორის საკანონმდებლო ბაზის შემდგომი გაუმჯობესების და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ევროკავშირის დირექტივებთან ჰარმონიზების მიზნით, გადასახადის გადამხდელებს შორის საგადასახადო ტვირთის უკეთესი განაწილება, მეწარმეთა მოთხოვნებისა და საჭიროებების მაქსიმალურად გათვალისწინება, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, საგადასახადო შემოსავლების სახით ბიუჯეტში სათანადო რესურსის მობილიზების უზრუნველყოფა;

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის რეფორმის ფარგლებში შიდა აუდიტის სუბიექტების საქმიანობის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის სრულყოფილი ფუნქციონირება;

სათანადო ფინანსური რესურსის მობილიზებისათვის დონორ ორგანიზაციებთან და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ეფექტური თანამშრომლობის შენარჩუნება საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტული პროგრამების და ინფრასტრუქტურული პროექტების დასაფინანსებლად;

დამატებითი საინვესტიციო რესურსების მოზიდვის პარალელურად სახელმწიფო საგარეო ვალის მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, ვალის მდგრადობის შენარჩუნება, როგორც საშუალოვადიან, ასევე გრძელვადიან პერიოდში;

საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიებთან ურთიერთობის კოორდინაცია;

სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის შემდგომი განვითარების მიზნით, სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება, არსებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის მიზნების შესაბამისად;

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებული საკითხების შესრულების კოორდინაცია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში და აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი;

IPSAS სტანდარტების შესაბამისად, დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული სააღრიცხვო სისტემის შემოღება.

***შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება***

საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა და საბაჟო პროცედურების დახვეწა, გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ელექტრონული მომსახურების განვითარება;

საგადასახადო ადმინისტრირების შემდგომი გამარტივება, სრულყოფილი კონტროლის პროცედურების დანერგვა;

ნებაყოფლობითი კანონმორჩილების წახალისება, გადამხდელთა ინფორმირებულობის დონის ამაღლება;

მომსახურების პოტენციალის გაძლიერების და გადამხდელთა კმაყოფილების ხარისხის ამაღლების მიზნით, მომსახურების დარბაზების თანამედროვე სტანდარტებით მოწყობა, მოძრავი სერვის-ცენტრების დანერგვა, რაც კიდევ უფრო კომფორტულს გახდის მომსახურების პროცესს გადამხდელისათვის.

ევროკავშირთან ინტეგრაციული პროცესის ხელშეწყობა;

საგადასახადო შემოწმების პროცედურების მართვის კომპიუტერიზაცია;

საბაჟო პროცედურების გამარტივება;

მგზავრების შესახებ მონაცემების (API–PNR) და ტვირთების შერჩევის (WCO CTS) სისტემების დანერგვა, მონაცემების წინასწარ დამუშავების, საბაჟო კონტროლის გაძლიერების და საბაჟო კონტროლის ღონისძიებების (მათ შორის, საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევების გამოვლენის, აღკვეთის და პრევენციის) ეფექტური განხორციელების ხელშეწყობის მიზნით.

ვაჭრობის ხელშეწყობის ინსტრუმენტებისა და საბაჟო, სანიტარიული, ფიტოსანიტარიული სასაზღვრო კონტროლის აღსრულების გაუმჯობესება.

*ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია*

საფინანსო და ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, ქვეყანაში ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი გარემოს ხარისხის ამაღლება, კანონიერი სამეწარმეო საქმიანობის დაცვა და სამსახურში მწყობრი სისტემის ჩამოყალიბება;

საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში პერსონალის შერჩევის კრიტერიუმებისა და პროცედურების კუთხით დაგროვილი გამოცდილების შესწავლა;

საქართველოს ეკონომიკურ საზღვრებზე კონტროლის გამკაცრება გადასახადების გადახდაზე თავის არიდების აღკვეთის მიზნით, პრევენციული ღონისძიებების გატარება დანაშაულის ჩადენის აღკვეთის მიზნით;

*ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა*

ფინანსთა სამინისტროს ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის საჭირო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნა, განვითარება, მომსახურება, მდგრადობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა;

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა;

ფინანსთა სამინისტროსთვის მნიშვნელოვანი IT პროდუქტების, ელექტრონული სერვისებისა და მომსახურების კვლევა და ანალიზი;

პროგრამული უზრუნველყოფის ახალი სისტემების შექმნა, დანერგვა და მომსახურება;

ფინანსთა სამინისტროს ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოების ხელშეწყობა;

ელექტრონული მთავრობის კომპონენტების განვითარება და შესაბამისი სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების მიწოდება;

ფინანსთა სამინისტროს საინფორმაციო სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაცია.

*საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება*

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება ტრენინგის საჭიროებათა ანალიზის განხორციელების ხელშეწყობისა და გეგმით გათვალისწინებული სასწავლო პროექტების განხორციელების გზით, ასევე, პროფესიულ განვითარებაზე მიმართული პროგრამების ორგანიზების საშუალებით;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემის, ასევე, სხვა დაინტერესებული ორგანიზაციების ხელშეწყობა ახალი კადრების შერჩევაში პროფესიული და საკვალიფიკაციო ტესტირების პროცესების ორგანიზების გზით;

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ინიცირებული რეფორმების ხელშეწყობა მათ დანერგვასთან დაკავშირებული ტრენინგების ორგანიზების საშუალებით;

კერძო სექტორის განვითარების, ასევე, საბიუჯეტო დაფინანსებზე მყოფი ორგანიზაციების წარმომადგენლების კვალიფიკაციის ამაღლებისკენ მიმართული სასწავლო - შემეცნებითი, სემინარული და საკონფერენციო ტიპის პროექტების განხორციელება;

პროფესიული ცოდნის დონის ამაღლების მიზნით, საერთაშორისო და უცხოურ ორგანიზაციებთან და სასწავლო დაწესებულებებთან ერთად სასწავლო პროგრამების შემუშავება-განხორციელება, მათ შორის, ნიდერლანდების ფინანსთა სამინისტროსთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან ერთად განხორციელებული სასწავლო პროგრამის ფარგლებში.

*ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა*

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს სახელმწიფო ზედამხედველობა;

კერძო სამართლის სუბიექტების შესახებ ფინანსური და მმართველობითი მონაცემების შემცველი სანდო საინფორმაციო სისტემის (ანგარიშგებების პორტალი და აუდიტორთა რეესტრი) შექმნა და მართვა, რაც ხელს შეუწყობს დაინტერესებულ მხარეებს (ინვესტორები, კრედიტორები, მომწოდებლები, ბანკები, მარეგულირებელი ორგანოები, სახელმწიფო უწყებები) სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებაში;

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავების უზრუნველყოფა, ანგარიშგებისა და აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ყოველწლიური განახლება, გარკვეული კატეგორიის საწარმოებისათვის და ა(ა)იპ-ებისათვის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების დადგენა;

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით ბუღალტრებისა და აუდიტორების პროფესიული განათლების სისტემის რეფორმირება და მონიტორინგი

*მიქცეული ქონების ეფექტური განკარგვა*

ელექტრონული აუქციონების პორტალის (www.eauction.ge) მეშვეობით უძრავ/მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისა და ქონების სარგებლობაში გადაცემის უზრუნველყოფა;

ქონების განკარგვის გამჭვირვალე, კონკურენტული და გამარტივებული პროცესების ხელშეწყობა.

## საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

### *ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება*

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარების და ეკონომიკის ინკლუზიური ზრდის მიზნით, ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველმყოფი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის ფორმირების პროცესის ორგანიზება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით;

ეკონომიკის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი მიმართულებების იდენტიფიცირება;

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულების კოორდინაცია;

ეკონომიკის სხვადასხვა სექტორების პოტენციალის და კონკურენტუნარიანობის შეფასება/ანალიზი;

საერთაშორისო რეიტინგებში საქართველოს პოზიციების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის იდენტიფიცირება/მომზადება და დანერგილი რეგულაციების შეფასება ბიზნეს გარემოზე;

არსებული კანონმდებლობის და აგრეთვე, ახალი ნორმატიული აქტების პროექტების მარეგულირებელი გავლენის შეფასება (RIA) სამეწარმეო გარემოზე. ბიზნეს გარემოს ხელშემწყობი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება და შესაბამისი ნორმატიული აქტების მომზადება;

ბიზნეს გარემოს ხელშემწყობი საკანონმდებლო ინიციატივების შემუშავება და შესაბამისი ნორმატიული აქტების მომზადება;

მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნება და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება;

მაკროეკონომიკური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და შესაბამისი ანგარიშის მომზადება;

ორმხრივი, რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, ასევე პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარება;

ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გამოყენების ხელშეწყობა. ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირების და ქვეყანაში წარმოებული პროდუქტის/მომსახურების საერთაშორისო/ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობასი მოყვანის ხელშეწყობა;

ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავება;

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისათვის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება;

რეგიონალური  და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობებისა და რეჟიმების ანალიზი და მათი განვითარებისათვის რეკომენდაციების მომზადება;

ექსპორტის ხელშეწყობისათვის საქართველოს საგარეო ვაჭრობის შედეგების ანალიზი, ახალი საექსპორტო ბაზრების/პროდუქციის იდენტიფიკაცია და სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებისათვის რეკომენდაციების შემუშავება. საინვესტიციო ხელშეკრულებების პროექტებისათვის საკონსულტაციო მომსახურების უზრუნველყოფა;

ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნით „მწვანე ზრდის“ ეროვნული სტრატეგიის  მომზადება;

მშენებლობაში, მრეწველობასა და ტრანსპორტის სფეროებში ენერგოეფექტურობის საკანონმდებლო ბაზის შექმნა და რესურსდამზოგავი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით;

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის საკანონმდებლო აქტებთან და საერთაშორისო სამართლებრივ ინსტრუმენტებთან დაახლოების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების (2018 წლის 31 დეკემბრიდან დირექტივა 2010/30/EU -ის მოთხოვნების შესრულების ვალდებულება) გატარება და აგრეთვე, დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან ერთად (Danish International Development Agency), „ენერგოეფექტურობისა და მდგარდი ენერგეტიკის მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტზე მუშაობა, რომელიც ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად ითვალისწინებს საყოფაცხოვრებო მოწყობილობების მიერ ენერგიის მოხმარების აღმნიშვნელი მარკირების სისტემის შემუშავებასა და დანერგვას;

თბილისის აბრეშუმის გზის გამართვა და საინვესტიციო პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ფორუმის მონაწილეებისთვის;

არსებული  სოციალური საპენსიო სისტემის მოდიფიკაცია და კერძო  დაგროვებითი საპენსიო სისტემის დანერგვა;

საქართველოში კაპიტალის ლიკვიდური ბაზრის განვითარების ხელშეწყობა;

საქართველოს ინტეგრაცია საერთაშორისო სატრანსპორტო სისტემებში და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარება;

ტრანსპორტის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტის და მისი სამოქმედო გეგმის შემუშავება, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების (AA) და ევროკავშირთან ღრმა და

ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში დირექტივების და რეგულაციების იმპლემენტაცია და რეგიონალური მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება;

აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის პროექტის ფარგლებში საქართველოში ლოგისტიკის დარგის განვითარება (პროექტი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება);

სხვადასხვა ქვეყნებთან საავტომობილო, საზღვაო და სამოქალაქო ავიაციის სფეროში ორმხრივი სამთავრობათაშორისო შეთანხმებების გაფორმება და აგრეთვე მრავალმხრივი სამთავრობოთაშორისო შეთანხმებების გაფორმება, რომლებიც ითვალისწინებენ ქვეყნებს შორის ერთიანი სატრანსპორტო სისტემების შექმნას, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, კონკურენტუნარიანი გადაზიდვის ტარიფების დაწესებას და საბაჟო პროცედურების გამარტივებას;

სამოქალაქო ავიაციისა და საზღვაო ტრანსპორტის სფეროებში მომხდარი სატრანსპორტო შემთხვევებისა და ინციდენტების მოკვლევის და პრევენციული ზომების გატარება და აგრეთვე, რეკომენდაციების შემუშავება;

ქვეყნის სივრცითი მოწყობის გენერალური სქემის, მუნიციპალიტეტების სივრცითი მოწყობის გეგმების, დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების შემუშავების უზრუნველყოფა და აგრეთვე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სივრცითი მოწყობის სქემების შემუშავების ხელშეწყობა;

სამშენებლო სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროპულ ნორმებთან, ევროკოდების თარგმნა ქართულ ენაზე და ევროკოდების ეროვნული დანართების შემუშავება, სარეკრეაციო ტერიტორიაზე მშენებლობის ნებართვის გაცემის I და II სტადიაზე პროექტების შეთანხმება და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის ექსპერტების კანდიდატურების შეთანხმება;

საგანგებო სიტუაციებში ელექტრონული კომუნიკაციების ქსელების (მათ შორის მაუწყებლობის), ოპერატიულ-ტექნიკური მართვის, კრიტიკული ინფრასტრუქტურისა და კავშირგაბმულობის შეფერხების გარეშე მუშაობის უზრუნველყოფა;

საფოსტო სფეროს რეფორმა და საფოსტო სფეროს საკანონმდებლო ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება.

### *ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება*

საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოება;

ბაზარზე ზედამხედველობის სისტემის განვითარება ევროკავშირში არსებული საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად;

საკანონმდებლო ვაკუუმის აღმოსაფხვრელად, შესაბამის სფეროებში ტექნიკური რეგლამენტების შემუშავება

### *სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება*

საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მომსახურების სფეროს და დიაპაზონის გაფართოება;

CIB პროგრამის II ეტაპის ფარგლებში ეტალონური ბაზის განახლება;

საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებში ინტეგრაცია;

მეტროლოგიისა და სტანდარტიზაციის სფეროში საერთაშორისო აღიარების მისაღწევად ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) და ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში (TBT) ნაწილის მოთხოვნების შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

### *აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება*

აკრედიტაციის საქმიანობის განვითარება და სრულყოფა;

შესაბამისობის შემფასებელი პირების აკრედიტაციის სამუშაოების წარმართვა კანონით რეგულირებად და ნებაყოფლობით სფეროში საერთაშორისოდ აღიარებული მოთხოვნების შესაბამისად.

შესაბამისობის შეფასების ბაზარზე აკრედიტაციის ახალი მიმართულებების შეთავაზება, კერძოდ: საკვალიფიკაციო გამოცდების ჩამტარებელი პირების აკრედიტაციის სქემის შემუშავება და დაინტერესებული მხარეების ტრეინინგების ჩატარება საერთაშორისო სტანდარტის ISO/IEC 17043-ის შესაბამისად;

ევროპული დახმარების (CIB) ინსტრუმენტის ფარგლებში, ევროკავშირის პრაქტიკასთან აკრედიტაციის ცენტრის შემდგომი დაახლოების პროექტის განხორციელება;

აკრედიტაციის საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მიერ EA-ს ხელმომწერ მხარედ აღიარებისათვის დასკვნითი ღონისძიებების განხორციელება.

### *ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა*

საქართველოს, როგორც ოთხი სეზონის ტურისტული ქვეყნის, პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზარზე;

ახალი ტურისტული პროდუქტის განვითარება და არსებულის დივერსიფიკაცია (მარშუტების შემუშავება, პროდუქტის ბეჭდვური-საინფორმაციო მასალის მომზადება);

მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

### *სახელმწიფო ქონების მართვა*

სახელმწიფო ქონების მართვა და ადმინისტრირება;

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის უძრავი ქონების კომპონენტის განხორციელება;

მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და მართვის ეფექტური სისტემების ჩამოყალიბება (დოკუმენტური არქივის ელექტრონიზაცია და სისტემატიზაცია) და ასევე, სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით „სოფლიდან გაუსვლელად“ პროექტის განხორციელება;

სახელმწიფო ქონების ინვენტარიზაციის სრულმასშტაბიანი პროექტის განხორციელება და სახელმწიფო ქონების ერთიანი მონაცემთა ბაზის შექმნა. გამოუყენებელი აქტივების ეკონომიკურ ბრუნვაში ჩართვისა და მასზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ქონების მოვლა-პატრონობა და დაცვის უზრუნველყოფა.

### *მეწარმეობის განვითარება*

„აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში:

- ✓ საქართველოში მეწარმეობის განვითარება, მეწარმე სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოების გაფართოების/გადაიარაღების ხელშეწყობა და კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდა ფინანსებზე, უძრავ ქონებასა და ტექნიკურ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის საშუალებით;
- ✓ მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა რეგიონებში;
- ✓ საქართველოში კინოწარმოების განვითარება

ექსპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის ფარგლებში:

- ✓ საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია ქვეყნის გარეთ სხვადასხვა საერთაშორისო ბაზრებზე;
- ✓ საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება;
- ✓ ბაზრის კვლევებისა და კონსულტაციების მეშვეობით ადგილობრივ ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების უნარების ამაღლება, ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა და ევროპის მეწარმეთა ქსელში ჩართვა;
- ✓ DCFTA-ს მოთხოვნებთან დაკავშირებით მეწარმეების ცნობიერების ამაღლება და მათი იმპლემენტაციისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა.

*საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება*

ინოვაციების ინფრასტრუქტურის განვითარება:

- ✓ დარგობრივი სამრეწველო ონოვაციების ლაბორატორიების - ფაბლაბების ფორმირება საქართველოს მასშტაბით, რომელიც დააკავშირებს და ერთ სივრცეში მოაქცევს მსოფლიოს ტექნოლოგებს, გამომგონებლებს და ნოვატორებს;

- ✓ „ფაბლაბის“ ტექნოლოგიური პლათფორმის ჩართვა სკოლებისა და უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებში;

- ✓ STEM საგნების სწავლების დონის ამაღლება;

- ✓ საქართველოს მასშტაბით ტრენინგებისა და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება (მათ შორის 40,000 აუთსორსზე ორიენტირებული სპეციალსიტის მომზადება საინფორმაციო ტექნოლოგიების პრიორიტეტული მიმართულებებით);

სტარტაპების დაფინანსება;

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება, რომელიც ითვალისწინებით საქართველოს მოსახლეობის უზრუნველყოფას ფართოზოლოვანი მომსახურებებით (ინტერნეტთან არანაკლებ 30 მბ/წმ წვდომით).

***საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში „გათავისუფლებული ფრენების" მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა***

საქართველოს ევროპის ერთიან საჰაერო სივრცეში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავება;

კომპეტენციის ფარგლებში საერთაშორისო ანტიტერორისტული საქმიანობის ხელშეწყობა;

ფრენების უსაფრთხოებისა და საავიაციო უშიშროების დონის ამაღლება;

აშშ-ს სამხედრო ავიაციის საჰაერო ნავიგაციით და პილოტაჟით უზრუნველყოფა;

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებსა და „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამაში მონაწილე სხვა სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შესრულების უზრუნველყოფა.

***ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა- კომპენსაცია***

ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა-ახალქალაქი-კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაციის უზრუნველყოფა, რომელიც ხორციელდება ინდივიდუალურად კერძო მესაკუთრეებთან საკომპენსაციო თანხის შეთავაზების მომზადების და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარების გზით.

### *ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისათვის ანაკლიის ტერიტორიაზე (სამოქმედო გეგმის ფარგლებში) კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა - კომპენსაცია*

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისათვის ანაკლიის ტერიტორიაზე სამოქმედო გეგმის შემუშავება და აღნიშნული პროექტის საფუძველზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაციის უზრუნველყოფა, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალურად კერძო მესაკუთრეებისათვის საკომპენსაციო თანხის შეთავაზების მომზადებას და ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარებას.

### *საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა*

საზღვაო სავაჭრო ფლოტსა და საზღვაო ტრანსპორტის ინფრასტრუქტურაში დასაქმების მიზნით კვალიფიციური კადრების მომზადება.

### *ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD)*

საქართველოში ინოვაციური ეკოსისტემის შექმნა, რომელიც რამოდენიმე კომპონენტს მოიცავს და უზრუნველყოფს ქვეყანაში ინოვაციებისათვის ინფრასტრუქტურის განვითარებას;

რეგიონებსა და სოფლებში ინოვაციური ცენტრების ფორმირება;

მომავლის სპეციალობების მიმართულებით კვალიფიციური კადრების გადამზადება და ტრენერების მომზადება;

დამწყები მაღალტექნოლოგიური კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა;

საგრანტო პროგრამების განხორციელების ფარგლებში ინოვაციური პროექტების სხვადასხვა ფაზების დაფინანსება და აგრეთვე, ინტერნეტიზაციისა და კომპიუტერიზაციის პროგრამის დაფინანსება (მათ შორის კომპიუტერული წიგნიერება და ელექტრონული კომერციის განვითარება).

### *სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო*

„საქართველოსა და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საჰაერო სივრცის შესახებ" (ECAA) შეთანხმების გათვალისწინებული რეგულაციებისა და დირექტივების ქართულ საავიაციო კანონმდებლობაში ასახვა;

საქართველოს საავიაციო დარგისათვის პრიორიტეტული რეგულაციებისა და დირექტივების განსაზღვრა, მათი დანერგვის დროში გაწერა, სამართლებრივი ანალიზი და ამ მიზნით, შესაბამისი დასკვნებისა და წინადადებების შემუშავება;

ევროპის საავიაციო უსაფრთხოების სააგენტოს (EASA) რეგლამენტების (PART 145, PART M, PART 147 და PART 66) დანეგრვა;

სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ICAO) აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად მაკორექტირებელი ღონისძიებების ამუშავება;

ფრენის უსაფრთხოების ინსპექტორების გადამზადება.

### *სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო*

საქართველოს საზღვაო დროშის ცნობადობის ამაღლება და გემების მოზიდვა საქართველოს დროშის ქვეშ რეგისტრაციის მიზნით (0%-იანი დაკავებების კოეფიციენტი ქართული დროშის ქვეშ მცურავ გემებზე);

საერთაშორისო სტანდარტების (ISO 9001:2015 და ISO 27001:2011) დანერგვა;

საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება;

საზღვაო ტრანსპორტის სფეროში ევროკავშირის დირექტივების იმპლემენტაცია;

საერთაშორისო საზღვაო კონვენციების რატიფიკაცია.

### *სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო*

საერთაშორისო საავტომობილო სატვირთო გადაზიდვების/ მგზავრთა გადაყვანების რაოდენობისა და არეალის გაზრდის ხელშეწყობა;

ტრანსპორტის უსაფრთხოების და ეკოლოგიური ზემოქმედების გაუმჯობესების ხელშეწყობა;

ტრენინგ-ცენტრების მშენებლობა და აღჭურვა;

ტრანსპორტის მენეჯერების და მძღოლების გადამზადება.

### *სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური*

საქართველოს საზღვაო პასუხისმგებლობის ზონაში და სანაპირო ზოლში უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფა:

საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და სანაპიროზე თანამედროვე სანავიგაციო საშუალებების და მოწყობილობების მუდმივი ჩანაცვლება/განახლების უზრუნველყოფა;

საქართველოს ტერიტორიულ წყლებსა და სანაპიროზე თანამედროვე სანავიგაციო საშუალებების დანერგვის უზრუნველყოფა;

ანაკლიაში მეტეოროლოგიურ-ოკეანოგრაფიული ტივტივას განთავსება, ონლაინ რეჟიმში (მასზე განლაგებული სპეციალური სენსორების მეშვეობით) ზღვის მეტეოროლოგიური მონაცემების მიღების მიზნით (ტალღის სიმაღლე, წყალქვეშა დინებები და მიმართულებები);

უსაფრთხო ნაოსნობის მხარდასაჭერად სანავიგაციო ქაღალდისა და ელექტრონული რუკების ახალი სახეობებისა და მასშტაბის განვითარება.

### *ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარება*

ქვეყნის სტრატეგიული მდებარეობის გათვალისწინებით, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტისა და სანავსადგურე ინსფრასტრუქტურის მშენებლობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის პორტთან დამაკავშირებული საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწყობა/მშენებლობის ხელშეწყობა.

## საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

### *რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა*

რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

ქვეყნის მდგრადი რეგიონული განვითარების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმების შექმნის, რეგიონული განვითარების დაგეგმვის დოკუმენტების შემუშავების, რეგიონული განვითარების დაგეგმვისა და ფინანსური უზრუნველყოფის მიზნით, რეგიონული განვითარების საკითხების მარეგულირებელი ჩარჩო საკანონმდებლო ბაზის შემუშავება და განხორციელება;

დეცენტრალიზაციის პოლიტიკის შემუშავება;

ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუციური გაძლიერებისა და მუნიციპალური მომსახურების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის სფეროში წინადადებების შემუშავება;

სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სექტორებსა და დარგებში დეცენტრალიზაციის პროცესის ხელშეწყობა და კოორდინაცია;

მუნიციპალიტეტების ტერიტორიული ოპტიმიზაციის გაგრძელება;

საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება;

მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაზრდის ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტებში სოციალური გარემოსა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის დანერგვა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და კოორდინაცია;

საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ქსელის განვითარების, დაპროექტებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის საკითხებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სახელმწიფოებრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების კოორდინაცია;

საქართველოს მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვისა და ხელშეწყობის ღონისძიებათა განხორციელების უზრუნველყოფა;

საქართველოს მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისთვის მომზადებისა და გაწვევის სამუშაოთა კოორდინაცია;

საქართველოში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობასთან, მართვასთან და დახურვასთან, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობასთან და მართვასთან დაკავშირებული საკითხების განსაზღვრა და გადაწყვეტა;

უფლებამოსილების ფარგლებში, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო საქმიანობის ხელშეწყობა.

***საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები***

გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველომ შეიძინა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სატრანსპორტო დერეფნის სტატუსი. ვინაიდან, სატვირთო გადაზიდვების საკმაოდ დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას საავტომობილო გზები წარმოადგენს. საავტომობილო გადაზიდვებზე გაზრდილმა მოთხოვნამ განაპირობა არსებული გზების რეკონსტრუქცა, არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის განახლება-მოდერნიზება და ზოგ შემთხვევაში უსაფრთხო, ცენტრალური ქალაქების გვერდის ავლით, ახალი საგზაო მონაკვეთების მშენებლობის აუცილებლობა, რითაც გარკვეული ტერიტორიები გამოთავისუფლდება. აღნიშნული კი ტურიზმის განვითარების და ახალი ტურისტული ობიექტების მშენებლობის საფუძველი იქნება.

საქართველოს საგზაო ქსელის ინტეგრირება საერთაშორისო საგზაო კომუნიკაციების სისტემაში, ქვეყნის საავტომობილო გზების გამტარუნარიანობის გაზრდა, ავტოსატრანსპორტო დერეფნის განვითარება და საერთაშორისო სატრანზიტო კონკურენტუნარიანობის გაზრდა, სახელმწიფოთაშორისო და

რეგიონთაშორისო ავტოსაგზაო კავშირების გაუმჯობესება, მოსახლეობის გაზრდილი ეკონომიკური აქტივობის, ინტენსიური ავტომობილიზაციის დონისა და გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადების დონესთან საავტომობილო საგზაო ქსელის განვითარების ტემპების შესაბამისობის უზრუნველყოფა.

*რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია*

მუნიციპალიტეტებში სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურებების შესყიდვა;

სახელმწიფო მნიშვნელობის (ადმინისტრაციული, სტრატეგიული, სამხედრო, პოლიციური და სხვა დანიშნულების) ობიექტების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება;

ნაპირდაცვითი სამუშაოების უზრუნველყოფა;

ქვეყანაში ტურიზმის განვითარების მიზნით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. ასევე, სამინისტროს მართვაში არსებული საწარმოების საოპერაციო ხარჯებისა და შესაბამისი ფუნქციური დავალებების შესასრულებლად წარმოებული სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოების და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა მომსახურებების შესყიდვა;

დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების მოსამზადებლად  საჭირო ღონისძიებების გატარება, საპროექტო დოკუმენტაციების მომზადება და ანალიზი.

*წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია*

მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობის და დაწესებულებების ეკოლოგიურად სუფთა, გაფილტრული, ზედაპირული გრუნტის წყლების მოხვედრისგან დაცული სასმელი წყლის 24 საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა; საქართველოს დიდ ქალაქებსა და სოფლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების აღდგენა-რეაბილიტაცია;

მუნიციპალიტეტებში წყალსადენის სათავე ნაგებობების მოწყობა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

ტურისტულ-დასასვენებელ ცენტრებში წყალმომარაგების ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

*მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა*

მუნიციპალიტეტებში (გარდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა) არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, მართვა და დახურვა. ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა;

146 კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანებისა და 7 195 მყარი ნარჩენების კონტეინერების შეძენა. ასევე, მყარი ნარჩენების კუთხით, ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა ბენეფიციარების შესაძლებლობების განვითარებისათვის და მყარი ნარჩენების სანიტარული დამუშავების თაობაზე საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება.

## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება**

შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; კანონშემოქმედებით სფეროში პარლამენტისა და სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაცია; სამართლის ცალკეული დარგის განვითარების აუცილებლობისა და პერსპექტივების შესწავლა, საზღვარგარეთის სახელმწიფოთა კანონმდებლობის შესწავლა და ანალიზი, სხვა სამინისტროებისა და დარგობრივი უწყებების პრობლემატიკის შესწავლა სამართალშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელების მიზნით;

ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან შესაბამისობის შესწავლა; მოქმედი ნორმატიული აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისა და სამართლებრივი კოლიზიების აღმოფხვრის თაობაზე წინადადებების, დასკვნებისა და პროექტების მომზადება;

სხვადასხვა პრიორიტეტული სფეროს განვითარების (სისხლის სამართალი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, შრომის სამართალი, დემოკრატიული მმართველობა და ანტიკორუფციული რეფორმა, ინფორმაციის თავისუფლება და სხვა) მიზნით საკანონმდებლო ინიციატივების, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება; ეროვნული კანონმდებლობის საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებებთან შესაბამისობაში მოყვანა და ა.შ;

კანონის უზენაესობის, მართლმსაჯულების, დემოკრატიული მმართველობის სფეროებში საჯარო პოლიტიკის განსაზღვრისა და განხორციელების ხელშეწყობა; შედარებით სამართლებრივი და სოციოლოგიური კვლევების ჩატარება; საკანონმდებლო აქტების, აგრეთვე, კანონმდებლობით განსაზღვრული კატეგორიის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების სამართლებრივი ექსპერტიზა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან მათი შესაბამისობის დადგენა;

საზღვარგარეთის სახელმწიფოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამართლებრივი თანამშრომლობის პოლიტიკის შემუშავება და წარმართვა; სამართლებრივი პოლიტიკის შემუშავება და იმპლემენტაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლა, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ეროვნულ დონეზე იმპლემენტაცია,

წამებისა და არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლა, გაერო-ს სანქციების ეროვნულ დონეზე იმპლემენტაცია; ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და გაერო-ს ადამიანის უფლებათა დაცვის სახელშეკრულებო ორგანოებში საქართველოს წინააღმდეგ შეტანილ საჩივრებზე მიმდინარე დავებში წარმომადგენლობის განხორციელება;

საქართველოს სასამართლო ინსტანციებში მიმდინარე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლობა; უცხო ქვეყნების სასამართლოებსა და არბიტრაჟებში სახელმწიფო წარმომადგენლობა; აგრეთვე, სახელმწიფო წარმომადგენლობა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და გაერო-ს სახელშეკრულებო (ადამიანის უფლებათა დაცვის კვაზი სასამართლო) ორგანოებში მიმდინარე საქმეებზე; ბავშვთა საერთაშორისო არამართლზომიერი გადაადგილების საქმეების მართვა და კოორდინაცია; ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოების მიერ საქართველოსთან მიმართებით გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულება; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსთან თანამშრომლობა;

სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს საქმიანობის ადმინისტრირება, ორგანიზაციული და ანალიტიკური მხარდაჭერა; უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნოს ანალიტიკური შესაძლებლობების გაძლიერება და მონიტორინგის მექანიზმის დახვეწა; სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის სექტორული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების ყოველწლიური განახლება; იმპლემენტაციის პროცესში უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაცია; წლიური პროგრესის შესახებ ანგარიშების მომზადება; მართლმსაჯულების სექტორის რეფორმის საბიუჯეტო დახმარების პროგრამის ფინანსური შეთანხმების პირობების შესრულების ხელშეწყობა და პირობების შესრულების შესახებ ანგარიშის მომზადება და ევროპის კავშირის დელეგაციისათვის წარდგენა;

ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის ყოველწლიური განახლება, ანტიკორუფციული პოლიტიკის შესრულების მონიტორინგის მეთოდოლოგიის მიხედვით ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის ბოლო ექვსი თვის პროგრესის, 2016 წლის მონიტორინგის ანგარიშისა და 2015-2016 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შეფასების ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება. ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლებისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმების შემუშავება, ანტიკორუფციული საბჭოს ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშების მომზადება და საქართველოს მთავრობისათვის წარდგენა; ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში დაგეგმილ საერთაშორისო ღონისძიებებში საქართველოს წარმომადგენლობის მონაწილეობის უზრუნველყოფა და სხვა.

**გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა**

იურიდიული პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულის გამოძიებისა და საპროცესო ზედამხედველობის განხორციელების ხელშეწყობა, აღნიშნული დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის სახელმძღვანელოს შემუშავება;

ადამიანის უფლებების დაცვა გამოძიების მიმდინარეობისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების პროცესში; ამ სფეროში სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების დარღვევის

გამომწვევი მიზეზების დადგენა და საერთაშორისო და უფლებადამცველი ორგანიზაციების რეკომენდაციების გათვალისწინება;

ოჯახური ძალადობის, წამების, არასათანადო მოპყრობის, უმცირესობათა უფლებების დარღვევის ფაქტებზე ეფექტური და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა;

პროკურატურის მუშაკთა ახალი, პროკურატურის წინაშე არსებული გამოწვევების შესაბამისი ეთიკის კოდექსის შემუშავება, არსებული კოდექსის ბუნდოვანი ნორმების აღმოფხვრა, ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული გადაცდომების კონკრეტიზაცია;

სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონული სისტემის დახვეწა, პროკურორთა საჭიროებებზე მორგებული  და ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული პროგრამების შექმნა, პროკურორთა დატვირთვის ელექტრონული მოდულის იმპლემენტაციის განხორციელება;

პროკურატურის საქმიანობის გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით მასმედიასთან ურთიერთობის ეფექტური მექანიზმების შექმნა, საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდების არსებული მექანიზმების სრულყოფა;

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ინსტიტუტის დახვეწა, დანაშაულის პრევენციის ადგილობრივი საბჭოების შექმნა; პროკურატურის როლის გაზრდა დანაშაულის პრევენციის პროცესში და ამ მიმართულებით სტრატეგიის შემუშავება;

არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე პროკურორთა გადამზადება; არასრულწლოვანთა მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენების პრაქტიკის  საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;

საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის, საერთაშორისო სტანდარტების სამუშაო პრაქტიკაში დანერგვის, განხორციელებული საკანონდებლო სიახლეების პრაქტიკაში სწორი იმპლემენტირებისა  და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ხელშეწყობა, პროკურატურის თანამშრომელთა პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფის გზით;

თანმიმდევრული, კოორდინირებული საქმიანობის ხელშეწყობისა და საერთო მიდგომების დანერგვის მიზნით, პროკურატურისა და სხვა საგამოძიებო უწყებების/მიზნობრივი ჯგუფების წარმომადგენლებისათვის ერთობლივი სასწავლო პროექტების განხორციელება.

**ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

ეროვნული საარქივო ფონდის შევსება მატერიალური ან/და ელექტრონულ მატარებელზე გადატანილი დოკუმენტებით, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების ელექტრონული ბაზის ფორმირება და მისი მუდმივი განახლება, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების აღწერა და ცენტრალიზებული აღრიცხვა (მათ შორის, ელექტრონული ფორმით), ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვისა და შენახვის სათანადო პირობების უზრუნველყოფა, დაზიანებული დოკუმენტების რესტავრაცია;

საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ მატარებლებზე გადატანა; ადგილობრივ არქივებში დაცული დოკუმენტების გადატანა/განთავსება რეგიონული არქივების გარემონტებულ შენობებში;

მოქალაქეზე ორიენტირებული მომსახურების დანერგვისა და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მოქალაქეთა მომსახურების ელექტრონული, ეროვნული საარქივო ფონდის მკვლევართა აღრიცხვისა და მართვის, ასევე, გენეალოგიური მონაცემების აღრიცხვის ელექტრონული სისტემების და ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების (ტექსტური, ფოტოფონოვიდეოდოკუმენტები, რუკები) ელექტრონული კატალოგების შექმნა და განვითარება;

ქუთაისის ცენტრალური არქივის შენობის მშენებლობის დასრულება და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვა.

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება**

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აპარატის, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ-ებისა და სხვა ორგანიზაციების თანამშრომელთა გადამზადების მიზნით, ტრენინგსაჭიროებათა ანალიზი და ტრენინგების სრული ციკლის (დაგეგმვა, ორგანიზება და შეფასება) განხორციელება;

საკონკურსო, საატესტაციო და საკვალიფიკაციო ტესტირებათა ორგანიზება; ტესტური დავალებების, ტრენინგმოდულებისა და სასწავლო კურსის პროგრამების შექმნა და მუდმივი განახლება, მათ შორის, უცხოური სერთიფიცირებული პროგრამების შეძენის გზით.

**ელექტრონული მმართველობის განვითარება**

მოქალაქეებისათვის, ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორისათვის სახელმწიფოს ელექტრონული სერვისების უსაფრთხოდ, ეფექტურად, ერთი ფანჯრის პრინციპით მიწოდების ხელშეწყობა; სახელმწიფო ორგანიზაციების და კერძო სექტორის ინფორმაციის, საინფორმაციო სისტემების და ტექნოლოგიების ურთიერთთავსებადობის საშუალებით მონაცემების ეფექტიანად და უსაფრთხოდ გაცვლის უზრუნველყოფა; სათანადო დონის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ინფორმაციის და მონაცემების მიმოცვლის პროცესებში (ინფორმაციული უსაფრთხოების პერიოდულ აუდიტი, ინფორმაციული უსაფრთხოების შეღწევადობის (მდგრადობის) ტესტირება, კომპიუტერული ინციდენტების აღმოჩენაზე გამიზნული ქსელური სენსორის დაყენება და მართვა, კიბერუსაფრთხოების საკითხების რეგულირება, ინციდენტებზე დახმარების ეროვნული ჯგუფის მიერ კომპიუტერული ინციდენტების გამოვლენა, პრევენცია და შედეგების მართვა;

საერთაშორისო ვაჭრობის მხარდამჭერ სისტემაში გარდა საკონტეინერო გადაზიდვებისა, სახმელეთო და საჰაერო გადაზიდვების ინტეგრაცია და ეროვნული სისტემის მსგავსი პროფილის საერთაშორისო სისტემებთან ინტეგრაცია;

ელქტრონულ სერვისებთან ერთად სამოქალაქო და ბიზნესსექტორისთვის საჯარო, სტრუქტურიზებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ღია მონაცემების ქართულ პორტალზე (data.gov.ge) ღია მონაცემების გამოქვეყნება შესაბამის მეტამონაცემებთან ერთად;

ეფექტური საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით სააგენტოსთვის საკუთარი ადმინისტრაციული ოფისის მშენებლობა, სათანადო ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვა, სასერვერო ფართის, საკონფერენციო და სატრენინგო დარბაზების, ელექტრონული სერვისების სადემონსტრაციო სივრცის და თანამშრომელთა სამუშაო ოთახების მოწყობა.

**ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება**

სახელმწიფოს საქმიანობაში თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დანერგვა, მათზე გაწეული დანახარჯების შემცირება, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების საშუალებით სახელმწიფოს გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობა;

სახელმწიფო უწყებების მომსახურება IT სერვისების სრული სპექტრით, რაც მოიცავს ქსელურ უზრუნველყოფას, ელფოსტის სერვისს, ონლაინკომუნიკაციის საშუალებებს, ტელევიდეოკონფერენციას, დროისა და დავალებების მართვის პროგრამულ უზრუნველყოფას, უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკის გატარებას, არასასურველი და მავნე ელექტრონული ფოსტის, პროგრამებისა და ვირუსებისგან დაცვას, სახელმწიფო სტრუქტურებისათვის ერთიანი IT მხარდაჭერის ქოლცენტრის შექმნასა და ინციდენტების მართვას, ციფრული ტელეფონის სერვისს, სახელმწიფო ორგანიზაციებში დასაქმებულთა კომპიუტერული ტექნიკის ადგილზე მომსახურებას და სხვა;

სახელმწიფო ორგანიზაციებში პროცესების ავტომატიზებისა და ელექტრონულ მმართველობაზე გადასვლის მიზნით შესაბამისი კვლევების ჩატარება და კონკრეტული ინოვაციური ბიზნესგადაწყვეტილებების შემუშავება, რომლებიც მორგებული იქნება დამკვეთის ბიზნესპროცესებზე; დანერგილი ქლაუდტექნოლოგიის (ღრუბლოვანი ტექნოლოგია) განვითარება როგორც პროგრამული, ისე გამოთვლითი სიმძლავრეებისა და მასშტაბების მიმართულებებით; ქლაუდინფრასტრუქტურით (IaaS) სარგებლობით უზრუნველყოფა დაინტერესებული ორგანიზაციებისთვის.

**დანაშაულის პრევენცია და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია**

საქართველოში დანაშაულის რეციდივის თავიდან აცილების ხელშეწყობა, რისკჯგუფებთან მუშაობა და პირველადი დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება;

ახალგაზრდების ფიზიკური, შემეცნებითი, გონებრივი, სოციალური და მოხალისეობრივი კულტურის განვითარება, ყოფილი პატიმრების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მოგვარების ხელშეწყობა, შრომის ბაზრის მოთხოვნების ადეკვატური ტრენინგების/პროფესიული გადამზადების კურსების შეთავაზება და პოტენციურ დამსაქმებელთან რეკომენდაციების გაწევა;

განრიდება-მედიაციის სფეროს ინსტიტუციური ჩარჩოს დახვეწა, საგრანტო პროგრამების საშუალებით დეფიციტური სერვისების მიწოდება და მათი შემდგომი განვითარება, არასრულწლოვნებში დანაშაულის პირველადი პრევენციის მიზნით ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, მოხალისეობის განვითარება და სამოქალაქო და სამართლებრივი ცნობიერების დონის ამაღლება.

**იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა**

სახელმწიფო სერვისების მიწოდების მაღალი სტანდარტის შენარჩუნება და შემდგომი გაუმჯობესება, ახალი პროდუქტების/სერვისების დანერგვა და დაინტერესებული პირებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

სახელმწიფო სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ადმინისტრაციულ პროცედურებზე გაწეული დროითი დანახარჯების შემცირება; დამატებით რამდენიმე კერძო და სახელმწიფო სერვისის ინტეგრაცია, მათ შორის: თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის სერვისები, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის (საქპატენტი) სერვისები (სასაქონლო ნიშნის რეგისტრაცია; ადგილწარმოშობის დასახელებათა რეგისტრაცია) და სხვა;

ახალქალაქის იუსტიციის სახლის მშენებლობა; იუსტიციის სახლის სერვისების პოპულარიზაცია, ცნობადობის ამაღლება და იუსტიციის სახლის კონცეფციის ექსპორტი დაინტერესებულ ქვეყნებში;

იუსტიციის სახლის ფილიალების გახსნა ყველა იმ ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა, საშუალოდ, 20000-30000 ერთეულს უტოლდება ან აღემატება (ახმეტა, მარტვილი, ხონი, ლანჩხუთი) და ამ ადმინისტრაციულ ერთეულებში ერთ სივრცეში 400-მდე სერვისის მიღების შესაძლებლობა.

**მიწის ბაზრის განვითარება (WB)**

მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლებათა სისტემურ რეგისტრაცია; შერჩეული იქნა 12 საპილოტო არეალი, (12 დასახლებული პუნქტი, 48 000 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი): კარალეთი (გორის მუნიციპალიტეტი), ჯიმითი (გურჯაანის მუნიციპალიტეტი), არბოშიკი (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი), არხილოსკალო (დედოფლის წყაროსმუნიციპალიტეტი), სალხინო (ვანის მუნიციპალიტეტი), მანგლისი (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი), ზარიძეები (თიანეთის მუნიციპალიტეტი), ვედიდკარი (მარტვილის მუნიციპალიტეტი), ლახამულა (მესტიის მუნიციპალიტეტი), საგურამო (მცხეთის მუნიციპალიტეტი), მზისგული (საგარეჯოს მუნიციპალიტეტი), შუახევი (შუახევის მუნიციპალიტეტი);

მაღალი სიზუსტის საკადასტრო აზომვები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით; სათანადო მეთოდოლოგიისა და ინსტრუქციების მომზადება საპილოტე პროექტის განსახორციელებლად და შედეგების შეფასება; „მიწის რეგისტრაციის ეროვნული პროგრამის“ განხორციელებისთვის შესაბამისი მეთოდოლოგიისა და რეკომენდაციების შემუშავება.

**სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა**

სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის  გაზრდა ადგილობრივ დონეზე, სააგენტოს მონაცემთა ბაზების დახვეწა, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პერსონალური მონაცემების დაცვის ხელშეწყობა, მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შესაძლებლობათა განვითარება, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს“, აგრეთვე, სხვა საჯარო და კერძო უწყებების სერვისების შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე;

ადგილობრივ დონეზე სახელმწიფო და კერძო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ქვეყნის მასშტაბით მრავალმოსახლე და მუნიციპალური ცენტრიდან მოშორებულ სოფლებში საზოგადოებრივი ცენტრების მშენებლობა, ხოლო იმ სოფლებში სადაც არ არის საზოგადოებრივი ცენტრები, „ლიბერთი ექსპრესების“ საშუალებით მომსახურების გაწევა; მუნიპიცალური სერვისების

ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ადგილობრივ თვითმმართველობებში ელექტრონული მმართველობის სისტემის დანერგვა;

თითოეული მოქალაქის რეგისტრაციის მონაცემების დაკავშირება ახალ მისამართებთან (საველე სამუშაოების წარმოება - ფორმირებული მობილური ჯგუფების მიერ თითოეულ მისამართზე რეგისტრირებულ პირთა იდენტიფიცირება, მისამართების გადატანა სააგენტოს საინფორმაციო სისტემაში);

სამოქალაქო აქტების დიგიტალიზაცია; ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის დანერგვა, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემისა და სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის პროცესების უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით; მონაცემთა ხარისხის მართვის სისტემის შემუშავება, საქმისწარმოების ერთიანი სისტემის დანერგვა; მისი საშუალებით შესაძლებელი იქნება, პროაქტიულად გამოვლინდეს მონაცემთა ბაზაში არსებული შეცდომები, განხორციელდეს მონიტორინგი დოკუმენტების გაცემის საქმისწარმოების პროცესებზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასწორი ან არაზუსტი მონაცემებით დოკუმენტების გაცემა;

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის შესაძლებლობათა განვითარების მიზნით, კომისიის ანალიტიკური და ადმინისტრაციული მხარდაჭერა, ეროვნულ დონეზე მიგრაციის სფეროში წარმოებული პროექტების საკოორდინაციო მექანიზმის დახვეწა, 2018 – 2020 წ.წ. სამოქმედო გეგმის შემუშავება, ლეგალური მიგრაციის გზამკვლევის განახლება.

**ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება**

სამართლებრივი აქტების „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე გამოქვეყნება და სისტემატიზაცია, საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება;

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულების განხორციელება და შემდგომ ანგარიშგებასთან დაკავშირებული ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის ქართულ ენაზე და საქართველოს კანონმდებლობის/კანონპროექტების ინგლისურ ენაზე თარგმნა; „SDL Trados Studio“-ს სერვერზე ახალი ტერმინების დამუშავება და განახლება; იურიდიული ტერმინოლოგიური ლექსიკონის გამოცემა; დაინტერესებული პირებისა თუ მიზნობრივი ჯგუფების პროფესიული საქმიანობისა და საინფორმაციო მიზნებისათვის სხვადასხვა ნორმატიული აქტების, წიგნებისა და იურიდიული ლიტერატურის ბეჭდური ვერსიების გამოცემა.

**სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა**

უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების და სამისამართო რეესტრების, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (პარტიების) რეესტრისა და მუნიციპალიტეტების რეესტრის ფორმირება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;

ეროვნული სივრცითი მონაცემების ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება (მონაცემების გახსნილი, დეცენტრალიზებული, მაგრამ, ამავე დროს, კოორდინირებული მართვა, რომელიც ორიენტირებულია მრავალფუნქციურ მოხმარებასა და გაზიარებაზე);

საქართველოს ეროვნული გეოდეზიური საფუძვლების შექმნისა და განახლების მიზნით, ეროვნული გეოდეზიური გეგმური და სიმაღლური საფუძვლის შექმნა-განახლება, საქართველოს ტერიტორიის აქტუალური რეგიონების ციფრული აეროფოტოგადაღება და ციფრული ორთოფოტოგეგმების დამზადება, ციფრული კარტოგრაფიული მასალისა და ტოპოგრაფიული რუკების შექმნა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკადასტრო აზომვები და დარეგისტრირებული ფართობების მონიტორინგი, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე ტერიტორიის ქართულენოვანი ციფრული ტოპოგრაფიული რუკების შექმნა;

უძრავ ქონებაზე ძველი სარეგისტრაციო მასალების, ასევე, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული იურიდიული პირების სარეგისტრაციო მასალების დამუშავება, ბაზებში არსებული არაზუსტი მონაცემების შესწორება და ციფრულ მატარებლებზე გადატანა; მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა დიგიტალიზებული საარქივო დოკუმენტაციის განთავსება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა;

IT ინფრასტრუქტურის სრულყოფა, არსებული ელექტრონული სერვისების უწყვეტად და სწრაფად მიწოდება, სამომავლო მზარდი დატვირთვებისთვის ინფრასტრუქტურის გაფართოება.

**სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა**

სააღსრულებო და არასააღსრულებო (გამარტივებული წარმოების, გადახდისუუნარობის საქმისწარმოების, სესხის მონიტორინგისა და ფაქტების კონსტატაციის) მომსახურების გაწევის პროცესში მხარეებს შორის ბალანსის მაქსიმალური დაცვით უზრუნველყოფა, მხარეთა კანონიერი ინტერესების რეალიზება;

სააღსრულებო მომსახურების (უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის აღსრულება, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა, სარჩელის უზრუნველყოფა და ა.შ.), გამარტივებული წარმოებისა და მოვალეთა რეესტრის წარმოების პროგრამულ უზუნველყოფათა დახვეწა და გაუმჯობესება; არსებული მონაცემთა ბაზების ეფექტური გამოყენება და მართვა;

ახალი სერვისის – სესხების მონიტორინგი დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებაში ვალდებულების შესრულების კულტურის განმტკიცებას, სააღსრულებო სისტემის და აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას, საინფორმაციო რგოლების მომზადება-გავრცელება, საინფორმაციო შეხვედრები მოწყვლად ჯგუფებთან და სხვა;

სააღსრულებო საქმიანობის ეფექტურად წარმართვის მიზნით, აღსრულების პოლიციის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, დაყადაღებული ავტომობილებისა და ნივთების სათანადო პირობებში განთავსების მიზნით ქ. ბათუმში, ქ. ქუთაისში, ქ. ზუგდიდსა და ქ. თელავში საწყობების და ავტოსადგომების მოწყობა და აღჭურვა.

*საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება*

პენიტენციური სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან მიახლოების მიზნით შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

ურთიერთობების კოორდინაცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, თანამშრომლობის ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმება;

პენიტენციური დაწესებულებების ინფრასტრუქტურის სრულყოფა და შესაბამისი მანქანა/დანადგარებითა და ინვენტარით აღჭურვა;

მსჯავრდებულ/ბრალდებულთა საცხოვრებელი და ყოფითი პირობებისა გაუმჯობესება, რბილი ინვენტარის განახლება და პირადი ჰიგიენისათვის საჭირო საშუალებების შეძენა;

პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით. ამასთანავე, პენიტენციური ჯანდაცვის სტანდარტის შესაბამისად პრევენციული და პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება ჰიგიენის, გადამდები დაავადებების კონტროლის და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის კუთხით;

პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფთათვის განათლების მიღების ხელშეწყობა - სახელობო და პროფესიული სწავლების პროგრამების განსაზღვრით.
ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით მათი დასაქმების უზრუნველყოფის ხელშეწყობა და საწარმოო ზონების შექმნა;

პენიტენციურ სისტემაში მყოფ ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამართლებრივი გარანტიების გაძლიერება - პატიმრობის კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების პროცედურების ხელმისაწვდომობის შენარჩუნებით და ცნობიერების ამაღლებით.

*სრულყოფილი პრობაციის სისტემა*

სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება;

სარეაბილიტაციო პროგრამების განხორციელება და მათში პრობაციონერების ჩართულობა;

არასრულწლოვანთათვის სასჯელის სახედ შინა პატიმრობასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებების გატარების ხელშეწყობა.

*სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება*

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის პერსონალის პროფესიული მომზადება-გადამზადების გზით ქვეყანაში სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მიმდინარე რეფორმების, სასჯელაღსრულების სისტემაში ევროპის საბჭოსა და გაეროს სტანდარტების მოთხოვნათა დანერგვისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა;

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა;

სისტემაში მისაღები და მომუშავე კადრების ტესტირების ინსტიტუტის დანერგვა და მისი ჩატარება მოთხოვნილებისამებრ, სისტემაში კვალიფიციური კადრების მიღებისა და ადგილზე მათი ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა;

მოქმედი სასწავლო პროგრამების განახლება და ახალი პროგრამების მომზადება ადგილობრივი რესურსებისა და საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, სწავლების ხარისხის სისტემატური გაუმჯობესების უზრუნველყოფა.

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

*საგარეო პოლიტიკის განხორციელება*

საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა; საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართულობით კონფლიქტის ესკალაციის პრევენცია და მშვიდობიანი გზით ქვეყნის დეოკუპაციის პოლიტიკის განხორციელება;

საქართველოს ოკუპირებული რეგიონების ე.წ. დამოუკიდებლობის არაღიარების პოლიტიკის განმტკიცება;

საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის უზრუნველყოფა;

იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების ხელშეწყობა;

ომითა და საოკუპაციო ხაზებით გაყოფილ მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და ურთიერთობების გაღრმავების ხელშეწყობა;

ევროკავშირთან საქართველოს პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაცია

ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება და საქართველოს საგარეო პოლიტიკური მიზნების მიმართ მათი მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

აშშ–თან სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიით გათვალისწინებული პროექტების განხორციელება და აშშ-ს როლის გაძლიერება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერის პროცესში;

საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო) ფარგლებში საქართველოსთან დაკავშირებული თემების შენარჩუნება და აქტუალიზაცია.რუსეთის ფედერაციასთან დაძაბული ურთიერთობების დეესკალაცია;

ცენტრალური აზიის რეგიონის ქვეყნებთან ორმხრივ და რეგიონულ დონეზე თანამშრომლობის განვითარება და გაღრმავება;

ქართული პროდუქციისთვის ახალი ბაზრების მოძიების ხელშეწყობა, ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციების მოზიდვის, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და სტიმულირება; სატრანსპორტო და ენერგეტიკულ სფეროებში მრავალმხრივი თანამშრომლობა და ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარება; საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ბიზნეს-სუბიექტების მიერ საზღვარგარეთ უკანონო კავშირების და საქმიანობის პრევენცია; ასევე, საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უცხო ქვეყნების ბიზნეს-სუბიექტების მიერ უკანონო საქმიანობისა და კონტაქტების დამყარების პრევენცია; შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (BSEC) ფორმატში რეგიონული და რეგიონთაშორისი თანამშრომლობის გაძლიერება და კონკრეტული პროექტების განხორციელება;საერთაშორისო რეიტინგების გაუმჯობესება. საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა ეფექტური მომსახურება და კრიზისულ სიტუაციებში შესაბამისი დახმარების გაწევა, მათი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის კუთხით მუშობის გაუმჯობესება;

საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა და იურიდიულ პირთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;

საზღვარგარეთ ქართული კულტურისა და ინტელექტუალური პოტენციალის წარმოჩენის ხელშეწყობა; უცხოეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა, მათთვის შეღავათანი პირობების შექმნა და სოციალური უსაფრთხოების დონის ამაღლება.

***მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში***

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა და სხვა უწყებების საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში დასაქმებულ საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება;

სასწავლო ცენტრის სრულყოფა (თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება, ახალი პროგრამების შემუშავება და არსებული პროგრამების დახვეწა);

მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება მსოფლიოს წამყვან დიპლომატიურ სკოლებთან, აკადემიებთან და ადგილობრივ პარტნიორებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით;

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისათვის ბიბლიოთეკის გამდიდრება;

*თავდაცვის მართვა და შესაძლებლობები*

ეროვნული უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნის უზრუნველყოფა შესაძლო სამხედრო აგრესიის შესაკავებლად და რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში მონაწილეობის მისაღებად;

საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეებიდან და გამოწვევებიდან გამომდინარე და ეროვნული სამხედრო სტრატეგიით განსაზღვრული სამხედრო მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, შეიარაღებული ძალების არსებული შესაძლებლობების შენარჩუნება და ამავე დროს, შეიარაღებული ძალების თანამედროვე სამხედრო და სპეციალური აღჭურვილობით, შეიარაღებითა და ტექნიკით უზრუნველყოფა საბრძოლო, საბრძოლო მხარდაჭერის და ლოგისტიკური უზრუნველყოფის ქვედანაყოფების შესაძლებლობების განვითარების მიზნით;

სტრატეგიულ დონეზე საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის მიერ განსაზღვრული ქვეყნის შიდა და გარე პოლიტიკის მხარდასაჭერად და თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა მიმართულებების პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიული მართვის ღონისძიებების დაგეგმვა;

თავდაცვის სამინისტროს დიპლომატიური (სამოქალაქო და სამხედრო) წარმომადგენლების მხარდაჭერა, თავდაცვისა და უსაფრთხოების კონფერენციის ორგანიზება, შეიარაღების კონტროლის და ვერიფიკაციის ღონისძიებების განხორციელება ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით;

ეუთოსთან თანამშრომლობის ფარგლებში „ვენის 2011 წლის დოკუმენტის“, „ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ“ და „ღია ცის“ ხელშეკრულებებით განსაზღვრული ღონისძიებების/ინსპექციების შესრულება.

**წვრთნა და სამხედრო განათლება**

თანამედროვე შეიარაღებული ძალების ჩამოყალიბების მიზნით სამხედრო მოსამსახურეების წვრთნისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება.

მაღალკვალიფიციური პირადი შემადგენლობის ჩამოყალიბების მიზნით რეალურ საბრძოლო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებული წვრთნა და თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებით მომზადება;

კადეტების ზოგადი განათლების და დაწყებითი სამხედრო მომზადების უზრუნველყოფა. ყოველწლიურად მათი საცხოვრებელი პირობებით, მკურნალობით, კვებით, უნიფორმითა და სასწავლო ინვენტარით უზრუნველყოფა;

აკადემიური განათლების უზრუნველყოფა, ეფექტიანი საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, უცხოეთის სამხედრო და სამოქალაქო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და მსმენელების/იუნკერების,

პროფესორ-მასწავლებლების/ინსტრუქტორების საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლება, პარტნიორი ქვეყნებიდან ინსტრუქტორების მოწვევა; ასევე სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;

სამხედრო სწავლებების, სასწავლო კურსების, სიმულაციური საშუალებების განვითარება, სამხედრო განათლებისა და დაწყებითი სამხედრო მომზადების, ასევე სპეციალიზაციის კურსების უზრუნველყოფა.

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების პერსონალისა და მათი ოჯახის წევრების, დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრების, ასევე, სამოქალაქო პირებისათვის სოციალური და სამედიცინო დახმარების აღმოჩენა: მათ შორის ამბულატორული, სტაციონარული მკურნალობა, სამედიცინო რეაბილიტაცია და დისპანსერიზაცია;

შეიარაღებული ძალებისათვის ხელმისაწვდომი, ხარისხიანი და მრავალპროფილიანი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა, სოციალური მხარდაჭერა;

საქართველოს შეიარაღებული ძალების საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეთა მეორე და მომდევნო კონტრაქტის და სამედიცინო კომისიის დასკვნის შედეგად გაცემული ერთჯერადი ფინანსური დახმარებებით, ასვე დაღუპულ მოსამსახურეთა ოჯახებზე, დაჭრილ და დაშავებულ სამხედრო მოსამსახურეებზე გასაცემი ფულადი დახმარებებით უზრუნველყოფა;

სამხედრო მოსამსახურეების, სამოქალაქო პირებისა და მათი ოჯახის წევრების ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა;

მოძველებული სამედიცინო აღჭურვილობის ჩანაცვლება-განახლება, საევაკუაციო ტრანსპორტის განვითარება და საჭირო სამედიცინო მარაგების შევსება.

**მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობის და კომპიუტერული სისტემები**

საქართველოს შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლისათვის კომუნიკაციებისა და საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემების გამართული ფუნქციონირება;

მონაცემებისა და ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვა კიბერ და საკომუნიკაციო უსაფრთხოების სისტემების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მოწინააღმდეგის მხრიდან საზიანო ქმედებების თავიდან აცილებას, უარყოფითი შედეგების შემცირებას და ყველა ელემენტის ფუნქციონირების უმოკლეს ვადებში აღდგენას;

მონაცემთა და ინფორმაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფა თავდაცვის სფეროში და თანამშრომლობა სხვა შესაბამის უწყებებთან;

თავდაცვითი ოპერაციების ერთიანობისა და უწყვეტობის შენარჩუნების მიზნით ქვედანაყოფების მობილური და სტაციონარული მართვისა და კონტროლის სისტემის დახვეწა.

**ინფრასტრუქტურის განვითარება**

სამხედრო ბაზების, წვრთნების და სწავლებების უზრუნველყოფის ინფრასტრუქტურის, საინჟინრო ნაგებობისა და კომუნიკაციების რეაბილიტაცია და განვითარება.

კვების სისტემის გამართვა, მათ შორის, შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის, წყალმომარაგების სისტემის განვითარების, სასადილო ინვენტარით აღჭურვის და საველე სასადილოების და სამზარეულო კონტეინერების უზრუნველყოფა.

**საერთაშორისო ოპერაციები**

არსებული მექანიზმების საშუალებით ალიანსის წინაშე აღებული ვალდებულებების წარმატებით შესრულება და საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ნატოს ეგიდით წარმოებულ მტკიცე მხარდაჭერის მისიასა (RSM) და ნატოს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF) მონაწილეობა;

ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგისა და ევროკავშირის ერთიანი უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში აქტიური თანამშრომლობა და ევროკავშირის ეგიდით წარმოებულ მისიებში (ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა - EUMAM RCA და უკრაინაში - EUAM UKR) მონაწილეობა.

**სამხედრო მრეწველობის განვითარება**

ენერგოუსაფრთხოების სფეროში სამეცნიერო ტექნიკური სამუშაოების გაღრმავება, საწარმოო ბაზის განახლება და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, შეიარაღებულ ძალებში არსებული შეიარაღების და ტექნიკური საშუალებების მოდერნიზება და აღდგენა;

მრეწველობის და მათ შორის, მანქანათმშენებლობის რიგი დარგების განვითარება, ახალი ტექნოლოგიური პროცესების კვლევა და ოპტიმიზაცია;

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებისა და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის განვითარების მიზნით, თავდაცვის სფეროში სამეცნიერო-კვლევების განხორციელება;

საწარმოო სიმძლავრეების გაზრდა–მშენებლობა და ექსპერიმენტალური მოდელების შექმნა შემდგომში ექსპორტის გაზრდის მიზნით.

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

***საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება***

პრევენციული და საგამოძიებო ფუნქციების გაძლიერება;

დანაშაულის პრევენცია, დანაშულზე სწრაფი რეაგირება, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და მართლწესრიგის უზრუნველყოფა;

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება, ასევე ორგანიზებულ დანაშაულზე სამართლებრივი და საზოგადოებრივი რეაგირების გააქტიურების ხელშეწყობა;

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზოლში, სასაზღვრო ზონაში, საქართველოს საზღვაო სივრცესა და საქართველოს იურისდიქციას დაქვემდებარებულ გემებზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კანონსაწინააღმდეგო ქმედებათა პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა;

საქართველოს მთელს ტერიტორიაზე მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად სამაშველო ოპერაციების განხორციელება ადამიანთა სიცოცხლისა და ქონების გადარჩენის მიზნით;

საქართველოს საზღვაო სივრცეში მისი სუვერენული უფლებების დაცვა;

ზღვაოსნობისა და ნაოსნობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნაოსნობის წესების დაცვის კონტროლი.

***ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საპატრიარქოს დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება***

დასაცავი ობიექტების დაცვის ხარისხის ამაღლება;

ციფრული კავშირგაბმულობისა და ობიექტების თანამედროვე დაცვითი საგანგაშო სიგნალიზაციის სისტემებით აღჭურვა.

***სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიციფიური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება***

სამაგისტრო, საბაკალვრო, სპეციალური პროფესიული და სპეციალური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

საშუალო რგოლის კვალიფიციური და პროფესიონალი საპოლიციო კადრების მომზადება და გადამზადება;

და საარქივო საქმიანობა;საქმიანობის უზრუნველყოფა;

საშუალო რგოლის კვალიფიციური და პროფესიონალი საპოლიციო კადრების მომზადება და გადამზადება;

შსს არქივში განთავსებული საქართველოს უახლესი ისტორიის ამსახველი უმნიშვნელოვანესი მასალების დაცვა, როგორც მომავალი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის, ასევე პიროვნებების იდენტიფიცირებისა თუ მნიშვნელოვანი მოვლენების აღდგენის თვალსაზრისით.თვალსაზრისით.

***შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა***

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ფიზიკური განვითარების შენარჩუნება და განმტკიცება, ასევე ასევე სამინისტროს თანამშრომელთა ოჯახის წევრების სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა.

სამედიცინო ქვედანაყოფების მაღალი საბრძოლო და სამობილიზაციო მზადყოფნის უზრუნველყოფა;

საჭიროების შემთვევაში დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ევაკუაციის ორგანიზება, სანიტარული დანაკარგის მინიმუმამდე დაყვანის მიზნით;

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძებათა კონტროლი.

*სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა*

სახელმწიფო რეზერვების მატერიალურ ფასეულობათა ოპერაციების წარმოება;

სახელმწიფო რეზერვში ჩასაწყობ მატერიალურ ფასეულობათა ახალი ნომენკლატურის შემუშავება და დადგენილი წესით მისი დამტკიცება;

სახელმწიფო რეზერვში რიცხულ მატერიალურ მარაგებზე მონიტორინგის და სისტემატური კონტროლის განხორციელება.

*სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება*

ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით, საგანგებო სიტუაციების მართვის ერთიანი სისტემის დახვეწა;

საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მასზე მზადყოფნის, რეაგირებისა და მიყენებული ზიანის აღმოფხვრისათვის საჭირო სამუშაოების უზრუნველყოფის მიზნით საქმიანობის ორგანიზება;

სამოქალაქო უსაფრთხოების ამოცანების გადასაწყვეტად სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელების კოორდინირება;

„სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კანონქვემდებარე აქტების ეტაპობრივი შემუშავება და მიღება;

ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია, სახანძრო-სამაშველო სპეციალური ავტოტრანსპორტისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება/მოდერნიზაცია.

*სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა*

სააგენტოს მიერ მიწოდებული სერვისების მუდმივ რეჟიმში დახვეწა და სააგენტოს მიმართ ნდობის ხარისხის ამაღლება;

სააგენტოს მიერ უფრო მეტად სწრაფი, მოქნილი და თითოეული მოქალაქის ინტერესზე მორგებული მომსახურების უზრუნველყოფა.

*საგანგებო და გადაუდებელი დახმარების ეფექტური სისტემის ფუნქციონირება*

საქმიანობის სფეროში შემავალი საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევათა შესახებ შეტყობინებების მიღების, დამუშავების და მათზე

რეაგირებისთვის შესაბამისი სუბიექტებისთვის ინფორმაციის დროული მიწოდების, საგანგებო სიტუაციებისა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის სხვა შემთხვევათა მართვის შესახებ უფლებამოსილ სუბიექტებთან კოორდინირებული მუშაობის, საგანგებო სიტუაციებსა და გადაუდებელი დახმარების აუცილებლობის შემთხვევებზე რეაგირების განმახორციელებელი უფლებამოსილი სუბიექტების დანიშნულების ადგილას მისვლამდე თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოქალაქეთათვის შესაბამისი კონსულტაციების გაწევის და აუცილებელი პირველადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და შესაბამისი ინოვაციების დანერგვა.

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

### განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა

განათლებისა და მეცნიერების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, ამ სფეროში არსებული ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

საქართველოს ყველა მოქალაქისათვის განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფა;

ადრეული და სკოლამდელი განათლების სისტემის შექმნა და განვითარება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სისტემების სრულყოფა, მეცნიერების განვითარებისა და სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის განხორციელება;

საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ჰარმონიზაცია, საზოგადოების თითოეულ წევრთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად განათლების ხარისხზე ზრუნვა, მისი მუდმივი გაუმჯობესება და ქართული საგანმანათლებლო სივრცის მიმართ ადგილობრივი და საერთაშორისო საზოგადოების ნდობის ამაღლება;

ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების სისტემის სრულყოფა და მისი მუშაობის უზრუნველყოფა;

ეროვნული სასწავლო გეგმის ხელშეწყობის მიზნით I-VI და VII-XII კლასის სასკოლო სახელმძღვანელოების გრიფირება;

საგანმანათლებლო დაწესებულებების განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების სრულყოფა;

ქართული საგანმანათლებლო სივრცის ინტეგრაციის ხელშეწყობა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში და ბოლონიის პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფა;

შრომის ბაზრის კვლევებით იდენტიფიცირებული პროფესიებისათვის პროფესიული სტანდარტების შემუშავება და არსებული პროფესიული სტანდარტების გადახედვა განახლებული მეთოდოლოგიის და საერთაშრისო გამოცდილების საფუძველზე ;

პროფესიული განათლების სფეროში დისტანციური სწავლების კონცეფციის მომზადება და პილოტირება;

დამსაქმებლებთან თანამშრომლობით ჩარჩო-პროგრამების შემუშავება;

ახალი მონაცემთა ცენტრის (Data Center) ამოქმედება;

საჯარო სკოლებში საკლასო ოთახებსა და კლას-კაბინეტებში ლოკალური ქსელის მოწყობის ორგანიზება;

საჯარო სკოლების VoIP სატელეფონო კავშირით უზრუნველყოფა;

გამოცდების/კონკურსების ორგანიზება - ტექნიკური მხარდაჭერა და მონიტორინგი;

ინფორმაციული უსაფრთოების მართვის სისტემის დანერგვა;

ზოგად განათლებაში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკის (ICT Policy) დოკუმენტის შემუშავება;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემის (eSchool) განვითარება - არსებული მოდულების დახვეწა, ახალი მოდულების დეველოპმენტისა და მათი სისტემაში ინტეგრაციის უზრუნველყოფა;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ელექტრონული ჟურნალის დანერგვის ორგანიზება;

პროფესიული საგანმანათლებლო დაწებულებების მართვის საინფორმაციო სისტემის (eVET) მოდიფიცირება ახალი საჭიროებების/მოდულური სწავლების შესაბამისად;

eUNI - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის საინფორმაციო სისტემის შემუშავება;

მასწავლებელთა შეფასების ელექტრონული სისტემის განვითარება და დანერგვის ხელშეწყობა;

სამართლებრივი რეგულაციების შესაბამისად, პირველკლასელთა ელექტრონული რეგისტრაციის სისტემისა და რესურსების მოდიფიცირება;

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზების განვითარება;

განათლების მართვის პროცესების ინფორმაციული უზრუნველყოფა;

მართვის სისტემის მიერ შემუშავებული ელექტრონული პროდუქტების დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ერთეულებისათვის  თემატური ტრენინგების უზრუნველყოფა;

**ზოგადი განათლება**

ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის;

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ჩართვა, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს, სრულად განახორციელონ მათთვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები;

მასწავლებელთა კვალიფიკაციის დონის ამაღლება და მათი ხელფასების ეტაპობრივი ზრდა.

ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბება, სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და მართვა;

საჯარო სკოლის ყველა კლასის მოსწავლ ეებისათვის და კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახების, აგრეთვე კანონმდებლობით დადგენილი სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;

სკოლებში იმ მოსწავლეების ტრანსპორტირების პროცესის ხელშეწყობა, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტებში (სოფელი, დაბა) სადაც არ ფუნქციონირებს სკოლები და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია, ასევე აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები.

ეთნიკურად არაქართველი მოსწავლეებისათვის ქართული ენის სწავლების ხელშეწყობა;

საერთაშორისო ასპარეზზე ქართველი ახალგაზრდების კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება;

ქცევითი და ემოციური პრობლემების მქონე სკოლის მოსწავლეებისა და მათი ოჯახის წევრების კვალიფიციური ფსიქო-სოციალური მომსახურებით უზრუნველყოფა;

საჯარო სკოლებში პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით, მოსწავლეთათვის შესაბამისი სასწავლო სესიების (გაკვეთილების), ექსკურსიებისა და გაფართოებული შეხვედრების ჩატარება, მათი  შესაძლებლობებისა და უნარების გამოვლენის გზით;

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრა და დისციპლინის გაუმჯობესება;

საქართველოს საჯარო სკოლების ინტერნეტ კავშირით უზრუნველყოფა.

**პროფესიული განათლება**

მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნილების დაკმაყოფილება, პირის პროფესიული განვითარების და პროფესიული კარიერის ხელშეწყობა;

პროფესიული განათლებისა და მომზადების ერთიანი, ხარისხიანი და ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება;

პროფესიული განათლების განვითარების 2013–2020 წლების  სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელება;

პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა;

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა სახელმწიფო ენის ცოდნის დონისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ადგილობრივი თვითმმართველობებისა და საჯარო სკოლების ადმინისტრაციების თანამშრომელთა გადამზადება;

**უმაღლესი განათლება**

ერთიანი ეროვნული გამოცდების და საერთო სამაგისტრო გამოცდების ხელშეწყობა;

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ საქართველოსა და უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსების უზრუნველყოფა;

წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიით უზრუნველყოფა;

უცხო ქვეყნის მოქალაქეთათვის სწავლების ხელშეწყობით საერთაშორისო კავშირების განმტკიცება, განათლების სფეროში თანამშრომლობის ხელშეწყობა;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

**მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა**

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინტელექტუალური და მატერიალური პოტენციალის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

აკადემიური პერსონალის მობილობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის, ასევე  მეცნიერთა და ახალგაზრდა მკვლევართა საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისება;

სამეცნიერო გრანტების დაფინანსებით ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო ტექნოლოგიური კვლევების განხორციელების ხელშეწყობა;

მაგისტრანტთა სასწავლო-კვლევითი პროექტების და დოქტურანტურის საგანმანათლებლო პროგრამის საგრანტო დაფინანსება;

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობა;

სამეცნიერო კვლევების მართვის ოპტიმალური სქემის შემუშავება;

სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის განსხვავებული ფორმების ამოქმედება;

საინოვაციო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა.

**ინკლუზიური განათლება**

საჯარო სკოლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა;

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მასწავლებლების, სპეციალურ მასწავალებლების, მშობლებისა და სხვა სპეციალისტებისათვის სისტემური ტრენინგებით უზრუნველყოფა;

საჯარო სკოლების მოსწავლეების, სტუდენტებისა და სოციალურად დაუცველი, მზრუნველობამოკლებული, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე, დევნილი, რეპატრირებული და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოზარდების ინტეგრაციისა და სოციალიზაციის ხელშეწყობა, აგრეთვე სათემო აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების გზით მათში საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვის სურვილის გაღვიძება;

ინკლუზიური განათლების მულტიდისციპლინური გუნდის სპეციალისტების მიერ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების შეფასება; საჯარო სკოლებისათვის დახმარებისა და კონსულტაციების გაწევა ინდივიდუალური სასწავლო გეგმებით მუშაობასთან დაკავშირებით;

სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის განხორციელება ე.წ. ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვებისთვის, საზაფხულო ბანაკის მოწყობა მიუსაფარი ბავშვებისთვის, ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი ახალგაზრდებისთვის, ხელმისაწვდომი და უწყვეტი განათლების უზრუნველყოფისთვის საგანმანათლებლო მოდელის განსაზღვრა;

სპეციალური საგანმანათლებლო დაწესებულებების ბენეფიციარების უზრუნველყოფა სრული სახელმწიფო სადღეღამისო ან დღის მომსახურებით, სადაც ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მოხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბენეფიციართა განვითარებაზე ზრუნვა.

**საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება**

საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა;

საჯარო სკოლების პირველკლასელი მოსწავლეების და მათი დამრიგებლების უზრუნველყოფა პერსონალური კომპიუტერებით („ნეთბუქებით“), ხოლო წარჩინებული ახალგაზრდების დაჯილდოება კომპიუტერული ტექნიკით;

სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების მშენებლობა - რეაბილიტაცია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგება.

**ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს**

ზოგადი განათლების ხარისხის განვითარების მიზნით საქართველოს რეგიონებში საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურის და სასწავლო გარემოს გაუმჯობესება;

სკოლის მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების ტრენინგების და საკლასო, ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების განხორციელება;

საკლასო, ეროვნული და საერთაშორისო შეფასებების განხორციელება;

ადგილობრივი ეკონომიკისათვის რელევანტური, ბაზრის მოთხოვნების შესაფერისი, პროფესიული განათლების ხელშეწყობა;

მაღალი ხარისხის საერთაშორისო სტანდარტის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება მეცნიერების, ტექნოლოგიების, საინჟინრო და მათემატიკის დარგში;

**თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგო ეფექტურობის გაზრდის პროექტი (CEB, E5P)**

თბილისის 25 საჯარო სკოლის რეაბილიტაციის, რეკონსტრუქციის  და ენერგოეფექტურობის გაზრდა.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში, ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის ჩამოყალიბების პროექტი (Unicredit Bank)**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში არსებული ენერგეტიკის და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე, ჰიდრავლიკის და ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის (შემდგომში პროექტი) ჩამოყალიბება.

## საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

### კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა

კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია, მათ შორის სამუზეუმო სფეროში;

„კულტურის სტრატეგია - 2025“ დოკუმენტით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმის შემუშავება;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს საინვესტიციო სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება;

კულტურულ ღირებულებათა დაცვის, მათი შესწავლის და პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

ქვეყანაში კულტურის პოლიტიკის ადაპტაცია და ჰარმონიზაცია ანალოგიურ საერთაშორისო პრაქტიკასთან.

### ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ

ქართული ხელოვნების განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ, ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებისადმი მოქალაქეთა შეუზღუდავი, თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ქართული კულტურის პოლიტიკის გრძელვადიანი სტრატეგიის სამოქმედო გეგმის  შემუშავება;

საქართველოში შემოქმედებითი პოტენციალის და სახელოვნებო სფეროების განვითარების ხელშეწყობა;

ევროკავშირის წევრ და სხვა პარტნიორ ქვეყნებთან, საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების გაღრმავება, ფონდებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

საერთაშორისო, თეატრალური, მუსიკალური, კინო და ლიტერატურული ფესტივალების მოწყობა/ ხელშეწყობა;

გამოფენების, კონკურსების, გამოცემების, ახალი დადგმების, გასტროლების და საიუბილეო ღონისძიებების მოწყობა/ ხელშეწყობა;

### სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა

სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სასწავლებლებში სასწავლო პროცესის, სასწავლო პროგრამებისა და გეგმების დახვეწა-სრულყოფა, პედაგოგების კვალიფიკაციის ამაღლება, სტუდენტთა და მოსწავლეთა ზრდა-დაოსტატების ხელშეწყობა;

საქართველოს სახელოვნებო საგანმანათლებლო სისტემის საერთაშორისო სახელოვნებო საგანმანათლებლო სისტემასთან ჰარმონიზაცია და მისი ინტეგრირება საერთაშორისო სახელოვნებო საგანმანათლებლო სისტემაში;

სხვა ქვეყნების სახელოვნებო საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან თანამშრომლობა, მასტერკლასებსა და კონკურს-ფესტივალებში მონაწილეობის მხარდაჭერა;

## კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა

ქვეყნის სამუზეუმო სისტემის საერთაშორისო სამუზეუმო სივრცეში ინტეგრაცია, მისი თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოვება და არსებული პრობლემური ასპექტების მოწესრიგება

მუზეუმების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა: ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის დაცვისთვის პრევენციული ზომების მიღება, მუზეუმების პოპულარიზაციისთვის შესაბამისი ღონისძიებების გატარება, მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობისა და შემოსავლების გაზრდის მიზნით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მართვის სისტემის ჩამოყალიბება;

„კულტურის სტრატეგია - 2025“ დოკუმენტის ფარგლებში შემუშავებული სამოქმედო გეგმების განხორციელება;

საერთაშორისო კონვენციებით და UNESCO-ს აღებული ვალდებულებების შესრულება; ეს ერთი და იგივე ხომ არ არის?

ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩენა, უნარშეზღუდულ პირთა ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში ინტეგრირება;

საქართველოს არქიტექტურული კომპლექსების კულტურული მემკვიდრეობის ცალკეული ნიმუშების დაცვა და საერთაშორისო და ორმხრივი ურთიერთობების წარმართვა-განვითარება კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, გამოცდილების გაზიარებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით;

მენეჯმენტის გეგმის მომზადება მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისათვის;

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების/ძეგლების ინვენტარიზაცია, დაცვისა და სისტემატიზაციის მექანიზმების შემუშავება;

UNESCO-ს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის“ კონვენციასთან კანონმდებლობის ჰარმონიზაციისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ერთიანი საინფორმაციო სისტემის/სივრცის შექმნის მიზნით, კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი ბაზის შევსება;

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოების აღკვეთა, კულტურული ტურიზმის განვითარებისა და მისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნისათვის ხელშეწყობა.

## საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

### იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა

იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სათანადო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, კოორდინაცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან და ორგანიზაციებთან, ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებელი სახლების შეძენა, ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა დროებითი საცხოვრებლით უზრუნველყოფა და შენახვა, საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა სარეინტეგრაციო დახმარება;

„ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-იდან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის“ განხორციელება; არაკონტროლირებად ტერიტორიებზე ქონების კანონიერი მესაკუთრეებისთვის უფლებების აღდგენის მიმართულებით ღონისძიებების გატარება;

ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისთვის ცნობიერების ამაღლება ქართული ენის, კულტურის, ისტორიისა და საქართველოს კანონმდებლობის სფეროში.

### განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება

იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის განახლება და მის შესაბამისად, იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ღონისძიებების განხორციელება, მათთვის საცხოვრებელი ფართის (შეძენა, აშენება, რეაბილიტაცია) კერძო საკუთრებაში გადაცემა;

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, თბილისსა და საქართველოს სხვა რეგიონებში მდებარე შენობების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებთან და ახალი საცხოვრებელი ბინების მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა;

სავალალო მდგომარეობაში მყოფ დევნილთა ჩასახლების ობიექტების შესწავლა და შემდგომში მათი რეაბილიტაცია, დევნილთა, ლტოლვილისა ან ჰუმანიტარული სტატუსების მქონე პირთა რაოდენობის დაზუსტება და ადმინისტრაციული ხარჯების დაფინანსება სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ფულადი დახმარების გაწევა, სამინისტროს მიერ დადგენილი წესით (მ.შ. ფართების დაქირავების მიზნით დევინლთა ოჯახების ყოველთვიური სოციალური დახმარების გაცემა);

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, რეაბილიტირებული და ახალაშენებული შენობების ელექტროენერგიის, გარე საკანალიზაციო, ბუნებრივი აირის და წყლის სისტემების მიერთება და მოწყობა, სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით, დევნილთა საკუთრებაში არსებულ ობიექტებში ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების თანადაფინანსება, სათანადო სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

გრძელვადიანი განსახლებისათვის განსაზღვრულ ობიექტებში (აშენებული, რეაბილიტირებული) დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ღონისძიებების დასრულებამდე, ობიექტების დაცვის მომსახურების შესყიდვა;

**დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა**

დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;

საცხოვრებლით უზრუნველყოფილ დევნილთა სასოფლო სამეურნეო და/ან თვითდასაქმებაზე ორიენტირებული სოციალური პროექტების დაფინანსება;

სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში დევნილთა ჩარიცხვის ხელშეწყობა და ჩარიცხული სოციალურად დაუცველი დევნილების საცხოვრებლით/ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა;

დევნილთა ცნობიერების ამაღლება საარსებო წყაროების შექმნის/გაუმჯობესებისაკენ მიმართული სახელმწიფო პროგრამების შესახებ;

„აგროდაზღვევის“ სახელმწიფო პროგრამაში დევნილთა ჩართულობის უზრუნველყოფა და მათთვის დამატებითი სუბსიდიების შეთავაზება;

## საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

***შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა***

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი;

შრომის, სოციალური და ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;

სოციალური დახმარებების, პენსიებისა და სხვადასხვა ფულადი თუ არაფულადი სახელმწიფო (მ.შ. ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული) ბენეფიტების მიმღებთა გამოვლენა, დადგენა, აღრიცხვა, დახმარების დანიშვნა და გაცემის ორგანიზება;

ქვეყანაში შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკისა და დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარება/განხორციელება;

სამუშაო ადგილზე შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების ზედამხედველობა, შრომის უსაფრთხოების ნორმების დარღვევის პრევენცია;

შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის შესახებ შესაბამისი სტანდარტების შემუშავება/გადასინჯვა;

სამედიცინო საქმიანობის ხარისხის კონტროლი და უსაფრთხოება;

საზოგადოების გარკვეული ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საჭიროებებისათვის გამიზნული პროგრამების შემუშავება, დამტკიცება, განხორციელების კონტროლი და შედეგების მონიტორინგი;

ეპიდსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემუშავება და მათზე ზედამხედველობა;

საექიმო, საექთნო და ფარმაცევტული სპეციალობების ნუსხის განსაზღვრა;

ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგის) და ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების განხორციელება;

საქართველოს ტერიტორიულ ერთეულებში სასწრაფო სამედიცინო დახმარების მართვა.

*მოსახლეობის სოციალური დაცვა*

მოქალაქეთათვის კანონმდებლობით გარანტირებული სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაცია, მიზნობრივი სოციალური ჯგუფების მატერიალური მდგომარეობის შემსუბუქება და შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია, რომელთა უზრუნველყოფაც ხორციელდება პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული, ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით და დამხმარე საშუალებებით;

საპენსიო ასაკის მოსახლეობის პენსიით (ქალები 60 წელი, მამაკაცები 65 წელი) და სპეციფიკური კატეგორიების (ძალოვანი სტრუქტურების, პროკურატურის, სამოქალაქო ავიაციის, პარლამენტის ყოფილი წევრების, უმაღლესი რანგის დიპლომატების და სხვა) სახელმწიფო კომპენსაციით უზრუნველყოფა;

შშმ პირთა (მათ შორის ბავშვთა), ხანდაზმულთა და მზრუნველობას მოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია;

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისათვის საარსებო შემწეობების, მიზნობრივი ჯგუფებისთვის სოციალური პაკეტის, ლტოლვილთა-დევნილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთა შემწეობების, რეინტეგრაციის შემწეობის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის ფულადი ბენეფიტების, ორსულობის და მშობიარობის, ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების გაცემა, ასევე შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმთელობისათვის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერებისათვის/სოციალური პაკეტის მიმღებთათვის  დანამატის დაფინანსება პენსიის/სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. ასევე, სამედიცინო პერსონალის დანამატების დაფინანსება -  ექიმისთვის პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის - პენსიის ერთმაგი ოდენობით. მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერგიის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურება მაღალმთიან დასახლებაში მცხოვრები აბონენტებისთვის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის), მაგრამ არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტ სთ ელექტროენერგიის საფასურისა.

***მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა***

ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე მოსახლეობის ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდა; დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის საფრთხეებისათვის მზადყოფნის და საპასუხო რეაგირების უზრუნველყოფა;

გეგმური ამბულატორიული, გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული, გეგმური ქირურგიული მომსახურება, ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია;  მშობიარობისა და საკეისრო კვეთის სერვისების დაფინანსება. ბენეფიციართა გარკვეული ჯუფების (მაგ.: სოციალურად დაუცველი, საპენსიო ასაკი, ვეტერანები) შესაბამისი მედიკამენტებით უზრუნველყოფა;

მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია; იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, აგრეთვე ისეთი გადამდები დაავადებების, როგორიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ-ინფექცია, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების გავრცელების კონტროლი და C ჰეპატიტის მართვა;

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე მოსახლეობის სპეციალიზებული დახმარებით უზრუნველყოფა; დიაბეტით დაავადებული პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ბავშვთა ონკოჰემატოლოგიური მომსახურება; თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებული პაციენტების დიალიზით, თირკმლის ტრანსპლანტაციითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; ინკურაბელური პაციენტების მკურნალობა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; იშვიათი დაავადებების მქონე პაციენტთა მკურნალობითა და მედიკამენტებით უზრუნველყოფა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების, სამედიცინო ტრანსპორტირებისა და სოფლად ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფა; რეფერალური დახმარების უზრუნველყოფა; სამხედრო ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა სამედიცინო შემოწმება;

საექიმო სპეციალობის მაძიებელთა დიპლომისშემდგომი/სარეზიდენტო მზადების დაფინანსება

მაღალმთიანი და საზღვრისპირა მუნიციპალიტეტებისათვის დეფიციტურ და პრიორიტეტულ საექიმო სპეციალობებში.

*სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა*

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჯანდაცვითი ინფრასტრუქტურის, შენობა-ნაგებობებისა და აღჭურვილობის განახლება, სამედიცინო დაწესებულებებში დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მინიმალური სტანდარტის უზრუნველყოფა;

სამედიცინო დაწესებულებათა მშენებლობა, აღჭურვა და ფუნქციონირების ხელშეწყობა.

*შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა*

შრომის ბაზარზე, შრომის უსაფრთხოების მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესწავლა; შრომის დაცვის ნორმების გაუმჯობესება/სრულყოფა და ამის საფუძველზე, რეკომენდაციების მეშვეობით, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობების გაუმჯობესება;

სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, მათთვის კონსულტაციების გაწევა, მომსახურებების განვითარება, შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საჭიროების მქონე პირთა დასაქმების ხელშემწყობა, შრომის ბაზრის მოთხოვნის პერიოდული კვლევების განხორციელება და სამუშაოს მაძიებელთა დროებით დასაქმების ხელშეწყობა;

ავტორიზებულ-აკრედიტირებულ პროფესიულ სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში რეგისტრირებული სამუშაოს-მაძიებლების მომზადება-გადამზადება;

მონაცემთა შეგროვების მეთოდიკის შემუშავება და დანერგვა;

ინფორმაციის წყაროების გამოვლენა და სრულყოფა დამატებითი კვლევების საფუძველზე; შრომის ბაზრის კომპონენტთა უწყვეტი კვლევა; შრომის ბაზრის მონაცემთა ანალიზის შედეგების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ინფორმაციის გავრცელება;

უსაფრთხო და ჯანსაღი სამუშაო გარემოს შექმნა.

## საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

### ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა

ენერგეტიკის უსაფრთხოების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, სახელმწიფო სტრატეგიისა და სახელმწიფო პროგრამების შესრულების მონიტორინგი და მათი განხორციელების კოორდინაცია;

ელექტროენერგიის დამატებითი, ალტერნატიული და განახლებადი წყაროების მოძიების, ენერგიის შემცველი წყაროების უპირატესი ათვისებისა და ამ კუთხით დარგის სტაბილური განვითარების უზრუნველსაყოფად სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება;

ქვეყნის მდგრადი განვითარებისა და საქართველოს ენერგეტიკის დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;

არსებული წილობრივი განაწილების ხელშეკრულებების შესრულების მონიტორინგი, მოქმედი ინვესტორების საქმიანობის კოორდინაცია, აღნიშნულის ფარგლებში ნავთობისა და გაზის ოპერაციების მონოტორინგი, კომპანიების ყოველწლიური სამუშაო გეგმების და ბიუჯეტების განხილვა, შეთანხმება და შესრულების მონიტორინგი;

ინვესტორებისაგან ყველა სახის ტექნიკური ინფორმაციის მიღება, დამუშავება, სისტემატიზაცია, ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა, ნავთობისა და გაზის ოპერაციების, ნავთობის გადამუშავების, გაზის დამუშავების და ნავთობგაზპროდუქტების ტრანსპორტირების საქმიანობის ერთიანი მარეგულირებელი საფუძვლების შექმნა;

შავი ზღვის შელფის საქართველოს ნაწილზე ნახშირწყალბადების რესურსების ათვისების მიზნით პოტენციური ინვესტორების მოძიება;

საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (იმერეთის, კახეთის, შიდა და ქვემო ქართლის, სამეგრელოს, რაჭის, გურიისა და სამცხე-ჯავახეთის) გაზის გარეშე არსებული სოფლების გაზიფიცირება;

ყაზბეგის მუნიციპალიტეტში და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მიერ მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასურის ანაზღაურება შესაბამის პერიოდებში პროგრამით განსაზღვრული ბენეფიციარებისათვის;

ქარის, მზის და ბიომასის ელექტროსადგურების განვითარება.

**ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება-რეაბილიტაცია;

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ჰესების (ენგურჰესი და ვარდნილჰესების კასკადი) რეაბილიტაცია.

**სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება**

ქვეყანაში არსებული მაღალი და საშუალო ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის მეზობელ ქვეყნებთან არსებული ხაზების;

სისტემის მოძველებული ქვესადგურების თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა და სხვადასხვა სიმძლავრის ახალი ქვესადგურების მშენებლობა;თავისუფალი ინდუსტრიული ზონის განვითარებისათვის შესაბამისი ელექტროგადამცემი ქსელის მოწყობა.

## საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

### *სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა*

ქვეყნის აგრარულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და რეფორმების განხორციელება;

აგრარული სექტორის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და შესაბამისი პროგრამების შემუშავება;

სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განსახორციელებელი ღონისძიებების მართვა და ადმინისტრირება;

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია.

### *სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა*

სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი;

ცხოველთა დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური და იძულებითი ღონისძიებების განხორციელება და ლაბორატორიული კვლევა;

ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;

საკარანტინო და განსაკუთრებით საშიში მავნე ორგანიზმების გავრცელების საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება;

პესტიციდების/აგროქიმიკატების ხარისხის კონტროლი და ვეტერინარული აფთიაქებისა და სამკურნალოების მონიტორინგი;

სურსათის ხარისხისა და უსაფრთხოების მაჩვენებლების, ცხოველთა განსაკუთრებით საშიში დაავადებების, მცენარეთა საკარანტინო და სხვა მავნე ორგანიზმებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების ლაბორატორიული კვლევა.

### *მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება*

ქართული ღვინოპროდუქციის საერთაშორისო და ადგილობრივი დეგუსტაციების, კონკურსების, გამოფენების და პრეს ტურების მოწყობა, რომლის ფარგლებშიც ჩატარდება სხვადასხვა წარმომადგენლობითი და კულტურული ღონისძიებები;

სპეციალიზირებული უცხოური ჟურნალებისათვის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის შესახებ სტატიების მომზადება-გამოქვეყნება;

სარეკლამო რგოლების დამზადება  და  ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით საჭირო სხვა ღონისძებების განხორციელება;

ალკოჰოლიანი სასმელების სასერთიფიკაციო ან/და სერტიფიცირებული პარტიებიდან აღებული ნიმუშების შედარების უზრუნველსაყოფად ლაბორატორიული კვლევის ჩატარება;

მევენახეობის კადასტრის დანერგვა;  ვენახების ფართობების აღრიცხვა;

საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი წიპწების და მერქნის შესწავლის ხელშეწყობა მოლეკულური გენეტიკის და ამპელოგრაფიის მეთოდებით და  თანამონაწილეობა არქეოლოგიურ გათხრებში წიპწების მოპოვების მიზნით;

მევენახეობის სფეროში დასაქმებული ფიზიკური პირების მიერ მიღებული ყურძნის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის მიზნით სუბსიდირების განხორციელება.

***სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება***

აგრარულ სფეროში დასაქმებულთათვის თანამედროვე აგროტექნოლოგიების გამოყენების ცნობიერების დონის ამაღლება;

საქართველოში გავრცელებული სასოფლო-სამეურნეო ცხოველების, ფრინველების, თევზებისა და სამეურნეო-სასარგებლო მწერების ადგილობრივი ჯიშებისა და პოპულაციების მიკროსასელექციო გუნდების შექმნა.

ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურების გენოფონდის მოძიება, აღდგენა, კონსერვაცია, საკოლექციო და სადედე ნარგაობების შექმნა;

ერთწლოვანი კულტურების პირველადი მეთესლეობის განვითარება;

თესლისა და სარგავი მასალის სერთიფიცირების სისტემის დანერგვა საერთაშორისო სტანდარტების შესამაბისად;

ბიოაგროწარმოების დანერგვის ხელშეწყობა;

სურსათის უვნებლობის სფეროში რისკის შეფასება;

ხილისა და ბოსტნეულის შენახვის უნარიანობისა და ნედლად შენახვის ტექნოლოგიების კვლევა-შემუშავება;

საქართველოს ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების მიზნით სხვადასხვა რეგიონების ნიადაგების მდგომარეობის შესწავლა და სათანადო ღონისძიებების გატარება;

*ერთიანი აგროპროექტი*

სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების გადამუშავების და შენახვა-რეალიზაციის რგოლების უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით;

აგროსექტორში დაზღვევის განვითარების ხელშეწყობა;

სანერგე მეურნეობების მოწყობის და მრავალწლიანი კულტურების ბაღების გაშენების ხელშეწყობა;

კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია;

სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება.

*სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები*

მეფუტკრე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საწარმოო საშუალებებით უზრუნველყოფა (ფუტკრის სკები, საწურები და სხვა);

რძის მწარმოებელ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე რძის საწარმოსთვის საჭირო თანამედროვე აღჭურვილობის გადაცემა;

მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე ყურძნის მიღება-გადამუშავებისათვის საჭირო დანადგარებისა და მოწყობილობების გადაცემა;

თაფლის საწარმოს მშენებლობა, აღჭურვა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივზე იჯარით გადაცემა;

კოოპერატივების მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

კოოპერატივებში ქალთა და მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლების ჩართულობის სტიმულირება;

საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა.

*სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა*

წყალსაცავების, სარწყავი და დამშრობი სისტემის რეაბილიტაცია;

სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ტექნიკური ექსპლუატაცია და სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკით უზრუნველყოფა;

სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა და ფერმერების სწავლება;

გრანტების გაცემა პირველადი წარმოებისა და აგრობიზნესის განვითარებისათვის;

მიწის აღდგენითი სამუშაოების განხორციელება.

## საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

### *გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა*

გარემოს დაცვისა და მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა;

ქვეყანაში გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესების მიზნით გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების მომზადება და პროექტების მართვის პროგრამული უზრუნველყოფა;

გარემოზე ზემოქმედების შეფასებას დაქვემდებარებული საქმიანობების ჩამონათვალის სრულყოფა საერთაშორისო ვალდებულებებთან ჰარმონიზების მიზნით; სკრინინგისა და სკოპინგის პროცედურების ეროვნულ კანონმდებლობაში დანერგვა;

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სისტემის დანერგვა; ტრანსსაზღვრო პროცედურების შემოღება; საჯარო ადმინისტრაციული წარმოების პრინციპების შემოღება, ორჰუსის კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად;

გარემოზე ზემოქმედების შეფასების გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში დაგეგმილი საქმიანობების შესწავლა და დასაბუთებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღება;

ევროკავშირის მოთხოვნებისა და საერთაშორისო კონვენციების შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობის შემუშავება ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის, ატმოსფერული ჰაერის დაცვის, წყლის რესურსების მართვის, ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროში:

ნარჩენების, ქიმიური ნივთიერებების, წყლის, ატმოსფერული ჰაერის, ბიომრავალფეროვნების სახელმწიფო მართვა; მიწის დეგრადაციასთან ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვა;

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული ცხოველთა (მათ შორის საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების) აღრიცხვის და მდგომარეობის შეფასების საფუძველზე მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;

წითელი ნუსხის მიღმა დარჩენილი ცხოველთა სახეობების მდგომარეობის შეფასება, სანადირო სახეობებად განსაზღვრისა და რიგ შემთხვევაში დაცვის უფრო ქმედითი ზომების დანერგვა;

გარემოს დაცვის სფეროში საინფორმაციო კამპანიებისა და ღონისძიებების ჩატარება, სახელმწიფო, არასამთავრობო, ბიზნეს და საერთაშორისო სექტორთან თანამშრომლობის გაძლიერება;

დაინტერესებული მხარეებისთვის სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

*გარემოსდაცვითი ზედამხედველობა*

გარემოსდაცვითი სახელმწიფო კონტროლის სისტემის სრულყოფა, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში კანონმდებლობის მოთხოვნათა ჯეროვან შესრულებას, გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენციას, გამოვლენასა და აღკვეთას;

კანონდარღვევათა ეფექტური შემაკავებელი პირობების შექმნა და რეგულირების ობიექტების მიერ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ნებაყოფლობითი შესრულების სათანადო დონის მიღწევა;

ოპერატიულ რეჟიმში მომუშავე თანამშრომელთა გადამზადება-რეკრუტირება.

*დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა*

დაცული ტერიტორიების გაფართოება, ბუნებრივი ეკოსისტემების, ლანდშაფტებისა და ცოცხალი ორგანიზმების დაცვა და აღდგენა ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების მიზნით;

საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა გენოფონდის დაცვა ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად;

უნიკალური და იშვიათი ორგანული, თუ არაორგანული ბუნებრივი წარმონაქმნების დაცვა მათი შენარჩუნების მიზნით;

ტერიტორიებზე პათოლოგიური კვლევების ჩატარება, დაზიანებული ფართობების დადგენა და მავნებლებთან ბრძოლის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

დაცულ ტერიტორიებზე საჭირო აღჭურვილობის გამოყენებით ხანძრების სწრაფი პრევენციის განხორციელება;

დაცულ ტერიტორიებზე არსებული საძოვრების ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენა და გამოყენება, ტყის ინვენტარიზაცია;

საქართველოში დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის, ეკოტურიზმის განვითარების და ტურისტების მოზიდვა-დაინტერესების მიზნით დაცული ტერიტორიების სარეკლამო და სააგიტაციო ღონისძიებების ჩატარება;

ეკოლოგიური განათლების, ცნობიერების ამაღლების და საზოგადოების ცალკეული ჯგუფების გარემოსდაცვითი ქცევის გაუმჯობესების მიზნით საჭირო ღონისძიებების გატარება;

ბუნებრივ და ისტორიულ-კულტურულ გარემოში რეკრეაციის, ჯანმრთელობის დაცვისა და ტურიზმისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა საქართველოს ეკოტურისტული პოტენციალის გაზრდის მიზნით;

სამეურნეო საქმიანობის დაცვის, აღდგენისა და განვითარების ხელშეწყობა თვითმყოფადი ისტორიულ-კულტურული გარემოს აღდგენისათვის და მის შესანარჩუნებლად;

საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის გრძელვადიანი ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, რაც შესაძლებელია შემდეგი ორი კომპონენტის განხორციელებით: დაცული ტერიტორიების სისტემის შემოსავლების საკმარისი და პროგნოზირებადი დონის მიღწევით და დაცული ტერიტორიების მართვის ეფექტიანობისა და შესაძლებლობების გაზრდით.

***სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა***

ტყის მართვის ქმედითი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით სატყეო სექტორის განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება და ეროვნული სატყეო კონცეფციის დოკუმენტით გათვალისწინებული ქმედებების ეტაპობრივი განხორციელება;

სატყეო სფეროში არსებული საკანონმდებლო და მეთოდოლოგიური ბაზის სრულყოფა;

ტყეების ეფექტურად მართვისა და ტყის ფიზიკური დაცვის გაუმჯობესების მიზნით ეროვნული სატყეო სააგენტოს ინსტიტუციონალური გაძლიერებისათვის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის მართვისა და განვითარების უზრუნველყოფა;

სააგენტოს თანამშრომელთა უწყვეტი სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფა;

სატყეო-სამეურნეო გზების გაყვანის სამუშაოების განხორციელება ახალი ტყეკაფების გამოყოფისა და ათვისების მიზნით; ტყის ჩახერგილობისაგან გაწმენდა, ძირნაყარის გამოტანა და ნარჩენების განთავსება დადგენილი წესით;

მოსახლეობის მერქნულ რესურსზე (მ.შ. სათბობი შეშა) მოთხოვნილების დაკმაყოფილების უზრუნველყოფა;

სააგენტოს მომსახურეობის სახეების განვითარება, მათ შორის მოსახლეობისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების ხე-ტყით უზრუნველყოფის მიმართულებით;

ხე-ტყის დამზადების მიზნით შესაბამისი ფართობების გამოვლენა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების განხორციელება;

ტყის მოვლის და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება;

სატყეო უბნებში ტყის დროებითი სანერგეების მოწყობა, სადაც მოხდება ნერგების გაზრდა და უზრუნველყოფილი იქნება ამავე უბნებში ტყის გაშენების ღონისძიებები.

ტყეების პათოლოგიური გამოკვლევების ჩატარება და დასკვნების საფუძველზე მავნებლებ-დაავადებების ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება;

აქტიურად ხანძარსაშიში სატყეო უბნების იდენტიფიცირება და შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მინერალიზებული ზოლების მოწყობა, პირველადი ხანძარსაწინააღმდეგო და ცეცხლმაქრი საშუალებებისა და შესაბამისი აღჭურვილობის შეძენა;

ტყის აღრიცხვის ღონისძიებების განხორციელება, ტყის მართვის გეგმების შემუშავება და ტყეების მდგომარეობის შესახებ მონაცემების მიღების, ანალიზისა და სატყეო-სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვის ეფექტური სისტემის დანერგვა;

სახელმწიფო ტყის ფონდის აღრიცხვის საფუძველზე ტყის ფონდის გარე კონტურების დაზუსტება, ტყის ფონდის ფრაგმენტაციის თავიდან აცილების მიზნით.

***ეროვნული საშენი მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა***

სახელმწიფო ტყის ფონდის აღდგენის მიზნით მაღალი ხარისხის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხემცენარეების გამოყვანა;

ტყის ჯიშთა სარგავი მასალის გამოყვანისათვის ტრადიციული მეთოდისა (ღია გრუნტში) და ასევე კონტეინერული მეთოდის (სასათბურე მეურნეობაში) გამოყენება;

საქართველოს „წითელი ნუსხაში“ შეტანილ მცენარეთა სახეობების გამრავლების ხელშეწყობა;

საქართველოს „წითელი ნუსხაში“ შეტანილი და ადგილობრივი მოწყვლადი ორნიტოფაუნისა და იხტიოფაუნის წარმომადგენელთა სახეობების შენარჩუნების და გამრავლების ღონისძიებები;

ერთი მხრივ, მიწების ეროზიისა და გამოფიტვის პრობლემების, ხოლო მეორე მხრივ სხვადასხვა სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით, ქარსაფარი ზოლების აღდგენა-განაშენიანებისათვის შესაბამისი სახეობების მაღალი ხარისხის ნერგების გამოყვანა;

კაკალნაყოფიანების, კერძოდ, ნამყენი კაკალისა და ნუშის წარმოება.

***გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა***

სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის საჯაროობის უზრუნველყოფა;

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობის უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების გზით;

გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის - საქართველოს ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის კოორდინაციის უზრუნველყოფა;

შესაბამისი სპეციალისტების მომზადების, გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ორგანიზების უზრუნველყოფა;

მონაცემების სისტემატიზაციის, მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდისა და გამარტივების მიზნით გარემოსდაცვით მონაცემთა სისტემის შექმნა, გარემოსდაცვითი ინფორმაციის და ანალიტიკური ანგარიშების მომზადებისა და დაინტერესებული საზოგადოებისთვის მიწოდების მოქნილი მექანიზმის უზრუნველყოფა.

*ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა*

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში განსაზღვრული სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად სააგენტოს მიერ სახელმწიფო რეგულირებისა და კონტროლის განხორციელება;

რადიოაქტიური მასალების, მაიონებელი გამოსხივების გენერატორების, რადიოაქტიური ნარჩენების, მათი მფლობელი ორგანიზაციების და პროფესიული დოზების უწყვეტრივი რეესტრის განახლება და მისი წარმოება;

რადიოაქტიური ნარჩენების მართვა;

საქართველოში გარემოს რადიაციული მდგომარეობის მონიტორინგი და კონტროლი;

ბირთვული და რადიაციული ავარიის, ინციდენტის, ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების არალეგალური მიმოქცევის, სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, საბაჟო და სატრანსპორტო ტერმინალებზე რადიაციული განგაშის შემთხვევებზე რეაგირება;

ქვეყანაში არსებული რადიაციული მდგომარეობის შესახებ საქართველოს მთავრობისათვის წარსადგენი ყოველწლიური ანგარიშის მომზადება;

ბირთვული და რადიაციული საქმიანობების ავტორიზაცია;

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი ინსპექტირების განხორციელების გზით.

*გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა*

დასახლებული პუნქტებისა და საინჟინრო ობიექტების დაცვის მიზნით, ქვეყნის მასშტაბით პერმანენტულად წარმოებადი გეოლოგიური მონიტორინგი, გეოლოგიურად და ჰიდროლოგიურად საშიში არეალების დადგენა;

სტიქიური უბედურებების თავიდან აცილების მიზნით, სხვადასხვა სახის დაკვირვებების/მონიტორინგის წარმოება და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის გაფართოება (რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია/მოწყობა);

მოსახლეობის ხარისხიანი ჰიდრომეტეოროლოგიური ინფორმაციით უზრუნველყოფის მიზნით, ჰიდრომეტეოროლოგიურ პარამეტრებზე სტანდარტული და სპეციალიზირებული დაკვირვების სისტემების გაუმჯობესება;

სტიქიური ჰიდრომეტეოროლოგიური მოვლენებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების ან შერბილების მიზნით, ადრეული შეტყობინებების სისტემების დანერგვა, სპეციალიზებული აეროლოგიური, აგრომეტეოროლოგიური, ოზონომეტრული და სხვა სახის დაკვირვებების წარმოება;

მიწისქვეშა წყლების მონიტორინგული ქსელის აღდგენა და სადამკვირვებლო ქსელის მოწყობა;

გარემოს დაცვის საკითხებთან დაკავშირებით ანგარიშების მომზადება/გავრცელება;

დამაბინძურებელი ნივთიერებების შემცველობის დადგენის სიზუსტის გაზრდის მიზნით, ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ლაბორატორიის ინფრასტრუქტურის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;

გარემოს დაბინძურების დონის შეფასება, მონიტორინგი, ინფრასტრუქტურის განახლება/მოწყობა;

ქვეყნის სიმდიდრის – სასარგებლო წიაღისეულის (გარდა ყველა სახის ნახშირწყალბადებისა) შესახებ ინფორმაციის სრულყოფა; თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახელმწიფო გეოლოგიური რუკების და მათი ელექტრონული ვერსიის შედგენა (მათ შორის 1:200 000 მასშტაბის), საველე აგეგმვითი სამუშაოებისა და არსებული ფონდური, ლიტერატურული და კვლევითი ინფორმაციების ანალიზი და ინტერპრეტაციის მეთოდის გამოყენება. საქართველოს ,,წიაღის შესახებ ინფორმაციის ერთიან სახელმწიფო ფონდში" დაცული მასალის ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა შემდგომში უფრო ეფექტურად გამოყენებისათვის;

სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობისთვის სალიცენზიოდ შერჩეული ობიექტებისათვის გეოსაინფორმაციო პაკეტების მომზადება.

## საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

### სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა

სამინისტროს პროგრამების შეუფერხებელი განხორციელება;

ფიზიკური აღრზდისა, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში ქვეყნის ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი რეალიზების კოორდინაცია;

სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა და ძირითად მიმართულებათა განსაზღვრა;

პროფესიული და მოყვარულთა სპორტული კლუბებისა და ორგანიზაციების სტატუსის განსაზღვრა;

სპორტში აკრძალულ მასტიმულირებელ საშუალებათა (დოპინგი) გამოყენების აღმოფხვრის ღონისძიებათა განხორციელება;

სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში საინვესტიციო და საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელების ხელშეწყობა;

ახალგაზრდა მეცნიერთა, სპორტსმენთა და შემოქმედთათვის სახელმწიფო მხარდაჭერა, კომპეტენციის ფარგლებში სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროში სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და შესაბამის უწყებებთან ერთად მათი განხორციელება;

## სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები

საქართველოში მასობრივი და მაღალი მიღწევების სპორტის სახეობების განვითარება, სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი რეაბილიტაცია. ეროვნული, სხვადასხვა ასაკობრივი და ქალთა ნაკრებებისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნა;

ქვეყნის ნაკრები გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატები, პირველობები, მსოფლიო და ოლიმპიური თამაშები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები);

საქართველოს ჩემპიონატების, პირველობების ჩატარება, სპორტული რეზერვის და მაღალი კლასის სპორტსმენთა მომზადება, სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია და სპორტის პროპაგანდა;

ოლიმპიური  და პარაოლიმპიური თამაშებისათვის  ოლიმპიური ლიცენზიის მოსაპოვებლად საქართველოს ნაკრები გუნდების მზადება და ოლიმპიადებზე საქართველოს სპორტსმენთა მონაწილეობის უზრუნველყოფა;

პარასპორტსმენთათვის ადაპტირებული ინფრასტრუქტურის განვითარება;

საქართველოს კადეტთა და იუნიორთა ნაკრები გუნდების წევრობის კანდიდატების მომზადება;

ქართული სპორტის წარმატებების ამსახველი მასალების შეკრება, დაკომპლექტება, აღრიცხვა, შენახვა-დაცვა, შესწავლა და პოპულარიზაცია;

უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, ევროპის საგანმანათლებლო მოდელის პოპულარიზაცია და დანერგვა, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება;

ფეხბურთის მართვის თანამედროვე სტანდარტების დანერგვა და კონკურენტუნარიანი თავისუფალი საფეხბურთო ბაზრის შექმნა.

## სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები

საქართველოში მცხოვრები წამყვანი სპორტსმენებისა და მწვრთნელების, ნაკრებების მომსახურე პერსონალის, ოლიმპიური ჩემპიონების და პრიზიორების, საჭადრაკო ოლიმპიადების გამარჯვებულების, ვეტერანი სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების დახმარება და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

## ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები

სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო ახალგაზრდულ სტრუქტურებთან თანამშრომლობა, ბავშვთა და ახალგაზრდული კავშირების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა და წახალისება, არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ხარჯვის ორგანიზება, საქართველოს ახალგაზრდობის ინტელექტუალური, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა, ფორმირება და სრულყოფა;

ახალგაზრდა და პოტენციურად მომგებიანი ბიზნეს იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა;

ბავშვთა და ახალგაზრდობის გონებრივ, ფიზიკურ, ზნეობრივ, ესთეტიკურ და სოციალურ-ემოციურ განვითარებაზე ზრუნვა, სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვის ხელშეწყობა, მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბების და სტუდიების შექმნის ხელშეწყობა, ბავშვებისა და ახალგაზრდების შემეცნებით შემოქმედებითი და დასვენება გაჯანსაღების ფართომასშტაბიანი პროგრამების განხორციელება;

კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, ქართველი ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა ღონისძიებებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით;

პროგრამა „მომავლის ბანაკის“ ფარგლებში ქართველი და უცხოელი ახალგაზრდების აქტიური დასვენებით უზრუნველყოფა;

ბანაკების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;

პროგრამა „ახალგაზრდული ფესტივალის“ ფარგლებში კულტურულ-შემოქმედებითი, შემეცნებითი და გასართობი ღონისძიებების მოწყობა, ქართველი ახალგაზრდების ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ახალგაზრდების ცოდნისა და უნარების გაღრმავება სხვადასხვა მიმართულებით.

## ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის 2017 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი;

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტების საქმიანობის კოორდინაცია;

ევროკავშირის "აღმოსავლეთ პარტნიორობის" ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობის კოორდინაცია;

ევროკავშირთან „პარტნიორობა მობილურობისათვის" ინიციატივის ფარგლებში თანამშრომლობის კოორდინაცია;

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის სამდივნოს ფუნქციის შესრულება;

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ინფორმირება საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ;

ნატო - საქართველოს კომისიის მუშაობის კოორდინაცია;

2017 წლის წლიური ეროვნული პროგრამის შემუშავება, განხორციელების მონიტორინგი და თვითშეფასების დოკუმენტის მომზადება;

საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის კოორდინაციის სახელმწიფო კომისიის საქმიანობის უზრუნველყოფა;

2017 წლის ნატოს ბრიუსელის სამიტისთვის მომზადება;

ნატო-ს და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ინფორმირება საქართველოში მიმდინარე პროცესების შესახებ;

საზოგადოების ინფორმირება საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის დინამიკის შესახებ.

2014-2017 წლებისთვის ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიისა და 2017 წლის სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია და მონიტორინგი.

## შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი

სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქციონირების მხარდაჭერა, რომელიც მიზნად ისახავს:

რეინტეგრაციის მიზნით სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებას;

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებისგან გამყოფი ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებთა შორის ნდობის აღდგენას; მათი შერიგებისა და დეოკუპაციისათვის საფუძვლის მომზადების მიზნით ოკუპირებულ ტერიტორიებზე ჰუმანიტარული, სოციალურ-ეკონომიკური და ნდობის გაღრმავების მიმართულებებით განსახორციელებელი პროექტების ხელშეწყობას და კოორდინაციას; ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელებას;

სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის პოლიტიკის კოორდინირებას, რომელიც მიმართულია ეთნიკური უმცირესობების საზოგადოებრივი ცხოვრების ყველას სფეროში სრულფასოვნად ინტეგრირების ხელშეწყობაზე, მათთვის განათლების, მედიისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, მათი სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლებასა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება-განვითარებაზე, სამოქალაქო თანასწორობის და ინტეგრაციის სტრატეგიის სამოქმედო გეგმის განხორციელებაზე.

## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

### სახელმწიფო აუდიტის სამსახური ს აპარატი

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამედროვე, დამოუკიდებელ, უმაღლეს აუდიტორულ ორგანოდ ჩამოყალიბება, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და სარგებლობს საზოგადოების მაღალი ნდობით;

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების თანამედროვე სანიმუშო პრაქტიკის გაცნობა და აუდიტორთა პროფესიული ცნობიერების ამაღლება აუდიტორული ცოდნითა და უნარებით;

გარე აუდიტის შესაძლებლობების, საკანონმდებლო მანდატისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი;

სახელმწიფო სახსრების, სახელმწიფოს სხვა მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების მიზნობრიობის დაცვის და ეფექტიანობის ხელშეწყობა;

აუდიტორული საქმიანობით გაცემული რეკომენდაციების შედეგად მოტანილი სარგებლის ზრდა;

ინფორმაციული სისტემების (IT) აუდიტის დანერგვა;

კომპეტენციის ფარგლებში საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესებაში ხელშეწყობა.

## სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი

საჯარო სექტორის აუდიტორთა სერთიფიცირების სისტემის სრულყოფა, კვალიფიკაციის ასამაღლებელი (მათ შორის სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი) სასწავლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება, საჯარო სექტორის აუდიტორული და საკონსულტაციო მომსახურების განხორციელება და მომსახურების სისტემის სრულყოფა.

## საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია

## საარჩევნო გარემოს განვითარება

მიუკერძოებელი, გამჭვირვალე და მაღალპროფესიულ დონეზე ადმინისტრირებული არჩევნების ჩატარება კანონმდებლობის დაცვით და ყველა პირობის შექმნა, რათა ამომრჩევლებმა და სხვა ჩართულმა მხარეებმა თავისუფლად განახორციელონ საარჩევნო უფლება;

ინსტიტუციური გაძლიერება: საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობის, პროფესიონალიზმისა და სანდოობის განმტკიცება, ეფექტური საბიუჯეტო პოლიტიკის და უწყვეტ ორგანიზაციულ და პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული სისტემის დამკვიდრება, დემოკრატიული პროცესების განვითარებაში წვლილის შეტანა;

სამოქალაქო და ამომრჩევლის განათლება: საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით საარჩევნო პროცესებში სამოქალაქო ჩართულობის დონის ამაღლება, ამომრჩეველთა აქტივობის ზრდისა და ინფორმირებული არჩევანის გაკეთების ხელშეწყობა;

საარჩევნო გარემო: საარჩევნო პროცესებში ჩართული მხარეების აქტიური მონაწილეობით მაქსიმალურად ინკლუზიური საარჩევნო გარემოს შექმნა, კანონმდებლობის დახვეწის პროცესის ხელშეწყობა;

საარჩევნო პროცესების დაგეგმვა, ყველა ტიპის არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფა.

## არჩევნების ჩატარების ღონისძიებები

არჩევნების დაგეგმვა - სამართლებრივი, ორგანიზაციული, ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

არჩევნების ჩასატარებლად საჭირო ინვენტარის შესყიდვა;

კომპეტენციის ფარგლებში საარჩევნო ინვენტარის შესყიდვა;

საიმიჯო კამპანიის წარმოება საარჩევნო პერიოდში;

ამომრჩევლის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

ინკლუზიური საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფა;

გენდერულად დაბალანსებული და თანაბარი გარემოს ხელშეწყობა;

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება.

## საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა

საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განხორციელება არჩევნებში ჩართული მხარეებისთვის;

ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა;

საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა სერტიფიცირების ჩატარება;

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებული ფონდის ფუნქციების შესრულება.

## პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტუნარიანი პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საარჩევნო თემატიკაზე საგრანტო კონკურსების ჩატარება და გრანტებისათვის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხების განაწილების უზრუნველყოფა.

**სსიპ - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი**

*სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა*

სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება; სტატისტიკური კვლევების დაგეგმვა, მართვა, წარმოება, გავრცელება და ანგარიშგება; მეთოდოლოგიური და სტატისტიკური სტანდარტების შემუშავება; დასახული ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად საჭირო საკადრო, ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რესურსებით უზრუნველყოფა.

*სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა*

ქვეყნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სტატისტიკური კვლევების მომზადება, განხორციელება და შედეგების გავრცელება, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალისა და საინვესტიციო მიკრო კლიმატის შეფასება, სამომხმარებლო ფასებისა და მწარმოებელთა ფასების ინდექსების გაანგარიშება, ბიზნეს სექტორში (აგრეთვე არაკომერციულ ორგანიზაციების სექტორში) მიმდინარე მოვლენების და პროცესების ანალიზი, შრომის სტატისტიკის მაჩვენებლების გაანგარიშება სამეწარმეო და არასამეწარმეო სფეროში კერძო და სახელმწიფო სექტორში, მიმდინარე დემოგრაფიული კვლევა;

სოფლის მეურნეობის შესახებ მიმდინარე სტატისტიკური მონაცემების მოპოვება, დამუშავება და გავრცელება.

მოსახლეობის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის შეფასების მიზნით მოსახლეობის უთანაბრობის, დასაქმებისა და უმუშევრობის, შემოსავლებისა და ხარჯების და სხვა მაჩვენებლების დადგენა;

ტურიზმის სტატისტიკის კვლევა;

ენერგორესურსების მოხმარების სტატისტიკის კვლევა.

ინოვაციური აქტივობების და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებლები სხვადასხვა სექტორში.

*მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა*

საქართველოს მოსახლეობის აღწერის საკოორდინაციო სამთავრობო კომისიის 2013 წლის 2 აპრილს დამტკიცებული, საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის პროგრამისა და სამოქმედო გეგმისა შესაბამისად განხორციელდება საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემთა კომპიუტერული დამუშავება.

**საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი**

საქართველოს ტერიტორიაზე, თავისუფლების შეზღუდვის ადგილებში ადამიანის უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე გეგმიური და მოულოდნელი (დაუგეგმავი) მონიტორინგის განხორციელება;

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის პრევენციის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

მონიტორინგის ანგარიშების მომზადება და მათი წარდგენა;

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშების გამოცემა და სხვადასხვა დონეზე წარდგენა;

ადამიანის უფლებათა სავარაუდო დარღვევების შესახებ განცხადების/საჩივრების მიღება, განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

შემუშავებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, მათი განხორციელების შეფასება;

საქართველოს სახალხო დამცველის რეგიონული ოფისების მუშაობის მხარდაჭერა და მათი გაზრდა;

ადამიანის უფლებათა სფეროში საგანმანათლებლო კამპანიების განხორციელება, მათ შორის სოციალური რეკლამის დამზადება და მედიის საშუალებით გავრცელება;

სამიზნე აუდიტორიებისთვის საგანმანათლებლო აქტივობების განხორციელება;

საქართველოს სახალხო დამცველის საინფორმაციო ბიულეტენის ყოველთვიური გამოცემა;

ადამიანის უფლებათა თემატიკაზე ყოველთვიურად საჯარო დებატების გამართვა, კონკურსების ჩატარება, სხვადასხვა პუბლიკაციების გამოცემა და გავრცელება;

ტოლერანტობის კულტურის განვითარებისა და თანასწორუფლებიანი გარემოს ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

უმრავლესობისა და უმცირესობის ჯგუფებს შორის მრავალმხრივი დიალოგის ხელშეწყობა;

ეროვნული და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა;

რელიგიური და ეთნიკური უმცირესობების მდგომარეობის მონიტორინგი, არსებული ტენდენციების გამოკვეთა და ანალიზი, ტოლერანტობის საკითხებზე რეკომენდაციებისა და წინადადებების მომზადება და წარდგენა შესაბამისი სახელმწიფო უწყებებისთვის;

მთავრობის ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის და შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, რელიგიათა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების ჩართულობით;

ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის ზედამხედველობა, როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში;

არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგის გაძლიერება;

სკოლამდელი დაწესებულებების მონიტორინგი;

24 საათიანი სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი არასრულწლოვნების მომზადების ზედამხედველობა სამზრუნველო დაწესებულებიდან გასვლის მიმართულებით;

საქართველოში გენდერული თანასწორობის დაცვის კუთხით არსებული ეროვნული და საერთაშორისო აქტების შესრულების მონიტორინგი,სახალხო დამცველის აპარატში შემოსული გენდერული თანასწორობის საკითხის დარღვევასთან  დაკავშირებული განცხადება/საჩივრების შესწავლა და შესაბამისი  დასკვნების/რეკომენდაციების/წინადადებების პროექტების მომზადება;

საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გენდერული თანასწორობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ორგანოების და ორგანიზაციების საქმიანობის, გამოცდილების განზოგადება და საქართველოში დანერგვის ორგანიზება;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობის მონიტორინგი;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების ხელშეწყობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტერესების ადვოკატირება;

გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით“ დადგენილი მოთხოვნების შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელება;

ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესწავლა და მონიტორინგი;

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულება;

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მონიტორინგის განხორციელება თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.

## *სსიპ – კონკურენციის სააგენტო*

თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის ხელშეწყობა;

ბაზრის ლიბერალიზაციის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ ბაზარზე შესვლის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და დისკრიმინაციული ბარიერების დაუშვებლობა;

ეკონომიკური აგენტების საქმიანობაში თანასწორუფლებიანობის პრინციპების  დაცვა, რომელიც ითვალისწინებს:

დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დაუშვებლობას;

კონკურენციის შემზღუდავი ხელშეკრულებების, გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებული ქმედებების დაუშვებლობას;

სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ კონკურენციის არამართლზომიერად შემზღუდავი ექსკლუზიური უფლებამოსილების მინიჭების დაუშვებლობა;

კონკურენციის შემაფერხებელი სახელმწიფო დახმარებების დაუშვებლობა;

კონკურენციის სააგენტოს მიერ გადაწყვეტილებების მიღების საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

ქვეყნის კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფა.

### *სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო*

ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა;

ქვეყნის საინვესტიციო შესაძლებლობებზე ცნობადობის ამაღლება;

არსებული და პოტენციური ინვესტორებისათვის საინფორმაციო მომსახურების გაწევა და მათ მიერ წამოწყებული სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობა;

ქვეყნისათვის პრიორიტეტულ სექტორებში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საჭირო სამუშაოების ჩატარება.

### *საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა*

სხვადასხვა ქვეყნების სავაჭრო-სამრეწველო პალატებთან და ბიზნეს-გაერთანებებთან პარტნიორული ურთიერთობების დამყარება და მჭიდრო თანამშრომლობა;

ბიზნეს-ფორუმების, კონფერენციების, გამოფენებისა და ორმხრივი შეხვედრების ორგანიზება ქართული და უცხოური ბიზნეს-წრეების წარმომადგენლების მონაწილეობით და აგრეთვე, ქართული კომპანიების საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის ხელშეწყობა და როუდშოუების ორგანიზება;

ქართულ და უცხოურ კომპანიებს შორის ბიზნეს-კავშირების დამყარების ხელშეწყობა და აგრეთვე, ქართული კომპანიების ხელშეწყობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან კავშირების დამყარების, რეგიონულ/საერთაშორისო ვაჭრობის და ეკონომიკაში ინტეგრაციისა და აგრეთვე, რეგიონულ/საერთაშორისო ფინანსურ, ადამიანურ და ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობის კუთხით;

ორმხრივი ეკონომიკური მთავრობათშორისი კომისიების მუშაობაში მონაწილეობა;

საქართველოს საინვესტიციო გარემოს წარდგენის, ქართული პროდუქციის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა ქვეყნებში წარმომადგენლობების გაფართოვება;

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და შრომის ბაზრის გაუმჯობესების მიზნით საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა;

მეწარმე სუბიექტების ინტერესების გათვალისწინებით, არსებული სერვისების გაუმჯობესება/ახალი სერვისების შემუშავება და პალატის ვებ-გვერდის მეშვეობით ელექტრონული სერვისების დანერგვა;

მეწარმე სუბიექტების ბიზნეს-კატალოგის შექმნა;

ევროკავშირში ექსპორტით დაინტერესებული მეწარმე სუბიექტებისათვის ტრენინგების ჩატარება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელმოწერილი ასოცირების ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ძალაში შესვლის შემდეგ ამოქმედებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით;

საქართველოს ბიზნეს-სუბიექტების ინტერესების დაცვისა და მეწარმე სუბიექტების ხელშეწყობის მიზნით სამთავრობა კომისიების, ინვესტორთა საბჭოს, დავების საბჭოსა და სამინისტროებთან არსებული საკონსულტაციო საბჭოების საქმიანობაში მონაწილეობა;

„ერთი ფანჯრის“ პრინციპზე დაფუძნებული DCFTA საინფორმაციო ცენტრის შექმნა, რომლის მიზანია საზოგადოების ცნობადობის გაზრდა DCFTA შეთანხმებით გათვალისწინებულ მთავარ საკითხებთან დაკავშირებით, ევროკავშირში საქართველოს ეკონომიკური ინტეგრაციისა და საქართველო-ევროკავშირს შორის ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების ხელშეწყობა და აგრეთვე, კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა და საკანონმდებლო ცვლილებებთან ადაპტაციის ხელშეწყობა;

საქართველოს რეგიონების ბიზნეს-კომპანიებთან შეხვედრების, ტრენინგების, სემინარების, ფორუმებისა და პრეზენტაციების გამართვა და ასევე, კონსულტაციების გაწევა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისა და პრობლემატური საკითხების გაცნობის მიზნით;

წარჩინებული სტუდენტების წახალისებისა და მათი პროფესიული უნარჩვევების განვითარებისათვის პროფესიონალთა ფონდის შექმნა;

კომერციული და საინვესტიციო ხასიათის საერთაშორისო დავების განხილვის მიზნით საქართველოს საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის განვითარება.

### *სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო*

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების კანონიერების მონიტორინგი;

გადაწყვეტილების მიღებისას მაქსიმალური საჯაროობის, ობიექტურობის, არადისკრიმინაციულობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას საჯაროობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპების დაცვა, კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების ზუსტად შესრულებისა და ანგარიშგების, სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეთა არადისკრიმინაციული გარემოს შესაძლებლობის უზრუნველყოფა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში;

სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, განვითარება და მის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება;

სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა, საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან, ევროდირექტივების მოთხოვნებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან მისი შესაბამისობის უზრუნველყოფა.

## *სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“*

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების სამართლებრივი უზრუნველყოფა;

ქვეყანაში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის სისტემის განვითარებისა და სრულყოფისათვის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება;

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში: პოლიტიკის განსაზღვრა და მისი განხორციელება; პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და მათი განხორციელების ორგანიზება; საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრა და საერთაშორისო ვალდებულებათა შესრულების ორგანიზება;

საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სახელმწიფო ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, დიზაინი, მცენარეთა ახალი ჯიში, ცხოველთა ახალი ჯიში, სასაქონლო ნიშანი, ადგილწარმოშობის დასახელება, გეოგრაფიული აღნიშვნა, ინტეგრალური მიკროსქემის ტოპოლოგია, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, საავტორო და მომიჯნავე უფლებები) უფლების მოპოვების სამართლებრივი უზრუნველყოფის მიზნით ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური და მხატვრულ-შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შექმნისათვის ხელშეწყობა;

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმაციით უზრუნველყოფა და სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება;

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ამოცანათა შესრულება;

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებზე განაცხადის კანონმდებლობით დადგენილი წესით ექსპერტიზა, შესაბამისი დოკუმენტების გაცემა და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების რეესტრების წარმოება;

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტებთან დაკავშირებით განმცხადებლებისა და მესამე პირების სააპელაციო საჩივრების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება საქპატენტთან არსებულ სააპელაციო პალატაში;

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებში საქართველოს მონაწილეობის შესახებ წინადადებების მომზადება;

საქპატენტის მიერ ამ დებულებით გათვალისწინებული და კანონმდებლობიდან გამომდინარე ფუნქციების შესრულების მიზნით, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე პროექტებისა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება;

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების დაცვასთან დაკავშირებით მასალების გამოქვეყნება, მათ შორის საქართველოს სამრეწველო საკუთრების ოფიციალური ბიულეტენის გამოცემა;

საერთაშორისო განაცხადებთან დაკავშირებული პროცედურების განხორციელება;

ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონპროექტებისა და სხვა ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;

საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო აქტებისა და საერთაშორისო შეთანხმებების კომენტარების მომზადება და გამოცემა;

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების მონაცემთა ავტომატიზებული ბაზების შექმნა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

პატენტრწმუნებულთა ატესტაცია, რეგისტრაცია, მათი რეესტრის შექმნა და წარმოება;

საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების, მათი მემკვიდრეებისა და სხვა უფლებამონაცვლეების ქონებრივი უფლებების დაცვისათვის, კოლექტიურ საფუძველზე, მმართველი ორგანიზაციების (საზოგადოებების) საქმიანობის ხელშეწყობა;

საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს განვითარების ხელშეწყობა;

ინტელექტუალური საკუთრების სფეროში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შესრულება, საინფორმაციო და შემეცნებითი ბროშურებისა და სხვა მასალების გამოქვეყნება და გავრცელება;

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციების განხორციელება.

**სასამართლო სისტემა**

მოსამართლეთა ვაკანტური ადგილების ეტაპობრივად შევსება; შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდებისა და კონკურსების ორგანიზება, მოსამართლედ გამწესება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში სასწავლო კურსის გავლის შემდეგ;

სასამართლო შენობების სამშენებლო და სარემონტო/სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება;

ნაფიცი მსაჯულების და მსაჯულობის კანდიდატების უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი ყველა იმ ხარჯის ანაზღაურებით, რომელიც დაკავშირებულია მათ მიერ საკუთარი მოვალეობის შესრულებასთან;

მოსამართლეთა ჯანმრთელობის დაზღვევით უზრუნველყოფა;

საქართველოს უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების გამჭირვალობის და საჯაროობის პროცესის გაგრძელება;

## სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური

ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვა (თუ მსხვერპლი გადახდისუუნაროა);
ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა დაცვა, რომელთა მიმართაც სასამართლო განიხილავს მხარდაჭერის მიმღებად ცნობის საკითხს;

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის გარკვეულ საქმეებზე წარმომადგენლობის განხორციელება ადმინისტრაციულ ორგანოებში (დღეის მდგომარეობით უზრუნველყოფილია მხოლოდ სასამართლოში წარმომადგენლობა);

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსიდან გამომდინარე, არა მხოლოდ 14–დან 18 წლამდე წლამდე ბრალდებულის, მსჯავრდებულის და გამართლებულის, არამედ 18–დან 21 წლამდე ბრალდებულის დაცვა, ასევე დაზარალებულად ცნობილი არასრულწლოვანი პირების დაცვა და გადახდისუუნარო არასრულწლოვან მოწმეთა დაცვა;

კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვან პირთა დაცვა იმ ადამინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე, რომლებიც სახდელის სახით ითვალისწინებს ადმინისტრაციულ პატიმრობას;

იურიდიული დახმარების უზრუნველყოფა თავშესაფრის მაძიებელი იმ პირისათვის, რომლის მიმართაც სასამართლო განიხილავს ლტოლვილის ან ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭება–შეწყვეტა–გაუქმების, ასევე თავშესაფრის მიცემის საკითხებს;

შესაბამისი სამუშაოების ჩატარება სამსახურის ცნობადობის გასაზრდელად;

იურიდიულ დახმარებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, დამატებითი ოფისების გახსნისა და საადვოკატო სერვისების გაფართოების მეშვეობით;

მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა, დასაქმებულთათვის ადეკვატური შრომის ანაზღაურებისა და მუდმივი პროფესიული გადამზადების მეშვეობით;

მაღალი საზოგადოებრივი ცნობადობა იურიდიული დახმარების სისტემის შესახებ.

## სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო

საქართველოში რელიგიის სფეროში არსებული მდგომარეობის კვლევა და შესაბამისი ინფორმაციის საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა;

რელიგიური გაერთიანებების პრობლემებისა და რელიგიის სფეროში განათლების შესახებ რეკომენდაციებისა და წინადადებების შემუშავება;

კავშირების და თანამშრომლობის დამყარება სხვადასხვა სახელმწიფოთა ანალოგიურ ორგანიზაციებთან.

## სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების, ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ პირთა ოჯახების სათანადო ცხოვრების პირობებისა და კეთილდღეობისათვის მყარი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის შექმნის უზრუნველყოფა;

საზოგადოებაში მხედრული ტრადიციების განმტკიცება, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ ვეტერანთა ღვაწლის და დამსახურების სათანადო აღიარება, მომავალ თაობებში პატრიოტული სულისკვეთების გაღვივება;

სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების დაცვისა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ვეტერანთა პოტენციალის სრულფასოვანი გამოვლენისა და განვითარების ხელშეწყობა, მათი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობისათვის ღირსეული სათანადო პირობების შექმნა;

სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა სახელების სადიდებლად და მათი საქმის უკვდავსაყოფად, საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულ და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა მიმართ საზოგადოებაში ხსოვნის განმტკიცებისათვის მუდმივი ზრუნვა;

ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა.

## სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

დაზღვევის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება;

სადაზღვევო ბაზრის ფინანსური სტაბილურობისათვის ხელის შეწყობა;

ევროდირექტივებთან საქართველოს სადაზღვევო კანონმდებლობის ჰარმონიზაცია;

სავალდებულო დაზღვევების შესახებ სტანდარტების შემუშავება.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა  საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

## პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

პერსონალური მონაცემების დამუშავების ევროპული სტანდარტების დასანერგად შესაბამისი ნორმატიული აქტებისა და რეკომენდაციების მომზადება, ინსპექტირების მეთოდოლოგიის შემუშავება და შემდგომი დახვეწა, სხვა ქვეყნებში მონაცემთა გადაცემაზე კონტროლის გაუმჯობესება. კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს წარმომადგენლობა ევროპის საბჭოსა და ევროპის კავშირის დონეზე;

ქვეყანაში დანაშაულის თავიდან აცილების, გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით სამართალდამცავი ორგანოების მიერ პერსონალური მონაცემებისდამუშავების კანონიერებაზე ზედამხედველობა;

ფარული საგამოძიებო მოქმედებების და სამართალდამცავი ორგანოების მონაცემთა ბანკებში განხორციელებული აქტივობებზე კონტროლი, მათ შორის ფარული მიყურადების და ჩაწერის  ორეტაპიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით;

მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული განცხადებების განხილვა და მათზე რეაგირება, ასევე საჯარო და კერძო პირებისთვის კონსულტაციის გაწევა მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე და მონაცემთა დამუშავების კანონიერების შემოწმება (ინსპექტირება) საჯარო და კერძო დაწესებულებებში;

საჯარო და კერძო ორგანიზაციების ფაილური სისტემის (პერსონალურ მონაცემთა შემცველი ელექტრონული ბაზები) კატალოგის რეესტრის წარმოება და გამოქვეყნება;

საზოგადოების ინფორმირება მონაცემთა დაცვის მდგომარეობისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;

სამართალშემოქმედებით პროცესში მონაწილეობის მიღება მონაცემთა დამუშავების კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით და ასოცირების შეთანხმების სამოქმედო გეგმის შესასრულებლად;

საჯარო და კერძო დაწესებულებების წარმომადგენლებისათვის და უფლებამოსილი პირებისათვის ტრენინგების ორგანიზება.

## სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური

საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა;

საინფორმაციო ქსელის შექმნა, რომელიც ახორციელებს მიღებული ინფორმაციის სისტემატიზაციას და ანალიზს, უზრუნველყოფს შესაბამის მონაცემთა აღრიცხვის ბაზის შექმნასა და ფუნქციონირებას.

### ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი

საქართველოში მცხოვრები სოციალურად განსაკუთრებულად დაუცველი ან კატასტროფული სოციალური დანახარჯების რისკის წინაშე მდგარი პირებისათვის ალტერნატიული (არასაბიუჯეტო) რესურსების მობილიზაცია და პრიორიტეტულ სოციალურ საჭიროებებზე მიმართვა საზოგადოების, კერძო სექტორისა და სახელმწიფოს მონაწილეობით;

სოციალური და ჯანდაცვითი პროექტების დაფინანსება, მათ შორის, ერთჯერადი დახმარებების და ასევე, რეგულარული სოციალური შემწეობების/პროექტების დაგეგმვა/განხორციელება.

ონკოლოგიური დაავადებების მქონე 22 წლამდე ბენეფიციარების მხარდაჭერა სახელმწიფო და მუნიციპალური დაფინანსების ლიმიტს ფარგლებს გარეთ მოხვედრილი თერაპიისა და დიაგნოსტიკის, ასევე ძვირადღირებული სადიაგნოსტიკო და სამკურნალო მომსახურება საზღვარგარეთ დადასტურებული სამედიცინო აუცილებლობის შემთხვევაში.

ონკოლოგიური დაავადებების მქონე მოზრდილი მოსახლეობისათვის ძვირადღირებული მედიკამენტების ხელმისაწვდომობის კომპონენტის უზრუნველყოფა სულ მცირე ორი მედიკამენტის (მაბტერის და ჰერცეპტინის) თანადაფინანსება, რომელიც მნიშვნელოვნად შეამცირებს პაციენტისათვის განსაკუთრებულად ძვირადღირებული მედიკამენტის ფასს.

შეზღუდული შესაძლებლობებისა და იშვიათი დაავადებები მქონე ბავშვთა მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში ანტიეპილეფსიური მედიკამენტების, აუტიზმის აბილიტაციისა და შშმ ბავშვთა რეაბილიტაციის სერვისების თანადაფინანსებაში მონაწილეობა.

### სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო

საჯარო სამსახურის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და შესაბამისი საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა;

საჯარო სამსახურის რეფორმის ფარგლებში და „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონისა და მისგან გამომდინარე ნორმატიული აქტების იმპლემენტაცია;

საჯარო დაწესებულებების ჰორიზონტალური და ვერტიკალური ფუნქციური ანალიზის შედეგებისა და რეკომენდაციების იმპლემენტაციის ხელშეწყობა და საჯარო თანამდებობათა კლასიფიკაციის სისტემის დანერგვისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება;

საჯარო სამსახურში სახელფასო რეფორმის მომზადების ხელშეწყობა;

სერტიფიცირების ჩატარების უზრუნველყოფა 6 თვეში ერთხელ მაინც და შესაბამისი ტესტების ბანკის განახლება;

საჯარო სამსახურში ადამიანური რესურსების მართვის ერთეულების წარმომადგენლებისა და საჯარო სამსახურში მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებულ პირთა ტრენინგი სამუშაოს შეფასების საკითხებში;

თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების დროულად შევსებისა და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;

ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის სისტემის დანერგვა;

საჯარო დაწესებულებებში სტაჟირების გავლის პროგრამის კოორდინაცია და კონტროლი;

საჯარო მოსამსახურეთა ტრენინგი ადამიანური რესურსების მართვის, ეთიკისა და მამხილებლის ინსტიტუტთან დაკავშირებულ საკითხებში;

საჯარო სამსახურის სფეროში არსებული მდგომარეობისა და ნორმატიული აქტების შესრულების ანალიზი.

**საქართველოს საპატრიარქო**

ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდის მიზნით საპატრიარქოს 70-ზე მეტი საგანმანათლებლო-კულტურული და საქველმოქმედო ორგანიზაციის (სასულიერო აკადემიები და სემინარიები, უნივერსიტეტი, სკოლა-გიმნაზიები,დედათა და ბავშვთა სახლები, ობოლ და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონები, სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციისა და ადაპტაციის ცენტრი, პროფესიული კოლეჯი და სახელობო სასწავლებლები) დაფინანსება საქართველოს სხვადასხვა (მ.შ. მაღალმთიან) რეგიონებში.

**სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო**

კანონმდებლობით დადგენილი წესით და კვალიფიციური ექსპერტების მეშვეობით განსაზღვრული ექსპერტიზისა და გამოკვლევების ჩატარება, შესაბამისი დასკვნის შედგენა და გაცემა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

**სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი**

საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით გადაცემების, ფილმებისა და სპორტული ღონისძიებების, ასევე საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების მომზადება და გაშუქების უზრუნველყოფა.

**საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური**

საქართველოს კონსტიტუციური წყობილების, სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და სამხედრო პოტენციალის დაცვა უცხო ქვეყნის სპეციალური სამსახურებისა და ცალკეულ პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისაგან;

სახელმწიფოს კონსტიტუციური წყობილებისა და სახელმწიფო ხელისუფლების არაკონსტიტუციური, ძალადობრივი გზით შეცვლის გამოვლენა და დაცვის უზრუნველყოფა;

ტერორიზმთან ბრძოლა;

სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის საფრთხის შემცველი ტრანსნაციონალური ორგანიზებული და საერთაშორისო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა;

ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

კორუფციის თავიდან აცილების, გამოვლენისა და აღკვეთის ღონისძიებების განხორციელება;

სახელმწიფო საიდუმლოების რეჟიმის დაცვა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა განხორციელება და მათი შესრულების კონტროლი.

**სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

საქართველოში მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად;

ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა;

საქართველოში მეცნიერების განვითარების პროგნოზირება და მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებების მომზადება.

## მხარჯავი დაწესებულებების მიერ განსახორციელებელი პროგრამები და მათი დაფინანსება

*ათასი ლარი*

| დასახელება | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|---|
| **საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები** | **60,131.0** | **62,977.6** | **65,960.0** | **69,089.0** |
| საკანონმდებლო საქმიანობა | 52,091.0 | 54,695.6 | 57,430.0 | 60,302.0 |
| საბიბლიოთეკო საქმიანობა | 7,590.0 | 7,818.0 | 8,053.0 | 8,295.0 |
| ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება | 450.0 | 464.0 | 477.0 | 492.0 |
| **საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია** | **9,800.0** | **9,800.0** | **9,800.0** | **9,800.0** |
| **საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი** | **1,800.0** | **1,800.0** | **1,800.0** | **1,800.0** |
| **საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია** | **16,500.0** | **16,500.0** | **16,500.0** | **16,500.0** |
| **სახელმწიფო აუდიტის სამსახური** | **15,317.2** | **15,762.7** | **16,222.3** | **16,694.4** |
| სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აპარატი | 14,517.2 | 14,952.7 | 15,402.3 | 15,864.4 |
| სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი | 800.0 | 810.0 | 820.0 | 830.0 |
| **საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია** | **60,500.0** | **63,377.0** | **25,475.0** | **64,527.0** |
| საარჩევნო გარემოს განვითარება | 11,197.4 | 11,250.0 | 11,500.0 | 11,750.0 |
| არჩევნების ჩატარების ღონისძიებები | 35,321.7 | 38,172.0 | 0.0 | 38,792.0 |
| საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა | 1,195.9 | 1,170.0 | 1,190.0 | 1,200.0 |
| პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება | 12,785.0 | 12,785.0 | 12,785.0 | 12,785.0 |
| **საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო** | **4,110.0** | **4,110.0** | **4,110.0** | **4,110.0** |
| **საქართველოს უზენაესი სასამართლო** | **7,700.0** | **8,000.0** | **8,500.0** | **9,000.0** |
| **საერთო სასამართლოები** | **69,230.0** | **73,000.0** | **75,000.0** | **71,000.0** |
| საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა | 67,670.0 | 71,350.0 | 73,350.0 | 69,350.0 |
| მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება | 1,560.0 | 1,650.0 | 1,650.0 | 1,650.0 |
| **საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო** | **2,700.0** | **2,700.0** | **2,700.0** | **2,700.0** |
| **სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთსა და ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში** | **800.0** | **800.0** | **800.0** | **800.0** |

| დასახელება | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში | 610.0 | 610.0 | 610.0 | 610.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში | 735.0 | 735.0 | 735.0 | 735.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტში | 725.0 | 725.0 | 725.0 | 725.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთის, ყაზბეგის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტში | 592.0 | 592.0 | 592.0 | 592.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონის, ცაგერის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში | 585.0 | 585.0 | 585.0 | 585.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომის, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტში | 595.0 | 595.0 | 595.0 | 595.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში | 860.0 | 860.0 | 860.0 | 860.0 |
| სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ გორის მუნიციპალიტეტში | 625.0 | 625.0 | 625.0 | 625.0 |
| ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 2,845.0 | 2,950.0 | 2,950.0 | 2,950.0 |

| დასახელება | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|---|
| ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი | 2,315.0 | 2,400.0 | 2,400.0 | 2,400.0 |
| სსიპ – საინფორმაციო ცენტრი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ | 530.0 | 550.0 | 550.0 | 550.0 |
| **შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი** | **1,215.0** | **1,250.0** | **1,250.0** | **1,250.0** |
| **საქართველოს დაზვერვის სამსახური** | **13,500.0** | **13,500.0** | **13,500.0** | **13,500.0** |
| **საქართველოს ფინანსთა სამინისტრო** | **198,054.0** | **192,400.0** | **197,700.0** | **203,100.0** |
| სახელმწიფო ფინანსების მართვა | 20,150.0 | 20,150.0 | 20,150.0 | 20,150.0 |
| შემოსავლების მობილიზება და გადამხდელთა მომსახურების გაუმჯობესება | 130,832.0 | 135,920.0 | 141,120.0 | 146,420.0 |
| ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია | 18,555.0 | 18,555.0 | 18,555.0 | 18,555.0 |
| ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა | 19,910.0 | 9,030.0 | 9,030.0 | 9,030.0 |
| საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება | 1,340.0 | 1,445.0 | 1,545.0 | 1,645.0 |
| ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 |
| მიქცეული ქონების ეფექტური განკარგვა | 6,267.0 | 6,300.0 | 6,300.0 | 6,300.0 |
| **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო** | **408,661.0** | **459,700.0** | **328,410.0** | **209,120.0** |
| ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება | 19,108.0 | 19,300.0 | 19,300.0 | 19,300.0 |
| ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება | 1,087.0 | 1,200.0 | 1,210.0 | 1,220.0 |
| სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება | 1,891.0 | 2,000.0 | 2,000.0 | 2,000.0 |
| აკრედიტაციის პროცესის მართვა და განვითარება | 545.0 | 570.0 | 570.0 | 570.0 |
| ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა | 52,464.0 | 50,000.0 | 50,000.0 | 50,000.0 |
| სახელმწიფო ქონების მართვა | 148,515.0 | 101,250.0 | 31,250.0 | 31,250.0 |
| მეწარმეობის განვითარება | 41,699.0 | 41,700.0 | 41,700.0 | 41,700.0 |
| საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება | 8,268.0 | 8,300.0 | 8,300.0 | 8,300.0 |

| დასახელება | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში საქართველოს აეროპორტებში „გათავისუფლებული ფრენების" მომსახურების ხარჯების ანაზღაურება (მათ შორის, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა | 2,000.0 | 2,000.0 | 2,000.0 | 2,000.0 |
| ბაქო - თბილისი - ყარსის სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობისათვის მარაბდა - ახალქალაქი - კარწახის მონაკვეთზე კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა-კომპენსაცია | 80.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობისათვის ანაკლიის ტერიტორიაზე (სამოქმედო გეგმის ფარგლებში) კერძო საკუთრებაში არსებული მიწების გამოსყიდვა - კომპენსაცია | 96,000.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა | 7,296.0 | 5,280.0 | 5,280.0 | 5,280.0 |
| ინოვაციური ეკოსისტემის განვითარება (IBRD) | 5,000.0 | 15,000.0 | 25,000.0 | 25,000.0 |
| სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტო | 4,231.0 | 4,500.0 | 4,500.0 | 4,500.0 |
| სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო | 7,315.0 | 8,600.0 | 8,800.0 | 9,000.0 |
| სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო | 10,474.0 | 5,000.0 | 5,500.0 | 6,000.0 |
| სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური | 2,688.0 | 3,000.0 | 3,000.0 | 3,000.0 |
| ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის განვითარება | 0.0 | 192,000.0 | 120,000.0 | 0.0 |
| **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო** | **1,271,047.0** | **1,915,881.0** | **3,659,413.3** | **3,215,269.0** |
| რეგიონებისა და ინფრასტრუქტურის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა | 4,880.0 | 4,900.0 | 4,900.0 | 4,900.0 |
| საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები | 849,177.0 | 1,231,125.0 | 2,995,850.0 | 3,023,848.0 |
| რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია | 189,190.0 | 336,732.0 | 309,857.7 | 170,521.0 |
| წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია | 183,950.0 | 296,124.0 | 305,000.0 | 11,000.0 |
| მყარი ნარჩენების მართვის პროგრამა | 43,850.0 | 47,000.0 | 43,805.6 | 5,000.0 |
| **საქართველოს იუსტიციის სამინისტრო** | **210,045.4** | **191,400.0** | **195,645.0** | **194,880.0** |

| დასახელება | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|---|
| სამართალშემოქმედებისა და ქვეყნის ინტერესების სამართლებრივი მხარდაჭერის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა, მათ შორის, სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის განხორციელება | 7,485.0 | 7,500.0 | 7,500.0 | 7,500.0 |
| გამოძიებაზე ზედამხედველობის, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის პროგრამა | 35,000.0 | 37,000.0 | 37,000.0 | 37,000.0 |
| ეროვნული საარქივო ფონდის დაცულობის, მომსახურების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა | 10,920.0 | 9,700.0 | 10,200.0 | 10,200.0 |
| საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთა გადამზადება და სასწავლო ცენტრის განვითარება | 3,785.0 | 3,825.0 | 3,820.0 | 3,840.0 |
| ელექტრონული მმართველობის განვითარება | 2,610.0 | 2,650.0 | 3,000.0 | 3,500.0 |
| ერთიანი სახელმწიფო საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარება | 4,590.0 | 4,100.0 | 3,700.0 | 4,000.0 |
| დანაშაულის პრევენცია და ყოფილ პატიმართა რესოციალიზაცია | 1,633.4 | 1,300.0 | 1,400.0 | 1,500.0 |
| იუსტიციის სახლის მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა | 23,780.0 | 17,120.0 | 24,700.0 | 23,680.0 |
| მიწის ბაზრის განვითარება (WB) | 2,385.0 | 2,035.0 | 0.0 | 0.0 |
| სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა | 42,660.0 | 42,660.0 | 42,660.0 | 42,660.0 |
| ნორმატიული აქტების სისტემატიზაცია და მთარგმნელობითი ცენტრის განვითარება | 3,072.0 | 2,570.0 | 2,570.0 | 2,570.0 |
| სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა | 44,055.0 | 42,600.0 | 40,755.0 | 40,090.0 |
| სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიუროს მომსახურებათა ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომობა | 28,070.0 | 18,340.0 | 18,340.0 | 18,340.0 |
| **საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო** | **140,800.0** | **145,000.0** | **150,000.0** | **150,000.0** |
| საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება | 131,970.0 | 134,000.0 | 139,000.0 | 139,000.0 |
| სრულყოფილი პრობაციის სისტემა | 7,830.0 | 10,000.0 | 10,000.0 | 10,000.0 |

| დასახელება | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|---|
| სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 |
| **საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო** | **110,420.0** | **114,717.0** | **115,852.0** | **118,285.0** |
| საგარეო პოლიტიკის განხორციელება | 110,025.0 | 114,307.0 | 115,437.0 | 117,770.0 |
| მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლება საერთაშორისო ურთიერთობების დარგში | 395.0 | 410.0 | 415.0 | 515.0 |
| **საქართველოს თავდაცვის სამინისტრო** | **765,117.0** | **740,100.0** | **689,200.0** | **690,200.0** |
| თავდაცვის მართვა და შესაძლებლობები | 467,741.0 | 467,800.0 | 467,800.0 | 467,800.0 |
| წვრთნა და სამხედრო განათლება | 43,826.0 | 44,700.0 | 44,700.0 | 44,700.0 |
| ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 62,032.0 | 60,700.0 | 60,700.0 | 60,700.0 |
| მართვის, კონტროლის, კავშირგაბმულობის და კომპიუტერული სისტემები | 9,743.0 | 9,800.0 | 9,900.0 | 9,900.0 |
| ინფრასტრუქტურის განვითარება | 32,069.0 | 32,100.0 | 32,100.0 | 32,100.0 |
| საერთაშორისო ოპერაციები | 35,270.0 | 36,000.0 | 36,000.0 | 36,000.0 |
| სამხედრო მრეწველობის განვითარება | 36,436.0 | 37,000.0 | 38,000.0 | 39,000.0 |
| საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობის გაძლიერება (SG) | 78,000.0 | 52,000.0 | 0.0 | 0.0 |
| **საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო** | **739,420.0** | **735,400.0** | **735,700.0** | **735,900.0** |
| საზოგადოებრივი წესრიგი, სახელმწიფო საზღვრის დაცვა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავება | 506,610.0 | 506,600.0 | 506,600.0 | 506,600.0 |
| ეროვნული საგანძურის, დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საპატრიარქოს დაცვის უსაფრთხოების დონის ამაღლება | 114,160.0 | 110,500.0 | 110,500.0 | 110,500.0 |
| სამართალდამცავი სტრუქტურებისათვის მაღალკვალიციფიური კადრების მომზადება, გადამზადება, საარქივო ფონდების დიგიტალიზაცია, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და მოქალაქეთა მომსახურება | 6,890.0 | 7,950.0 | 8,250.0 | 8,250.0 |
| შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის მოსამსახურეთა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით უზრუნველყოფა | 3,750.0 | 4,150.0 | 4,150.0 | 4,150.0 |
| სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნა და მართვა | 310.0 | 1,000.0 | 1,000.0 | 1,000.0 |
| სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება | 58,200.0 | 58,200.0 | 58,200.0 | 58,400.0 |

| დასახელება | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|---|
| სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მომსახურების ეფექტიანობის უზრუნველყოფა და ყველა დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობა | 39,890.0 | 37,000.0 | 37,000.0 | 37,000.0 |
| სამოქალაქო უსაფრთხოების დონის ამაღლება | 9,610.0 | 10,000.0 | 10,000.0 | 10,000.0 |
| **საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური** | **118,000.0** | **123,000.0** | **128,000.0** | **133,000.0** |
| **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო** | **1,413,165.0** | **1,456,200.0** | **1,417,900.0** | **1,375,400.0** |
| განათლებისა და მეცნიერების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა | 24,987.0 | 25,000.0 | 25,000.0 | 25,000.0 |
| ზოგადი განათლება | 660,078.0 | 670,000.0 | 680,000.0 | 690,000.0 |
| პროფესიული განათლება | 44,909.0 | 50,000.0 | 53,000.0 | 55,000.0 |
| უმაღლესი განათლება | 400,812.0 | 403,000.0 | 404,000.0 | 405,000.0 |
| მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა | 63,210.0 | 65,000.0 | 65,000.0 | 65,000.0 |
| ინკლუზიური განათლება | 5,134.0 | 5,200.0 | 5,300.0 | 5,400.0 |
| საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურის განვითარება | 115,980.0 | 120,000.0 | 125,000.0 | 130,000.0 |
| ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს | 93,055.0 | 87,800.0 | 34,000.0 | 0.0 |
| თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგო ეფექტურობის გაზრდის პროექტი (CEB, E5P) | 4,000.0 | 26,600.0 | 26,600.0 | 0.0 |
| საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრუქტურაში, ჰიდროტექნიკური კვლევების ლაბორატორიის ჩამოყალიბების პროექტი (Unicredit Bank) | 1,000.0 | 3,600.0 | 0.0 | 0.0 |
| **საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო** | **121,265.0** | **122,250.0** | **123,050.0** | **123,050.0** |
| კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა | 5,045.0 | 5,050.0 | 5,050.0 | 5,050.0 |
| ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ | 70,179.0 | 70,200.0 | 71,000.0 | 71,000.0 |
| სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა | 25,981.0 | 26,000.0 | 26,000.0 | 26,000.0 |

| დასახელება | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|---|
| კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა | 20,060.0 | 21,000.0 | 21,000.0 | 21,000.0 |
| **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო** | **84,790.0** | **94,600.0** | **104,600.0** | **109,600.0** |
| იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობის მიზნით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა | 10,076.0 | 10,100.0 | 10,100.0 | 10,100.0 |
| განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება | 74,287.0 | 83,500.0 | 93,500.0 | 98,000.0 |
| დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფა | 427.0 | 1,000.0 | 1,000.0 | 1,500.0 |
| **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** | **3,416,700.0** | **3,498,300.0** | **3,598,600.0** | **3,698,900.0** |
| შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების მართვა | 50,196.0 | 50,300.0 | 50,600.0 | 50,900.0 |
| მოსახლეობის სოციალური დაცვა | 2,438,000.0 | 2,500,000.0 | 2,570,000.0 | 2,650,000.0 |
| მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა | 894,454.0 | 910,000.0 | 940,000.0 | 960,000.0 |
| სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაცია და აღჭურვა | 30,000.0 | 33,500.0 | 33,500.0 | 33,500.0 |
| შრომისა და დასაქმების სისტემის რეფორმების პროგრამა | 4,050.0 | 4,500.0 | 4,500.0 | 4,500.0 |
| **საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო** | **132,760.0** | **211,460.0** | **356,460.0** | **336,460.0** |
| ენერგეტიკის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და მართვა | 31,660.0 | 31,460.0 | 31,460.0 | 31,460.0 |
| ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია | 12,100.0 | 30,000.0 | 35,000.0 | 40,000.0 |
| სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება | 89,000.0 | 150,000.0 | 290,000.0 | 265,000.0 |
| **საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო** | **272,470.0** | **343,015.0** | **307,920.0** | **300,380.0** |
| სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა | 11,610.0 | 11,680.0 | 11,680.0 | 11,680.0 |
| სურსათის უვნებლობა, მცენარეთა დაცვა და ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობა | 26,915.0 | 25,110.0 | 25,520.0 | 25,540.0 |
| მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება | 43,420.0 | 29,600.0 | 24,800.0 | 24,800.0 |
| სოფლის მეურნეობის დარგში სამეცნიერო კვლევითი ღონისძიებების განხორციელება | 4,970.0 | 6,100.0 | 6,500.0 | 6,500.0 |
| ერთიანი აგროპროექტი | 102,575.0 | 138,300.0 | 135,800.0 | 133,800.0 |
| სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის ღონისძიებები | 4,870.0 | 4,400.0 | 3,900.0 | 3,800.0 |

| დასახელება | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|---|
| სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია და აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობა | 78,110.0 | 127,825.0 | 99,720.0 | 94,260.0 |
| **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო** | **59,197.0** | **59,700.0** | **58,350.0** | **57,750.0** |
| გარემოს დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება, რეგულირება და მართვა | 5,485.0 | 5,500.0 | 5,500.0 | 5,500.0 |
| გარემოსდაცვითი ზედამხედველობა | 9,080.0 | 9,100.0 | 9,100.0 | 9,100.0 |
| დაცული ტერიტორიების სისტემის ჩამოყალიბება და მართვა | 13,535.0 | 13,300.0 | 11,400.0 | 10,000.0 |
| სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა | 17,335.0 | 17,900.0 | 18,350.0 | 18,900.0 |
| ეროვნული საშენი მეურნეობის სისტემის ჩამოყალიბება და მართვა | 1,312.0 | 1,350.0 | 1,350.0 | 1,350.0 |
| გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობის პროგრამა | 730.0 | 750.0 | 750.0 | 750.0 |
| ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დაცვა | 915.0 | 1,000.0 | 1,100.0 | 1,150.0 |
| გარემოს დაცვის სფეროში მონიტორინგი, პროგნოზირება, პრევენცია და ბუნებრივი რესურსების მართვა | 10,805.0 | 10,800.0 | 10,800.0 | 11,000.0 |
| **საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო** | **138,110.0** | **162,215.0** | **141,915.0** | **142,015.0** |
| სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და მართვა | 2,850.0 | 2,850.0 | 2,850.0 | 2,850.0 |
| სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები | 125,005.0 | 149,100.0 | 128,800.0 | 128,900.0 |
| სპორტის სფეროში დამსახურებულ მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები | 6,040.0 | 6,050.0 | 6,050.0 | 6,050.0 |
| ახალგაზრდობის სფეროში სახელმწიფო ხელშეწყობის ღონისძიებები | 4,215.0 | 4,215.0 | 4,215.0 | 4,215.0 |
| **საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური** | **56,470.0** | **56,050.0** | **56,100.0** | **56,150.0** |
| დასაცავ პირთა და ობიექტთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა | 47,500.0 | 47,500.0 | 47,500.0 | 47,500.0 |
| სახელმწიფო ობიექტების მოვლა-შენახვა | 7,500.0 | 7,500.0 | 7,500.0 | 7,500.0 |
| სსიპ სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო | 1,470.0 | 1,050.0 | 1,100.0 | 1,150.0 |
| **საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი** | **4,800.0** | **5,500.0** | **6,000.0** | **6,500.0** |

| დასახელება | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ფუნქციონირების გაძლიერების ღონისძიებები (საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი | 4,800.0 | 5,500.0 | 6,000.0 | 6,500.0 |
| **სსიპ – საზოგადოებრივი მაუწყებელი** | **51,055.0** | **53,900.0** | **55,920.0** | **62,570.0** |
| მაუწყებლობის ხელშეწყობა | 51,055.0 | 53,900.0 | 55,920.0 | 62,570.0 |
| **სსიპ – კონკურენციის სააგენტო** | **1,900.0** | **2,100.0** | **2,100.0** | **2,100.0** |
| **ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია** | **2,460.0** | **2,460.0** | **2,460.0** | **2,460.0** |
| ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია | 2,060.0 | 2,060.0 | 2,060.0 | 2,060.0 |
| ა(ა)იპ ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ნართები“ | 400.0 | 400.0 | 400.0 | 400.0 |
| **საქართველოს საპატრიარქო** | **25,000.0** | **25,000.0** | **25,000.0** | **25,000.0** |
| სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი | 14,683.0 | 14,683.0 | 14,683.0 | 14,683.0 |
| ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სვიმონ კანანელის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრი | 295.0 | 295.0 | 295.0 | 295.0 |
| ა(ა)იპ – ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის საგანმანათლებლო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი | 1,768.0 | 1,768.0 | 1,768.0 | 1,768.0 |
| საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ნინოს სახელობის ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა პანსიონატისათვის გადასაცემი გრანტი | 959.0 | 959.0 | 959.0 | 959.0 |
| საქართველოს საპატრიარქოს ბათუმის წმინდა მოწამე ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანისათვის გადასაცემი გრანტი | 261.0 | 261.0 | 261.0 | 261.0 |
| საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის სასულიერო სწავლების ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი | 447.0 | 447.0 | 447.0 | 447.0 |
| წმინდა გიორგი მთაწმინდელის მონასტერთან არსებული სარეაბილიტაციო ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი | 230.0 | 230.0 | 230.0 | 230.0 |
| საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი | 2,000.0 | 2,000.0 | 2,000.0 | 2,000.0 |

| დასახელება | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|---|
| საქართველოს საპატრიარქოს ა(ა)იპ – ტბელ აბუსერისძის სახელობის უნივერსიტეტისათვის გადასაცემი გრანტი | 2,304.0 | 2,304.0 | 2,304.0 | 2,304.0 |
| ა(ა)იპ – სმენადაქვეითებულ ბავშვთა რეაბილიტაციის და ადაპტაციის ცენტრისათვის გადასაცემი გრანტი | 100.0 | 100.0 | 100.0 | 100.0 |
| საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზიის სუბსიდირების ღონისძიებები | 800.0 | 800.0 | 800.0 | 800.0 |
| ა(ა)იპ – ახალქალაქისა და კუმურდოს ეპარქიის სასწავლო ცენტრისთვის გადასაცემი გრანტი | 500.0 | 500.0 | 500.0 | 500.0 |
| ა(ა)იპ ფოთის საგანმანათლებლო და კულტურულ-გამაჯანსაღებელი ცენტრი | 653.0 | 653.0 | 653.0 | 653.0 |
| **სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო** | **25,700.0** | **25,700.0** | **25,500.0** | **26,500.0** |
| **სსიპ – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი** | **7,735.0** | **8,350.0** | **8,650.0** | **8,750.0** |
| სტატისტიკური სამუშაოების დაგეგმვა და მართვა | 4,210.0 | 4,800.0 | 5,000.0 | 5,000.0 |
| სტატისტიკური სამუშაოების სახელმწიფო პროგრამა | 3,380.0 | 3,550.0 | 3,650.0 | 3,750.0 |
| მოსახლეობისა და საცხოვრისების საყოველთაო აღწერა | 145.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური** | **1,180.0** | **1,180.0** | **1,180.0** | **1,180.0** |
| **სსიპ - საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო** | **1,760.0** | **1,750.0** | **1,750.0** | **1,750.0** |
| საინვესტიციო პოლიტიკის დაგეგმვა და მართვა | 955.0 | 950.0 | 950.0 | 950.0 |
| ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა | 805.0 | 800.0 | 800.0 | 800.0 |
| **სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურო** | **1,250.0** | **1,300.0** | **1,300.0** | **1,300.0** |
| **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი** | **1,900.0** | **2,000.0** | **2,100.0** | **2,200.0** |
| **საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა** | **1,150.0** | **1,150.0** | **1,150.0** | **1,150.0** |
| საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა | 1,150.0 | 1,150.0 | 1,150.0 | 1,150.0 |
| **სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური** | **5,800.0** | **6,500.0** | **6,700.0** | **7,000.0** |
| **სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური** | **6,400.0** | **5,200.0** | **5,200.0** | **5,200.0** |
| **სსიპ - რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტო** | **5,330.0** | **5,330.0** | **5,330.0** | **5,330.0** |
| სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო | 830.0 | 830.0 | 830.0 | 830.0 |

| დასახელება | 2017 წელი | 2018 წელი | 2019 წელი | 2020 წელი |
|---|---|---|---|---|
| სააგენტო | | | | |
| რელიგიური გაერთიანებების დაფინანსება | 4,500.0 | 4,500.0 | 4,500.0 | 4,500.0 |
| **სსიპ – საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახური** | **2,150.0** | **2,150.0** | **2,150.0** | **2,150.0** |
| **ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდი** | **260.0** | **260.0** | **260.0** | **260.0** |
| **სსიპ - საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია** | **4,290.0** | **4,290.0** | **4,290.0** | **4,290.0** |
| **საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი** | **3,600.0** | **3,600.0** | **3,600.0** | **3,600.0** |
| საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატი | 3,600.0 | 3,600.0 | 3,600.0 | 3,600.0 |
| **სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო** | **4,800.0** | **5,500.0** | **5,500.0** | **5,500.0** |
| **სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“** | **10,695.0** | **11,400.0** | **12,300.0** | **12,700.0** |
| სსიპ - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი - „საქპატენტი“ | 10,495.0 | 11,200.0 | 12,100.0 | 12,500.0 |
| ა(ა)იპ - ორიჯინ-საქართველო | 200.0 | 200.0 | 200.0 | 200.0 |

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრიორიტეტები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანია, შექმნას თავისუფალი, ერთიანი, დემოკრატიული, სამართლიანი, ადამიანის განვითარებისა და საქმიანობის თავისუფლებაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობაში რეგიონის სრულფასოვანი და სრულუფლებიანი მონაწილეობის წინაპირობები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საშუალოვადიან კონცეფცია, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია მთავრობის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები:

- აჭარის ავტონონომიური რესპუბლიკის ძლიერი წარმომადგენლობითი ორგანოს გამართული ფუნქციონირება,
- კომპეტენციის ფარგლებში საკანონმდებლო საქმიანობის განხორციელება, კონტროლი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობაზე.
- რეგიონის ფინანსური მართვა და საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობა
- გარემოსა და ბუნერივი რესურსების დაცვა, მათი რაციონალური გამოყენება, მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, სატყეო მეურნეობის მართვა;
- ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო კომუნიკაციების რეაბილიტაცია-განვითარება და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა, სამელიორაციო სისტემების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის და შიდაქსელური არხების რეაბილიტაცია. ხიდებისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენენებლობა-რეაბილიტაცია, მდგრადი ეკონომიკური ზრდა და დასაქმების ხელშეწყობა;
- ტურიზმისა და ტურისტული ბიზნესის განვითარება, არსებული ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული რესურსების გამოყენება რეგიონის ტურისტული პოტენციალის გასაძლიერებლად და ახალი ტურისტული პროდუქტების შესაქმნელად; რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე; ტურისტული საინფორმაციო ცენტრების ქსელის გაფართოება; შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ამ მიზნით საინფორმაციო-სარეკლამო პროდუქციის შექმნა და გავრცელება.
- სახელმწიფო ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის ამაღლება;
- ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა, კულტურისა და სამეცნიერო დაწესებულებების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება, კულტურის ძეგლების დაცვა, აჭარაში დაცული კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების რეაბილიტაცია და კონსერვაცია; მუზეუმების მართვა;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურული ღონისძიებების ფართომასშტაბიანი განხორციელების ხელშეწყობა, ტრადიციული წეს-ჩვეულებებისა და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხების გადაწყვეტაში აქტიური მონაწილეობა. სოფლის მოსახლეობისათვის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების მიწოდება და გარკვეული კატეგორიებისათვის სოციალური დახმარება, მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში დასაქმებულ ზოგიერთ სამედიცინო პერსონალის მატერიალურ სტიმულირება.
- შიდასახელმწიფოებრივი სატვირთო და სამგზავრო სატრანსპორტო სფეროს განვითარების ხელშეწყობა, საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებში რეგიონის პოტენციალის ინტეგრირების ხელშეწყობა;

• ტურიზმისა და ტურისტული ბიზნესის განვითარება, არსებული ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული რესურსების გამოყენება რეგიონის ტურისტული პოტენციალის გასაძლიერებლად და ახალი ტურისტული პროდუქტების შესაქმნელად; რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე; ტურისტული საინფორმაციო ცენტრების ქსელის გაფართოება; შიდა ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ამ მიზნით საინფორმაციო-სარეკლამო პროდუქციის შექმნა და გავრცელება.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო**

• **საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა**

პროექტის მიზანია: ეფექტიანი და გამჭვირვალე საბიუჯეტო პროცესის უზრუნველყოფა და მონიტორინგის გაძლიერება; რეგიონში ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნისა და მდგრადი ეკონომიკური განვითარების მიზნით წინადადებების შემუშავება და რეალიზება.

**ფინანსების, ეკონომიკური პოლიტიკისა და ქონების სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა**

პროექტის მიზანია:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საფინანსო სისტემის მართვა და საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის რეგულირება.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების უზრუნველყოფა.
- რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის გაზრდის მიზნით ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტიანად შემუშავება და წარმართვა.

• **რეგიონში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა**

პრიორიტეტის მიზანია:

- ააჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საინვესტიციო პოტენციალის გაზრდა. რეგიონის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის შესწავლა.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების ეფექტურად განკარგვა.
- თითოეული საპრივატიზებო ობიექტის ინფორმაციული შეფუთვა ან/და სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე საპრივატიზებო ობიექტების მონაცემთა ბაზის განთავსება, განახლება და რედაქტირება.

• **სახაზინო მომსახურება**

ქვეპროგრამის მიზანია:

- ელექტრონული ხაზინის სისტემის დანერგვა;
- ელექტრონული ხაზინის ძირითადი ექსპლუატაცია;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის აღსრულება, მისი შემოსულობების და გადასახდელების ზუსტი და ოპერატიული აღრიცხვა.
- ბიუჯეტის ოპერატიული, ყოველთვიური, ყოველკვარტალური და წლიური ანგარიშების მომზადება.

**გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო**

• **გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გარემოს დაცვის პოლიტიკის მთავარი პრიორიტეტები რეგიონში გარემოს ინტეგრირებული მართვის ხელშეწყობა და ტყეების მდგრადი

მართვაა. ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია საქმიანობა გეოლოგიური მონიტორინგის, სანაპირო ზოლის დაცვისა და საზოგადოების ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლების კუთხით.

- **გარემოსდაცვითი ღონისძიებები**

აჭარის სანაპირო ზოლის წყლისა და ატმოსფერული ჰაერის აქტიურ დამაბინძურებელ კერებში და აჭარის სანაპირო ზოლის მონაკვეთზე ზღვის წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების მონიტორინგის ფარგლებში წლის განმავლობაში განხორციელდება დაკვირვება ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხობრივ მდგომარეობაზე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სანაპირო ზოლის მთელს ტერიტორიაზე აბრაზიული პროცესების გააქტიურებამ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა აჭარის სანაპირო ზოლის მიმდებარედ დასახლებულ პუნქტებს, განსაკუთრებით კი ადლიის და ჩაქვის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, სანაპირო ზოლზე ჩატარდება დროებითი ნაპირსამაგრი სამუშაოები, რაც ამ პროცესების შეჩერებისა და ეროზიის პრევენციისათვის არის გამიზნული.

- **სატყეო სექტორის განვითარება**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა რესპუბლიკის განსაკუთრებულ განმგებლობაში არსებული სატყეო მეურნეობის მართვა. ტყის რესურსების ანალიზისა და გარემოსდაცვითი რისკების გათვალისწინებით, ტყის მოვლის ეფექტური სისტემის დანერგვა; ტყის რესურსებით სარგებლობის ეფექტიანობის ამაღლება და ხარისხიანი სერვისების დანერგვა; ტყის დეგრადაციის პროცესის შეჩერება და ბიომრავალფეროვნების შენარჩუნება; ტყითსარგებლობის წესების შესახებ მოსახლეობის ამაღლებული ცნობიერება; ახალი ფუნქციონალური დატვირთვის შესაბამისად ორგანიზაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ინფრასტრუქტურის განვითარება;

**საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი**

- **საგზაო და სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამით გათვალისწინებულია:

➢ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, ხიდების შეკეთება და აღდგენა, საჭიროებისამებრ სხვა ხელოვნური ნაგებობების მოწყობა;

➢ მუნიციპალურ ცენტრებთან, ისტორიულ ძეგლებსა და ტურისტულ ადგილებთან მისასვლელი გზების მოწესრიგება.

➢ გზების არსებული საექსპლუატაციო პარამეტრების შენარჩუნება და ზამთრის პერიოდში გზის სავალი ნაწილის გაწმენდა თოვლის საფარისაგან.

➢ საზაფხულო იალაღებზე, მთებსა და სახნავ-სათიბ ტერიტორიებზე მიმავალი გზების რეაბილიტაცია.

➢ გზების გაწმენდითი თუ მოვლა-შენახვითი სამუშაოებისათვის სპეციალური ტექნიკის შეძენა.

➢ სამელიორაციო სისტემებისა და ჰიდროტექნოლოგიური ნაგებობების რეაბილიტაცია.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი**

- **ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა**

აჭარაში ბუნებრივი, ისტორიული და კულტურული რესურსების გამოყენება რეგიონის ტურისტული პოტენციალის გასაძლიერებლად, ახალი ტურისტული პროდუქტების შესაქმნელად, რეგიონის ცნობადობის გაზრდა საერთაშორისო და შიდა ბაზარზე ერთ ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

- რეგიონის ღირშესანიშნაობების შესახებ ინფორმაციის შეგროვება;
- ახალი ტურისტული მარშრუტების შემუშავება და ორგანიზება;
- ტურისტული საინფორმაციო ცენტრების ქსელის გაფართოება;
- სერვისის დონისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- საერთაშორისო სტანდარტების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით თანამშრომლობა (გაწევრიანება) შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

- **ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში აუცილებელია რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაცია ქვეყნის შიდა და გარე ბაზარზე;

იგეგმება სარეკლამო კამპანიების წარმოება, სარეკლამო-საინფორმაციო პროდუქციის მომზადება და გავრცელება და ბაზრობა-გამოფენებში მონაწილეობა.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო**

სამინისტრო გააგრძელებს განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში დაწყებულ ღონისძიებებს, საგანმანათლებლო დაწესებულებების სათანადო კადრებითა და შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფის და მართვის ეფექტიანი სისტემის დანერგვის გზით. პრიორიტეტის ფარგლებში სამინისტრო განაგრძობს შესაბამისი პროგრამების განხორციელებას, რათა ზოგადი განათლების სისტემა მაქსიმალურად მიუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- საჯარო სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით კონკურსებისა და ოლიმპიადების ჩატარება.
- სკოლა-პანსიონების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა;
- სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ინგლისური ენის, კომპიუტერული კურსების და ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლება;
- ტურიზმის განათლების განვითარება;
- სტუდენტთა დაფინანსების მიზნობრივი პროგრამა: ახალგაზრდების პროფესიული სტაჟირება ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრ-ქვეყნების სხვადასხვა დაწესებულებებში.
- სახელოვნებო განათლების ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა და კულტურისა და ხელოვნების სფეროს უზრუნველყოფა კვალიფიციური კადრებით, ასევე მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესება ქორეოგრაფიით, კლასიკური მუსიკით და ხელოვნების სხვა დარგებით.

- **ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სფეროს ხელშეწყობა**

განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა:

- მაღალი ხარისხის პროფესიული განათლების შეთავაზებას, რაც აუცილებელი წინაპირობაა შრომის ბაზრის მაღალკვალიფიციური ადგილობრივი მუშახელით უზრუნველყოფისათვის, რაც თავის მხრივ, დიდ გავლენას მოახდენს უმუშევრობის დონეზე; სკოლაში უცხო ენების (განსაკუთრებით ინგლისური ენის) გაძლიერებულ, ინტენსიურ შესწავლას საერთაშორისო დონეზე აპრობირებული მეთოდებით;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ხელშეწყობას;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ხელშეწყობას;

• **კულტურის განვითარება, ხელშეწყობა და პოპულარიზაცია**

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მოწოდებულია ხელი შეუწყოს რესპუბლიკაში ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარებას და პოპულარიზაციას. შეიმუშავებულია პროგრამა, რომელიც თანმიმდევრულად დაგეგმილი საგანმანათლებლო პროექტებით, ფესტივალებით, გამოფენებით, და სემინარებით უზრუნველყოფს რეგიონში სახვითი, გამოყენებითი და მულტიმედიური ხელოვნების განვითარებას. სასცენო და სამუსიკო დაწესებულებების განვითარებას.

რეგიონის კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად და მომავალი თაობებისათვის მისი სრულყოფილი სახით გადასაცემად დაგეგმილია ძეგლთა რეაბილიტაციისა და კონსერვაციის ღონისძიებები. მათ შორის პრიორიტეტულია ხიხანისა და გონიოს ციხეები, საკულტო ნაგებობები და თაღოვანი ხიდები. უძრავი ძეგლების რეაბილიტაციის აუცილებლობა განპირობებულია ამ ობიექტების კულტურული ფასეულობებებიდან გამომდინარე და მიზანშეწონილია აღნიშნული საკონსერვაციო-სარესტავრაციო სამუშაოების დაწყება, რომელიც შემდგომში გაგრძელდება და მომავალ თაობებს შეუნარჩუნებს იმ ფასეულ ღირებულებებს, რაც დღეს გაგვაჩნია კულტურული მემკვიდრეობის სახით. მნიშვნელოვანია ფოლკლორის ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. ქართული ფოლკლორის ხელშეწყობა და ტრადიციების შენარჩუნება.

• **სპორტის განვითარების ხელშეწყობა, პოპულარიზაცია და ახალგაზრდობის საქმეთა სფეროს ხელშეწყობა**

პროგრამა ითვალისწინებს:

➢აჭარაში სპორტის განვითარებისთვის სათანადო პირობების შექმნასა და ძირითად მიმართულებათა განსაზღვრას;

➢2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის გამართვისათვის მიმართული ღონისძიებების მხარდაჭერას;

➢აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სპორტის სხვადასხვა სახეობების მიხედვით აჭარის ნაკრების მთავარი მწვრთნელებისათვის თანამედროვე მოთხოვნების საწვრთნელი პროცესის წარმართვაში ხელის შეწყობას, მათი ფინანსური, სოციალური და სამედიცინო დაცვის პირობების გაუმჯობესებას, ასევე სპორტის სფეროში მოღვაწე საპენსიო ასაკის ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორებისათვის, დამსახურებულ მუშაკთა, მწვრთნელთა სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას;

➢სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პარალელურად აჭარისა და მუნიციპალური ნაკრები გუნდების სპორტული ინვენტარით უზრუნველყოფას;

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

• **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ხორციელდება მთელი რიგი 2017-2020 წლების პრიორიტეტი თავისი შინაარსითა და მოცულობით ძირითადად ორიენტირებული იქნება სოციალურად დაუცველ ფენებზე და დაავადების მაღალი რისკის ჯგუფებზე, სხვადასხვა სოციალურად დაუცველი კატეგორიის ადამიანებისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვაზე, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო პროგრამებით, ამბულატორიულ, მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევაზე, სახსრების ენდოპროტეზირებისა და კარდიოქირურგიულ მკურნალობასთან, ონკოლოგიურ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების, ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებისა და მოზრდილი მოსახლეობის რეაბილიტაციასთან დაკავშირებულ ფინანსური რისკებისგან დაცვაზე, სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარების ხელშეწყობაზე.

- **ჯანმრთელობის დაცვა**

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა მიზნად ისახავს მოსახლეობისათვის გადაუდებელ ჰოსპიტალურ დახმარებას, გეგმიურ ჰოსპიტალურ მომსახურებას, ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარებას, ბავშვთა რეაბილიტაციას, რესურსტევად კარდიოქირურგიულ მკურნალობას, მათი ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას, სოფლის მოსახლეობისათვის გადაუდებელ სამედიცინო დახმარების მიწოდებას.

- **საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა**

დაავადებათა პროფილაქტიკისკენ მიმართული პროგრამები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ამ მიმართულებით დაგეგმილია:

- ➢ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამედიცინო დახმარების ერთიანი წესების, პირობებისა და ნორმატივების შემუშავება;
- ➢სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- ➢დაავადებათა ადრეული გამოვლენა ადრეული დიაგნოსტიკა, და პრევენცია;
- ➢პარაზიტული დაავადებების კერების პირველად ეპიდკვლევა;
- ➢მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში სკრინინგულ გამოკვლევები.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

სამინისტრო გამოყოფს მოსახლეობის გარკვეულ კატეგორიებს, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან თანადგომას:

- ➢100 წელს გადაცილებული მოქალაქეების, მატერიალურ მხარდაჭერა.
- ➢ სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია;
- ➢სმენადაქვეითებულ პირთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა;
- ➢მიუსაფარი დედებისა და ბავშვების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა.
- ➢ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფა
- ➢ 2008 წლის აგვისტოში საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული საომარი მოქმედებისა და 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო ოპერაციის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების სოციალური მხარდაჭერა.
- ➢სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ოჯახის წევრებისათვის და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირების პროფესიული სწავლება-გადამზადება;

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგროსასურსათო სექტორი**

სოფლის მეურნეობა და მისი განვითარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული სფეროა. აგროსასურსათო სექტორის ძირითადი ფუნქცია სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაა. რეგიონში სოფლის მეურნეობის უმთავრეს სექტორებს წარმოადგენს: მეციტრუსეობა, მევენახეობა-მეხილეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეფუტკრეობა მეთევზეობა და სხვა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მცირე მიწიანობის მიუხედავად ერთეულ ფართობზე დაბალია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მაჩვენებელი, რაც განპირობებულია დაბალი აგროტექნიკური ფონით. 2017–2020 წლების პრიორიტეტი თავისი შინაარსითა და მოცულობით ძირითადად ორიენტირებულია სოფლის მეურნეობის დარგის შემდგომ განვითარებაზე, რომლის მისაღწევად საჭიროა აგარარული პოლიტიკის შემუშავება ეროვნული ტრადიციებისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, რეფორმების დაგეგმვა და განხორციელება, აგროსასურსათო სექტორში პროდუქციის წარმოების ზრდისა და ექსპორტზე რეალიზაციის ხელშეწყობა, სასურსათო უსაფრთხოებისათვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, დარგში ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა,

პროგრამული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. რაც დადებითად აისახება როგორც ფერმერებზე, აგრომეწარმეებზე და ზოგადად მოსახლეობის შემოსავლებზე.

- **აგროსასურსათო სექტორის განვითარების პოლიტიკის შემუშავება და მართვა**

პროგრამის მიზანია რეგიონის აგროსამრეწველო და სასურსათო სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა და მის პრაქტიკულ განხორციელებაში ადმინისტრაციული აპარატის მოქნილი, მაღალეფექტური და კოორდინირებული მართვის სისტემის უზრუნველყოფა;

**აგროსექტორის მდგრადი განვითარება**

აჭარის მცირემიწიანი რეგიონისათვის სხვა აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებასთან ერთად მეტად მნიშვნელოვანია შრომითი, მატერიალური და ფულადი რესურსების მართვა, კადრების კვალიფიკაციის დონის ამაღლება. თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა, სიახლეებისა და ინოვაციების პრაქტიკული დემონსტრირებით ფერმერთა და აგრომეწარმეთა კვალიფიკაციისა და ცნობიერების ამაღლება, სწავლება-კონსულტირება, ტრენინგები სასოფლო-სამეურნეო დარგების მიხედვით.

პროგრამის მიზანს წარმოადგენს მაღალშემოსავლიანი ერთწლიანი სასოფლო - სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების, სოფლის მეურნეობის დივერსიფიკაციის, რეგიონისათვის ახალი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა და ფუნქციის მინიჭების, სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების საწარმოო საშუალებებით აღჭურვის, დამატებული ღირებულების შემქმნელი სრული ციკლის წარმოების განვითარების, მაღალმწარმოებლური ტექნოლოგიების დანერგვისა და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის ხელშეწყობის გზით, მოსახლეობის საქმიანობიდან მაღალი შემოსავლების მიღება, იმპორტის ჩანაცვლება და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

- **აგროსერვისის განვითარება აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში**

ამ პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

➢არსებული სუპტროპიკული და კონტინენტალური ერთწლიანი და მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო და დეკორატიული კულტურების ჯიშთგანახლებისათვის, სუბტროპიკული კულტურების, ხეხილისა და ვაზის სარგავი მასალის წარმოება. ახალი ტექნოლოგიური ინოვაციებით ფერმერთა ინფორმირება.

➢რეგიონში მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა, ამ დარგში ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის დანერგვა. მაღალპროდუქტიული წვრილფეხა და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სანაშენე ბაზისა და გენოფონდის შექმნა.

➢სოფლის მეურნეობის ცალკეულ დარგებში ფერმერთა სწორი ორიენტირება. მათთვის სასურველი პროდუქციის წარმოებისათვის შესაბამისი აგროწესების ღონისძიებების გატარება. ტესტირება-სერთიფიცირების მომსახურება

➢წყლის და ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენის მიზნით ბიუჯეტით გათვალისწინებულია აღებული ნიმუშების ლაბორატორიული კვლევები. სურსათისა და პათმასალის ბაქტერიოლოგიური, ვირუსოლოგიური, პარაზიტოლოგიური, ქიმიური და სეროლოგიური გამოკვლევები და მცენარეთა მავნებელ-დაავადებების დიაგნოსტიკა. ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე პროდუქციის შესაბამისობის სერთიფიკატის გაცემა.

# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი

## 1. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა კვლავ ერთერთ ძირითად პრიორიტეტად რჩება დედაქალაქისათვის. ბოლო წლების განმავლობაში დედაქალაქის გზების მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიუხედავად გზების გარკვეული ნაწილი მოითხოვს სარეაბილიტაციო, კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთების სამუშაოებს და გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. პრიორიტეტი ასევე ითვალისწინებს ახალი თანამედროვე ტურისტული და სატრანსპორტო ფუნქციების მქონე საბაგირო გზების მშენებლობას, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც მოიცავს ქალაქის შუქნიშნების, საგზაო ნიშნების, მონიშვნების, გზაჯვარედინების მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელებას, გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირებას, გზების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთება**

პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება რაც ხელს შეუწყობს ქუჩებისა და მაგისტრალების განტვირთვას ჭარბი სატრანსპორტო ნაკადებისაგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას, გაგრძელდება მუშაობა ძირითადი მაგისტრალური და შიდა კვარტალური გზების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, მოხდება გზების ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან. ჩატარებული სამუშაოების შედეგად აშენებული, მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება ცენტრალური და შიდაკვარტალური მნიშვნელობის საავტომობილო გზები, რითაც მნიშვნელოვნად მოწესრიგდება შემოერთებული ტერიტორიებიდან ქალაქთან მისასვლელი გზები, შემცირდება საცობების რაოდენობა, რაც დადებითად იმოქმედებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტექნიკურ მაჩვენებლებზე.

- **ტრანსპორტის განვითარება**

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება მოიცავს ქალაქის შუქნიშნების, საგზაო ნიშნების, მონიშვნების, გზაჯვარედინების მოწესრიგების ღონისძიებების განხორციელებას. შუქნიშნების მართვის ცენტრის ექსპლუატაციას, დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტოტრანსპორტის გაზრდილი ნაკადების გამტარუნარიანობის მაქსიმალურ უზრუნველყოფას, ავტობუსის გაჩერებებზე სამარშრუტო ხაზზე ავტობუსის მოძრაობის ინტერვალის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას, ახალი თანამედროვე ტურისტული და სატრანსპორტო ფუნქციების მქონე საბაგირო გზების მშენებლობას, მეტროს ვაგონებისა და მეტროს სადგურების რეაბილიტაციას, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა პარკირების რეგულირებას, ტრანსპორტითა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფას.

## 2. ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება

მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების ძირითად პირობად დღეისათვის კვლავ რჩება საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება. საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა–რეკონსტრუქცია, მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება. გარდა ამისა პრიორიტეტი ითვალისწინებს ავარიული შენობების გამაგრებას, გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია-რეაბილიტაციას, სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობას, კეთილმოწყობის ღონისძიებების ჩატარებას, ქალაქის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და მშენებლობას,

ქალაქგაფორმებით ღონისძიებებს, ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან და სხვა.

- **ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება**

პროგრამა ითვალისწინებს საბინაო - საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. დედაქალაქში ამჟამად აღრიცხვაზეა მრავალი ავარიული საცხოვრებელი სახლი, სხვადასხვა ფაქტორები (მ.შ. სტიქიური მოვლენები) რეალურ საფრთხეს უქმნის მობინადრეთა სიცოცხლეს. ამისათვის დაგეგმილია თბილისში გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული ავარიული შენობების აღდგენა-რეაბილიტაცია, რაც მიზნად ისახავს ავარიული საცხოვრებელი სახლების შემცირებას, ავარიული შენობების ჩამოშლის საშიშროების თავიდან აცილების შედეგად მობინადრეთა უსაფრთხოების დაცვას, ასევე დედაქალაქის მოსახლეობაზე განაწილებული და დაუმთავრებელი საცხოვრებელი კორპუსების (მათ შორის კოოპერატიული სახლები) დასრულებისთვის საჭირო ღონისძიებების გატარებას.

- **გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია**

პროგრამა ითვალისწინებს ქ.თბილისის ქუჩების, მოედნების, მაგისტრალების, საცხოვრებელი მასივების, შიდა კვარტალების, ბაღ-სკვერების, ხიდების, გზატკეცილების გარე განათების არსებული ქსელის განათებასა და ქალაქის ღირსშესანიშნაობათა მხატვრულ მინათებას. გარე განათების ქსელის რეკონსტრუქციას და სწორ ექსპლოატაციას. ქალაქის გარე განათების ქსელის ექსპლოატაციისა და რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში მოხდება: გარე განათების ქსელის ცენტრალიზებული მართვის სისტემების სრულყოფა; გარე განათებისა და სკვერების განათების ბოძების დიზაინის გაუმჯობესება. ელექტროუსაფრთხოების ღონისძიებების რეგულარული გატარება. გარე განათების ქსელის მოდერნიზაცია–განვითარება.

- **სანიაღვრე ქსელის მოვლა-პატრონობა**

ქალაქის კომუნალური მეურნეობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სანიაღვრე ქსელების და კოლექტორების მოვლა-პატრონობას, გარკვეული ნაწილის აღდგენა-რეაბილიტაციას და სარეკონსტრუქციო სამუშაოებს. სანიაღვრე ქსელებისა და კოლექტორების გარკვეული ნაწილი ამორტიზირებულია და მოითხოვს განახლებას, ხოლო ქსელების ნაწილი სარეკონსტრუქციოა, კვეთის სიმცირის გამო. პროგრამის მიზანია სანიაღვრე ქსელების ნორმალური ფუნქციონირება, სანიაღვრე და სადრენაჟე ქსელების სათავე ნაგებობების წესრიგში მოყვანა.

- **ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები**

პროგრამის მიზანია დედაქალაქის მხატვრულ დონეზე გაფორმება, სხვადასხვა ქალაქგაფომებითი ღონისძიებების მოწყობა კონკრეტული ღონისძიების სპეციფიკისა და მისი ჩატარების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, მემორიალური დაფების დამზადება-მონტაჟი, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა თბილისის პანთეონებში საფლავების მოწყობა, თბილისში არსებული ძეგლების მოვლა-პატრონობა, ძეგლების მშენებლობისა და აღდგენის ღონისძიებები, საახალწლო ილუმინაციების მონტაჟი, ექსპლუატაცია და დემონტაჟი, სასცენო-საკონცერტო განათება-მინათების, გახმოვანების აპარატურით მომსახურება და სასცენო დეკორაციებით მომსახურება და სხვა.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის მიზანია დედაქალაქისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება; დაზიანებული საქალაქო ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა – რეაბილიტაცია; სხვადასხვა ობიექტების კეთილმოწყობა, მოვლა-პატრონობა; სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში დროებითი ნაგებობებისა და კონსტრუქციების მოწყობა; ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან, რაიონის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული

მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა, შეიქმნას რაიონის მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

- **ქალაქის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის მიზანია ქ. თბილისის ტერიტორიაზე ისტორიული და მნიშვნელოვანი შენობა-ნაგებობების შესანარჩუნებლად სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება, ინფრასტრუქტურისა და გარემოს რეაბილიტაციის სტრატეგიის შემუშავება/განხორციელება, ქონების მართვისა და ეფექტური გამოყენების სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა, ისტორიული უბნების შესწავლა და ქალაქგანვითარების პროექტების ხელშეწყობა, სხვადასხვა უბნებში ქალაქისთვის მნიშვნელოვან პროექტებში მონაწილეობა, ქალაქის ისტორიული ნაწილის მოვლა-პატრონობისთვის ფინანსების მობილიზაციის შესაძლებლობების კვლევა და ოპტიმალური გამოყენება, კერძო ინვესტორების ჩართულობა და გადაუდებელი პროექტების განხორციელება, ქალაქის რეაბილიტაციის პროცესში საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიის დანერგვის უზრუნველყოფა, ქალაქგანვითარებისთვის პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება და/ან განხორციელებაზე კონტროლი.

- **2015 წლის 13-14 ივნისს ძლიერი წვიმის შედეგად გამოწვეული სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება 2015 წლის 13-14 ივნისს თბილისში მოხდარი ძლიერი წვიმით გამოწვეული სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება, მათ შორის: დაზარალებულ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის, საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის, სხვა სახის ფულადი დახმარებების და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სხვადასხვა ღონისძიებები.

**3. ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება**

- **გამწვანების ღონისძიებები**

პროგრამის განხორციელებით საგრძნობლად უმჯობესდება დედაქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობა, გარე-იერსახე და ქალაქის მოსახლეობის დასვენების პირობები. მწვანე ნარგავებით ტერიტორიების შევსება და მათი შენარჩუნება საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს თბილისის მწვანე საფარი. ასევე ხორციელდება ფერდობების, ბაღების, სკვერების მოვლა–პატრონობა; მცენარეთა შესყიდვა, (სხვადასხვა ჯიშის ყვავილები, ბუჩქები, ხე-მცენარეები); მწვანე თარგების მოწესრიგების მიზნით, მწვანე გაზონების მოწყობა (რულონი); სხვადასხვა ტერიტორიაზე მწვანე თარგებიდან სტრუქტურადარღვეული ნიადაგის ფენის მოშორება და მისი ნოყიერი და ყამირი ფენით შევსება; ხეების მოჭრა-გადაბელვა და კუნძების ამოღება-გატანა; ფოთლოვანი და წიწვოვანი ხე-მცენარეების მავნებელ დაავადებათა კვლევა, მონიტორინგი და მათ წინააღმდეგ ბრძოლის აგრო-ტექნიკური ღონისძიებები (გასხვლა, შეწამვლა); ზრდასრული ხე-მცენარეების გადარგვა და რეკულტივატორით გადარგული ხე-მცენარეების მორწყვა; სარწყავი ქსელების რეკონსტრუქცია და ახლის მოწყობა; სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია; საპარკე ფურნიტურის მონტაჟი სარეკრეაციო ზონებში და სხვა ღონისძიებები.

- **დასუფთავების ღონისძიებები**

ქუჩების დაგვა-დასუფთავება, საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; ხევების, ფერდობების და მიწისქვეშა გადასასვლელის დაგვა დასუფთავება; საბილინგო სისტემის ფუნქციონირების უზრუნველყოფა; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების სანიტარული ნორმების შესაბამისად დეზინფექცია-დერატიზაცია, შეზიდული ნარჩენების აღრიცხვა-კონტროლი და შემდგომში კონსერვაცია; თოვლცვენის

დროს გზებისა და მოედნების გაწმენდისა და ტექნიკური მარილის მოყრის სამუშაოების ორგანიზება; ღია ნაგავსაყრელი პოლიგონების მოვლა-პატრონობა, დაცვა; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან და სხვა ღონისძიებები.

- **თბილისის ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის განვითარების ხელშეწყობა**

მსოფლიოს და ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის ცოცხალი კოლექციის შენახვა, როგორც საექსპოზიციო, ასევე საგანმანათლებლო მიზნით ხელს შეუწყობს ზოოლოგიური პარკის და ბოტანიკური ბაღის, როგორც შემეცნებისა და დასვენების ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ადგილად ჩამოყალიბებას. პროგრამა მიზნად ისახავს: ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობას და ზოოლოგიური პარკის ბინადართა მოვლა-პატრონობას და განვითარებას; საერთაშორისო სტანდარტების ზოოპარკის და ბოტანიკური ბაღის შექმნას; ვიზიტორების უსაფრთხოებას; განათლების სხვადასხვა ასაკობრივი პროგრამების შემუშავებას და საზოგადოებაში სწორი და ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ველური ბუნებისა და გარესამყაროს მიმართ; საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანი კონტაქტების დამყარებას და გაწევრიანებას, რაც საშუალებას მისცემს ზოოლოგიურ პარკს და ბოტანიკურ ბაღს მიიღოს დროული ინფორმაცია და რჩევები უცხოელი კოლეგებისგან, გაამდიდროს და გააფართოვოს ცხოველებისა და მცენარეების კოლექცია.

**4. ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა**

მდგრადი ეკონომიკური განვითარების და ზრდის მისაღწევად, აუცილებელია ზრდის მაღალი ტემპების უზრუნველმყოფი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მიმზიდველი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს შექმნას. აუცილებელია საერთაშორისო დონეზე და ქვეყნის შიგნით ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ერთის მხრივ, უზრუნველყოფს თბილისში არსებული საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობების დემონსტრირებას, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოქმნის ახალ შესაძლებლობებს და ხელს შეუწყობს ინვესტიციების შემოდინებას ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში; პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა პროექტები, როგორიცაა: ქალაქის ტურისტული შესაძლებლობათა რეალიზაცია, ბიზნესის სტიმულირების მიზნით სხვადასხვა აქტივობები; საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაღრმავება და უცხოურ ქალაქებთან ორმხრივი ურთიერთობების განვითარება;

**5. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება**

გათვალისწინებულია მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების რეაბილიტაციისთვის, განახლებისთვის და ექსპლუატაციისთვის საჭირო სამუშაოებზე თანადაფინანსების პრინციპით ხარჯების გაწევა. ღონისძიებების თანადაფინანსება ბიუჯეტიდან ხორციელდება პროცენტულად. პროგრამა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს: შენობის სახურავის შეკეთებას (ბრტყელი გადახურვა და ქანობიანი გადახურვა); ლიფტების  და მიმდინარე შეკეთებას, შენობების კაპიტალური შეკეთებას, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთებას, ბინათმესაკუთრეთა მიერ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებზე განხორციელებული ე.წ. მიშენების (არა ინდივიდუალური) კონსტრუქციების მდგრადობისა და სეისმომედეგობის განსაზღვრას, სახურავის წყალსაწრეტი მილების შეკეთებას, ამხანაგობის კუთვნილი მიმდებარე ტერიტორიის დაფიქსირებას (წითელ ხაზებში მოქცევა), სადარბაზოების შიდა რემონტს, სადარბაზოს შესასვლელი კარების დამზადება-მონტაჟს, პანელოვან შენობებში  სართულშუა ნაპრალების რეაბილიტაციას, შშმპ-სთვის პანდუსების, სპეც. ამწეების და ლიფტების მონტაჟს. ასევე,

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის საპილოტე პროექტს, ამხანაგობების სატრენინგო ან/და საკონკურსო პროექტებს და სხვა ღონისძიებებს.

**6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის დახმარება ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროში კვლავ რჩება ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად. პრიორიტეტის ფარგლებში ბენეფიციარები უზრუნველყოფილი იქნებიან გარანტირებული სოციალური დახმარებებით, მათი საჭიროებიდან გამომდინარე. ყურადღება გამახვილდება ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების შემუშავება/გაუმჯობესებაზე, ისეთი პრიორიტეტული მიმართულებებით, როგორიცაა ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია, ნარკომანია და ფსიქიკური ჯანმრთელობა, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, სასწრაფო სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, სოციალურად დაუცველ და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურების ანაზღაურება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის სხვადასხვა სახის დახმარებები, კომუნალურ გადასახადებზე და ა.შ. გაგრძელდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება. ამასთან, თბილისის რაიონული გამგეობებიდან ხორციელდება მოსახლეობის სოციალური დაცვის სხვადასხვა ღონისძიებები.

- **ჯანმრთელობის დაცვა**

ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობისათვის სხვადასხვა სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობებების მიზნით, განხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი და აქტუალური ჯანდაცვის ქვეპროგრამები, როგორიცაა: სასწრაფო სამედიცინო დახმარება, დაავადებათა სკრინინგი, ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ნარკომანიის ჩანაცვლებითი თერაპია, ,,c" ჰეპატიტით დაავადებულ პირების კვლევების დაფინანსება, ტრანსპლანტაცია, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია, ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების დაფინანსება და სხვა.

- **სოციალური დაცვა**

მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამები. კერძოდ, სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ყოველთვიურად განახლებადი მონაცემთა ბაზების შესაბამისად, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტირებულ ოჯახებს, ასევე მოსახლეობის იმ კატეგორიას, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, მაგრამ მათი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე საჭიროებენ მხარდაჭერას გაეწევათ სხვადასხვა ტიპის დახმარებები. სოციალური პროგრამების ფარგლებში განხორციელდება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის სოციალური საჭიროების შესაბამისი სერვისების მიწოდება. განხორციელებული იქნება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები, როგორიცაა შესაბამისი საჭიროების მქონე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პრევენციული, სარეაბილიტაციო და დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა; ხანდაზმულთა, სოციალურად დაუცველ და მიუსაფარ პირთა ფიზიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია; საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით უფასოდ ან შეღავათით მოსარგებლე პირთა მომსახურების ანაზღაურება; სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის

სხვადასხვა სახის დახმარებები და ა.შ. ამასთან, თბილისის რაიონული გამგეობები თავის მხრივ განახორციელებენ და დააფინანსებენ მოსახლეობის სოციალური დაცვის სხვადასხვა ღონისძიებებს.

**7. განათლება**

**სკოლამდელი განათლების სისტემის მართვა და განვითარება**

სკოლამდელი განათლების განვითარების სისტემის სტრატეგიული მიზანია, სკოლამდელი აღზრდის სისტემა გახდეს სკოლასა და შემდგომ ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ინსტრუმენტი. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ასევე, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწას, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას და სხვა.

- **ზოგადი განათლების სისტემის ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტებისა და ინიციატივების ხელშეწყობა. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალური ვებ-გვერდის მომსახურება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული პროექტებისა და სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებების შესახებ მედია სივრცესა და სოციალურ ქსელებში საინფორმაციო რგოლების განთავსება და კამპანიის წარმოება. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, შემეცნებითი ხასიათის პროექტების განხორციელება; ტრენინგები თვითმმართველობის მოხელეებისთვის და ქვეუწყებების წარმომადგენელთათვის.

- **ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა**

თბილისის მთავარი ბიბილიოთეკის და თბილისის მედიათეკების გაერთიანების ხელშეწყობა კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით, სხვადასხვა პროექტების შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია. მათ შორის: ბიბლიოთეკების თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვა, მომხმარებლებისათვის გაუმჯობესებული სერვისების შეთავაზება, სოციალურ-კულტურული ღონისძიებების განხორციელება, ახალი თაობის დაინტერესება წიგნით და საზოგადოების განათლებისთვის საჭირო ინფორმაციით. ფართომასშტაბიანი ღონისძიებების გამართვა ბიბლიოთეკების პოპულარიზაციისათვის, რათა ბიბლიოთეკა და მედიათეკა აღიქმებოდეს ერთიან კულტურულ კერად.

- **პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იქნება საგანამანთლებლო ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა, ზრდასრულთა განათლების სერვისების განვითარება დედაქალაქში და ზრდასრულთა განათლების ტრენერების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტების ხელშეწყობა და დედაქალაქისთვის პრიორიტეტული ახალი პროგრამების შექმნის წახალისება, თანამშრომლობისა და კოორდინაციის ჩამოყალიბების ხელშეწყობა სახელმწიფო, საგანმანათლებლო და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის, ცოდნის და გამოცდილების გაზიარება, ერთობლივი სამოქმედო გეგმის შექმნა პროფესიული და ზრდასრულთა განათლების განვითარების მიზნით. დედაქალაქში მოთხოვნადი პროფესიების შესაბამისი სასწავლო პროგრამების და კურსების მხარდაჭერა, კერძო სექტორთან თანამშრომლობით პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელება დედაქალაქში მცხოვრებთათვის

კვალიფიკაციის ამაღლებისა და მათი შემდგომი დასაქმების მიზნით, დასაქმების ფორუმების განხორციელება და დამსაქმებელთან კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმების ჩამოყალიბება.

- **უწყვეტი განათლების სისტემის განვითარება**

შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის შექმნისთვის მნიშნველოვანია ტრენინგების, კონსულტაციისა და სტაჟირების ერთიანი სისტემის დანერგვის გზით პროფესიაში შესვლის, განვითარებისა და კარიერული ზრდის ხელშეწყობა, უწყვეტი განათლების ხელშეწყობა, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური რესურსის შექმნა. იურიდიული კლინიკის ფარგლებში განხორციელდება მოქალაქეთა კონსულტაცია და სამართლშემოქმედების პროცესში პროგრამის მონაწილეთა ჩართვა, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების სტაჟირების უზურნველყოფა და პროფესიაში შესვლის ხელშეწყობა. სოციალურად დაუცველი და წარმატებული სტუდენტების ხელშეწყობა.

- **მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე**

პროგრამის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენა და ამ მიზნების განსახორციელებლად შესაბამისი პირობების შექმნა. მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, კლუბებისა დ სტუდიების შექმნის ხელშეწყობა, მოსწავლე-ახალგაზდობის შემეცნებით-შემოქმედებითი და დასვენება-გაჯანსაღების პროგრამების განხორციელება. პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. ზემოაღნიშნული ღონისძიებების შეუფერხებლად გატარების მიზნით, სასახლის მიერ მართვის ფუნქციების განსახორცილებლად საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

**8. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა**

- **სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა**

სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა, მათ შორის: სახელოვნებო განათლების არამოთხოვნადი სპეციალობების (ქართული ხალხური საგუნდო და მუსიკალური საკრავები - სასულე და სიმფონიური ორკესტრების - ვიოლინო, ვიოლენჩელო, ჩელო, კონტრაბასი, არფა, ფლეიტა, კლარნეტი, ვალტორნა, საქსაფონი, საყვირი, დასარტყამი ინსტრუმენტები, ტრომბონი და სხვა) შენარჩუნება; ხელოვნების სკოლების დაფინანსება სასწავლო-შემოქმედებით პროცესში მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლეების რაოდენობის შესაბამისად; ხელოვნების სკოლების მოსწავლეების და მასწავლებლების ყოველწლიური საიუბილეო და საანგარიშო შემოქმედებითი კონცერტებისა და გამოფენების მოსაწყობად (შემოქმედებითი აქტივობები/პროექტები/პროგრამები) დარბაზის იჯარა; ხელოვნების სკოლების და სერგო ზაქარიაძის სახელობის ტრადიციული და თანამედროვე ხელოვნების კოლეჯისთვის კომუნალური და ინტერნეტ მომსახურების დაფარვა; სახელოვნებო სკოლების დათვალიერება-ფესტივალი და სხვა ღონისძიებები;

- **ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების განვითარება და პოპულარიზაცია**

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების მხარდაჭერა, მათ შორის: ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების მოვლა-პატრონობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა; მუზეუმების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები; მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გაძლიერებით; მოსახლეობის ფართო მასების ინტერესების გათვალისწინებით ახალი პროგრამების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს მუზეუმებში მიმდინარე მოვლენებით დაინტერესების კულტურის დამკვიდრებას და დამთვალიერებელთა რაოდენობის ზრდას.

- **კულტურის ღონისძიებები**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების აღნიშვნას, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ტრადიციების მაქსიმალური შენარჩუნება, რათა სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემო შეიქმნას როგორც ჩვენი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვისაც, ხელოვანების ღირსეულად წარმოჩენასა და მათი შემოქმედების ხელშეწყობას, ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობას, დამეგობრებულ ქალაქებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება-გაფართოების მიზნით სპეციალური გაცვლითი ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებას, სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის ჩატარებას, თავისუფალი თეატრალური პროექტების ხელშეწყობას, საგამომცემლო საქმიანობისა და კულტურულ საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობას, სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულების განვითარებას.

- **ხელოვნებისა და კულტურის ობიექტების განვითარება**

თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით საკონცერტო ორკესტრის "ბიგ-ბენდი" ხელშეწყობა კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით; ქართული ფოლკლორის მოსწავლეთა სასახლის ხელშეწყობა, ქართული ფოლკლორის დარგების შესწავლა და პოპულარიზაცია კონკრეტული პროექტების განხორციელების გზით; თბილისის პანთეონების (მთაწმინდა, დიდუბე, ხოჯევანქი) მოვლა-პატრონობა და პოპულარიზაცია - მისი როგორც საქართველოს უახლესი ისტორიის ძეგლის წარმოჩინება და კულტურულ ტურიზმში ჩართვა, მუნიციპალური კულტურის დაწესებულებების სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, ტექნიკური აღჭურვა, კულტურის ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

- **კულტურის ღონისძიებები**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო, სახალხო, რელიგიური დღესასწაულებისა და სხვა საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების აღნიშვნას, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ტრადიციების მაქსიმალური შენარჩუნება, რათა სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემო შეიქმნას როგორც ჩვენი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტებისთვისაც, ხელოვანების ღირსეულად წარმოჩენასა და მათი შემოქმედების ხელშეწყობას, ფესტივალების, კონკურსების და საიუბილეო ღონისძიებების ხელშეწყობას, დამეგობრებულ ქალაქებთან კულტურული ურთიერთობების შენარჩუნება-გაფართოების მიზნით.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

თბილისში სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება - პოპულარიზაცია, თბილისის ნაკრების, ეროვნული და ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, პირველობები, თასების გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები);

სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნულ და თბილისის ფედერაციებთან, სპორტულ ასოციაციებთან, სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და მათი საქმიანობის ხელშეწყობა;

სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებში, მათი შემდგომში რესოციალიზაციისა და აქტიურ სპორტში ჩართვისათვის;

მწვრთნელ-მასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესება;

სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა, სკვერებში გარე გამოყენების სავარჯიშო მოწყობილობების მოწყობა.

- **ახალგაზრდული ღონისძიებები**

პროგრამა შექმნილია თბილისში, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების ახალგაზრდული ინფრასტრუქტურისა და გარემოს შექმნის მიზნით, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდების სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს მიეცემათ საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების რეალიზებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობა. პროგრამის ფარგლებში დაიგეგმება და განხორციელდება ახალგაზრდული ბანაკები; ახალგაზრდული ცენტრების ბაზაზე ჩატარდება, ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის ახალგაზრდული ღონისძიებები; ახალგაზრდებისთვის განხორციელდება გასართობი, შემეცნებითი და სხვა ღონისძიებების ორგანიზება ან/და მხარდაჭერა. აღნიშნული მიმართულებით აქტიური მუშაობა ხელს შეუწყობს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული პუნქტების შესრულებას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების ჩართულობას. ასევე, გათვალისწინებულია თბილისის ახალგაზრდული ცენტრების გაერთიანების საქმიანობის ხელშემწყობი ღონისძიებები და სხვა.

- **თბილისის თანამედროვე ბალეტის დასი**

პროგრამის მიზანია თანამედროვე ქართული ცეკვის/ბალეტის მრავალფეროვანი მიმართულებების დანერგვა, თბილისის როგორც რეგიონის კულტურის ცენტრის პოპულარიზაცია, საგანმანათლებლო პროექტების და მასტერკლასების განხორციელება, საერთაშორისო კავშირების დამყარება, მსოფლიოში მოღვაწე თანამედროვე ქორეოგრაფების მოწვევა და მათ მიერ საბალეტო დასში დადგმების განხორციელება.

- **ინკლუზიური ხელოვნების ხელშეწყობა**

ინკლუზიური ხელოვნების განვითარება (სახვითი ხელოვნება, ფოტოგრაფია, ინკლუზიური თეატრალური პროექტების, და ა.შ) მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს შშმ პირების შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენას და მათთან საზოგადოების თითოეული წევრის ყველაზე სასურველი ფორმით დაახლოებას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ინკლუზიური ხელოვნების მეთოდოლოგიის შემუშავება; ინკლუზიური ხელოვნების შემეცნებითი და შემოქმედებითი აქტივობების ხელშეწყობა, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, ინტეგრირებული ღონისძიებების/შემოქმედებითი საღამოების ფესტივალების განხორციელება.

**9. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება**

- **ცხოველთა მონიტორინგი**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მოსახლეობის დაცვა საშიში, აგრესიული ცხოველებისგან და ქვეწარმავლებისაგან, ჰუმანური წესით მათი დაჭერა და შესაბამის ადგილებში გადაყვანა-გაშვება ან იზოლაცია; ცხოველთა პოპულაციების მართვა-კონტროლი; ცხოველთა ტრანსპორტირება და მიღება-განთავსება შესაბამის მუნიციპალურ ან კერძო თავშესაფარში; საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ვეტერინალური ღონისძიებების განხორციელება-გამოყენება; დისლოკაციის ადგილზე სწრაფი რეაგირების დანაყოფების 24-საათიანი მორიგეობისა და მათი მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფა ეპიზოოტიების, გარეულ ცხოველთა და ქვეწარმავლების შემოსევისა და სხვა მსგავს სიტუაციებზე (შემდგომში - საგანგებო სიტუაციები) რეაგირებისათვის; ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის ფუნქციონირებისათვის სათანადო პირობების (ვეტერინალური, სანიტარული, უსაფრთხოების, ტექნიკური და სხვა) უზრუნველყოფა.

## თვითმმართველი ქალაქი - ბათუმის პრიორიტეტები

საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ დასახული პრიორიტეტებისა და ქ. ბათუმში არსებული სიტუაციის ანალიზის გათვალისწინებით ჩამოყალიბდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია მომდევნო წლებში განსახორციელებელი პრიორიტეტული ღონისძიებები:

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

- **სტრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია.**

პროგრამა ითვალისწინებს ასფალტირებული და არაასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს;

- საშუალოვადიან პერსპექტივაში, ქალაქისთვის მნიშვნელოვანია საგზაო - სატრანსპორტო სისტემების მდგრადი განვითარება და ქალაქის საგზაო ქსელის გამტარუნარიანობის გაუმჯობესება. აღნიშნული, გარდა საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და კაპიტალური მშენებლობისა, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება ე.წ. „ჭაობის“, ბენზე-ბარცხანის, ბონი-გოროდოკის დასახლებების ქუჩების კაპიტალური რეაბილიტაცია, ასევე დაკავშირებულია სამგზავრო-სატრანსპორტო მუნიციპალური სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

- ✓ ინტეგრირებული მდგრადი ურბანული სატრანსპორტო სისტემების განვითარების გეგმის შემუშავება ქალაქ ბათუმისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა მუნიციპალიტეტებისათვის;
- ✓ დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური (მიზანშეწონილობის) დასაბუთებისა და ფუნქციონალური გეგმების შემუშავება ქალაქ ბათუმში დაბალემისიიანი ტრანსპორტის განვითარებისათვის;
- ✓ პირდაპირი კაპიტალური ინვესტიციების მხარდაჭერა ქალაქ ბათუმში მდგრადი ურბანული სატრანსპორტო სისტემის დანერგვისათვის;
- ✓ დეტალური ტექნიკურ-ეკონომიკური (მიზანშეწონილობის) დასაბუთებისა და ფუნქციონალური გეგმების შემუშავება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა მუნიციპალიტეტებისათვის. მდგრადი სატრანსპორტო პოლიტიკის ფორმირების ხელშეწყობა ეროვნულ დონეზე.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

ქალაქის კომუნალური მეურნეობა წარმოადგენს რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც მოსახლეობის ცხოვრებისეულ პირობებს ქმნის, უზრუნველყოფს საქმიანობის განხორციელებას, ასევე მეურნეობის სხვადასხვა დარგებში მომუშავე საწარმოებისა და ორგანიზაციების შეუფერხებელ, გამართულ ფუნქციონირებას. კომუნალური მეურნეობა ერთიანი საწარმოო და სოციალური კომპლექსის ნაწილია, რომელიც თავის მხრივ შედის ქალაქის სამეურნეო კომპლექსში.

ბათუმში 2008 წლიდან მიმდინარეობს ერთ-ერთი მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტი - ბათუმის წყალმომარაგებისა და წყალარინების რეაბილიტაცია, რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შეღავათიანი სესხისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

პროექტის პირველი და მეორე ფაზის დაფინანსების შედეგად განხორციელდა ქალაქის ძველი ტერიტორიის ფარგლებში 3/4 -ის წყალმომარაგების და ქალაქის ტერიტორიის 1/3 -ის წყალარინების

სისტემის სრული რეაბილიტაცია. პირველი და მეორე ფაზის ფარგლებში დასრულდა წყლის სამარაგო რეზერვუარებისა და გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა, ასევე სატუმბი სადგურებისა და წყლის გადამცემი სადგურების რეაბილიტაცია. დასრულდა ბათუმის სამხრეთ სანაპირო ზოლის ახალსოფელი–გონიო–კვარიათი–სარფის წყალარინების სისტემის მშენებლობა. ასევე, წყალარინების გამწმენდი და ზღვაში ჩამშვები ნაგებობის მშენებლობა.

პროექტის მესამე-მეოთხე ფაზის ფარგლებში განხორციელდება ჩაქვი - მახინჯაური - მწვანე კონცხის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა, ასევე ბათუმის ძველი საზღვრების ფარგლებში წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემის სრული რეაბილიტაცია. საშუალო ვადიან პერიოდში განხორციელდება ახალსოფელი-გონიო-კვარიათის წყლის სისტემის რეაბილიტაცია.ქალაქის შემოერთებულ ტერიტორიებზე (ადლია, აეროპორტი, კახაბერი, დაბა ხელვაჩაური) წყლისა და წყალარინების სისტემების განვითარების მიზნით ჩატარდება ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა.

- **სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალური და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ფარგლებში, განსაკუთრებულად მნიშვნელოვან მიმართულებას უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნა, მ.შ. ქალაქის დატბორვის რისკების მინიმიზაცია წარმოადგენს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად განხორციელდება ქალაქის სანიაღვრე არხების სისტემის კაპიტალური რეაბილიტაცია. დაგეგმილია ჯავახიშვილის, გიორგი ბრწყინვალეს, შავშეთის და მთისძირის ქუჩების ცენტრალური სანიაღვრე კოლექტორების რეაბილიტაცია და არდაგანის ტბის მიმდებარედ სანიაღვრე სატუმბი სადგურის და ზღვაში ჩამშვების მშენებლობა.

- **ქალაქის დასუფთავება**

პროგრამა წარმოადგენს ქალაქის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელ ნაწილს. იგი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც ეხება სანიტარულ დასუფთავებას, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას, ნაგავსაყრელების მოვლა-დასუფთავებას, კონტეინერების, ნაგავგამტარების სპეციალურ დამუშავებას, ღია არხების მიმდებარე ტერიტორიების დამუშავებას, მაწანწალა ცხოველებთან და მღრღნელებთან ბრძოლას. დასახელებული ღონისძიებები ხელს შეუწყობს ქალაქის ქუჩებსა და სკვერებში სისუფთავის დაცვას, ეპიდემიური დაავადებების კერების მოსპობას, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მოსახლეობის თუ ვიზიტორთა კეთილდღეობას. ქალაქის ნორმალური სანიტარული მდგომარეობის შენარჩუნებისათვის მეტად მნიშვნელოვანია ნარჩენის გატანა, იქნება ეს საყოფაცხოვრებო, სამშენებლო ან სხვა სახის ნარჩენები. პროგრამა ითვალისწინებს :

- ✓ ქალაქის ქუჩების, პარკების, მოედნების დასუფთავების მომსახურებას;
- ✓ საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და ანახვეტის გატანას;
- ✓ დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირება

- **გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

გარე განათება ქ. ბათუმში სწრაფი ტემპით ვითარდება, რაც პირველ რიგში, დაკავშირებულია მისი ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასთან და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის კრიტერიუმების ცვლილებებთან. სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა გარე განათების განვითარების სტრატეგიის შემუშავებას და ამ პროცესების მართვას. ქალაქისათვის მნიშვნელოვანია ერთიანი შუქფერების გარემოს კონცეფციის შექმნა, რომელიც ითვალისწინებს არქიტექტურულ-მხატვრულ განათებას, მოხმარებული ელექტროენერგიის დამზოგველი ღონისძიებების განსაზღვრას, ცალკეული სახის განათებებს შორის ურთიერთკავშირს.ასევე მნიშვნელოვანია ქალაქში ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიების გამოყენება. 2011 წელს მერების შეთანხმების ხელმოწერით, ქ. ბათუმი შეუერთდა ინიციატივას,

რომელიც მიზნად ისახავს 2020 წლამდე სათბურის გაზების ემისიების ქალაქის სამოქმედო ტერიტორიაზე მინიმუმ 20%-ით შემცირებას – მიზანი, რომელიც მიღწეულ უნდა იქნას ქალაქის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებასთან ერთად.

- **ქალაქის კეთილმოწყობა**

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ქალაქის კეთილმოწყობის პროგრამის ფარგლებში იგეგმება ბათუმის ისტორიული უბნებისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, ტექნიკური ზედამხედველობის, ქალაქის დაგეგმარების და ქონების აღრიცხვის, ქალაქის გაფორმების, პარკების, სკვერებისა და მოედნების კეთილმოწყობის და ქალაქის გამწვანების ღონისძიებების განხორციელება. არსებითად მნიშვნელოვანია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარების პროცესში, სრულად იყოს გათვალისწინებული ქალაქის მოსახლეობის (მ.შ. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების) საჭიროებები. ასევე, ქალაქში ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ტურისტების საჭიროებებზე ადაპტირებული მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და სერვისების განვითარება.

**განათლება**

- **სკოლამდელი განათლება**

საბავშო ბაღების მართვა ქალაქში ხორციელდება ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მეშვეობით, რომელსაც გააჩნია შესაბამისი საკადრო რესუსი და მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა. არსებული მუნიციპალური საბავშვო ბაღები რთულად უმკლავდებიან მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას, რაც ქმნის ახალი ბაღების მშენებლობის აუცილებლობას. გარდა ამისა, სააღმზრდელო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებასა და აღმზრდელთა პერმანენტულ პროფესიულ გადამზადებას მოითხოვს.

არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოქალაქეთა საჭიროებებიდან გამომდინარე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის პრიორიტეტულია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი, ინკლუზიური სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა ქ. ბათუმის მოსახლეობისთვის.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

ქ. ბათუმში ინფრასტრუქტურული პროექტებისა და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია კულტურული ტრადიციების ხელშეწყობა, ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარება და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისათვის, მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ასევე მასობრივი სპორტის განვითარება და პროფესიული სპორტის განვითარების ხელშეწყობა. როგორც კულტურის სფეროში, ასევე სპორტის მიმართულებითაც, ქ. ბათუმის პრიორიტეტია ქალაქის, როგორც რეგიონული მნიშვნელობის სპორტული ცენტრის დამკვიდრება, რაც თანხვედრაში მოდის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის პრიორიტეტებთან. რეგიონული სპორტული ცენტრის ფორმირება დაკავშირებულია ქალაქში მასობრივი და პროფესიული სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, ადგილობრივი სამოყვარულო და პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებასთან და, რაც მთავარია, ქალაქის მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასთან. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ხედვა სპორტის მიმართულებით უკავშირდება მასობრივ სპორტში ჩართვის ხელმისაწვდომობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული გაერთიანებების განვითარებას.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

კულტურის განვითარების პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი ხელოვანი საზოგადოების განვითარებას, მათი შესაძლებლობების ზრდას და კავშირების გაღრმავებას მსოფლიოს თანამედროვე სახელოვნებო ინსტიტუტებთან.

უკანასკნელი ათწლეულების განმავლობაში, ქალაქი, ფართო რეგიონული მასშტაბით, ეტაპობრივად ყალიბდება როგორც მნიშვნელოვანი ტურისტული და კულტურული ცენტრი. ქალაქში რეგულარულად იმართება საერთაშორისო და რეგიონული მასშტაბის ფესტივალები და კულტურული ღონისძიებები.

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ბათუმის, როგორც შავი ზღვის რეგიონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრის, განვითარება, რაც ხელს შეუწყობს ქალაქის ტურისტული პოტენციალის ამაღლებას და ტურისტული პროდუქტების დივერსიფიკაციას. ამასთან, ასევე მნიშვნელოვანია ადგილობრივი ხელოვანების განვითარების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, რაც ბათუმში კულტურული ცხოვრების მუდმივი და მდგრადი განვითარების წინაპირობას წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა**

ახალგაზრდობა, ისეთი დინამიურად განვითარებადი ქალაქისთვის, როგორიც ბათუმია - განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს. კონკურენტუნარიანი, ეროვნული და თანამედროვე ფასეულობების მქონე ახალგაზრდობა ქალაქის მომავალია. ბათუმის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტი ახალგაზრდობის სრულფასოვანი განვითარების ხელშეწყობაა. ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანია უზრუნველყოს ახალგაზრდების ქალაქის საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის და მონაწილეობის შესაძლებლობები და ასევე ხელი შეუწყოს ახალგაზრდობის განვითარებას, კონკურენტუნარიანობის ზრდას და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

**მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

- **ჯანმრთელობის დაცვა**

მოსახლეობის მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და ასევე სოციალური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესება საქართველოს მთავრობისთვის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც განსაზღვრულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიით - „საქართველო- 2020“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო სერვისებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კუთხით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალურად მოწყვლადი კატეგორიის მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით. ხოლო სოციალური დაცვის სერვისების განვითარების კუთხით, რეგიონის პრიორიტეტს სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა, ასევე, მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაცია და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა წარმოადგენს.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა; ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა, პრევენცია და მკურნალობა; ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა; ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია; მოწყვლადი

ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურეობა; C ჰეპატიტის დიაგნოსტირებისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება; შ.შ.მ. სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია; ახალშობილთა სქრინინგი, ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია; ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება; ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება; მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება; ქ. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების განვითარება.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

სოციალური უზრუნველყოფის მიმართულებით, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი თანხვედრაში მოდის საქართველოს მთავრობის პრიორიტეტულ მიმართულებებთან და მიმართულია სოციალურად დაუცველი ოჯახების, საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საბაზისო სოციალური გარანტიებით და მიზნობრივი სოციალური დახმარებით უზრუნველყოფისკენ.

ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები ძირითადად ხორციელდება ცენტრალური ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში. თუმცა რჩება სოციალური უზრუნველყოფის მომსახურეობის ნაწილი, რომლის დაფინანსება აუცილებელია განხორციელდეს როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილებიდან, ასევე მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფების საჭიროებებიდან და გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ✓ კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება
- ✓ მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა
- ✓ მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება
- ✓ მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება
- ✓ მუნიციპალური უფასო სასადილო
- ✓ დროებითი ღამის თავშესაფარი
- ✓ სოციალური უზრუნველყოფის სფეროში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა

## ხულოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

- **სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება**

მუნიციპალიტეტში ხორციელდება "ხულო-თაგო"-ს ბაგირგზის ფუნქციონირების უზრუნველყოფის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საბაგირო გიზის ექსპლოატაციას და ობიექტის გამართულ მუშაობას. ასევე დაგეგმილია მუნიციპალიტეტში გზების რეაბილიტაცია, და მოვლა შენახვის ღონისძიებები.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, დაბა ხულოსა და მიმდებარე სოფლების სასმელი წყლით მომარაგება, სანიაღვრე და

საკანალიზაციო სისტემების მოვლა შენახვა, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მიმდინარე შეკეთებითი სამუშაოები და ქუჩების მოვლის ღონისძიებები.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა**

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის პროგრამა მოიცავს გზების დამცავი საყრდენი კედლების მოწყობას, სკვერებისა და ქუჩების გამწვანების ღონისძიებებს.

**განათლება**

განათლების პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, ასევე დაწყებითი სკოლების მშენებლობა და კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსების დაფინანსება. მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობისათვის დაგეგმილია კომპიუტერული პროგრამების შესწავლის მუნიციპალური პროგრამა.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები**

მუნიციპალიტეტი გააგრძელებს კულტურული და სპორტული პროგრამების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა სრულად შეძლონ მათი შესაძლებლობების გამოვლენა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამა ითვალისწინებს სპორტული ცხოვრების წესის პოპულარიზაციას, ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების შემდგომ განვითარებას. ამ მიზნით ხულოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სასპორტო სკოლა, რომელშიც დაკავებულია 500-მდე ბავშვი, სხვადასხვა სპორტულ წრეებში.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

ხულოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის სულიერ და კულტურულ აღზრდას, წარმოჩენას და გამოვლინებას ხელს უწყობს მუნიციპალიტეტი. ამ კუთხით დაბაში ტარდება შუამთობის, ტბელობის, დიდაჭარობის დღესასწაულები, იმართება კონცერტები, საღამოები, სპორტული და სხვა ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სახელოვნებო სკოლები, რომელებიც ემსახურება ბავშვების სწავლა-განათლებას და აღზრდას სახვით ხელოვნებასა და მუსიკაში.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

- **ჯანმრთელობის დაცვა**

პროგრამის ფარგლებში ადგილობრივ დონეზე ხორციელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების პროგრამა; სასწრაფო სამედიცინო დახმარების და ამბულატორიული მომსახურების პროგრამა; ქრონიკულად პროგრესირებადი დაავადებების მედიკამენტოზური დახმარების პროგრამა. დაგეგმილია ჯანდაცვის ობიექტების საამშენებლო სარემონტო სამუშაოების განხორციელება.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

ხულოს მუნიციპალიტეტში დაგეგმილია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების შემდეგი პროგრამები:

- ✓ სოციალურად დაუცველი ფენების ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა;
- ✓ ომის მონაწილეებსა და დაღუპულთა ოჯახის წევრებზე სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება;
- ✓ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება;
- ✓ ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერედი მატერიალური დახმარება;
- ✓ 5 და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა (18 წლამდე) ოჯახებზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება;

- ✓ დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური დახმარება;
- ✓ ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხარჯების საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფა;

## ქედას მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტში გაგრძელდება დაბისა და სოფლების, საცხოვრებელი უბნების, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია. გარდა ამისა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა, მისი ექსპლუატაცია ეფექტურობასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა; გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; დასუფთავების და წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი სამუშაოები;

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით პრიორიტეტულია, როგორც დაწყებითი და ზოგადი განათლება, ასევე სკოლამდელი განათლება, რაც ქედას მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. 2011 წლიდან ქედის საბავშვო ბაღები გადავიდა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის, UNICEF-ისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ლიტერატურაზე.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები**

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამა ითვალისწინებს ქედას მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობასა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული, სკოლისგარეშე განათლებისა და სახელოვნებო დაწესებულებების მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და ყველა პირობებს შექმნის, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლინება.

**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურის სფეროს ქსელის გაფართოება, არსებულის რეაბილიტაცია და თანამედროვე დონის მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა. ცალკეულ თემებში და დაბაში კულტურის ახალი კერების შექმნა, კულტურული ღონისძიებების ჩატარება.

**მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

- **ჯანმრთელობის დაცვა**

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოცილაური დაცვის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. არსებული რესურსების ფარგლებში გაგრძელდება სოციალურად დაუცველი და სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობისათვის სამედიცინო და სხვადასხვა სოციალური დახმარებების უზრუნველყოფა, რაც მთლიანობაში გააუმჯობესებს მოსახლეობის ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობას.

პროგრამის განხორციელების მიზნით ადგილობრივ დონეზე იგეგმება:

- ✓ ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- ✓ ამბულატორიული მომსახურების უზრუნველყოფა;
- ✓ სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობის პროგრამა;

**მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის შეღავათებითა და დახმარებებით უზრუნველყოფისათვის მუნიციპალიტეტში გათვალისწინებულია:

- ✓ სოციალურად დაუცველი ფენების ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა;
- ✓ ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება;
- ✓ ხუთ და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება;
- ✓ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა;
- ✓ ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის უზრუნველყოფა.
- ✓ ცერემბრალური დამბლით დაავადებულ ბავშთა აბილიტაცია-რეაბილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობის მიზნობრივი პროგრამა;
- ✓ საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნობრივი პროგრამა.

## ქობულეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

- **საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები**

ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაციისა და მოვლა შენახვის ღონისძიებების დაფინანსებას;

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიების დასუფთავება. წყალმომარაგების უზრუნველყოფისა და მოსახლეობაზე სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება წყალსადენის სათავე ნაგებობების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 19 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1300-ზე მეტი ბავშვი.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობას და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციებისდა კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, როგორიცაა სახელოვნებო სკოლა, სადაც განათლებას იღებს 600-მდე მოსწავლე; ქობულეთის კულტურის ცენტრი, რომელშიც გაერთიანებულია საბიბლიოთეკო და მოსწავლე ახალგაზრდობასთან ურთიერთობის განყოფილება. განყოფილებაში ფუნქციონირებს ეკოტურიზმის, კულტურული მემკვიდრეობის, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზების, ხალხური რეწვის და ლიტერატურულ-თეატრალური ჯგუფები. კულტურის ცენტრში იღებს განათლებას ქობულეთის 350-მდე მოზარდი. დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის სულიერ და ინტელექტუალური განვითარებას.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

- **ჯანმრთელობის დაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა დაავადების მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსებას. პრიორიტეტის ფარგლებში იმოქმედებს პრინციპი, რომ მუნიციპალიტეტი დაეხმაროს იმ ადამიანებს, რომლებსაც ეს ყველაზე მეტად ესაჭიროება. მუნიციპალიტეტში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ✓ გულის ქირურგიის თანადაფინანსება;
- ✓ ბრონქული ასთმით დაავადებულთა მედიკამენტოზური დახმარება;
- ✓ ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- ✓ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა სამკურნალო საშუალებების კომპენსაციით უზრუნველყოფა;
- ✓ პირველადი ჯანდაცვის ცენტრების ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- ✓ მეორე ტიპის დიაბეტით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტოზური დახმარება;
- ✓ პარკისონით დაავადებულ პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- ✓ სოფლის მოსახლეობის ექიმამელი სამედიცინო დახმარება;

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამის მიზნია არსებული რესურსების ფარგლებში გააგრძელოს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებები:

- ✓ სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა;
- ✓ ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება;
- ✓ ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილის შეძენაზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება;
- ✓ ხუთ და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება;
- ✓ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება;

- ✓ დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური მატერიალური დახმარება;
- ✓ დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირება.
- ✓ ცერებრალური დამბლით დავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური
- ✓ აბილიტაციის/რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირება;
- ✓ ქობულეთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის გაზიფიცირება;

## შუახევის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

შუახევის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულებით მუნიციპალიტეტში გაგრძელდება შემდგომი პრიორიტეტული ღონისძიებების განხორციელება:

- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა;
- კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება: გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; დასუფთავების ღონისძიებები; წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; საკანალიზაციო სისტემის მოწყობა–რეაბილიტაციის ღონისძიებები; მრავალბინიანი სახლებისა და სოფლის ცენტრების მოწყობა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია.

**განათლება**

შუახევის მუნიციპალიტეტიში განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების სრულად გამოვლენა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების მიზნით დაბა შუახევში ფუნქციონირებს რაგბის ორი წრე, სადაც დაკავებულია 40-მდე ბავშვი.

**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია კულტურული დანიშნულების ქსელის გაფართოება. თანამედროვე დონის მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შუახევის კულტურის ცენტრი და შუახევის ხელოვნების სკოლა, რომელშიც 130 მოსწავლეა ჩართული. აერთიანებს მუნიციპალიტეტში მოქმედ სხვადასხვა ფოლკლორულ ანსამბლებს. საფორტეპიანო, საორკესტრო და ხალხური ჯგუფებს, მოქმედებს დრამატურგიის, ლიტერატურისა და ტურიზმის, ხელოვნების, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხატვის წრეები.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

•ჯანმრთელობის დაცვა

პროგრამის ფარგლებში ადგილობრივ დონეზე მუნიციპალიტეტში მოქმედებს შემდეგი პროგრამები:

- პარკისონით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა;
- ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეაბილიტაციი კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ამბულატორიის მედ პერსონალთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა;
- პირველადი ჯანდაცვის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

სოციალური დაცვის ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. კერძოდ: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფას; პირველ და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება;• ხუთ და მეტ მცირეწლოვან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარება; 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლ ბავშვებზე ყოველთვიური მატერიალური დახმარება; • უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა; დიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის უზრუნველყოფა.

## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება:

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა;**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. აგრეთვე საყრდენი და ფერდდამცავი კედლების მოწყობა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა;**

პროგრამით გათვალისწინებულია: გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; დასუფთავების ღონისძიებები; წყალმომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებები; კეთილმოწყობის ღონისძიებები; სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა; საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და ნახაზების შედგენა, აუდიტორული მომსახურება

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 12 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1000 მეტი ბავშვი. 2011 წლიდან ხელვაჩაურის საბავშვო ბაღები გადავიდა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის, UNICEF-ისა და

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ლიტერატურაზე. მუნიციპალიტეტი ახორციელებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებებს, მშენებლობა-რეაბილიტაციას და სასწავლო პროცესის ხელშეწყობას. 2005 წლიდან მუნიციპალიტეტი ახორციელებს და მომდევნო პერიოდშიც გააგრძელებს დაწყებითი სკოლების რეაბილიტაციას.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები**

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობის კულტურული განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისათვის, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდ თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ამ მიზნით პროგრამა ითვალისწინებს: სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულების ხელშეწყობას, სპორტული ღონისძიებების ორგანიზებასა და ადგილობრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის ღონისძიებებში მონაწილეობას. სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციას, საფეხბურთო კლუბ „მაჭახელას“ მხარდაჭერას.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის მცხოვრებთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურული პოტენციალის გაზრდა, მის საფუძველზე მოსახლეობის სულიერი და ინტელექტუალური ცხოვრების გამდიდრება, კულტურული რესურსების გამოყენება. პროგრამის ფარგლებში 2017-2020 წლებში დაგეგმილია: სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის ღონისძიებები, კულტურის ცენტრის ხელშეწყობა, სადაც გაერთიანებულია ეკოტურიზმის, კულტურული მემკვიდრეობის, ახალგაზრდობის თავისუფალი დროის ორგანიზების, ხალხური რეწვის, ლიტერატურულ-თეატრალური და ქორეოგრაფიული ჯგუფები; სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა; კულტურის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია; ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება;

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **ჯანმრთელობის დაცვა**

მოსახლეობის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კეთილსაიმედო ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს გადამდები და არაგადამდები დაავადებების და რისკების გამოვლენას, საინფორმაციო სისტემის ფუნქციონირებას, სამედიცინო სტატისტიკის წარმოებას, დაავადებათა კონტროლსა და პრევენციას; პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: სასწრაფო სამედიცინო დახმარების მომსახურების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს ცენტრიდან დაშორებული თემების მოსახლეობისათვის სასწრაფო სამედიცინო დახმარების დროულად აღმოჩენას. ამას გარდა პროგრამით გათვალისწინებულია. ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა, დიალიზის პროგრამით მოსარგებლე პირთა ტრანსპორტირება, სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების პროგრამა.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

სოციალური დაცვის ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. კერძოდ:

- ✓ სოციალურად დაუცველი ფენების ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა;
- ✓ ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება;
- ✓ ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილის შეძენაზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება;
- ✓ მრავალშვილიანი და დედ-მამით ობოლ ბავშვთა (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება;
- ✓ სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ერთჯერადი დამხარება;
- ✓ 0-დან 70 000 ქულის მქონე ოჯახებს პირველ და მეორე ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება;
- ✓ სამკურნალო მედიკამენტების შესაძენად მატერიალური დახმარება;
- ✓ ბავშვთა აბილიტაცია/რეაბილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა;
- ✓ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალურ იდახმარება;
- ✓ სოციალური სახლების მშენებლობა;
- ✓ პარკინსონით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტით უზრუნველყოფა;
- ✓ ფენილკეტონურიით დაავადებულ პირთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება;

ბროქმული ასთმით დაავადებულ პირთა სპეციფიკური მედიკამენტით უზრუნველყოფა;

## ახმეტის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლით უკეთ მომარაგების მიზნით საჭირო ხდება დამატებითი ჭაბურღილების მოწყობა, დაზიანებული და მოძველებული სასმელი წყლის სისტემების და სათავე ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია,აგრეთვე არსებული სისტემის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსდება.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 37 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 1400 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვების მეთვალყურეობა, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სპორტული და კულტურული ორგანიზაციებისა და ღონისძიებების დაფინანსება, რაც ხელს შეუწყობს როგორც სპორტული, ასევე კულტურული ტრადიციების დაცვასა და გაგრძელებას.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2017 წლის განმავლობაში დაფინანსდება სამი სპორტული სკოლა: ა(ა)იპ სკოლის გარეშე დაწესებელება ახმეტის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა ,,ბახტრიონი''. აიპ ,,ახმეტის კომპლექსური სასპორტო სკოლა'', აიპ ,,ზურაბ ზვიადაურის სახელობის სასპორტო სკოლა'',სკოლებში ფუნქციონირებს ძიუდოს, თავისუფალი, ბერძნულ-რომაულის, მკლავჭიდის, ფეხბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ჩოგბურთის, კრივის, კინბოქსის სექციები და აღნიშნულ სექციებში ჩართულია 725-მდე ბავშვი.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ცენტრის, ბიბლიოთეკების, კლუბების, რაფიელ ერისთავის სახლ მუზეუმის მოვლა პატრონობისა და ქვემო ალვნის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, პანკისის ეთნოგრაფიული მუზეუმის შენახვის ხარჯები, ისტორიული ეპოქის 400-ზე მეტი ისტორიული ძეგლის მოვლა-პატრონობის ხარჯები.

დაფინანსდება სიმღერისა და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლი ,,ბახტრიონი'' და ანსამბლი ,,პანკისი''. ა(ა) იპ ,, სამუსიკო სკოლების გაერთიენება'', რომელსაც აქვს ფილიალები სოფლებში: მატანი, დუისი, ზ. ალვანი, ქვ. ალვანი,სადაც ირიცხება 202 მოსწავლე. ა(ა)იპ,, ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი სკოლა'', რომელიც ემსახურება მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას.

- **ახალგაზრდული ღონისძიებები.**

პროგრამის ფარგლებში ახალგაზრდობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმის მიზნით მუნიციპალიტეტში ჩატარდება სადღესასწაულო დღეებისადმი მიძღვნილი კონცერტები შემოქმედებითი კონკურსები, გამოფენები, ლიტერატურული საღამოები.

- **საგამომცემლო საქმიანობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი ,,ბახტრიონი'', რომლის მიზანია მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ყვარლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ეპიდზედამხედველობის და ეპიდსიტუაციის მართვის ღონისძიებები, მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის

ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა. განხორციელებული პროგრამები ხელს შეწყობენ გადამდებ დაავადებათა პრევენციას.

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება, ბავშვების სოციალური დაცვა, უმწეოთათვის უფასო სასადილოების, დაფინანსება, ომის ვეტერანთა სარიტუალო ხარჯების დაფინანსება. ტრანსპორტით უფასო მომსახურება გაეწევა ილტოსა და პანკისის ხეობის მოსახლეობას. სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფულადი დახმარება 500 ლარის ოდენობით.

## გურჯაანის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების საუბნო გზების ასფალტირება, ქალაქის ცენტრალური და შიდა გზების მოვლა-შენახვა. დაგეგმილია გზების რეაბილიტაციისათვის რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ღირებულების 5%.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში ფარგლებში გათვალისწინებულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიატორიაზე სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნეგებობის, წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის სამუშაოები; სოფლად ახალი ჭაბურღილების ბურღვა და სოფლის ახალი წყალმომარაგებით ყზრუნველყოფა; ასევე არსებულის მოვლა-პატრონობა.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა; ქუჩებისა და სკვერების დაგვა. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხევების პრევენციული გაწმენდა-რეაბილიტაცია.

**განათლება**

სკოლამდელი განათლების ხელშემწყობი ღონისძიებების დაფინანსება თვითმმართველი ერთეულის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულია 37 სკოლამდელი - სააღმზრდელო დაწესებულება, სადაც სწავლობს 2150 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ააიპ „მოსწავლე ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი“დაფინანსება. ბავშვთა პიროვნული განვითარებისა და თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნებისა და პროფესიული დაოსტატების ხელშემწყობი ღონისძიებები.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

სპორტისა და კულტურული განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად დაგეგმილია სპორტისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ააიპ „გურჯაანის სპორტული გაერთიანების“ ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორცმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა.
2017 წლის განმავლობაში დაფინანსდება ჭადრაკის, ფეხბურთის, ჭიდაობის (ქართული, თავისუფალი, ძიუდო), კრივის, რაგბის, მკლავჭიდის, კალათბურთის, ფრემბურთის და კარატეს შემსწავლელი წრეები. ჩატარდება კომპლექსური სპარტაკიადები.

დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: მოსწავლეთა სასკოლო ოლიმპიადა, ტურნირი მკლავჭიდში, კომპლექსური სპარტაკიადა მოსწავლეთა შორის, საგაზაფხულო პირველობა მინი ფეხბურთში ორგანიზაციებს შორის, ალ. ნატროშვილის სახელობის ტურნირი მინი ფეხბურთში, კომპლექსური სპარტაკიადა მოსწავლეთა შორის, ქ. გურჯაანის ღია პირველობა კრივში, ტრადიციული ტურნირი ძიუდოში კადეტთა შორის.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ობიექტების: ბიბლიოთეკების, ააიპ კულტურის ცენტრის, ააიპ სამუსიკო სკოლების გაერთიანების, ააიპ სამხატვრო სკოლის, „ველისციხი თეატრის“, „თოჯინების თეატრის“ , მუზეუმების დაფინანსება. აღნიშნული პროგრამით ფინანსდება ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ფესტივალი „გაზაფხულის ფერები“, ღონისძიებები: ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი, ბავშვთა დაცვის დღე, გავერთიანდეთ ხელოვნებაში, ღონისძიება „გურჯაანობა“, საახალწლო ღონისძიება.

- **ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში ჩატარდება საშობაო მსვლელობა, ინტელექტუალური თამაში ,,რა? სად? როდის?'', ტრენინგები ახალგაზრდებისთვის (X, XI, XII.კლასის მოსწავლეებისათვის), მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ძეგლების დასუფთავება და მათი ისტორიის სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, შეხვედრა ცნობილ პოეტებთან, ბავშვთა დაცვის დღე, მსოფლიო ახალგაზრდობის დღე კონცერტი, ინტელექტუალური თამაში ,,რა? სად? როდის? (საშემოდგომო სერია) ამ ღონისძიებების მიზანია ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით ხორციელება სხვადასხვა პროექტები.

- **ტელე - რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება აიპ „გურჯაანის მუნიციპალური მაცნე“, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესების გაშუქებას. ასევე პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საეთერო დროის შესყიდვა

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

პროგრამის მიხედვით განხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის დელეგირებული უფლებამოსულობების ფარგლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის

ხელშეწყობა, კერძოდ გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღდეგო ვაქცინაცია, სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება.

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. კერძოდ: მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, ნარკომანიით დაავადებულ პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მკურნალობის თანხის თანადაფინანსება და სხვა სოციალურ ღონისძიებებს.

## დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია, წყალმომარაგების, სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები და გარე განათების სისტემის რეაბილიტაცია.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შესაკეთებელი გზების რეაბილიტაცია. 2017 წელს დაგეგმილია ქ. დედოფლისწყაროში არსებული შიდა გზების ორმოული შეკეთება და მოასფალტება, სოფლებში არსებული ასფალტის საფარიანი გზების რეაბილიტაცია, გრუნტოვანი გზების მოხრეშვა

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების და ფასადების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ნაწილობრივი დასუფთავება,
ქ. დედოფლისწყაროში და მუნიციპალიტეტის სოფლებში მოწესრიგდება და გარკვეულ ქუჩებზე მოეწყობა საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემები, აგრეთვე სოფლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება სასმელი წყლის სათავე ნაგებობებს და ამორტიზებულ წყალმომარაგების სისტემებს.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, აგრეთვე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების იერსახე შელახულია და აქედან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მათი რეაბილიტაცია, კერძოდ: მთელ რიგ სოფლებში მოხდება მოსაცდელის რეაბილიტაცია, ნაგავსაყრელების გაწმენდა, მინისპორტული მოედნების მოწყობა და ა.შ.

**განათლება**

აღნიშნული პროგრამის შესაბამისად საბავშვო-ბაგა ბაღებში ხორციელდება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზება, ზრუნვა ჰიგიენასა და კვებაზე, აღსაზრდელის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელ და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრში გაერთიანებულია და ფუნქციონირებს 17 სკოლამდელი და ერთი სკოლისგარეშე დაწესებულება (მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი), სკოლამდელ დაწესებულებაში ამ ეტაპზე განათლებას იღებს 942 ბავშვი, ხოლო სკოლისგარეშე დაწესებულებაში 100 ბავშვი.

მუნიციპალიტეტის სკოლამდელ და სკოლისგარეშე სააღმზრდელო ცენტრში სწავლა უფასოა, პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი  აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და სხვა მიმდინარე ხარჯებს, აგრეთვე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მთელ რიგ სოფლებში ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

მუნიციპალიტეტის  კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზება.

**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ფინანსური მხარდაჭერა, ვარჯიშისთვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენა. პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა შეჯიბრებები და მოხდება მათი დაფინანსება: ქართული ჭიდაობა, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, სამბო; ძალოსნობა, ფეხბურთი, კალათბურთი, კიკბოქსინგი, რაგბი.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კურტურის სახლები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, ხელოვნების სკოლები. მუნიციპალიტეტის მხარდაჭერითა და წახალისებით, მხატვრული კოლექტივების: ქორეოგრაფიული ანსამბლები: „შირაქი“, „ხორნაბუჯი“ და „იმედი“; ხალხური სიმღერის ფოლკლორული ანსამბლები: „ქიზიყი“, „მანდილი“ და „ხორნაბუჯი“; თეატრალური კოლექტივი „ბარის ფშავლები“ და ბავშვთა თეატრალური სტუდია „არლეკინო“-ს მონაწილეობით გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები,

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ჰერეთის ეპარქიის განვითარების ფონდის ფინანსური მხარდაჭერა.

- **საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები,რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში,  ასევე მოეწყობა სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ადგილების გაცნობისა და დათვალიერების მიზნით ექსკურსიები, მონაწილეობას მიიღებენ ფესტივალებში, შეიქმნება ახალგაზრდული კლუბები, საჯარო სკოლებში ჩატარდება ლექცია-სემინარები, ჩატარდება შეხვედრები მუნიციპალიტეტის გამოჩენილ ადამიანებთან, ჩატარდება კონკურსი „წიგნი ჩემი მეგობარია“, „ვინ უკეთ იცნობს საქართველოს“, ზაფხულის განმავლობაში გაიმართება დისკოთეკები.

- **პრესის მომსახურების ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გაზეთ „შირაქის“ გამოცემა, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტში მიმდინარე მოვლენებს.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას. გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება, ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი.

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისთვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას, კერძოდ: მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ქალაქ თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში ქ. თელავში გზების რეაბილიტაცია (მოასფალტება, ტროტუარების, ნიაღვარმიმღები და გამტარი კოლექტორების მოწყობა), სანიაღვრეების მოწყობა. ასევე მუნიციპალიტეტში არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება. საგზაო ნიშნების, გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელედება სანიაღვრე არხების, გარე-განათების, წყალმომარაგების (ფანტანი „სოკო) და საკანალიზაციო სისტემების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, ჭაბურღილების და დრენაჟების მოწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინანსების პრინციპით - ნაწილობრივ მოსახლეობის რესურსების გამოყენებით დაფინანსდება სახურავების, სადარბაზოების და სხვ. რეკონსტრუქცია - შეკეთების ღონისძიებები. აგრეთვე ბინათმშენებლობასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების დაფინანსება.

დაგეგმილია ქალაქ თელავის ტერიტორიაზე გამავალ ხევებში ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორცილებული ღონისძიებები ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას, დასასვენებელი პარკების, სკვერების და გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობას. პროგრამა ითვალისწინებს ქალაქი ტერიტორიაზე საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობას, მათი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

**განათლება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ასევე პროგრამა ითვალისწინებს სკოლანდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელთა გადამზადებას, ჰიგიენური პირობების დაცვას, ინფრასტრუქტურის განახლებას და ინვენტატით აღჭურვას. აგრეთვე აღსაზრდელებისთვის წლის განმავლობაში ჩატარდება სხვადასხვა, როგორც სპორტული ისე კულტურული ღონისძიებები.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტის განვითარებისათვის სათანადო პირობების შექმნა, სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, მონაწილეობის მიღება რესპუბლიკურ ღონისძიებებზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, წიგნადი ფონდის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა, ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობებში ფინანსური მხარდაჭერა, ვარჯიშისთვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების აღმოჩენა. სხვადასხვა ტურნირებზე, საქართველოსა და ევროპის ჩემპიონატებზე საუკეთესო შედეგების გამოსავლენად ხორციელდება მათი ადგილზე შეკრების ჩატარება შესაბამისი პირობების შექმნით. 2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა შეჯიბრებები და მოხდება მათი დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხელოვნურსაფარიანი და ბუნებრივსაფარიანი მინიმოედნების მოვლა შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება,

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების, სახელოვნებო სკოლების, ხალხური ცეკვის ანსამბლის, კულტურისა და დასვენების პარკის „ნადიკავარის“ ფუნქციონირებისათვის საჭირო დაფინანსება, ასევე მთელი რიგი კულტურული ღონისძიებების მოწყობა.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები

- **ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება როგორც მწერალთა ორგანიზაციების, აგრეთვე სატელევიზიო გადაცემების მომზადების ხელშეწყობა.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტატის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ”საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ” საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. კერძოდ, გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღმდეგო ვაქცინაცია, დეზინფექციის ღონისძიებეთა ორგანიზება, პროფილაქტიკური აცრების უზრუნველყოფა.

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს ხანდაზმულთათვის, მარჩენალდაკარგულთათვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველ პირთათვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას, როგორიცაა ახალშობლითა და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს როგორც ერთჯერად ასევე ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას, რაც ნაწილობრივ აისახება მათ სოციალურ მდგომარეობაზე. სოციალურად დაუცველ პირთა ზრუნვა, კვება, პირველადი სამედიცინო მომსახურება, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები.

## თელავის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შენარჩუნება და განახლება. ასევე დაგეგმილია სოფლებში შიდა საუბნო გზების მოხრეშვა და მოასფალტებული გზის საფარის ორმული შეკეთება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე არხების, გარე-განათების, წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, ჭაბურღილების და დრენაჟების მოწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება.

დაგეგმილია სასმელი წყლის შიდა ქსელების რეაბილიტაცია, ჭაბურღილებისა და სასმელი წყლის დრენაჟის მოწყობა

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ითვალისწინებს ჭარბი ნალექისაგან დაზიანებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კეთილმოწყობილი გარემოს შექმნას. დასასვენებელი პარკების, სკვერების და გამწვანებული ზონების მოვლა-პატრონობას.

**განათლება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ასევე პროგრამა ითვალისწინებს სკოლანდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელთა გადამზადებას, ჰიგიენური პირობების დაცვას, ინფრასტრუქტურის განახლებას და ინვენტატით აღჭურვას.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

სპორტისა და კულტურული განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად დაგეგმილია სპორტისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდება ხელოვნურსაფარიანი და ბუნებრივსაფარიანი მოედნების მოვლა-შენახვისა და ექსპლოატააციის ხარჯების დაფინანსება, ასევე სპორტული ინფრასტრუქტურის მატერიალურ - ტექნიკური

მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება-აღდგენა. სპორტის სხვადასხვა სახეობების ფინანსური მხარდაჭერა, ვარჯიშისთვის შესაბამისი პირობების შექმნა.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბიბლიოთეკების, კულტურის სახლების, სახელოვნებო სკოლების, ხალხური ცეკვის ანსამბლის ფუნქციონირებისათვის საჭირო დაფინანსება, ასევე მთელი რიგი კულტურული ღონისძიებების მოწყობა.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები.

- **პრესის მომსახურების ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, რაც ითვალისწინებს რეგიონალური (ჟურნალი „ოლე“) და ადგილობრივი ჟურნალების დაფინანსებას.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტატის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. კერძოდ, გადამდები დაავადებების გავრცელების საწინააღმდეგო ვაქცინაცია, დეზინფექციის ღონისძიებეთა ორგანიზება, პროფილაქტიკური აცრების უზრუნველყოფა.

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს ხანდაზმულთათვის, მარჩენალდაკარგულთათვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სოციალურად დაუცველ პირთათვის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების გატარებას. კერძოდ, ახალშობლითა და მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერად ან ყოველთვიურ ფინანსურ დახმარებას, სოციალურად დაუცველ პირთა კვებას, პირველადი სამედიცინო მომსახურებას, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებების ჩატარებას.

## ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება, ცენტრალურ გზასთან დამაკავშირებელი და სოფლებთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დასუფთავების ღონისძიებები, სანიაღვრე არხების მოწყობა-მოვლა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.

**განათლება**

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 30 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს საშუალოდ 1600 ბავშვი. აღნიშნული ქვეპროგრამით მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას, კვების და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას. აგრეთვე დაგეგმილია საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება და ინვენტარით უზრუნველყოფა.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

პროგრამის მიზანია სპორტისა და კურტურის განვითარების, ასევე ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

აღნიშნული პრიორიტეტი ორიენტირებულია მუნიციპალიტეტში სპორტის შემდგომ განვითარებაზე, სპორტის სხვადასხვა სახეობების მომზადებასა და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობაზე. ასევე გულისხმობს სპორტული მრავალფუნქციური კომპლექსების, ახალი სპორტული მოედნების, ხელოვნურსაფარიანი მინისაფეხბურთო მოედნების აღდგენას.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ცენტრი, ბიბლიოთეკები, ხელოვნების სკოლები. პრიორიტეტი ასევე მოიცავს ღონისძიებებს, რომელიც ორიენტირებულია ლაგოდეხის სიძველეთა პოპულარიზაციისაკენ, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა კულტურულ - გასართობი, ღონისძიებები დაფინანსება.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამა ითვალისწინებს ნეკრესის ეპარქიის სამღვდელმთავრო რეზიდენციების კომუნალური ხარჯების დაფინანსებას და კვების პროდუქტებით მომარაგების ხარჯებს. სასაფლაოების მოვლა-შენახვის ხარჯებს.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

აღნიშნული ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში" საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, როგორიცაა ცოფის კერის ლიკვიდაცია, სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება, ინფექციური და არგადამდები დაავადებების თავიდან აცილება.

- **სოციალური პროგრამები**

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ინვალიდი ბავშვების სოციალური დახმარების ხარჯებს, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სხვადასხვა სახის დახმარებას, უმწეო მდგომარეობაში მყოფი დაახლოებით 70 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფას, ყოველ ახალდაბადებულ ბავშვზე დასახმარებლად 100 ლარის გამოყოფას.

## საგარეჯოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაცია და რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება, დასრულდება სოფელ შიბლიანში მისასვლელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები და სოფლების დუზაგრამა-თულარის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები; განხორციელდება სოფელ პატარძეულში „შიოს უბანში“ და სოფელ ხაშმში მისასვლელი გზის მოასფალტება, სოფელ მანავში ხევზე გადასასვლელი ხიდის მოწყობა, ქ.საგარეჯოში: ერისთავის ქუჩაზე ასფალტის საფარის და სანიაღვრე არხების მოწყობა, ე.წ. „სიყვარულის ხიდის“ რეაბილიტაცია, თამარ მეფის და ერეკლე მეორის ქუჩებზე ტროტუარების მოწყობა, ქ.საგარეჯოს ქუჩების ასფალტის საფარის ორმოული შეკეთება, დაზიანებული მოაჯირებისა და ტროტუარების აღდგენა, მამისაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხებზე ცხაურების მოწყობა, ჯაფარიძის ქუჩაზე, ნინოშვილის ქუჩაზე და თამარ მეფის ქუჩაზე (გამგეობის შენობის უკან) სანიაღვრე არხების მოწყობა; სოფელ პატარძეულში სტადიონის მიმდებარედ სანიაღვრე არხების მოწყობა, სოფელ მანავში ე.წ. გორხანის უბანში სკოლის მიმდებარე სანაპირო ქუჩის შეკეთება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამა ითვალისწინებს სოფელ ხაშმში სათავე ნაგებობის მოწყობას და შიდა ქსელების რეაბილიტაციას, სოფელ ბადიაურში, პატარძეულში, ქვემო სამგორის დასახლებაში, სოფელ ნინოწმინდაში სატუმბი რეზერვუარისა და ცენტრალური სასმელი წყლის მაგისტრალის მოწყობა, წყლის საანალიზო სინჯების აღებას, არსებული სანიტარულ ნორმებთან მისი შესაბამისობის დადგენის მიზნით. გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსებას, მუნიციპალიტეტში სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას, ცენტრალური ქუჩების და მოედნების დაგვა–დასუფთავებას; ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მარილით დამუშავებას. დაგეგმილია ხევების კალაპოტების გაწმენდა. დაფინანსდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების ახლით შეცვლის სამუშაოები.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მინი სტადიონების მოწყობა, მოვლა–შენახვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულბი სკვერების, მინი სტადონების და გაზონების მოვლა–პატრონობა, გამწვანება და ახალი სკვერების მოწყობა.

**განათლება**

პროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ „საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება“. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 28 სკოლამდელი დაწესებულება, სადაც სწავლობს 1450 აღსაზრდელი. კვლავ მოხდება საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაციის სამუშაოების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

სპორტისა და კულტურული განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაბამისად დაგეგმილია სპორტისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებების დაფინანსება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამა მოიცავს ა(ა)იპ ,,საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტული გაერთიანების" დაფინასებას, ფუნქციონირებს ჭადრაკის, ფეხბურთის, თავისუფალი ჭიდაობის, ძიუდოს, მძეოსნობის, ბერძნულ–რომაული ჭიდაობის, რაგბის სექციები, რომელიც აერთიანებს 716 მოსწავლეს. დამატებით დაფინანსდება კალათბურთის სექცია. ქვეპროგრამა ასევე მოიცავს ა(ა)იპ "საგარეჯოს N105 კომპლექსური სასპორტო სკოლის“ ფინანსურ მხარდაჭერას, დაგეგმილია ერთი მწვრთნელის დამატება და კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

პროგრამის ფარგმებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული კულტურის ობიექტების, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობა, წიგნადი ფონდის განახლება თანამედრვე ლიტერატურით, ადგილობრივი მნიშვნელობის თეატრის რეპერტუარის განახლება, კულტურული დაწესებულებებისათვის მატერიალურ–ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, კულტურული ღონისძიების ხელშეწყობა.

- **ახალგაზრდული ღონისძიებები.**

პროგრამის ფარგლებში ჩატარდება ტრენინგ–სემინარები, ფორუმები, ინტელექტუალურ–შემეცნებითი, გასართობი თამაშები, შემოქმედებითი და საგანმანათლებლო კონკურსები, გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, კონცერტები და სხვა ღონისძიებები. რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

- **საგამომცემლო საქმიანობა**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთის გამოშვება, რომლის ძირითადი მიზანია მოსახლეობის ინფორმირება მუნიციპალიტეტში მიმდინარე მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, დეზინფექციის და საბონიფიკაციო ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება სოფლის ამბულატორიების მომსახურება.

- **სოციალური პროგრამები**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით, სტაციონარული მკურნალობის, ოპერაციისა და ლაბორატორიული გამოკვლევების დაფინანსება ღირებულების 50%-ით (არაუმეტეს 500 ლარისა), უპატრონო მიცვალებულის დაკრძალვის ხარჯი და დევნილი პირის დაკრძალვის ხარჯი თითოეულზე 300 ლარის ოდენობით, დიალიზზე მყოფ მოქალაქეთა დახმარება (ტრანსპორტის ხარჯი) თითოეულზე თვეში 100 ლარი, ას წელს გადაცილებული ხანდაზმულების დახმარება 150 ლარი, სტიქიური უბედურების შედეგად დაზიანებული სახლების მაცხოვრებელთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა (ბინის ქირის ასანაზღაურებელი კომპენსაცია), საგარეჯოს ადგილობრივ ხელისუფლებაში მომუშავე პირის სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპული ოჯახის სოციალურ დაცვა. სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების მატერიალური დახმარება და ახალშობილთა დახმარება. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია

უმწეო მდგომარეობაში მყოფი 230 ბენეფიციარის ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა. ქალაქ საგარეჯოში ფუნქციონირებს 2 უფასო სასადილო.

## სიღნაღის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოფელებში  და ქალაქ სიღნაღში გზების რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება რეაბილიტირებული გზების მოვლა-შენახვა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და  ექსპლოატაცია, დასუფთავების ღონისძიებები, სანიაღვრე არხების მოწყობა-მოვლა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება. აგერთვე დაფინანსდება არსებული ქსელების მოვლა-შენახვა და მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, საკანალიზაციო სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-პატრონობა,  ახალი ხეების დარგვა, დეკორატიული მცენარეების განაშენიანება და არსებული შადრევნების ექსპლოატაცია.

**განათლება**

სკოლამდელი განათლების ხელშემწყობი ღონისძიებების დაფინანსება თვითმმართველი ერთეულის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

პროგრამის მიზანია სპორტისა და კურტურის განვითარების, ასევე ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა სპორტსმენებისთვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნის უზრუნველსაყოფად, ასევე  ნიჭიერი სპორტსმენების წარმოჩენა და წახალისება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ ,,თ. მათურელის სახ. ხელოვნების კოლეჯი“-ის , ა(ა)იპ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და საგანმანათლებლო მომსახურების ცენტრი“-ის, ა(ა)ი პ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო და სასპორტო სკოლების გაერთიანება“-ის, ა(ა)იპ ,,სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი-ის დაფინანსება. ასევე მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით დაფინანსდება  სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში მოეწყობა სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი  ღონისძიებები, ქართული ფოლკლორის საღამოები.

- **ახალგაზრდული ღონისძიებები.**

პროგრამის ფარგლებში ჩატარდება შემოქმედებითი და საგანმანათლებლო კონკურსები, გამოფენები, ლიტერატურული საღამოები, კონცერტები და სხვა ღონისძიებები, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, როგორიცაა ცოფის კერის ლიკვიდაცია, სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება, ინფექციური და არგადამდები დაავადებების თავიდან აცილება .

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცების მედიკამენტებით უზრუნველყოფას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი 165 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფას, ყოველ ახალდაბადებულ ბავშვზე 100 ლარის გამოყოფას, სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებას, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დახმარებები.

## ყვარლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბიულიტაცია, კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ყვარელში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში დაფინასდება აიპ ,,ყვარელწყალმომსახურება" რომელიც უზრუნველყოფს სოფლების სასმელი წყლის სისტემის მოწყობა- ექსპლოატაციას და სათავე ნაგებობების აღდგენის მომსახურებას. გათვალისწინებულია დურუჯის, შოროხისა და ინწობის ხევების გაწმენდა, ჯებირების გამაგრება, დაფინანსდება ა.ი.პ ,,ყვარლის კეთილმოწყობის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს ყვარელში სკვერების, გაზონების და პარკების მოვლა-პატრონობას, ქ.ყვარელში ქუჩების დასუფთავებას. მუნიციპალიტეტის სოფლებიდან და ქალაქიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას, გარე განათების ქსელის მოვლა პატრონობას, ქალაქ ყვარლის და მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ სასაფლაოების მოვლა პატრონობას.

**განათლება**

ყვარლის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი დაწესებულების დაფინასება ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია ყვარლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 22 სკოლამდელი დაწესებულება, სადაც დასაქმებულია 340 ადამიანი და სწავლობს 1200-მდე აღსაზრდელი. სკოლამდელ დაწესებულებებში

სამჯერადი კვებაა. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. პროგრამის ფარგლებში  გათვალისწინებულია ა(ა)იპ წმინდა ილია მართლის სახელობის ყვარლის გიმნაზიის დაფინანსება, სადაც ფუნქციონირებს  სკოლამდელი ასაკის 2 ჯგუფი.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სპორტული და კულტურული ორგანიზაციებისა და ღონისძიებების დაფინანსება, რაც ხელს შეუწყობს როგორც სპორტული, ასევე კულტურული ტრადიციების დაცვასა და გაგრძელებას.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ ,,ყვარლის კომპლექსური სასპორტო სკოლა'' , შ.პ.ს ათლეტი", ა(ა)იპ,,ყვარლის სპეციალიზირებული  საფეხბურთო სკოლა", ა(ა)იპ  ფრენბურთის კლუბი ,,ყვარელი". განხორციელდება  ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, სკოლის პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება, განხორციელდება  მუნიციპალტეტის ტერიტორიაზე განთავსებული სპორტული მოედნების მოვლა და მოწყობა.  სპორტულ ორგანიზაციებში სულ დასაქმებულია 49 მწვრთნელი (მ.შ სასპორტო სკოლა- 40, ათლეტი -1 საფეხბურთო სკოლა 8), რომელიც ემსახურება დაახლოებით 1000-მდე ბავშვის აღზრდას.  სპორტული სკოლა ორიენტირებულია მაქსიმალურად ჩააბას მოსწავლე ახალგაზრდობა  აქტიურ სპორტში.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭრა, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება  ა(ა)იპ ,,ყვარლის კულტურის განვითარების ცენტრი'', ა(ა)იპ ,,ყვარლის სამუსიკო სკოლების'' გაერთია-ნება, (ა).ი.პ ,,ყვარლის მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და დასასვენებელი ობიექტების დაცვისა და განვითარების ცენტრი. კულტურის ცენტრში გაერთიანებულია 3 კულტურის სახლი, 3 ბიბლიოთეკა , 4 ცეკვის წრე, 2 სიმღერის, 1 ჭადრაკის, 2 ქარგვის ,სადაც  სწავლობს სულ 250 მოსწავლე.

- **რელიგიური ორგანიზაციების დაფინასება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ნეკრესის ეპარქიისათვის კომუნალური ხარჯების დაფინანსება.

- **საგამომცემლო საქმიანობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება  ყვარლის მუნიციპალიტეტის ადგილბრივი გაზეთი ,,ყვარელის" გამოცემის ხარჯის თანადაფინანსება.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ყვარლის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია, მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარებას.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ეპიდზედამხედველობის და ეპიდსიტუაციის მართვის ღონისძიებები, მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები, პროფილაქტიკური იმუნიზაციის პროცესის დაგეგმვა. არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია. განხორციელებული პროგრამები ხელს შეწყობენ გადამდებ დაავადებათა პრევენციას.

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება, ბავშვების სოციალური დაცვა, უმწეოთათვის უფასო სასადილოების დაფინანსება, ომის ვეტერანთა

სარიტუალო ხარჯების დაფინანსება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

ქალაქის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, ამიტომ აღნიშნული მიმართულება ქალაქის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება და ახალი გზების რეაბილიტაცია. საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით დამონტაჟდება ახალი საგზაო ნიშნები, ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არსებული მარეგულირებელი საგზაო ნიშნების ექსპლუატაცია;

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა. უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება და პროფილაქტიკურ სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება. მაწანწალა ცხოველებისა და ქვეწარმავლებისაგან ქალაქის მოსახლეობის დასაცავად განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები;

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლუატაცია, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია, მწვანე საფარის მოწესრიგება, უკანონო და უსახური კონსტრუქციების დემონტაჟი.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ქალაქის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. ქალაქში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 35 ბაგა-ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 8811-მდე ბავშვი.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

ქალაქის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტული განვითარების ხელშეწყობა თვითმმართველობის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგეს, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქ. ქუთაისში ბავშვთა და მოზარდთა ჩართვა ფიგურულ სრიალში, ოლიმპიური ღონისძიებების ორგანიზება, კლუბ ,,ქუთაისი-2010-ის" და სარაგბო კლუბი ,,აია-ს" ფინანსურ მხარდაჭერა, სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა, ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

ქალაქის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება მუსიკოს შემსრულებელთა კადრების მომზადებისა და მათი აღზრდა-დაოსტატებისათვის ფესტივალების და კონკურსების მოწყობა, მსოფლიო და ეროვნულ ღირებულებათა განვითარების მიზნით მაღალხარისხოვანი სპექტაკლების დადგმა, თეატრალური ხელოვნების პროპაგანდა მოსახლეობის ფართო ფენების მხატვრული აღზრდა, ქართული თეატრალური მემკვიდრეობის პოპულარიზაცია, წლის განმავლობაში ჩატარდება საოპერო გუნდის სოლო კონცერტები. ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

- **საინფორმაციო უზრუნველყოფის პროგრამა**

ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მეტი გამჭირვალობისათვის, საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირების მიზნით დაფინანსდება საინფორმაციო უზრუნველყოფის ხარჯები.

- **ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის მიზანია ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობის ხელშეწყობა, ახალგაზრდების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა.

- **ქუთაის-გაენათეს ეპარქიის დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ბაგრატის ტაძრის გარე განათების ელექტრო ენერგიის ხარჯი.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყობა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა თვითმმართველობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარებას, დაავადებული გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარებას.

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მარტოხელა მოხუცთა თავშესაფრის კომუნალური ხარჯები, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, სოციალური ღონისძიებების პროგრამა, უფასო მგზავრობის პროგრამა, მატერიალური დახმარების პროგრამა, ააიპ მადლიერების სახლი, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარება. აღნიშნული უზრუნველყოფს ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ჭიათურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება საბაგირო გზის დაფინანსება. აგრეთვე მოხდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდა მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი სახლების კეთილმოწყობა, ქვათაცვენის საწინააღმდეგო სამუშაოები, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, განხორციელდება საყრდენი კედლის აღდგენა და საბინაო ამხანაგობების დაფინანსება.ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება და ჭარბი თოვლისაგან გაწმენდა.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქის გამწვანება და მოსახლეობის კულტურულ დასვენებაზე ზრუნვა. აღნიშნული ჭიათურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს, რის გამოც იგეგმება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობა და გამწვანება.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ააიპ მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღი  რომელიც აერთიანებს 23 საბავშვო ბაღს, სადაც  განათლებას იღებს 1270-ზე მეტი ბავშვი.  პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. ასევე ხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2015 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება №27-ე კომპლექსური სპორტული სკოლა, რაგბის სპორტული სკოლა, საფეხბურთო კლუბი ,,ჭიათურა";

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. 2015 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის თეატრი, ბიბლიოთეკები, კულტურულ შემოქმედებითი ცენტრი და მუსიკალური სკოლები.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება  მუნიციპალიტეტში მცხოვრების ბავშვებისათვის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი ღონისძიებები, დასვენება და მკურნალობა გამაჯანსაღებელ ბანაკებში, სპორტსმენთა დაჯილდოვება, წარმატებული ახალგაზრდების დაფინანსება, საქართველოს კუთხეების ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, დამსახურებული პედაგოგების დაჯილდოება, ესტრადის მომღერალთა კონცერტის დაფინანსება.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მღვიმევის დედათა მონასტრის მიმდინარე ხარჯები.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყობა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ასევე გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ

მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაციას, ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობას და მათზე სწრაფ რეაგირებას, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებას, სადეზიფენქციო სამუშაოების ჩატარებას საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესებას.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამის ითვალიწინებს სარიტუალო მომსახურების ხარჯებს, ავადმყოფთა სოციალური დაცვის ხარჯებს, უფასო სასადილო პროგრამის ხარჯებს, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ტყიბულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის სრული გამოყენება, ურბანული განვითარება და ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელ უბნებში ეზოების კეთილმოწყობა და საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვა და დაფინანსდება ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდა მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტისათვის კვლავ აქტუალური რჩება შიდასაქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მოვლა-შენახვა ქუჩების სავალო ნაწილის და ტროტუარების რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება საავტომობილო გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი სახლების ბინისმესაკუთრეთა ამხანაგობის დახმარების პროგრამა, გარე განათების ქსელისმოვლა-შენახვა და დაფინანსთება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება, ბაღებისა და სკვერების, აგრეთვე მწვანე ნარგავების მოვლა. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათის აუცილებელი ხარჯები, რომელიც შექმნის მუნიციპალიტეტში არსებულ 14 საბავშვო ბაღში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან გარემოს. ასევე ხელს შეუწყობს მათ მომზადებას ზოგადი განათლების მისაღებად.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამა ითვალისწინებს სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ხელშეწყობას. კერძოდ: კლუბი "მეშახტის" ფინანსური მხარდაჭერას, ნიჭიერი სპორტსმენების წახალისებას, სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისა და შეჯიბრებების მოწყობას. ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული სპორტული ობიექტების მოვლა-შენახვის ხარჯების დაფინანსება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კულტურის საქალაქო ცენტრის, მუსიკალური და სამხატვრო სკოლების, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის, და სხვა კულტურული ობიექტების დაფინასება.

- **ტელემაუწყებლობისა და საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში კვლავ გაგრძელდება ადგილობრივი ტელემაუწყებლობისა და საგამომცემლო საქმიანობის ფინანსური მხადაჭერა, მუნიციპალიტეტში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური, კულტურული, სპორტული და მოსახლეობისათვის აქტუალური ინფორმაციების გასაშუქებლად.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყობა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას.

- **ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარებას საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესებას, არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაციას, პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას, მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგს,

აგრეთვე მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებებს.

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. კერძოდ: ინდივიდუალური დახმარების პროგრამის დაფინანსებას, ახალშობილთა დახმარებების დაფინანსებას, სარიტუალო ხარჯების დაფინანსებას, უმწეოთა კვებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებებს, სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარებას.

## წყალტუბოს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ტურისტული პოტენციალის სრული გამოყენება, ურბანული განვითარება და ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელ უბნებში ეზოების კეთილმოწყობა და საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაცია. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვა და დაფინანსდება ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მოვლა-შენახვა და ქ. წყალტუბოში 9 აპრილის, შანიძის, კოლხეთის, დედაენის, ბესიკის, თამარ მეფის ქუჩებზე მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებთან მისასვლელი გზის, ქუჩების სავალო ნაწილის და ტროტუარების რეაბილიტაცია. ასევე განხორციელდება საავტომობილო გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება და ექსპლოატაცია. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების ექსპლოატაცია, სადღესასწაულოდ ქალაქის გაფორმება, სანიაღვრე არხების გაწმენდა, მწვანე ნარგავების მოვლა და სხვა ღონისძიებები.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

- **სკოლამდელი აღზრდის დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათის აუცილებელი ხარჯები, რომელიც შექმნის მუნიციპალიტეტში არსებულ 10 საბავშვო ბაღში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან გარემოს. ასევე ხელს შეუწყობს მათ მომზადებას ზოგადი განათლების მისაღებად.

- **სკოლის გარეშე განათლება**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. აქვე ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის სკოლისგარეშე განათლებას.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარალერულად, აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული და სპორტული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, კულტურული ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ა(ა)იპ ,,წყალტუბოს სასპორტო სკოლის", სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ა(ა)იპ ,,საფეხბურთო კლუბი სამგურალის" და ა(ა)იპ ,,სარაგბო კლუბი დინოზავრის" ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. გაიმართება და დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, აგრეთვე მოხდება სპორტული მოედნებისა და ბაზების რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ასევე სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ: გივი თალაკვაძის ხსოვნის ტურნირი მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი, დავით ბასიშვილის ხსოვნის ტურნირი ფეხბურთში, სამოყვარულო ტურნირი ჭადრაკში, ტურნირი ხელბურთში გოგონებს შორის, ფრენბურთის ტურნირი, ტაიკვანდოს ტურნირი, შალვა ბზიკაძის ხსოვნის ტურნირი ძიუდოში, სამოყვარულო ტურნირი ნარდში, დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები მინიფეხბურთის ტურნირი, როინ მეტრეველის ხსოვნის ტურნირი ხელბურთში, ზურაბ ბადირეიშვილი ხსოვნის ტურნირი კალათბურთში, დავით აფხაძის ხსოვნის ტურნირი ბ/რომაულ ჭიდაობაში;

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

კულტურული ტრადიციების დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ორგანიზაციების ა(ა)იპ „წყალტუბოს თეიმურაზ კობახიძის სახელობის სამუსიკო სკოლის", ა(ა)იპ „წყალტუბოს სამხატვრო სკოლის", ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის", ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო და სამუზეუმო გაერთიანების" დაფინანსება და სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა და ორგანიზება;

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ: ვალენტინობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?" ორგანიზება, სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები

ახალგაზრდებისათვის ლაშქრობების ორგანიზება, სკოლის გამოსაშვები ღონისძიებების ორგანიზება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ექსკურსიების ორგანიზება, პოეზიის საღამოს მოწყობა, საახალწლო ღონისძიებები, სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა, დიდი სამამულო ომის მონაწილეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სკოლებში სასწავლო პროცესის დაწყებასთან დაკავშირებული ღონისძიება, თამარობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ღონისძიება „წყალტუბოობა"-ს მოწყობა, სხვადასხვა შემსრულებლების მოწვევა;

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გათავლისწინებულია ქუთაისის-გაენათის ეპარქიის სუბსიდირება.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყობა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში ა(ა)იპ ,,წყალტუბოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის" დაფინანსებას, რათა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება, დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით, ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება, სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება.

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. კერძოდ: მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეჭირვებული მოქალაქეების კვებით უზრუნველყოფას, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დღეგრძელთა დახმარებას, მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური წახალისებას, სარიტუალო ხარჯებს, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახებისათვის ერთჯერადი ფულადი დახმარებას, მუნიციპალიტეტში მცხობვრები მოქალაქეების სამედიცინო დახმარებას და სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების დახმარებას.

## ბაღდათის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინასება. სოფლებში მოხდება წყლის სისტემების რეაბილიტაცია, ქალაქის ტერიტორიაზე დაფინასდება ღვარსადენების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან მოსხლეობის დაცვა.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების აღრიცხვა–შეფასების და პრივატიზაციის მიზნით საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადება. ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოვლა პატრონობა

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მთლიანად დაფინასდება ბავშვთა კვების თანხა. მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

- **სკოლამდელი განათლების დაფინანსება**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 15 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 650 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, სრულად ფინასირდება ბავშვთა კვების თანხა მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

- **სკოლის გარეშე განათლება**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. აქვე ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის განათლებას.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება  სპორტული სკოლის ფინანსური მხარდაჭერა, რათა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.  პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.  პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: კულტურის ცენტრი, სადაც ფუნქციონირებს თეატრალური კოლექტივი, ხალური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები; მუსიკალური და ხელოვნების სკოლა, სადაც სწავლობს 250-მდე მოსწავლე; ბიბლიოთეკა; მუზეუმი.

- **პრესა და საინფორმაციო მომსახურება**

აღნიშნული პროგრამით, მუნიციპალიტეტიში მიმდინარე პროცესის გაშუქებისათვის, მასში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდის მიზნით  კვლავ გაგრძელდება პრესისა და საინფორმაციო საშუალებების დაფნასება;

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში;

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყობა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფექციებისა და სხვადასხვა დაავადებათა ლიკვიდაცია და პრევენცია;  არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების გაუვნებელყოფის ღონისძიებები. სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარებას საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას. კერძოდ:  სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ოჯახის წევრებზე სამედიცინო დახმარებას,  სარიტუალო მომსახურებას, უფასო სასადილოს დაფინასებას, ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცვას, სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას,  სადღესასწაულო დახმარების პროგრამას.

## ვანის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა, პრიორიტეტების ფარგლებში მოხდება არსებული ინფარსტრუქტურის მოვლა-შენახვისა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

- **გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ვანში თამარ მეფის ქუჩისა და მშვიდობის ქუჩების დამაკავშირებელი საავტომობილო გზისა და მთისძირის თემის ცენტრიდან ჭაგან-ჭყვიშის მიმართულებით საავტმობილო გზის ასფალტობეტონის შავი საფარით მოწყობა, ასევე ქ. ვანში 26 მაისის ქუჩაზე მდ. ჭიშურაზე არსებული ფოლადის ხიდის რეაბილიტაცია;

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამუშაოები, რომლითაც გაუმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, სანიტარული და ჰიგიენური პირობები. დაფინანსდება სანიაღვრე საწრეტი არხების, გარე განათების ექსპლოატაციის, დასუფთავების ღონისძიებების ხარჯები.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, არსებული შენობების რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

- **სკოლამდელი განათლება**

პროგრამა მოიცავს ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დაფინანსებას. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 450-ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირების ყველა ხარჯს. გაერთიანებაში ასევე შედის მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლი. ა(ა)იპ ვანის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება დაფინანსდება 600,0 ათასი ლარით, ხოლო 200,0 ათასი ლარით მუნიციპალიტეტის მიერ ქალაქ ვანის N1 საბავშვო ბაღს ჩაუტარდება კაპიტალური რემონტი.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარარელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) გაერთიანებების (ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი

„სულორი ვანი“–ს, ა(ა)იპ „სასპორტო და სახელოვნებო დაწესებულებების გაერთიანების'', სპორტული ღონისძიებების, სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯების დაფინანსება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, მათ შორის მნიშვნელოვანია იმ სახალხო–სადღესასწაულო ღონისძიებათა დაფინანსება, რომლების ყოველწლიურად მასშტაბურად იმართება ,,ვანელობა“, ,,გალაკტიონობა“, ,,ტიციანობა“, ,,კეკელიძეობა“, 26 მაისის, 9 აპრილისა და 8 აგვისტოსადმი მიძღვნილი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დაფინანსება;

- **ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებას. პროგრამის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ახალგაზრდა თაობის ჩაბმა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში; მუნიციპალიტეტი ფინანსურად უზრუნველყოფს ბავშვთა და ახალგაზრდების დასვენების, ინტელექტუალური გუნდების მომზადებისა და შეჯიბრებებში მონაწილეობის ხარჯებს. იუმორისტული შეჯიბრებების მომზადებასა და მასში მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობას;

- **ეპარქიის დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყობა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება**

პროგრამა გულისხმობს შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები; პარაზიტული დაავადებების პირველადი კვლევა; დაავადებების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; სანიტარული ღონისძიებები; მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობა; ჯანმრთელობის ხელშეწყობა;

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებების დაფინანსება: უფასო სასადილო მზრუნველობამოკლებულთათვის, ერთჯერადი დახმარება ბავშვის შეძენასთან დაკავშირებით, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის ფულადი კომპენსაცია და სხვა სოციალური ღონისძიებები.

## ზესტაფონის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკებისა და მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების

კაპიტალური შეკეთება და ეზოების კეთილმოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი ლიფტების აღდგენა-რეაბილიტაცია, სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება, გზების კაპიტალური შეკეთება. კერძოდ მოხრეშვა-მოშანდაგება, ნაწილობრივ ასფალტო ფენილის გზების დაგება, მარტივი ტიპის წყალსადენების მოწყობა, არსებული ხიდების შეკეთება და რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება და ექსპლოატაცია. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ აღზრდას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების გამართული ფუნქციონირება. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში ხელი შეეწყობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე განათლების დონის ამაღლებას.

- **სკოლამდელი აღზრდის დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათის აუცილებელი ხარჯები, რომელიც შექმნის მუნიციპალიტეტში არსებულ 39 საბავშვო ბაღში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან გარემოს. ასევე ხელს შეუწყობს მათ მომზადებას ზოგადი განათლების მისაღებად.

- **სკოლის გარეშე განათლება**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. აქვე ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის სკოლისგარეშე განათლებას.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარალერულად, აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული და სპორტული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, კულტურული ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსკოლის, სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, გაიმართება და დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, აგრეთვე მოხდება სპორტული მოედნებისა და ბაზების რეაბილიტაცია.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

კულტურული ტრადიციების დაცვისა და პოპულარიზაციის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტებისა და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა, სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება.

- **ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის

განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება ახალგაზრდებისათვის აქტიური დასვენების ღონისძიებები (ბანაკები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვა).

- **ეპარქიის ხარჯების დაფინანსება**

პროგრამით დაფინანსდება მარგვეთის ეპარქია, საიდანაც მოხდება სხვადასხვა ეკლესიების მიმდინარე შეკეთება.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყობა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის ღონისძიებებს; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობას, პრევენციული და კონტროლის ღონისძიებებს; პარაზიტული დაავადებების პირველად კვლევას; დაავადებების დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკური მკურნალობას; სანიტარულ ღონისძიებებს; მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობას; ჯანმრთელობის ხელშეწყობას.

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

სოციალური პროგრამები მოიცავს: ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები ან რეგისტრირებული, (მათ შორის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული–დევნილი) მოქალაქეებისათვის დახმარების ღონისძიებებს: ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობის და პრევევნციული ღონისძიებების მიზნით დაგეგმილ ღონისძიებების ერთობლიობას. აგრეთვე, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული თავშესაფრების და მსგავსი გაერთიანებების მიმართ დახმარების ღონისძიებებს, სადაც მიმდინარეობს, მხოლოდ სოციალური ხასიათის მხარდამჭერი ღონისძიებები და მასში გაერთიანებულია გარკვეული სოციალური სტატუსის მქონე პირთა ჯგუფი (სოციალური ჯგუფი).

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციისა და მოვლა შენახვის ხარჯი**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტში არსებული ასფალტოვანი დაზიანებული გზების შეკეთება და ხრეშოვანი გზების რეაბილიტაცია;

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა მათ შორის: სახურავების რეაბილიტაცია, წყალ-კანალიზაციის მოწესრიგება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, გარე განათების ექსპლოატაცია. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

- **დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური**

მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ქალაქის ქუჩების, მოედნების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების, ცენტრალური საავტომობილო გზის, ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა; აგრეთვე განხორციელდება გარე და დეკორატიული განათების მოვლა–პატრონობა და რეაბილიტაცია, სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ქალაქის გამწვანებისა და გაფორმების ღონისძიებები, შენობა ნაგებობების, მიმდებარე ტერიტორიების, კომუნიკაციების, საგზაო ინფრასტრუქტურის, ტროტუარების გაზონების მოწყობა, მიმდინარე სარემონტო სამუშაოების წარმოება. პროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების, ქუჩებისა და ტროტუარების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების სუბსიდირება და ინვენტარით უზრუნველყოფა. ასევე პრიორიტეტულია საგანმანათლებლო და საამღზრდელო პროცეცის მონაწილეთა დაინტერესება და სტიმულირება. თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი მოიცავს 24 საბავშვო ბაგა–ბაღს სადაც ფუნქციონირებს 40 საამღზრდელო ჯგუფი. საბავშვო ბაგა–ბაღში დაწყებით განათლებას იღებს 1000 აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს,

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული გუნდების, ჯგუფების და სექციების მონაწილეობს სხვადასხვა ტურნირებში და შეჯიბრებებში. ა(ა)იპ სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრი აქტიურად ახორციელებს სპორტის სახეობათა მიხედვით თანამშრომლობას სახელმწიფო და არასახელმწიფო სპორტულ ორგანიზაციებთან, მათთან ერთად ატარებს სხვადასხვა სპორტულ შეჯიბრებებს; პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა

ადგილობრივი  სპორტული ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი წესის დამკვიდრებას;

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა და განხორციელდება სხვადასხვა კულტურულ-გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები: შემოქმედებითი კლუბების, სამოყვარულო თეატრების, ცეკვისა და სიმღერის ფოლკლორული ანსამბლების ხელშეწყობა და განვითარება, სამუზეუმო საქმიანობა და მუზეუმების ფონდების ბაზაზე სამეცნიერო საგანმანათლებლო მუშაობის წარმოება;

- **საგამომცემლო საქმიანობა**

ამ პროგრამის ფარგლებში განხორციელდება  მუნიციპალიტეტში არსებული ერთადერთი გაზეთის ,,თერჯოლა,, შეძენა და მუნიციპალიტეტის  მოსახლეობაში გავრცელება;

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების ბანაკებში მგზავრობის ხარჯები, ლაშქრობები, ექსკურსიები;

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, მათ მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუნიციპალური ცენტრის დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირებას. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობას და მათზე სწრაფ რეაგირებას, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარებას. განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობა;

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

სოციალური პროგრამები მოიცავს: მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ერთჯერადი ფინანსური დახმარებას, მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოქალაქეებისათვის სხვადასხა ღონისძიებების გატარებას,  უფასო სასადილოს პროგრამას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარების პროგრამას, სტიქიური და სხვა მოვლენების შედეგად დაზარალებულთა ფინანსურ დახმარებას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის საჭირო მედიკამენტებითა და საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას, სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას.

## სამტრედიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - რებილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების, ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში გზების რეაბილიტაცია, სოფლების შიდა გზების მოხრეშვა. მოსაცდელების შეძენა-დამონტაჟება, ასევე ხიდების და ბოგირების რეაბილიტაცია. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია;

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება;

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება.

**განათლება**

მომავალ თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელი განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულს საკუთარი უფლება-მოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

- **სკოლამდელი განათლების დაფინანსება**

სამტრედიის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ააიპ "სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება", რომელიც აერთიანებს 22 საბავშვო ბაღს, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1400 ბავშვი. საბავშვო ბაღებში ერთი ბავშვის კვების ღირებულება შეადგენს დღეში 1,1 ლარს. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. მ.შ. მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბავშვთა კვების ხარჯს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. ასევე მომდევნო წელში განხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია.

- **მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს 400 მოსწავლეს. ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები. მუნიციპალიტეტიდან ფინანსდება ყველა მიმდინარე ხარჯი. აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ ღონისძიებების ჩატარებაში.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. პროგრამის ფარგლებში დსფინანსდება საცხენოსნო სპორტული კლუბი, კომპლექსური სპორტული სკოლა, საფრენბურთო კლუბი „ჯიკო", ხელბურთელთა კლუბი „სამტრედია", სპორტკომპლექსი „სამტრედია", საფეხბურთო კლუბი „სამტრედია";

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები; პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სახელოვნებო სკოლები, კულტურის სახლი, ბიბლიოთეკები, კულტურისა და დასვენების პარკების გაერთიანება;

- **შპს " სამტრედიის მაცნე "**

პროგრამა ითვალისწინებს შპს გაზეთ „სამტრედიის მაცნეს" დაფინანსებას. იგი ერთადერთი გაზეთია, რომელიც მაქსიმალურად აშუქებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს საქმიანობას. მისი მიმდინარე ხარჯები ფინანსდება ბიუჯეტიდან;

- **ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში პროგრამის ფარგლებში;

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხონი-სამტრედიის ეპარქიის სუბსიდირება, დაფინანსდება მთავარი საკათედრო ტაძარი.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები, იმუნოპროფილაქტიკის ღონისძიებების დაგეგმვა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა, პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები, პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა.

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეულ შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. კერძოდ: ააიპ სახლი "თანადგომა მუნიციპალიტეტის " სათნოების სახლის დაფინანსებას, დედათა და ბავშვთა დახმარებას, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი ფინანსურ დახმარებას, დაკრძალვის ხარჯებს, დიდ სამამულო ომის ვეტერანთა ფინანსური დახმარებას 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით.

## საჩხერის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის აუცილებელ ძირითად პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში ახლის მშენებლობასთან ერთად განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მისი ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თოვლისაგან საავტომობილო გზების გაწმენდის, და სავანე-არგვეთი მახათაურის საავტომობილო გზის რეკონსტრუქცია. გაგრძელდება გზის საფარის კეთილმოწყობის, ხიდ-ბოგირების მშენებლობა რეაბილიტაცია, მგზავრთა მოსაცდელების, გზის სამაგრი კედლების და სხვათა მოწყობის სამუშაოები.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საკანალიზაციო სისტეების, კოლექტორებისა და გამწმენდი ნაგებობების ექსპლოატაცია, არსებული სასმელი წყლის სისტემების და გარე განათების ქსელის განახლება, მოვლა და ექსპლოატაცია. უზრუნველყოფილი იქნება ქ. საჩხერისა და მუნიციპალიტეტის სხვა დასახლებული ტერიტორიების დასუფთავება და ნაგვის გატანა.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სკვერებში და მოედნებზე არსებული მრავალწლიანი ნარგავების მოვლა-პატრონობა, მათი გასხვლა-გადაბელვა, სკვერებში და გაბიონებში ერთწლიანი ნარგავების, ყვავილების და სხვათა დარგვა და მოვლა-პატრონობა.

**განათლება**

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ აღზრდას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთრი უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა და არსებული ბაღების ფუნქციონირება. სკოლანდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში ხელი შეეწყობა მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე განათლების დონის ამაღლებას.

- **სკოლამდელი განათლების დაფინანსება**

საჩხერის მუნიციპალიტეტში დღეისათვის ფუნქციონირებს 12 ერთეული საბავშვო ბაღი. მომავალი წლისთვის დაგეგმილია 7 ერთეულის მშენებლობა. საბავშვო ბაღების საერთო ხელმძღვანელობას უწევს ამ მიზნით მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული

პირი -საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი. არსებულ ბაღებში ირიცხება 850 აღსაზრდელი რომელთა აღზრდას ემსახურება 128 აღმზრდელი და ტექნიკური მუშაკი. ბიუჯეტიდან ერთ აღსაზრდელზე უნდა დაიხარჯოს 1040 ლარი, რომელიც უნდა მოხმარდეს შრომის ანაზღაურების, კვების, ინვენტარის შეძენის და სხვა ხარჯების დაფინანსებას. ახლად აშენებული ბაღები მოემსახურება 250 საბავშვო ბაღის აღსაზრდელს.

- **ზოგადი განათლების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯების დაფინანსებას.

- **მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი**

მოსწავლე ახალგაზრდობის სწორი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია მოსწავლე-ახალგაზრდობის დაწესებულებების მიზანმიმართული საქმიანობა. სწორედ ამიტომ ამ პროგრამის ფარგლებში ამ საქმიანობის შეუფერებელი განხორციელებისათვის განსაზღვრულია მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ხარჯების დაფინანსება. აქ ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე-ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის სკოლის გარეშე განათლებას.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვისა და ღირსეული გაგრძელების ხელშეწყობა. ამასთან ერთ-ერთი პრიორიტეტის ახალგაზრდობის მრავალმხრივი ხელშეწყობა და მათი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი აგრძელებს კულტურული, სპორტული და რელიგიური ორგანიზაციების და ახალგაზრდული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული და იმედისმომცემი სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლისა და საცურაო აუზის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა, უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა, ამასთან, ამ პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების მოწყობა და გაგრძელდება, იმედისმომცემ სპორტსმენებზე სტიპენდიის გაცემა. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ საჩხერის სასპორტო სკოლისა და ა(ა)იპ საჩხერის საცურაო აუზის დაფინანსება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება და მოეწყობა სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გამოჩენილი ადამიანების საიუბილეო, საშობაო-საახალწლო, თეატრალურ-მუსიკალური ღონისძიებები, სრულად საქართველოს ფესტივალი ,,ქართული მრავალჟამიერი და აკვნის ნანები“, სპორტული ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, საესტრადო სიმღერის ფესტივალი ,,ვარდობის თვე“ და სხვა.

- **მასმედიის ხელშეწყობა**

ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ასოციაცია ,,მასმედია“ გაზეთი ,,მეოთხის“ გამოცემის ხარჯები. გაზეთმა უნდა უზრუნველყოს მოსახლეობა მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და მათი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული და გამოცემული დადგენილებები, განკარგულებები და ბრძანებები. ასოციაციის ხარჯების ნაწილი გაზეთის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებით ფინანსდება.

- **ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება ახალგაზრდებისათვის აქტიური დასვენების ღონისძიებები (ბანაკები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვა).

- **რელიგიის დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჭიათურისა და საჩხერის ეპარქიის ფინანსური დახმარება.

**ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მოსახლეობის სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. არსებული რესურსების ფარგლებში გაგრძელდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფა. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **ჯანდაცვის პროგრამები**

პროგრამა ითვალისწინებს ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დავადებების პრევენციულ ღონისძიებებს. ეპიდსიტუაციების გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობას და მათზე სწრაფი რეაგირებას, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას. მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების გაუვნებელყოფის ღონისძიებებს.

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსედება: ავადმყოფთა სოციალური დაცვა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა, ომის და შრომის ვეტერანებზე და მათ ოჯახებზე ფულადი ფორმით გასაცემი დახმარებები, სარიტუალო ხარჯები, მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა, უფასო სასადილო, სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა, საჩხერე - პერევის და პერევი-საჩხერის საავტობუსო რეისების სუბსიდირება, სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება, საცხოვრებლით უზრუნველყოფა.

## ხარაგაულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და წარმოადგენს ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის დასუფთავების ხელშეწყობა. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია და მოვლა–შენახვა. ასევე განხორციელდება საავტომობილო გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა;

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება  გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. გაგრძელდება  სანიაღვრე არხების მოწესრიგება, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში სანიტარულ–ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და დაიწყება დაბაში სასმელი წყლის 24 საათიანი გრაფიკის მოწესრიგება.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

- **სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათის აუცილებელი ხარჯები, რომელიც შექმნის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან  გარემოს.  ასევე ხელს შეუწყობს მათ მომზადებას ზოგადი განათლების მისაღებად.  გაერთიანებაში  ამჟამად შედის ცხრა  საბავშვო ბაღი და უახლოეს პერიოდში ექსპლუატაციაში შევა  კიდევ სამი საბავშვო ბაღი.

- **ზოგადი განათლების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში ხდება  მუნიციაპლიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბორის საჯარო სკოლის პანსიონური მომსახურების დაფინანსება. პანსიონში სწავლობს 129  მოსწავლე და 22  სკოლამდელი ასაკის ბავშვი, ხოლო ღამეს ათევს უკიდურესად გაჭირვებული, ობოლი და ლტოლვილი 13 მოსწავლე, დაფინანსება ძირითადად ხმარდება ხელფასებს, ნაწილი კი კომუნალური ხარჯების ანაზღაურებას, კვებისა და მკურნალობის ხარჯები მთლიანად ფინანსდება არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ნატურალური სახით და სწავლის პერიოდში ანაზღაურებს კომუნალურ ხარჯებს.

- **სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი. აქვე ფუნქციონირებს შემოქმედებითი და ტექნიკური წრეები, სადაც მოსწავლე ახალგაზრდობა ეუფლება შესაბამის  სკოლისგარეშე განათლებას.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2015 წელს გაიმართება და დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, კერძოდ: მუნიციპალიტეტის პირველობა მოსწავლეთა შორის შაშში და ჭადრაკში, მკლავჭიდში, მინი ფეხბურთში უბნებსა და ორგანიზაციებს შორის, ნ.ახალკაცის სახელობის ტურნირი ფეხბურთში, თ. გიორგაძის ხსოვნის ტრუნირი თავისუფალ ჭიდაობაში, ბ. გოგნაძის ხსოვნის ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში,მუნიციპალიტეტის პირველობა მძლეოსნობაში მოსწავლეთა შორის. კალათბურთის ჩემპიონატის ჩატარება მუნიციპალიტეტის ტ/ერთეულებსა და სკოლებს შორის. რესპუბლიკური ტურნირების მოწყობა კარატეში, თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში. მონაწილეობის მიღება სოფელ ვახანში მ. არევაძის სახელობის სახალხო დღესასწაულში.

აგრეთვე მოხდება ხარაგაულის სასპორტო სკოლის, საფეხბურთო კლუბ ,,ჩხერიმელა -2009“–ისა და სპორტულ–გამაჯანსაღებელი და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შ. ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის, ხალხური შემოქმედების სახლის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ი. აბაშიძის სახელობის კულტურის ცენტრის, ცენტრალური ბიბლიოთეკის, ისტორიული მუზეუმისა და რ. თაბუკაშვილის სახ. სახალხო თეატრის სუბსიდირება.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ: ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ ორგანიზება, პროექტი ,,მხიარული სტარტების“ ჩატარება. სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ლაშქრობების ორგანიზება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ექსკურსიების ორგანიზება, პოეზიის საღამოს მოწყობა, საახალწლო ღონისძიებები, სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა, დიდი სამამულო ომის მონაწილეებისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, ღონისძიება „ხარაგაულობა“-ს მოწყობა, სხვადასხვა შემსრულებლების მოწვევა.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გათავლისწინებულია დაბაში მშენებარე საკათედრო ტაძრის სუბსიდირება. ასევე ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა ეკლესია–მონასტრებს.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით

უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები; ჩატარდება იმუნოპროფილაქტიკური, პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები; პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა; დავადების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; სანიტარული ღონისძიებები.

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეჭირვებული მოსახლეობის კვება, სარიტუალო ხარჯები, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო და ერთჯერადი დახმარება, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეთა და ახალდაბადებული ბავშვთა ოჯახების ერთჯერადი დახმარებები.

## ხონის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და წარმოადგენს ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასრუქტურის განვითარება, მუნიციპალიტეტის დასუფთავების ხელშეწყობა. ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა სასოფლო ასევე ქალაქის მიმდებარე ქუჩების გზების რეაბილიტაცია, მოასფალტება და მოვლა–შენახვა. ასევე განხორციელდება საავტომობილო გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდა და სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრა

- **კომუნალური მეურნეობის განვითარება**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. ამ პროგრამით გათვალისწინებულია მყარი ნარჩენების გატანა ქალაქის ტერიტორიიდან ყოველდღიურად და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებიდან გათავისუფლება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სანიტარულ პირობების გაუმჯობესებას; პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, რომელიც ხელს შეუწყობს მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში მცხოვრები ოჯახების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას; მოხდება გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია ექსპლუატაცია. განათდება და კეთილმოეწყობა მუნიციპალიტეტის გზები;

- **კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტროტუარებისა და გაზონების კეთილმოწყობა რეაბილიტაცია, რაც ხელს შეუწყობს ქალაქის ტერიტორიაზე მოსახლეობის და მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას და ქალაქის იერსახის მოწესრიგებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხონის მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.

- **სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათის აუცილებელი ხარჯები, რომელიც შექმნის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ბაზას და აღსაზრდელებისათვის სრულფასოვან გარემოს. ასევე ხელს შეუწყობს მათ მომზადებას ზოგადი განათლების მისაღებად. გაერთიანებაში ამჟამად შედის ცხრა საბავშვო ბაღი და უახლოეს პერიოდში ექსპლუატაციაში შევა კიდევ სამი საბავშვო ბაღი. აღსანიშნავია, რომ აღსაზრდელელები გათავისუფლებულია გადასახადისაგან;

- **სკოლის გარეშე დაწესებულებათა გაერთიანების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, სადაც მოქმედებს სხვადასხვა შემოქმედებითი და ტექნიკური წრე, ინგლისურის ენისა და კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი წრეები.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

2015 წელს გაიმართება და დაფინანსდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, კერძოდ: მუნიციპალიტეტის პირველობა მოსწავლეთა შორის შაშში და ჭადრაკში, მკლავჭიდში, მინი ფეხბურთში უბნებსა და ორგანიზაციებს შორის, ჭიდაობა ძიუდოში, მუნიციპალიტეტის პირველობა მძლეოსნობაში მოსწავლეთა შორის, კალათბურთის ჩემპიონატის ჩატარება მუნიციპალიტეტის ტ/ერთეულებსა და სკოლებს შორის, რესპუბლიკური ტურნირების მოწყობა კარატეში, თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში. მონაწილეობის მიღება სოფელ ვახანში მ. არევაძის სახელობის სახალხო დღესასწაულში. აგრეთვე მოხდება ხონის სასპორტო სკოლის, ,,საფეხბურთო კლუბ ,,იმერეთი -2009“–ისა და სპორტულ–გამაჯანსაღებელი და შიდა ტურიზმის ცენტრის დაფინანსება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სამუსიკო სკოლის, ხალხური შემოქმედების სახლის, ხონის მუნიციპალიტეტის ი. აბაშიძის სახელობის კულტურის ცენტრის, ცენტრალური ბიბლიოთეკის, ისტორიული მუზეუმისა და სახალხო თეატრის სუბსიდირება.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსება, კერძოდ: ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ ორგანიზება, პროექტი ,,მხიარული სტარტების“ ჩატარება. სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ლაშქრობების ორგანიზება, მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის ექსკურსიების ორგანიზება, პოეზიის საღამოს მოწყობა, საახალწლო ღონისძიებები, სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გათავლისწინებულია მუნიციპალიტეტში სხვადასხვა მშენებარე ტაძრის სუბსიდირება. ასევე ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა მონასტრებს.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ასევე პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველოფას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: სანიტარული ღონისძიებები; პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა, დავადების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა;

- **სოციალური პროგრამები**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: ოჯახებისა და ბავშვთა სოციალური დაცვა, მადლიერების სახლი, უფასო სასადილო, სათნოების სახლი, ერთჯერადი დახმარება, მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანთა და მასთან გათანაბრებული პირთა დაკრძალვის ხარჯი.

## თვითმმართველი ქალაქ ფოთის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

თვითმმართველი ქალაქ ფოთის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ამიტომ აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. ქალაქში ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

- **გზების რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ფოთში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და დაზიანებული ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, ასევე დაგეგმილია საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების, გადასასვლელებისა და და ტროტუარების მოწყობა. შუქნიშნების მოვლა-პატრონობა, ქუჩებში სათვალთვალო ვიდეო კამერების მოწყობა.

**კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ჩამდინარე წყლების მართვის არსებული ქსელის მოვლა–შენახვის სამუშაოები და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **ბინათმშენებლობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების დაზიანებული ლიფტების რეაბილიტაცია, სახურავების შეკეთების სამუშაოები, ჭარბი ნალექებისა თუ სხვა შემთხვევისას სარდაფებში დაგროვილი წყლის ამოტუმბვა.

- **გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია**

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია, დაზიანებული და ამორტიზებული სანათების შეცვლა, ასევე დაფინანსდება გარე განათების საცხოვრებელი სახლების მინათების და სხვა ტიპის განათების ელ. ენერგიის ხარჯები.

- **დასუფთავების ღონისძიებები**

ქალაქისთვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს საიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ამ მიზნით განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, ქალაქის ქუჩების ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და შემდგომ მისი უტილიზაცია. უზრუნველყოფილი იქნება ქალაქ ფოთის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველების იზოლირება. ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში განხორციელდება ქალაქში არსებული ხიდებისა და ცენტრალური გზების ჭარბი თოვლისაგან განთავისუფლება.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, დიდების მემორიალის, სკვერების, პარკების, ქალაქის ქუჩებისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გამწვანებული ეზოების მოვლა-პატრონობის, ბუნგალოს, ცენტრალურ პარკში ნარდისა და შაშის შენობის, რუსთაველის რკალის მიმდებარე პარკში შადრევნის, სხვადასხვა ობიექტების კაპიტალური რემონტი და სხვა ღონისძიებები.

- **სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბავშვთა მეთვალყურეობა, მათი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სწავლების დონის, შესაბამისი პროგრამების, სასწავლო და მეთოდური მასალების განსაზღვრა. ქალაქის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება არის 15 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების ერთობლიობა, 2-დან 6 წლამდე ასაკის დაახლოებით 2100 აღსაზრდელით და 365 მომსახურე

პერსონალით. გაერთიანება უზრუნველყოფს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმის ფარგლებში ბავშვთა სრულფასოვანი სამჯერადი კვების ორგანიზაციასა და ზამთრის პერიოდში ბაღების საწვავით მომარაგებას. ბავშვები იმყოფებიან ექთნის მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. ქალაქში დღეისათვის რეაბილიტირებულია 6 საბავშვო ბაღი, სადაც დადის 1130 აღსაზრდელი, რაც საერთო რაოდენობის დაახლოებით 53%–ს შეადგენს. ამ დაწესებულებებში შექმნილია ესთეტიკურად ლამაზი, უსაფრთხო და კომფორტული გარემო მომავალი თაობის სრულფასოვანი აღზრდა–განვითარებისათვის.

- **სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

ქალაქის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მათ ღირსეულ გაგრძელებას. თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

მოსახლეობის სპორტული მიმართულებით გააქტიურებისათვის საჭიროა პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

**სპორტული ღონისძიებების დაფინანსება**

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ტურნირების ჩატარება სპორტის ისეთ სახეობებში როგორიცაა: კრივი, რაგბი, ჭიდაობა, ცხენოსნობა, აღმოსავლური ორთაბრძოლები, საბაიდარო და კანოეთ ნიჩბოსნობა. აღნიშნული ტურნირების ჩატარებით დაფასდება ფოთის პერსპექტიული სპორტსმენების და სპორტის დამსახურებული მუშაკების მოღვაწეობა, აგრეთვე ეს ტურნირები ხელს შეუწყობს სპორტის შემდგომ განვითარებას ტურნირის ჩატარების პერიოდში აუცილებელია გამარჯვებულ სპორტსმენთა დაჯილდოება შესაბამისი სახეობების მიხედვით; თასებით, მედლებით, დიპლომებით, და სხვა ფასიანი საჩუქრებით, რაც ხელს შეუწყობს სპორტული შეჯიბრებების, თამაშების კულტურის ამაღლებას და საერთო ჯამში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 1600 სპორტსმენი. დღეისათვის, ქალაქში შენდება თანამედროვე სპორტული დარბაზი 2000 მაყურებელზე, რომელიც სრულად დააკმაყოფილებს ქალაქის სპორტსმენებისა და ახალგაზრდობის მოთხოვნებს. ამ შენობაში მოეწყობა მნიშვნელოვანი სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში. შენობაში გათვალისწინებულია საკონფერენციო დარბაზი, სატრენაჟორო დარბაზი, ტრიბუნებს ქვევით: გასახდელები, საშხაპეები, ექიმებისა და მწვრთნელების ოთახები. ასევე იფუნქციონირებს სავაჭრო ობიექტები, კაფე-ბარები. მიმდებარე ტერიტორიაზე დაგეგმილია ჩოგბურთის კორტებისა და ღია მოედნების მოწყობა.

- **კულტურის განვითარება**

მოსახლეობის კულტურული მიმართულებით გააქტიურებისათვის საჭიროა კულტურის განვითარების ხელშეწყობა, თეატრის მშენებლობა, რელიგიური და სხვა სახის კულტურული ღონისძიებების დაფინანსება. ახალგაზრდების ქრისტიანული ღირებულებებით აღზრდის მიზნით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფოთის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობის საკათედრო ტაძრის რეაბილიტაციის ხელშეწყობას. სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ჩატარებით მოხდება ნიჭიერ შემოქმედთა, შემსრულებელთა გამოვლენა და მათი შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, დაჯილდოვება, მხატვრულ-შემოქმედებითი კოლექტივების, ანსამბლების, ჯგუფების,

სტუდიების, მოყვარულთა გაერთიანებების, ბავშვთა თეატრების წარმოჩინება და განვითარება. მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდა-განათლება, საკუთარი ინდივიდუალურობის, ნიჭისა და ხელოვნებითი შემოქმედების გამოვლენა, სკოლისგარეშე დროის საინტერესოდ ორგანიზება. თემატური ინფორმაციების მოძიება-დამუშავება, სააზროვნო და სოციალური უნარების განვითარება, სკოლისგარეშე შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზება, ხელოვნების სხვადასხვა დარგების გაცნობა, შემოქმედ ბავშვთა წარმოჩენა.

**ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქისათვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველი ქალაქი ფოთი არსებული რესურსების ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. სოციალური დაცვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სოციალური დახმარება, როგორც ფულადი სახით, ასევე სხვადასხვა სოციალური შეღავათების დაწესების გზით, რაც გააუმჯობესებს შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ და მატერიალურ კეთილდღეობას. გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამის მიზანია ადამიანის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვა, შენარჩუნება და აღდგენა დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და შესაბამისად კონტროლის, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობის გზით. ანტირაბიული, მალარიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ჩატარება, ნარკომანიის, თამბაქოს, ალკოჰოლიზმის, შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის პროპაგანდა, მუშაობა მიზნობრივ ჯგუფებთან. მოსახლეობაში პროფილაქტიკურ-საგანმანათლებლო სამუშაოების წარმოება.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ფოთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენის სოციალური დახმარებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, ამიტომ აღნიშნული მიმართულება ადგილობრივი ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **გზის მშენებლობა რეაბილიტაცია**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს ქალაქის შიდა გზების რეაბილიტაცია. 2017 წელს იგეგმება ზუგდიდის შიდა გზების ორმული შეკეთების სამუშაოები. ასევე იგეგმება ხიდების მშენებლობა და რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია, წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის მოწესრიგება. დაფინანსდება გარე განათების მოწყობა ასევე უზრუნველყოფილი იქნება არსებული ქსელის მოვლა-შენახვა. ამავე პროგრამით 2017 წელსაც გაგრძელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ფინანსური ხელშეწყობა.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

**აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული, პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნებისა და ბოტანიკური ბაღის მოვლა-შენახვა, საგზაო ნიშნების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებში ქალაქის მორთვა–გაფორმება და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობების რეაბილიტაცია.** ქალაქ ზუგდიდში, რომლის ფართობი 17 კვადრატული კილომეტრია, არის 450–ზე მეტი ქუჩა, სადაც ცხოვრობს თითქმის 13 ათასი კომლი. ერთი მაცხოვრებლის მიერ წლიურად საშუალოდ წარმოიქმნება 231 კილოგრამი საყოფაცხოვრებო ნარჩენი და ნაგავი, სულ კი 10 ათას ტონაზე მეტი. დაახლოებით ამდენივე წარმოიქმნება სამრეწველო და კომერციული საქმიანობიდან. 8-9 ათასი ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი და ნაგავი წარმოიშობა ქალაქის დასუფთავებისა და სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაციის შედეგად. სულ წელიწადში ქალაქის ტერიტორიაზე წარმოიშობა 40–44 ათასი მ3 საყოფაცხოვრებო ნარჩენი და ნაგავი, რომლის რაოდენობა პროგრესირებადია ქალაქის ეკონომიკის განვითარების, ურბანიზაციის პროცესების მიმდინარეობისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების კვალობაზე, რომელსაც ემატება მოსახლეობის მოთხოვნა მიიღოს მომსახურების უფრო მაღალი სტანდარტები და მაღალი ხარისხი. აქედან გამომდინარე დღის წესრიგში დგას 2017 – 2020 წლებში მომსახურების ახალ სტანდარტებზე გადასვლა. 2017 – 2020 წლები განიხილება როგორც გარდამავალი პერიოდი ნარჩენების მართვის ისეთი ეტაპის დანერგვისათვის როგორიცაა სეპარაცია-დახარისხება და მეორადი გადამუშავება.

- **სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 17 საბავშო ბაღი სადაც დაწყებით განათლებას იღებს 2010 ბავშვი, პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს მათ შორის ბავშვების კვების ხარჯებს, (კვების ნორმა 2017 წლისთვის გაზრდილია 35 ლარამდე, 2016 წელს იყო 32 ლარი, ეს უზრუნველყოფს სრულფასოვან კვებას და შესაბამისად ჯანსაღი თაობის აღზრდას) აღმზრდელ მასწავლებელთა ხელფასებს, ბაღების რეაბილიტაციისა და სხვა მიმდინარე ხარჯებს. პროგრამის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვების მომზადება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, მათი უნარების განვითარება და სასკოლო განათლებისათვის მომზადება. ასევე პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აღსაზრდელების ინტეგრაციის და გარემოსთან ხელმისაწვდომობის ღონისძიებათა გატარება.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და სპორტული სფეროს მკვეთრად გაუმჯობესებას. კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების, დასვენების, კულტურის და სპორტული ობიექტების მოწყობა რეაბილიტაციას.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია,

სპორტსმენთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ დაგეგმილ ტურნირებში ადგილობრივ სპორტსმენთა ჩართულობის გაზრდა, სპორტის ექსტრემალური სახეობების განვითარება, ადგილობრივ დონეზე ნაკლებად განვითარებული სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და განვითარების ხელშეწყობა. პრიორიტეტის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სპორტის უმნიშველოვანესი სახეობის ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობას. რომლის ფარგლებშიც ფინანსურ დახმარებას უწევს საფეხბურთო კლუბ ზუგდიდს.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამა ითვალისწინებს სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვას და ჩატარებას, ადგილობრივი, რესპუბლიკური და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, შემოქმედებითი საღამოების, გამოფენა-გაყიდვების, კონცერტების დაგეგმვას და ორგანიზებას, მოსახლეობაში პოზიტიური განწყობის შექმნას, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენას და პოპულარიზაციას, წელიწადის ყველა ღირსშესანიშნავი დღისადმი, მიძღვნილი დღესასწაულის აღნიშვნას ღონისძიებებით; თეატრის, კინოს, კლასიკური და საესტრადო მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხალხური ხელოვნების დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას, ტრადიციების შენარჩუნებას, დაცვას და პოპულარიზაციას. თავისი კომპეტენციის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბიბლიოთეკო სისტემის განვითარებას; ,,მწერალთა ხეივანი''-ს შექმნას, მწერალთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნას; ხელოვანების საღამოების მოწყობას, კონკურსების ჩატარებას.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის მიზანი არის სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ახალგაზრდების საჭიროებებიდან, მისწრაფებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე მათთვის მცირე პროექტების თანადაფინანსება, ახალგაზრდების აქტიური დასვენებისა და გართობის ხელშეწყობა, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისათვის მიმართული ღონისძიებები. ახალგაზრდული აქტივობის ზრდა, ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით ვებ-რესურსის - www.zugdidicv.ge ორგანიზება, შექმნა და ადმინისტრირება. მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულიარიზაცია, მოტივაცია განათლებისა და თვითგანათლებისათვის. ახალგაზრდების განათლების ხარისხის განსაზღვრა, მათი საზოგადოებრივი აქტიურობა.

**ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური გარანტიების შექმნა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი 2017 წელს არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ჯანდაცვას და სოციალური შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ ქვეყნის მოსახლეობის დაავადებათა რისკების შემცირებას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური ავადმყოფობებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში და ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების გაწევას, მძიმე დაავადების მქონე

პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარებას, დაავადებული გადახდის უუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარებას.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენის სოციალური დახმარებას როგორიცაა: უმწეო მოსახლეობის ( სარეიტინგო ქულა 0–57000) ყოფითი პირობების გაუმჯობესება, ყოველდღიურად 250 უმწეო მოქალაქის უზრუნველყოფა ცხელი სადილით და სადღესასწაულო დღეებში (ახალი წელი, აღდგომა, 9 მაისი) მატერიალური და ფინასური მხარდაჭერა, ვეტერანების ღვაწლის დაფასება და პატივისცემა. გარდაცვალების შეთხვევაში ომის ვეტერანების ოჯახებზე დაკრძალვის ხარჯების გაწევისათვის დახმარება, ომის ვეტერანთა სრული შემადგენლობის სოციალური უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ფინანსური მხარდაჭერა მათი რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია საზოგადოებაში, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით (0-200000 სარეიტინგო ქულის გათვალისწნებით) საზღვრისპირა რეგიონის მოსახლეობაზე ზრუნვა და ხელშეწყობა. ასევე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მგზავრობის საფასურის თანადაფინასება, დევნილი მოსახლეობის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის და საყოფაცხოვრებო პირობების ხელშეწყობის ხარჯები, გარდაცვლილი დევნილი მოსახლეობის დახმარება და სხვა.

## ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, ამიტომ აღნიშნული მიმართულება ადგილობრივი ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **გზის მშენებლობა რეაბილიტაცია**

ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის ერთერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს სოფლებთან დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული გზების და ხიდების მოვლა-შენახვის რეაბილიტაცია, ორმული შეკეთებების შენარჩუნება, ასევე გათვალისწინებულია საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების მომზადება რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოსაყოფი პროექტების განსახორციელებლად.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება და არსებული ქსელის მოვლა შენახვა, ასევე მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან და კომპაქტურად ჩასახლებული დევნილი მოსახელობის საცხოვრებელი ადგილიდან ნარჩენების გატანა, სასაფლაოების მოვლა პატრონობა, ზამთრის პერიოდში გზების ტექნიკური მარილით დამუშავება და ჭარბი თოვლისგან გაწმენდა. წყალსადენი ქსელის გაფართოება, სოფლის მოსახლეობის საჭიროებათა გათვალისწინებით საბინაო კომუნალური პირობების გაუმჯობესება.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

**აღნიშნული** პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის იერსახის გაუმჯობესება, სოფლის ცენტრების კეთილმოწყობა, გაზონების, სკვერების გამწვანება და მოვლა-შენახვა, სანიაღვრე არხების, ბორდიურების, ტროტუარების, რეაბილიტაცია და მოწყობა, ასევე იგეგმება სოფლის ტერიტორიების იერსახის გაუმჯობესება.

- **სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 44 საბავშო ბაღი სადაც დაწყებით განათლებას იღებს 2000 ბავშვი პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს მათ შორის ბავშვების კვების ხარჯებს, აღმზრდელ მასწავლებელთა ხელფასებს, ბაღების რეაბილიტაციისა და სხვა მიმდინარე ხარჯებს. პროგრამის მიზანია სკოლამდელი ასაკის ბავშვების მომზადება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის, მათი უნარების განვითარება და სასკოლო განათლებისათვის მომზადება. ასევე პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აღსაზრდელების ინტეგრაციის და გარემოსთან ხელმისაწვდომობის ღონისძიებათა გატარება.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და სპორტული სფეროს მკვეთრად გაუმჯობესებას. კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების, დასვენების, კულტურის და სპორტული ობიექტების მოწყობა რეაბილიტაციას.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზება, სპორტის სხვადასხვა სახეობების პოპულარიზაცია, სპორტსმენთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობა, ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ დაგეგმილ ტურნირებში ადგილობრივ სპორტსმენთა ჩართულობის გაზრდა, სპორტის ექსტრემალური სახეობების განვითარება, ადგილობრივ დონეზე ნაკლებად განვითარებული სპორტის სახეობების პოპულარიზაცია და განვითარების ხელშეწყობა. პრიორიტეტის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სპორტის უმნიშველოვანესი სახეობის ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობას.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურულ შემეცნებითი გასართობი ღონიძიებების ჩატარება, კულტურული ტრადიციების დაცვა–აღდგენა, სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მუსიკალური კოლექტივების ფუნქციონირება და განვითარება.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის მიზანი არის სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის გატარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისათვის პრევენციული ღონისძიებების განხორციელება, ახალგაზრდების საჭიროებებიდან, მისწრაფებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე მათთვის მცირე პროექტების თანადაფინანსება, ახალგაზრდების აქტიური დასვენებისა და გართობის ხელშეწყობა, სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისათვის მიმართული ღონისძიებები. ახალგაზრდული აქტივობის ზრდა, მაღალი საზოგადოებრივი ჩართულობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულიარიზაცია, მოტივაცია განათლებისა და თვითგანათლებისათვის. ახალგაზრდების განათლების ხარისხის განსაზღვრა, მათი საზოგადოებრივი აქტიურობა.

**ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა თვითმმართველობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას, როგორც ფულადი ასევე სასაქონლო ფორმით.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში და ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით კანონმდებლობით

გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების გაწევას, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარებას, დაავადებული გადახდის უუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარებას.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენის სოციალური დახმარებას როგორიცაა: ვეტერანების ღვაწლის დაფასება და პატივისცემა. გარდაცვალების შეთხვევაში ომის ვეტერანების ოჯახებზე დაკრძალვის ხარჯების გაწევისათვის დახმარება, ომის ვეტერანთა სრული შემადგენლობის სოციალური უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ფინანსური მხარდაჭერა მათი რეაბილიტაცია და რეინტეგრაცია საზოგადოებაში, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის ერთჯერადი დახმარება 100 ლარის ოდენობით (0-200000 სარეიტინგო ქულის გათვალისწინებით) საზღვრისპირა რეგიონის მოსახლეობაზე ზრუნვა და ხელშეწყობა. ასევე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მგზავრობის საფასურის თანადაფინანსება, დევნილი მოსახლეობის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის და საყოფაცხოვრებო პირობების ხელშეწყობის ხარჯები, გარდაცვლილი დევნილი მოსახლეობის დახმარება და სხვა.

## აბაშის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

- **გზების მშენებლობა რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში მოიხრეშება და მოსწორდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა სამიმოსვლო გზები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ხიდე-ბოგირებს ჩაუტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით, იგეგმება საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება.

- **აბაშის კეთილმოწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ "აბაშის კეთილმოწყობა", რომელიც ახორციელებს ქალაქის ტერიტორიის ყოველდღიურ დაგვა-დასუფთავებას, საცხოვრებელი მრავალბინიანი ეზოების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გათავისუფლებას, ნაგავსაყრელზე ნაგვის კომპოსტირებას, ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში გზებისა და ტროტუარების ჭარბი თოვლისაგან გაწმენდას. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალურ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. ასევე პროგრამის ფარგლებში ხორციელდება არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება. ქ. აბაშის და სოფლის ტერიტორიების გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და მოხმარებული ელექტრო ენერგიის ღირებულების დაფარვა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სადღესასწაულო დღეებში ქალაქის გაფორმება სხვადასხვა დეკორაციებით.

**სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდირდება ა(ა)იპ "აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება" მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 18 საბავშო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 770 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს კვებითი მომსახურებისათვის გაწეულ ხარჯს, აგრეთვე ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. ბაღებს კორდინაციას უწევს ა(ა)იპ "აბაშის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულება".

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

აბაშის მუნიციპალიტეტში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სპორტული და კულტურული ტრადიციების დაცვას. მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას.

- **სპორტის განვითარების ცენტრი**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „აბაშის სპორტის განვითარების ცენტრი“, სადაც ფუნქციონირებს სპორტული სექციები როგორიცაა: ცხენოსნობა, მინდვრის ჰოკეი, ჭადრაკი, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი, ძიუდო, კალათბურთი, რომელიც ხელს შეუწყობს მასობრივი სპორტის განვითარებას, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა ჩატარებას, პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენების საწვრთნელი პროცესის ორგანიზებას და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადებას, ეროვნული სახეობების (ცხენოსნობა) განვითარებას.

- **ფეხბურთის განვითარების ცენტრი**

მუნიციაპლაიტეტში დიდი ყურადღება ეთმობა საფეხბურთო ჯგუფების საქართველოს და რეგიონის ჩემპიონატებში მონაწილეობას. რისთვისაც შეიქმნა ა(ა)იპ „აბაშის ფეხბურთის განვითარების ცენტრის“ რომელიც მთლიანად ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

- **ბიბლიოთეკების გაერთიანება**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ ბიბლიოთეკების გაერთიანება  რომელშიც შედის 17 სასოფლო განყოფილება და ერთი მმართველი მთავარი ბიბლიოთეკა, სადაც ხდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება, დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.

- **ხელოვნების სკოლა**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ "აბაშის  ხელოვნების სკოლა", სადაც სწავლობს 180 მოსწავლე, სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ შიდა სასკოლო, რეგიონულ და რესპუბლიკურ კონკურსებში. სკოლა ზრუნავს გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები, დაეხმაროს მათ პროფესიული ორიენტაციის და მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებაში;

- **აბაშის მაცნე**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსების ხარჯი, რომელიც ხელს შეუწობს ახალგაზრდა თაობის ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

**ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, შეჭირვებულთა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს.

## მარტვილის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

- **გზების მშენებლობა რეაბილიტაცია**

მარტვილის მუნიციპალიტეტის შიდა გზები დაახლოებით 1000-კმ. აჭარბებს აქედან გამომდინარე შიდა გზების რეაბილიტაცია 2017 წელსაც მუნიციპალიტეტისთვის ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. მიმდინარე წელს დასრულდება სოფ. ხუნწისა და სოფ. ნაგვაზაოს დამაკავშირებელი გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა, სოფ. გურძემის გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა, სოფ. კურზუსა და დღვანის უბნის დამაკავშირებელი გზის ასფალტობეტონის საფარით მოწყობა ასევე გაგრძელდება სალხინო წაჩხურას უბნის გზის რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება.

- **კეთილმოწყობის ცენტრი**

აღნიშნული პროგრამის მიხედვით შექმნილია კეთილმოწყობის ცენტრი რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: ქალაქის დაგვა-დასუფთავება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა, მწვანე საფარის მოვლა პატრონობა, გარე განათების სერვისის მოვლა, შადრევნებისა და აუზების, წყლის სისტემემების გამართულად ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა, ქალაქის ტერიტორიის მოხეტიალე პირუტყვისაგან დაცვა. ქ. მარტვილის საბაგირო გზის მომსახურება. მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული სპეც. ტექნიკის გრეიდერის მოვლა-შენახვა და მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე სამუშაოების შესრულება.

**სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

მარტვილის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 18 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 976 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ბავშვების კვების

ხარჯების, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბაღების რეაბილიტაციისა და სხვა მიმდინარე ხარჯებს.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მათ ღირსეულ გაგრძელებას. თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს ეს არის სპორტული სკოლა და საფეხბურთო სკოლა. სპორტსკოლაში სწავლობს 300 მოსწავლე, ფუნქციონირებს 14 ჯგუფი: ჭადრაკის, ბერძნულ რომაული ჭიდაობის, ძიუდოს, რაგბის, მძლეოსნობის, უშუს, კიკბოქსინგის, კრივის, ტაეკვანდოს, ტანვარჯშის ჯგუფები. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მონაწილეობა საქართველოს და რეგიონალურ ჩემპიონატებში. საფეხბურთო სკოლაში ფუნქციონირებს 9 ჯგუფი, სადაც სწავლობს 170 მოსწავლე. პროგრამის ფარგლებში საფეხბურთო სკოლის გუნდების მონაწილეობა დაგეგმილია: მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის ჩემპიონატში, საჯარო სკოლებს შორის ჩემპიონატში 4 ასაკობრივ ჯგუფში, წარმოება-დაწესებულებებს შორის ჩემპიონატში მინი ფეხბურთში და საჯარო სკოლებს შორის ჩემპიონატში 2 ასაკობრივ ჯგუფში.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქორეოგრაფიული სტუდიების მონაწილეობა მუნიციპალიტეტის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, რეგიონალურ და რესპუბლიკურ კონკურსებში, ასევე შავი ზღვის აუზის და სხვა საეთაშორისო კონკურსებში. 14 მაისს თამარობის დღესთან, 26 მაისს დამოუკდებლობის დღესთან, 25 სექტემბერს ჭყონდიდელობასთან დაკავშირებით დაგეგმილია სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებები. ასევე ივნისის ბოლოს ტარდება კონცერტი. მხარეთმცოდნეობის მუზეუმში არსებობს საცდელი ნაკვეთი, სადაც მიმდინარეობს სხვადასხვა ჯიშის ყურძნის გამოყვანა. აგრეთვე დაგეგმილია სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება, მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაციის დასრულება. ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საინფორმაციო ბუკლეტებისა და ჟურნალების გამოცემა. მოსახლეობის ინფორმირების მიზნით მუნიციპალიტეტში მიმდინარე ღონისძიებების შესახებ გამოიცემა გაზეთი და ხდება საეთერო დროის შესყიდვა.

- **ახალგაზრდული პროგრამის დაფინანსება**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ფოლკლორული ფესტივალების, პროექტ ,,ეტალონის", სასკოლო ოლიმპიადების და სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების დაფინანსება.

**ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მარტვილის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური. რომელიც ახორციელებს ინფექციური და არაგადამდები დავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიულ დაავადებათა თავიდან აცილების ღონისძიებებს, დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირების გზით.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სამედიცინო სადაზღვეო პოლისის არ მქონე პირების დახმარებას, მუნიციპალიტეტში მცხოვრები 100 და 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების მატერიალურ დახმარებას, უკიდურესად შეჭირვებულთა დახმარებას, დედმამით ობოლი ბავშვების დახმარებას, 18 წლამდე ინვალიდ ბავშვთა დახმარებას, ახალშობილი ბავშების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## სენაკის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

სენაკის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ინფრასტრუქტურის განვითარება, ამ მიზნით ხორციელდება მთელი რიგი პროექტები, როგორიცაა:

- **გზების მშენებლობა რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში რეაბილიტრებული იქნება ძირითადი გზები, ასფალტ-ბეტონის საფარი დაიგება ქალაქის ქუჩებში, მოიხრეშება და მოწესრიგდება სოფლების შიდა საუბნო გზები

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და განხორციელდება უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების იზოლაცია.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

**პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული, პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა–შენახვა, საგზაო ნიშნების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებში ქალაქის მორთვა–გაფორმება.**

- **სოფლის მეურნეობა**

**ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: მუნიციპალიტეტში ვაზისა და ხეხილის ეროვნული სანერგე მეურნეობიდან თანამედროვე სანერგე მასალის შეძენა და სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობა ტერიტორიული ორგანოებსა და სააღმზრდელო დაწესებულებებში; ტერიტორიული ორგანოების სპეციალისტების გადამზადება ხეხილის ნერგების გასხვლა–მოყვანის შესწავლის მიზნით; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით**

**დაინტერესებული პირების გაყვანა სხვადასხვა რეგიონებში აგრარული სექტორის მიღწევების გაცნობის მიზნით; სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სხვა ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ფესტივალებსა (ქართული ყველის, ქართული ღვინის) და სერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღება.**

**სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით ყველა ბავშვს უნდა ჰქონდეს ცხოვრების ისეთი პირობები, რომელიც ხელს შეუწყობს მის ფიზიკურ, გონებრივ და ესთეთიკურ განვითარებას. აქედან გამომდინარე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს განსაკუთრებული როლი ეკისრება ბავშვის განვითარებაში. ადრეულ ასაკში სწავლისა და განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი სწორედ საბავშვო ბაღებში ხდება აქ ეყრება საფუძველი მოზარდის ჯანმრთელობის განმტკიცებას და მის სკოლამდელ აღზრდას მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1371 ბავშვი. მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. ბაღებს კოორდინაციას უწევს ა.ი.პ. „სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანება“

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კულტურული და სპორტული სფეროს მკვეთრად გაუმჯობესებას. კულტურული და სპორტული ღონისძიებების ჩატარების, კულტურის, დასვენების და სპორტული ობიექტების მოწყობა რეაბილიტაციის ხარჯებს.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს სპორტის სხვადასხვა სახეობების 16 სექცია, მათ შორის: ძიუდო (2 სექცია) 35 ბავშვზე, კრივი (4 სექცია) 70 ბავშვზე, კარატე (2 სექცია) 40 ბავშვზე, ჭადრაკი (3 სექცია) 50 ბავშვზე, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობა (4 სექცია) 80 ბავშვზე, რაგბი (5 სექცია) 90 ბავშვზე, რაგბის ლიგა (3 სექცია) 85 ბავშვზე, კალათბურთი (4 სექცია) 60 ბავშვზე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი (1 სექცია) 23 ბავშვზე. წლის განმავლობაში ეწყობა სხვადასხვა ტურნირები როგორიცაა: შობისა და და ნათლისღებისადმი მიძღვნილი ტურნირი ჭადრაკში, ი.ნარმანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი რეგიონალური ტურნირი ძიუდოში, მუნიციპალიტეტის პირველობა სკოლებს შორის, 9 აპრილისადმი მიძღვნილი რაიონული პირველობა კალათბურთში, 26 მაისისადმი მიზღვნილი რაიონული პირველობები სკოლებს შორის ფეხბურთში, ზაზა ფაჩულიას სახელობის ფესტივალი, (სენაკი მოწვეული გუნდები) სენაკის მუნიციპალიტეტის პირველობა სკოლებს შორის მძლეოსნობაში, თ.სანიკიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი რაგბში, რეგიონალური პირველობა (სკოლის ასაკი) კარატეში, რეგიონალური პირველობა ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში, კ.ჯოჯუას, შ.მორჩილაძის და ა.მურღულიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ რომაულ ჭიდაობაში, რეგიონალური ფესტივალი ლელო ბურთში, კ.ნარმანიას ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი კალათბურთში.

- **კულტურული ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა.ი.პ,,სენაკის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის” დაფინანსება, რომელიც ხელს უწყობს ქართული ფოლკლორის განვითარებას, თანამშრომლობს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან, ცალკეულ ხელოვანებთან, ატარებს სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებში. აწყობს სახვითი დეკორატიული-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების გამოფენას. კულტურის ცენტრი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების, მუზეუმების და

კულტურის სახლების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 17 ბიბლიოთეკა, ერთი საჯარო, ერთი საბავშვო და 15 სათემო. წლის განმავლობაში ბიბლიოთეკები ემსახურება 11000 მკითხველს, მათ შორის 1-9 კლასის 2780 მოსწავლეს. ბიბლიოთეკებში ყოველწლიურად შედის ახალი ლიტერატურა. ბიბლიოთეკებში ტარდება სხვადასხვა სახის მასობრივი ღონისძიებები, ეწყობა შეხვედრები, მკითხველთა კონფერენციები, თემატური და ლიტერატურული საღამოები. ცენტრი კოორდინაციას უწევს ჟ. შარტავას სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს, თ. დავითაიას. სახელობის მუზეუმს, არნოლდ ჩიქობავას მუზეუმს. სამუზეუმო კოლექციებში ძირითადად დაცულია მათი ცხოვრების ამსახველი ფოტომასალები და პირადი ნივთები.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

**ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა თვითმმართველობის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას, როგორც ფულადი ასევე სასაქონლო ფორმით.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში და ასევე ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მძიმე დაავადების მქონე პირების მედიკამენტებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით დახმარებას, დაავადებული გადახდის უუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარებას.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: სოციალურად დაუცველი და მეურვეობას მოკლებული მოსახლეობისათვის დღეში ერთჯერადად უფასო კვებით უზრუნველყოფა, (180 ბენეფიციარი) შობადობის წახალისება სამი და მეტი შვილის შეძენის შემთხვევაში გაიცემა ფულადი დახმარება 200 ლარი, იშვიათი დაავადების მქონე ბავშვების დახმარება (5 ბავშვი) თითოეულზე კვარტალურად გაიცემა 300 ლარი, ხანძრის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქეების დახმარება სრული ზარალის შემთხვევაში ერთ ოჯახზე 2500 ლარის ოდენობით, ხოლო ნაწილობრივი ზარალის შემთხვევაში 1000 ლარით. კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურება, გარდაცვლილი დევნილი მოქალაქის ოჯახზე 100 ლარი, ომის ვეტერანის ოჯახზე 250 ლარი.

## ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და გზებზე ახალი სანათი წერტილების მოწყობა.

- **დასუფთავების ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია დაბა ჩხოროწყუში ქუჩების ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გათავისუფლება. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოწყობა, მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, საგზაო ნიშნების გადასასვლელებისა და ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

**სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 34 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1040 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ბავშვების კვების ხარჯს, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ასევე ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სკოლებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ეს პროგრამა მოიცავს ა(ა)იპ „მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრის“ დაფინანსებას, რომელიც აერთიანებს სპორტულ სკოლებს და 100–მდე სპორტსმენს

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

კულტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ჩხოროწყუ ისტორიული მუზეუმი“ და ა(ა)იპი „კულტურის სახლი“ რაც ხელს უწყობს საზოგადოების ფართო ნაწილის მონაწილეობას ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში.

**ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება**

აღნიშნული პროგრმა მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებას და მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფექციებისა და სხვადასხვა დაავადებათა ლიკვიდაცია და პრევენცია, არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია, მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს შემდეგი ღონისძიებების დაფინანსებას. კერძოდ: სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ოჯახის წევრებზე სამედიცინო დახმარებას, სარიტუალო მომსახურებას, უფასო სასადილოს დაფინასებას, ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცვას, მუნიციპალიტეტში მცხოვრები 100 და 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების მატერიალურ დახმარებას, სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, სადღესასწაულო დახმარების პროგრამას.

## წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **გზების მშენებლობა რეაბილიტაცია**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლის განმავლობაში აქცენტი გაკეთდება მუნიციპალიტეტში ძირითადი გზების მოასფალტებაზე, თემების შიდა საუბნო გზების მოხრეშვა-მოსწორებაზე.

- **კომუნალური მეურნეობის განვითარება**

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, მაინც არასათანადო პირობებია მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში, რამდენიმე სოფელს არასტაბილურად მიეწოდება სასმელი წყალი, არცერთ სოფელში არ არის მოწესრიგებული საკანალიზაციო სისტემები, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში მოწესრიგდება წყალმომარაგება, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სხვადასხვა სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები, საბინაო ამხანაგობების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინანსების პრინციპით შეკეთდება მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავები და სადარბაზოები. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მათ შორის ქ. წალენჯიხაში და დაბა ჯვარში საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაციის და მიდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობის სამუშაოები.

**სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 32 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1228 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

როგორც ბოლო წლების განმავლობაში, ისე მომდევნო პერიოდშიც მუნიციპალიტეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა,

რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების დაფინანსება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტის განვითარების ხელშეწყობა რაც გულისხმობს სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციას, სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების და კულტურული ღონისძიებების ორგანიზებას და ნიჭიერი სპორტსმენების მხარდაჭერას სხვადასხვა ჩემპიონატებში.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" დაფინანსება, რომელიც ხელს უწყობს ქართული ფოლკლორის განვითარებას, თანამშრომლობას ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან, ცალკეულ ხელოვანებთან, სხვადასხვა დარგის დამსახურებულ მოღვაწეებთან, სხვადასხვა კულტურული, მათ შორის, ახალგაზრდული ღონისძიებების ჩატარებას და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებში. აწყობს სახვითი დეკორატიული-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების გამოფენას, სტუდენტური დღეების და მხიარული სტარტების ცატარებას, მომსახურებას უწევს ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნას, სახალხო დღესასწაულების აღსანიშნი ღონისძიებების ჩატარებას („გრანელობა", „ჯარალუა", „ტარასობა" და სხვა). კულტურის ცენტრი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების, მუზეუმების, კლუბების და კულტურის სახლების ფუნქციონირებას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 21 ბიბლიოთეკა, მათ შორის 1 საბავშვო, 1 ცენტრალური და 19 სათემო. წლის განმავლობაში ბიბლიოთეკები ემსახურება 17 ათასამდე მკითხველს, მათ შორის 1-9 კლასის 4 ათასამდე მოსწავლეს. კოორდინაციას უწევს ტერენტი გრანელის სახელობის მუზეუმს, ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ლეო ქიაჩელის მუზეუმს, აკადემიკოს ტარას კვარაცხელიას სახელობის მუზეუმს. სამუზეუმო კოლექციებში ძირითადად დაცულია მათი ცხოვრების ამსახველი ფოტომასლები და პირადი ნივთები, რომლებიც სისტემატურად ღებულობენ დამთვალიერებლებს, მათ შორის უცხოელ ტურისტებსაც. მუზეუმში ჩამოყალიბებულია ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბები, სადაც ტარდებამრავალი საინტერესო კულტურული სამეცნიერო და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები..

**ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება**

აღნიშნული პროგრმა მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებას და მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ქ. წალენჯიხასა და ქ. ჯვარში ამბულატორიები და პოლიკლინიკები რათა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება, ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება, სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. როგორიცაა: სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვების ანაზღაურება, ასევე საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალურ ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ხობის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

ხობის მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, ამიტომ აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

- **გზების რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

ქვეპროგრამის ფარგლებში 2017 წელს მოეწყობა სანიაღვრე და სარწყავი არხები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება წყალმომარაგების სისტემებს. იგეგმება ნაპირსამაგრი ჯებირების მშენებლობა, გარდა ამისა შ.პ.ს. ,,ხობი დასუფთავება და განათება“ უზრუნველყოფს ქალაქის სკვერებისა და პარკების, გარე განათების მოვლა-შენახვისა და დასუფთავების ღონისძიებების გახორციელებას. მის მართვაშია მოსახლეობის მყარი საყოფავხოვრებო ნარჩენების ხობის ნაგავსაყრელი პოლიგონი.

**სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

რამდენადაც დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი არის სკოლამდელი განათლება, რაც თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად ერთ–ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ხორციელდება ღონისძიებები საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებაზე და მათ რეაბილიტაციაზე. სულ ხობის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 30 საბავშვო ბაღი სადაც დაწყებით განათლებას იღებს საშუალოდ 1100 ბავშვი.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და მათ ღირსეულ გაგრძელებას. თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

მოსახლეობის სპორტული მიმართულებით გააქტიურებისათვის საჭიროა პროგრამის ფარგლებში განხორციელდეს სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

**კულტურის განვითარება**

ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის კულტური ცენტრი"-ს მეშვეობით მუნიციპალიტეტი ახდენს სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობ და სანახაობრივ ღონისძიებებს. ა(ა)იპ ,,ხობის მუნიციპალიტეტის კულტური ცენტრი" კოორდინირებას უწევს ქ. ხობში კულტურის სახლის, ცენტრალური ბიბლიოთეკის, 12 სასოფლო ბიბლიოთეკის, 8 სასოფლო კლუბის, 2 სასოფლო კულტურის სახლის და 3 მუზეუმის მუშაობას. წლის განმავლობაში დაგეგმილია ისეთი თემატური ღონისძიება როგორიცაა ხალხური პოეზიის გამოვლენა და შემოქმედ ოჯახებთან შეხვედრა, ახალგაზრდა თაობის ჩართვით. მუნიციპალიტეტი სუბსიდირებას უწევს შ.პ.ს. ,,ხობის მოამბე"-ს.

**ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ხობის მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში, განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხორციელდება: სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით, დერატიზაციის, დეზინფექციისა და საბონიფიკაციო ღონისძიებების ორგანიზება, პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას, ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება მძიმე ავამყოფობთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება, ხანდაზმულთა დახმარება, მარჩენალდაკარგულ პირთა დახმარება, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულთა დახმარება, დევნილთა სოციალური დაცვა, ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარება, ომის ვეტერანთა დახმარება.

## მესტიის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მესტიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარი პრიორიტეტია.

- **გზების რეაბილიტაცია**

პროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში გზების რეაბილიტაცია. 2017 წელს დაგეგმილია ცენტრალური გზიდან სოფელ ცხუმარამდე (6კმ მონაკვეთი) და სოფელ იდლიანამდე მისასვლელი საავტომობილო გზის (7კმ მონაკვეთი) რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობის რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის მოწყობა-რეაბილიტაცია, წყალმომარაგების სისტემების მოწყობა, მუნიცპალიტეტის დაგვა-დასუფთავება მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნარჩენების გატანა, მწვანე საფარის მოვლა პატრონობა, გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია.

**სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

მესტიის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლების ხელშეწყობას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 22 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 454 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მოსწავლეთა კვების, მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარებასთან ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს სპორტული და კულტურული ტრადიციების დაცვას და მათ ღირსეულ გაგრძელებას. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

სპორტის განვითარების ხელშეწყობის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, წლის განმავლობაში მოეწყობა სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები და შეჯიბრებები.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების და ღონისძიებების ხელშეწყობა, დაფინანსდება კულტურის საქალაქო ცენტრის, მუსიკალური და სამხატვრო სკოლების, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის, სასოფლო კლუბების, ბიბლიოთეკების ღონისძიებები. ქვეპროგრამა განხორციელდება ა.ა.ი.პ. "მესტიის მუნიციპალიტეტის კულტურის სახლების გაერთიანების" სუბსიდირების გზით.

**ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებების და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, აღნიშნულ ფარგლებში დაფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სამედიცინო სადაზღვეო პოლისის არ მქონე პირების დახმარება, უკიდურესად შეჭირვებულთა დახმარება, დედმამით ობოლი ბავშვების დახმარება, ახალშობილი ბავშების დახმარება, სტიქიის

შედეგად დაზარალებულთა დახმარება და სხვა სოციალურ ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ გორის მუნიციპალიტეტის საავტომობილო გზების მოვლა, ქალაქის დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება და რეაბილიტაცია, სიჩქარის შემზღუდველების მოწყობა, გზების დახაზვა, პირობითი საგზაო ნიშნების მოწყობა, დამისამართების აბრების მოწყობა, სიჩქარისმზომი რადარების დამონტაჟება და შუქნიშნების მოვლა-ექსპლოატაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია ქ. გორში გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, მოსახლეობიდან და ორგანიზაციებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, ურნების გათავისუფლება და სანიტარული დამუშავება. რუსთაველის, ნინოშვილის და სამეფოს ქუჩებზე სანიაღვრე არხის მოწყობა.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტში არსებული გამწვანების სამსახურის და სანერგე მეურნეობის მიერ სკვერების და გაზონების გამწვანება, მოვლა-შენახვა და რეკონსტრუქცია. ასევე იგეგმება შადრევნების, მოსაცდელების, მემორიალური დაფების, ეზოების, სპორტული მოედნების მოვლა-შენახვისა და რეკონსტრუქციის ღონისძიებები.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას. სკოლამდელი დაწესებულებების დაფინანსება  გათვალისწინებულია ვაუჩერული სისტემით, კერძოდ: 1-დან  30 ბავშვის ჩათვლით თითოეულ ბავშვზე 75 ლარი თვეში, ხოლო იმ საბავშვო ბაგა–ბაღში, სადაც ირიცხება 30 ბავშვზე მეტი თითოეულ ბავშვზე 60 ლარი თვეში. იმ საბავშვო ბაგა–ბაღების დაფინანსება, სადაც ირიცხება 10 და ნაკლები ბავშვი, განისაზღვრება  თვეში არანაკლებ 800 ლარით.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია  კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება, ამასთან ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით. დაგეგმილია ცენტრალური სასპორტო, კრივის სპეციალიზირებული და საჭიდაო კომპლექსური სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა. გაგრძელდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების მხარდაჭერა და წარმატებული სპორტსმენების წახალისება. **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს სამუსიკო სკოლის და სამხატვრო სკოლის დაფინანსებას, რითიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტი კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში აგრძელებს საჯარო ბიბლიოთეკის, კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის, მუსიკალური კოლექტივების, მწერალთა და საგამომცემლო საქმიანობის და დასვენების ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, გეგმავს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობას, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების დაფინანსებას.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა კვლავ რჩება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

მსგავსად გასული წლებისა, მომდევნო წლებშიც გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. კერძოდ დაფინანსდება: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხავა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით, ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადეზიფენქციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

- **სოციალური ღონისძიებები**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, ასევე პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების კომპენსაცია, ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის ერთჯერადი დახმარება, საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა (ვეტერანთა) ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## გორის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში: გაგრძელდება ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და დაფინანსდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავტომობილო გზების მოვლა.კერძოდ: მიწის ვაკისის მოვლა-შენახვა, გვერდულების მოშანდაკება, გზისპირა კიუვეტების გაწმენდა, გაბიონების მოწყობა. კედლის მოწყობა რკინა-ბეტონის ბლოკებით, ხიდის მოაჯირების აღდგენა. ორმოების შეკეთება ცხელი ასფალტ-ბეტონით და სავალი ნაწილის შეკეთება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ ხურვალეთის, წითელუბნის და შავშვების დევნილთა ჩასახლებაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სოფელში არსებული გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის, მწყობრიდან გამოსული ელემენტების შეცვლის და რემონტის ხარჯები, სანიაღვრე არხების მოწყობა,მანქანა-მექანიზმების შეძენა, ჭაბურღილებში მწყობრიდან გამოსული ტუმბო-აგრეგატების შეძენა და მათი მონტაჟი, დაზიანებული ტუმბოების ნაცვლად. წყალსადენის ქსელებზე დაზიანებული ადგილების შეკეთება,წყლის ანალიზების რეგულარული წარმოება, სასმელი წყლის გაუსნებოვნება, ჩამკეტ-მარეგულირებელი მწყობრიდან გამოსული მექანიზმის შეცვლა. სოფელ ოთარშენში, ქვემო არცევში, ზეღდულეთი, ფხვენისში, ქიწნისში, საქაშეთში, ტყვიავში, ქორდში, მეღვრეკისში, ახალხიზაში, ტინისხიდში და პატარა მეჯვრისხევში დაგეგმილია სასმელი წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ტყვიავის სკვერის მოწყობა და რეაბილიტაცია, მინი სტადიონის ექსპლუატაციის და რემონტის მიმდინარე ხარჯები, მწვანე საფარის დაცვის და განაშენიანებისა ღონისძიებები, სოფლებში არსებული აბრებისა და მემორიალის აღდგენა. დაფინანსდება გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახური და სასმელი წყლების სისტემების რეგულირების და გარე განათების უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც ახორციელებს მუნიციპალიტეტის კეთილმოსწობის სამუშაოებს, ხელს უწყობს კომუნალური მეურნეობის მოვლა-შენახვას.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის 7 საბავშვო ბაღების შენობების ეტაპობრივი რეაბილიტაცია.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებისთვის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ა(ა)იპ-ი გორის მუნიციპალიტეტის კრივის სპეციალიზირებული სკოლისა და ა(ა)იპ-ი გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის საჭიდაო სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს 5(ხუთი)სამუსიკო სკოლის დაფინანსებას, რითიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მიერ მუსიკალური განათლების მიღებას სრული კურსით და უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტი კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში აგრძელებს კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფინანსურ მხარდაჭერას, გეგმავს სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობას, მათშორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების დაფინანსებას. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს ხუთი(ატენის, ტყვიავის, სკრის, ტირძნისის,ხიდისთავის) სამუსიკო სკოლის დაფინანსებას

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არამხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **მოსახლეობისსოციალურიუზრუნველყოფა**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება, ხოლო დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავებისდროული გამოვლენის ხელსეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებატა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუსაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში(კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდადან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შქმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიაზე შხამიანი არსებების გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

## კასპის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სასმელი წყლის და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა–რეაბილიტაცია, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა, გარე განათების მოწყობა- რეაბილიტაცია.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება. განხორციელდება: ქალაქ კასპში კოსტავას ქუჩაზე ე.წ. რუკის ტერიტორიიდან იგოეთი კასპი ახალქალაქის შიდასახელმწიფოებრივი გზის გადაკვეთამდე, საავტომობილო გზის მონაკვეთის მოასფალტების სამუშაოები, რომლის სიგრძე 850 გრძ. მ. სიგანე 5 მ.-მოსარგებლე 6000 ბენეფიციარი; სოფელ კოდისწყაროს თბილისი–სენაკი–ლესელიძის ჩქაროსნულ მაგისტრალთან დამაკავშირებელი 2200 გრძივი მეტრის გზის მოასფალტება–მოსარგებლე 635 ადამიანი; პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება, ქუჩების მოვლა ზამთრის სეზონზე. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ კასპში ავტომანქანების მოძრაობის სიჩქარის მზომი მოწყობილობების მონტაჟი.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების ქსელის გაფართოვება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები,

უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება საკანალიზაციო და წყლის სისტემებს, შეკეთდება მრავალსართულიანი სახლების სახურავები, დაფინანსდება სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ კასპის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა. კასპთან ერთად ჩართულია სოფ. მეტეხსა და სოფ. თელიანში დევნილთა ჩასახლებები და მუნიციპალიტეტის 60 სოფელი.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ამხანაგობების თანადაფინანსება, მოწესრიგდება გამწვანების ზოლები, ასევე დაფინანსდება ქალაქის განვითარების გეგმის შედგენა, ბაღების და სკვერების და მგზავრთა მოსაცდელების მოვლა-შენახვის ხარჯები.

**განათლება**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების სწავლა-განათლება და მათი მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა. შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის II ეტაპი, ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 26 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს დაახლოებით 1350 მეტი აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში მოქმედი ყველა საბავშვო ბაღის მიმდინარე ხარჯები.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

კულტურული ტრადიციების დაცვა და ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარი პრიორიტეტია.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში მოეწყობა სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები. ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით დაგეგმილია სპორტის სახეობათა პოპულარიზაცია მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში, მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა მონაწილეობის მიღება რეგიონალურ, სახელობით, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ტურნირებზე, მოწინავე სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების და ფიზიკური მოზადებისათვის სასწავლო-საწრთვნელი და გამაჯანსაღებელი შეკრებების მოწყობა. 2017 წლის განმავლობაში დაახლოებით 510 სპორტსმენი გაივლის სპორტულ მომზადებას.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. დაფინანსდება მუნიციპალიტეტში არსებული ბიბლიოთეკები, სახელოვნებო სკოლები და მუზეუმები. გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მუძეუმების და ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.

- **ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა**

ახალგაზრდობის ხელშეწყობის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება ბავშვთა საერთაშორისო დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი საღამო ახალგაზრდებისათვის, ნიჭიერი და წარმატებული მოსწავლე-ახალგაზრდების დაჯილდოვება-დასაჩუქრება. აღნიშნული პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ახალგაზრდების ჩართვას მუნიციპალიტეტის განვითარებაში.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სხვადასხვა გადამდები დაავადებებისაგან დაცვის მიზნით გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსება, კერძოდ: მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების თავიდან აცილება; არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **სოციალური ღონისძიებები**

სოციალური ღონისძიებების განხორციელება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წაფრმოადგენს, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება. დაფინანსდება სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის ხარჯები. აღნიშნული პროგრამების განხორციელება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ქარელის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

ბოლო წლებში არჩეული სტრატეგიის შესაბამისად ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მგომარეობის შენარჩუნება, ორმოულების შეკეთება, ზამთრის სეზონზე ქუჩების თოვლისაგან გაწმენდა. ადგილობრივი ბიუჯეტით იგეგმება ბებნისის გზის, ბრეთის მეურნეობა - სასირეთის გზის, წვერში მისასვლელი გზების ასფალტირება. ასევე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლების გზების მოხრეშვა-მოშანდაკება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების ქსელის გაფართოვება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, მოეწყობა და რეაბილიტაცია ჩაუტარდება საკანალიზაციო და წყლის სისტემებს, დაფინანსდება სარწყავი არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის მიზნით დაგაგმილია მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა-შენახვა, მოწესრიგდება გამწვანების ზოლები, მოეწყობა საბავშვო და სპორტული სტადიონები, სადღესასწაულო დღეებში დაგეგმილია ქალაქგაფორმებითი ღონისძიებები.

**განათლება**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების სწავლა-განათლება და მათი მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, როგორც სკოლამდელი, ასევე სასკოლო და სკოლისშემდგომი ასაკის ახალგაზრდებისათვის.

- **სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა**

ადამიანის სწორი განვითარებისათვის ერთ-ერთი მთავარი პირობაა სკოლამდელი აღზრდა. ქარელის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 21 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1300 -ზე მეტი აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტში მოქმედი ყველა საბავშვო ბაღის მიმდინარე ხარჯები და დაგეგმილია საბავშვო ბაღების მცირე ნაწილის სარემონტო სამუშაოები. აღნიშნული ქვეპროგრამით მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას, კვების და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას.

- **პროფესიული განათლების ხელშეწყობა**

ქარელის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მოსახლეობას დასაქმებაში და მიცეს საშუალება დაეუფლონ იმ უნარ-ჩვევებს რაც ხშირ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა სტაბილური დასაქმებისათვის. აღნიშნული მიზნით პროგრამის ფარგლებში დაფინასდება ქარგვის, ხალიჩების ქსოვის, თექაზე მუშაობის, კულინარიის და სხვადასხვა მუსიკალურ ინტრუმენტებზე დაკვრის, მხატვრული კითხვის შემსწავლელი კურსები. ხელფასის სახით ანაზღაურდება წრის ხელმძღვანელები (5 მასწავლებელი, 81 მოსწავლე) მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელს ექნება საშუალება შესაბამისი განაცხადის საფუძველზე გაიაროს აღნიშნული კურსები, რაც აამაღლებს მათ კვალიფიკაციას და ხელს შეუწყობს მათ შემდგომ დასაქმებას

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეულ გაგრძელება, ასევე სპორტის ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების მოწყობა. ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით დაგეგმილია სპორტის სახეობათა პოპულარიზაცია . გაგრძელდება მუნიციპალიტეტის სპორტსმენთა მონაწილეობის მიღება რეგიონალურ, სახელობით, რესპუბლიკურ, საერთაშორისო ტურნირებზე. მოწინავე სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების და ფიზიკური მოზადების მიზნით დაგეგმილია სასწავლო-საწრთვნელი და გამაჯანსაღებელი შეკრებების მოწყობა. 2017 წლის განმავლობაში 700 სპორტსმენი გაივლის სპორტულ მომზადებას.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა. დაფინანსდება მუნიციპალიტეტში არსებული ბიბლიოთეკები, სახელოვნებო სკოლები, კულტურის სახლები და ა(ა)იპ „კულტურის და ხელოვნების დაწესებულებების გაერთიანება“, რომლის მიზანია კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა, კულტურულ-შემოქმედებითი

მოღვაწეობის სუბიექტთა ძირითადი ეკონომიკური, სოციალური და სამართლებლივი ურთიერთობების დარეგულირება.

- **ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მსგავსად გასული წლებისა, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **სოციალური ღონისძიებები**

პრიორიტეტის პარგლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. ასევე დაგეგმილია მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალურ ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ხაშურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობაა. გამომდინარე აქედან აღნიშნული მიმართულება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაზიანებული გზების ორმოული შეკეთება და რეაბილიტაცია, ზამთრის სეზონზე ქუჩების გაწმენდა თოვლის საფარისაგან, ასევე განხორციელდება ხაშურში და დაბა ქუჩების მოასფალტება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

კომუნალური მეურნეობის განვითარების მიზნით დაგემილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების დასუფთავება და საყფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, კანალიზაციის სისტემის მოწყობა, სანიაღვრე არხების, წყლის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია. აღნიშნული პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

მსგავსად გასული წლებისა, მომდევნო წლებშიც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას და მისი იერსახის გაუმჯობესებას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია გამწვანების ობიექტებისა და მწვანე ნარგაობების მოვლა-პატრონობა, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა და სადღესასწაულო დღეებში ქალაქგაფორმებითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას და აღნიშნული მიმართულება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა**

სკოლამდელი განათლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 13 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1670 ბავშვი. აღნიშნული პროგრამით მუნიციპალიტეტი ხელს უწყობს, როგორც მომავალი თაობის სწორად აღზრდას და ჩამოყალიბებას, ასევე დაწესებულებებში დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას და კვებისა და მატერიალური ბაზის გაუმჯობესებას, რაც მთლიანობაში უზრუნველყოფს აღნიშნული დაწესებულებების ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო და აუცილებელი მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას.

- **შემოქმედ ბავშვთა განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები**

აღნიშნული პროგრამა ხელს უწყობს შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისა და მოზარდების გამოვლენას და მათ მოზიდვას საგანმანათლებლო-სახელოვნებო სივრცეში, მოსწავლე-ახალგაზრდობის დაინტერესებას ხელოვნების სხვადასხვა დარგებით, სასწავლო პროცესების ხელშეწყობის მიზნით შესაბამისი წრეების ფუნქციონირების უზრუნველყოფას, პროგრამა მოიცავს დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებას და ფუნქციონირებისათვის უცილებელ მატერიალურ და ფინანსურ მხარდაჭერას.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

კულტურული და სპორტული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა. სპორტის სახეობათა პოპულარიზაცისა და ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების მიზნით გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები. მოწინავე სპორტსმენების ოსტატობის ამაღლების და ფიზიკური მომზადებისათვის დაგეგმილია სასწავლო-საწრთვნელი შეკრებების მოწყობა. მუნიციპალიტეტის მასშტაბით სპორტის 14 სახეობაში სპორტულ მომზადებს გადის 1370 სპორტსმენი.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით კვლავ გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება კულტურული ღონისძიებები ფინანსური მხარდაჭერა, დაფინანსდება მუნიციპალიტეტში არსებული სახელოვნებო სკოლები, ბიბლიოთეკები, მუზეუმები და კულტურის ცენტრები. აღნიშნული მიმართულება ხელ შეუწყობს მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების დაცვას და განვითარებას.

- **ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი ღონისძიებები: საჯარო სკოლებს შორის შემოქმედებით-ინტელექტუალური კონკურსის ,,მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო“ გამარჯვებულთა დაჯილდოვება; ინტელექტუალური პროგრამების განხორციელების უზრუნველყოფა; პროექტ ,,ეტალონში“ მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობის უზრუნველყოფა; პრეოქტ ,,ჯანსაღი გარემო ჯანსაღი მომავლისათვის“ ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები და ადგილობრივი, რეგიონალური და რესპუბლიკური დონის სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებები;

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებები სპრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება და კონტროლი, პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის მოწოდებული მასალების მიღების, შენახვის და განაწილების უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში სეზონურად ქუჩების, სკვერების, სასაფლაოების მიმდებარე ტერიტორიების სანიტარული მდგომარეობის მოწესრიგება, ქალაქის ნაგავსაყრელისა და ნაგვის შესაგროვებელი კონტეინერების სანიტარულ ნორმებთან შესაბამისობაზე სისტემატური კონტროლის დაწესება.

- **სოციალური ღონისძიებები**

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტი კვლავ განაგრძობს გეგმიური და გადაუდებელი საოპერაციო და მშობიარობის ხარჯების თანადაფინანსებას.

ასევე გაგრძელდება შეჭირვებულთათვის უფასო სასადილოთი მომსახურების უზრუნველყოფა, სასწავლო დაწესებულებებში შეღავათების დაწესება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეთა საშუალო ზოგადი განათლების მიღების ხელმისაწვდომობის მიზნით პედაგოგთა ბინაზე მომსახურების ანაზღაურება, ომის ვეტერანების, ომში დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება.

## ქალაქ რუსთავის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. რუსთავში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, ასევე ახალი და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. დაგეგმილია ქალაქში არსებული შიდაგზების, ეზოებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია და გზების ორმული დამუშავება, კერძოდ: მარცხენა და მარჯვენა სანაპიროს ეზოების ასფალტ/საფარის რეაბილიტაცია. ასევე რეგიონის განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტები. ასევე, ქალაქში აუცილებელ მონაკვეთებზე ე.წ. „მწოლიარე პოლიციელების“ მოწყობა და ქუჩების დახაზვა და საგზაო ნიშნების მონტაჟი.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავება და ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა.

- **საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა**

ვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მრავალსართულიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია; ასევე დაგეგმილია საზოგადოებრივი აქტივობების ხელშეწყობა, სამოქალაქო პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა, მიზნობრივი პროგრამების შემუშავება და მათ განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ჩართულობის უზრუნველყოფა. პროგრამაში მოსახლეობის ჩართულობის პრინციპით განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების სხვადასხვა კომუნალური პირობების მოწესრიგება.

- **გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების ელ. ენერგიის ხარჯი, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში სანათი წერტილების მოწყობა/რეაბილიტაცია.

- **ქალაქის ეკოლოგიური დაცვა**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის დასუფთავების“ მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს საცხოვრებელი კორპუსების

შიდა ბუნკერების და გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლებასა და საცხოვრებელი სახლების ეზოებში დაგვა-დასუფთავებას მეეზოვეების მეშვეობით. ასევე მოწესრიგდება გამწვანებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა.

- **ქალაქში არსებული ინფრასტრუქტურისა და გამწვანების მოვლა-პატრონობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „უზრუნველყოფის“ პროგრამა, რაშიც გათვალისწინებულია არსებული გამწვანების მოვლა-პატრონობა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, შადრევნების მოვლა-პატრონობის სამუშაოები; ასევე ქალაქის საკუთრებაში მრავლად არის შენობა-ნაგებობები და სხვადასხვა ობიექტები, რომლებიც ამ ეტაპზე არ გამოიყენება თვითმმართველი ქალაქის საჭიროებებისათვის და შესაძლოა განხორციელდეს მათი ეტაპობრივი პრივატიზაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები მათი არსებული მდგომარეობის შენარჩუნებისა და უცხო პირთა ხელყოფისაგან დაცვის მიზნით; ასევე ზემოხსენებული ააიპ-ი განახორციელებს ქალაქის გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობას.

- **ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკვერების რეაბილიტაცია/კეთილმოწყობა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების რეაბილიტაცია. განხორციელდება სკვერების/გაზონების დეკორატიული ღობით მოპირკეთებისა და მოწყობა/რეაბილიტირებასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოები; ასევე დაგეგმილია ქალაქის მასშტაბით 44 ეზოს კეთილმოწყობა, ასევე დაგეგმილია ავარიული საცხოვრებელი სახლების გამაგრების სამუშაოები.

- **მუნიციპალური ტრანსპორტის დოტაცია**

ქალაქში კვლავ აქტუალური რჩება შიდასაქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის დოტაციის გზით, რასაც მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა გააჩნია.

**განათლება**

თვითმმართველ ქალაქ რუსთავის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი განათლების დაფინანსება, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. პროგრამას ახორციელებს ააიპ „რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანება“; ქალაქში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 20 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 6 100 ბავშვი. საბავშვო ბაღებში რეაბილიტირების ჩატარების შემდეგ დაგეგმილია დამატებითი ჯგუფების გახსნა რის შედეგადაც ბავშვების რაოდენობა გაიზრდება. ასევე დაგეგმილია საბავშვო ბაღების რემონტი და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ცენტრი“, სადაც რეაბილიტაციის კურსს გაივლის 200-მდე ბენეფიციარი.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. პროგრამის ფარგლებში, განხორციელდება ააიპ „რუსთავის სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრის“

დაფინანსება, რომელიც აერთიანებს 4 სპორტულ სკოლას და 1300–ზე მეტ სპორტსმენს; ცენტრი მოიცავს სპორტის სხვადასხვა სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას. პროგრამა მოიცავს ასევე საფეხბურთო (შპს „რუსთავის რუსთავი“), საკალათბურთო (შპს „რუსთავი 1991“) და სარაგბო (ააიპ „რუსთავის ხარები“) კლუბების ფინანსურ მხარდაჭერას. განხორციელდება საბავშვო გასართობი ატრაქციონების საბავშვო მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია, ასევე ქალაქში არსებული სპორტული კომპლექსების რეაბილიტაცია და მოედნების მოწყობა/რეაბილიტირება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „სახელოვნებო გაერთიანებათა ცენტრი“, რომელიც აერთიანებს კულტურის ცენტრში არსებულ ადგილობრივ ანსამბლებს, 3 მუსიკალურ, 1 ხელოვნებისა და 1 სამხატვრო სკოლას, სადაც სწავლობს 1000-ზე მეტი მოსწავლე; აღნიშნული ა(ა)იპ–ი უზრუნველყოფს სადღესასწაულო ღონისძიებების მოწყობას. პროგრამა ითვალისწინებს ა(ა)იპ „გ. ლორთქიფანიძის სახ. რუსთავის თეატრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების, ა(ა)იპ „რუსთავის ისტორიული მუზეუმი“–ს, და ა(ა)იპ „რუსთავის საბიბლიოთეკო გაერთიანების“ დაფინანსებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება რუსთავში არსებული კულტურული ობიექტების, მათ შორის კულტურის ცენტრის შენობის შიდა სარემონტო სამუშაოები და მუზეუმის გადახურვის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- **ახალგაზრდობის ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „ახლაგაზრდობის განვითარებისა და ხელშეწყობის ცენტრი“, ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს სხვადასხვა ღონისძიებების გამართვას, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. კერძოდ:

არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხავა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;

დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;

ქალაქის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;

ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

ქალაქში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით რუსთავის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ რუსთავის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალქის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ბოლნისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში გზის საფარის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების და მშენებლობის სამუშაოების ჩატარებას. მათ შორის: გზების მიმდინარე (ორმოული) და ფრაგმენტული შეკეთება; გზების ქვიშა-ხრეშოვანი მასალით მოწყობა; ქუჩების ტროტურების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება; გზებზე ასფალტ/ბეტონის დაზიანებულ მონაკვეთებზე ბზარების დამუშავება; პროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს ქუჩებისა და გზების განტვირთვას სატრანსპორტო ნაკადებისაგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობას.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელის მშენებლობა-ექსპლუატაცია , სარწყავი არხების, საკანალიზაციო, სასმელი წყლის და სანიაღვრე სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია, გარემოს დაცვის ღონისძიებები: საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება-გატანა, ქვეწარმავლების და მაწანწალა ცხოველების დასახლებული პუნქტებიდან გადაყვანა, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, სასაფლაოების მოვლა.

- **მუნიციპალუტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა, პარკებისა და შადრევნების მოვლა-პატრონობის ღონისძიებები. დაფინანსდება შპს „კულტურისა და დასვენების პარკი“ რომელიც განახორციელებს არსებული პარკის მოვლა–პატრონობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ქუჩების ქვიშა-ხრეშოვანი მასალით მოწყობა; ქუჩების ტროტუარების მიმდინარე კაპიტალური შეკეთება; ქალაქის ინფრასტრუქტურული ნაწილის რეაბილიტაცია.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის მიზანია სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია, მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, სპორტული დანიშნულების ობიექტების, დარბაზებისა და სტადიონების შეკეთება, აღდგენა, მშენებლობა. პროგრამა მოიცავს ააიპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – ბოლნისის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი“-ს, საჭადრაკო სკოლა „ნონა“-ს, საფეხბურთო კლუბ „სიონის“, ააიპ „რაგბის კლუბი ბოლნისის“, ააიპ „ძიუდოს სკოლის“ დაფინანსებას, რაც უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამა ითვალისწინებს ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკლუბო, საბიბლიოთეკო, სამუზეუმო გაერთიანება „კულტურის ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, როგორებიცაა: ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა, ლიტერატურული და თოჯინური თეატრების აღორძინება, ხალხური რეწვის დარგების აღორძინება და პოპულარიზაცია, ნიჭიერი ინდივიდუალური შემსრულებლებისა და შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის ხელშეწყობა, სამუსიკო და ქორეოგრაფიული ნიმუშების შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის სათანადო პირობების შექმნა. სამუზეუმო ნიმუშების პოპულარიზაციას, გამოფენას და მოვლა-შენახვას. ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობას, წიგნადი ფონდების შევსება-დაკომპლექტებას და სრულ აღრიცხვას. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლა“, სადაც სწავლობს 135-მდე მოსწავლე, რაც ხელს შეუწყობს მოზარდ თაობაში ხელოვნების განვითარებას. ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის თეატრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბოლნისის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა, ახალი ტაძრების მშენებლობაში, ისტორიული ეკლესია-მონასტრების აღდგენაში და მათ შემდგომ აღორძინებაში.

- **საგამომცემლო საქმიანობა.**

პროგრამა ითვალისწინებს შპს – „გაზეთ ბოლნისის“ დაფინანსებას ფუნქციონირებისათვის, რომელიც ახორციელებს ახალი ამბების და კულტურული და სპორტული ღონისძიებების გაშუქებას.

**განათლება**

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „ბოლნისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და მეთოდური კოორდინაციის დაწესებულება“. ბოლნისის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 12 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს საშუალოდ 1275 ბავშვი. სკოლამდელი დაწესებულების დაფინანსება ხორციელდება სრულად ადგილობრივი ბიუჯეტიდან. მუნიციპალიტეტი ხელსუწყობს ბაღების მატერიალური ბაზის გაუნჯობესებას, კვებას და დასაქმებულთა სტაბილურ შრომის ანაზღაურებას. პროგრამა ითვალისწინებს ააიპ – ბოლნისის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, სარეაბილიტაციო ცენტრ „განთიადის“ დაფინანსებას, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უნარშეზღუდულ ბავშვების საზოგადოებასთან ინტეგრირებას და მათ საგამანათლებლო სარეაბილიტაციო ცენტრში სწავლას.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ქალაქის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს ააიპ „დაავადებათა აღრიცხვის, კონტროლის, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და პრევენციული მედიცინის ცენტრის“ დაფინანსებას, რომლის მიერ განხორციელდება: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეპიკეთილსაიმედო სიტუაციის შექმნა და შენარჩუნება; ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო, სადეზინსექციო და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება, ორგანიზაციებში, სკვერებში, ნაგვის შემკრებ ბუნკერებში; მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სამღზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობის გზით ეპიკეთილსაიმედო სიტუაციის შექმნა.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

როგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენების გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, სტუდენტთა და სპორტსმენთა სოციალურ დახმარებას, იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალურ დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## გარდაბნის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარდაბნის მუნიციპალიტეტში შიდა გზების რეაბილიტაცია, სიჩქარის შემზღუდველების მოწყობა, ქალაქის და სოფლების დაზიანებული გზების ორმული შეკეთება, მუნიციპალური და რეგიონალური განვითარების ფონდის ხელშეწყობით ქალაქის და სოფლების ცენტრალური გზების თანადაფინანსება. მუნიციპალური და რეგიონალური განვითარების ფონდის ხელშეწყობით ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში და ქალაქ გარდაბანში წყლის სისტემის რეაბილიტაცია და სატუმბო-სადგურების მოვლა-პატრონობა, გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი სანათი წერტილების მოწყობა, მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია. პროგრამა მოიცავს ასევე, ქალაქ გარდაბნის და სოფლების დაგვა–დასუფთავებას და მონახვეტის გატანას, ასევე გარე ქსელის ბუნკერებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებასა და მის გატანას, მაწანწალა ცხოველების დაჭერას და მათ გადაყვანას სპეციალიზირებულ თავშესაფარში.

- **მუნიციპალუტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერების კეთილმოწყობის სამუშაოები, მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები.

**განათლება**

თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელ განათლება, რომლის დაფინანსებაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება. პრიორიტეტის ფარგლებში სკოლამდელი განათლების პროგრამას ახლორციელებს მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საბავშო ბაგა-ბაღებში დაწყებით განათლებას იღებს 2800 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით. გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსება სპორტული ცენტრის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს სპორტული შეჯიბრებების ორგანიზაბას, განხორციელდება საქართველოში ფეხბურთის პოპულარიზაციისა და განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებების მხარდაჭერა.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ახორციელებს, სახელოვნებო სკოლების, ბიბლიოთეკების, მუზეუმის და კულტურის ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისათვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურურლი ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები და სხვა. ასევე ხდება რაიონში მიმდინარე მოვლენების გაშუქებას და პოპულარიზაცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

- **ახალგაზრდობის ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობები. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას მათ შორის: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა. დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებების, მასობრივი მოშხამვებისა და პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამით გათვალისწინებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით

უზრუნველყოფა. კერძოდ ფინანსდება სოციალურად დაუცველი ფენის საოპერაციო და იძულებით გადაადილებულ პირთა სამედიცინო გამოკვლევების ხარჯები, მოსწავლეებისა და პედაგოგების ტრანსპორტით მგზავრობის საფასური, განსაკუთრებული საჭიროების ბავშვთა და მშობელთა საკონსულტაციო ცენტრი, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის და ვეტერანთა მატერიალური დახმარება, უპატრონო მიცვალებულთა, დევნილთა და ვეტერანთა დაკრძალვის ხარჯები რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, კერძოდ: ქ.დმანისში ჭუბერის და ჩოლოყაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობა. ასევე გაგრძელდება სოფ. ირგანჩაის-საფარლო, სოფ. კიზილაჯლო-იფნარის გზის 3კმ-იანი მონაკვეთის მოასფალტება. ქ.დმანისში არსებული ქუჩების ასფალტ-ბიტონის გზის და სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია,ასევე სოფ.დალარის მისასვლელი გზის მოასფალტება

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფელებში სასმელი წყლის ქსელის სარეაბილიტაციო-სამუშაოები და მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის წყლის მიწოდება. ასევე გათვალისწინებულია სოფ.გომარეთის მთის წყლის სათავე ნაგებობის და 6კმ-იანი მაგისტრალური ხაზის რეაბილიტაცია. დაგეგმილია ქ.დმანისში მრავალსართულიანი შენობების საცხოვრებელი ბინების სახლის სახურავების რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არსებული გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა. პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ასევე ქალაქ დმანისის ცენტრალურ ქუჩებზე ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, ხოლო სოფლებში შედარებით ნაკლები ინტერვალით ნარჩენების გატანა კვირაში 3 დღე, ასევე გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან განთავისუფლება.

**განათლება**

სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 8 საბავშვო ბაღი 11 ჯგუფით, სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 340 ბავშვის ოდენობით. გარდა სკოლამდელი აღზრდისა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მოსახლეობას დასაქმებაში და მიცეს საშუალება დაეუფლონ იმ უნარ-ჩვევებს რაც ხშირ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა სტაბილური დასაქმებისათვის. აღნიშნული მიზნით პროგრამის ფარგლებში დაფინასდება ინგლისურის,ქართული ენის ჯგუფები ეთნიკური უმცირესობისათვის და კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსები.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

2017 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული სკოლა, რომელშიც ფუნქციონირებს „ძიუდოს“ ექვსი ჯგუფი, სადაც გაერთიანებულია 96 მოსწავლე, ჭადრაკის 2 ჯგუფში 20 მოსწავლე, ხოლო „ქართული ჭიდაობის“, „ფეხბურთის“, ფრენბურთის, თავისუფალი ჭიდაობის, ორთაბძოლის, ტაეკვანდოს და ხრიდოლის თითო-თითო ჯგუფში გაერთიანებულია 88 მოსწავლე, სულ 204-მდე მოსწავლე;

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: კულტურის სახლი სადაც ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სახის წრეები რომელშიც სწავლობს 150-მდე მოსწავლე, ასევე დაფინანსდება მუსიკალურ სკოლები და 4 ბიბლიოთეკა.

პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის ობიექტების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. კერძოდ, არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება; მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

**საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტენიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდთოვლის შემთხვევაში ჭარბი თოვლისგან გაწმენდა, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტს შორის 2015 წელს გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად (სესხის დაფარვა), განხორციელდება ქალაქ თეთრიწყაროში გამსახურდიას ქუჩის, წერეთლის, პუშკინის, რუსთაველის ჩიხის, თავდადებულის ქუჩის, მუსხელიშვილის ქუჩის მოასფალტების და სოფელ კოდის ცენტრალური გზიდან მუხათში გამავალი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები, გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება. დაფინანსდება ააიპ „თეთრიწყარო-წყალი“, რომელიც ემსახურება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენების ქსელის რეაბილიტაციას და მათ მოვლა-შენახვას. ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილია თეთრიწყაროს ტერიტორიაზე სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესება. გამომდინარე აქედან დაფინანსდება თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების შეგროვება-გატანა. მოეწყობა გარე განათების ახალი ქსელები და მოხდება არსებულის მოვლა-შენახვა.

**განათლება**

თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი განათლება, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა. დაფინანსდება 17 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას მიიღებს 570-ზე მეტი ბავშვი. ბიუჯეტის ფარგლებში მუნიციპალიტეტი სრულად დააფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ააიპ ”თეთრიწყაროს სპორტული სკოლის” ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სპორტულ სკოლა აერთიანებს 13 სპორტულ სექციას და 250-მდე სპორტსმენს.

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. 2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ააიპ „თეთრიწყაროს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი“, რომელშიც დაცულია 11000 -მდე ექსპონატი, ააიპ "სახელოვნებო სკოლა", ააიპ "თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და საბიბლიოთეკო დაწესებულებების გაერთიანება- კულტურის ცენტრი," სადაც გაერთიანებულია 8 ბიბლიოთეკა და ფუნქციონირებს 13 წრე, ააიპ „თეთრიწყაროს სამუსიკო სკოლა“ და ააიპ „მანგლისის სამუსიკო სკოლა“, სადაც სწავლობს 210-მდე მოსწავლე.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. კერძოდ, არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაციასა და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტ აღრიცხვას, ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების

თავიდან აცილებას; მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგს, ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებებს.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## მარნეულის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდა კვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია, კერძოდ , სოფლების – თამარისის, თაქალოს, ქუთლიარის, ბაიდარის, მუღალნოს, სადახლოს, კაჩაგანის, კაპანახჩის, ალგეთის, შაუმიანის, პირველი ქესალოს, მეორე ქესალოს, ხანჯიგაზლოს, წერაქვის, ნორგიულის, ბეგლიარის, ზემო სალარის, ზემო ყულარის, წერეთლის, ყიზილაჯლოში თბილისის ქუჩის I ჩიხის, ჟორდანიას და ზეინალოვის ქუჩების, აღმამედლოს, დამია-გეურახის, ახლო-ლალოს, ლეჟბადინის შიდა გზების რეაბილიტაცია, კასუმლოში საგზაო ნიშნების შემაკავებელი ბარიერების დაყენება, არაფლოში, სადგურ სადახლოში, იმირჭალაში, სიონში, სვანების დასახლებაში და სასაფლაოსთან მისასვლელი გზის, ყიზლაჯლოში სკოლის გარშემო ასფალტის დაგება, ქვემო ყულარში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მობეტონება, სოფელ იმირჭალას გზების რეაბილიტაცია, ცოფში ავტობუსების მოსაცდელების მოწყობა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში მოხდება სოფლებში ბურმაში, ქვემო სარალში, კირაჩმუღალნოში, კაჩაგანში, დამიაში წყალსადენი სისტემის მოწყობა, იმირში, ხიხანში ქეშალოში, ამბაროვკაში და ალგეთის ღვინის ქარხანაში სასმელი წყლის რეაბილიტაცია მოსახლეობის ზედაპირული გრუნტის წყლის მოხვედრისაგან დაცული, მაღალი ხარისხის სასმელი წყლით უზრუნველყოფის მიზნით. მოხდება მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოების სოფლებისათვის სასმელი წყლის შეუფერხებლად მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით შ.პ.ს „მარნეულის სოფწყალი"–ს სუბსიდირება, განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის სოფლებში– ლეჟბადინში, ბაიდარში მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები, და ქ.მარნეულში რუსთაველის ქ.№7–ის მე–8 ჩიხში სარწყავი სისტემის მოწყობა მოსახლეობის სარწყავი წყლით უზრუნველყოფის მიზნით. განხორციელდება ქ.მარნეულში მრავალსართულიანი საცხოვრებელი შენობების სახურავის შეკეთება და კედლების გამაგრება.როგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია და მიმდინარე რეაბილიტაცია, აგრეთვე ქ.მარნეულში რამდენიმე ქუჩაზე (საბირის, 300 არაგველის, ჰამლეტის, მამედოვის, ბაბეკის, ნასიმის, 9 ძმის ) და სოფლებში ყიზილაჯლოში, წითელ სოფელში, დიდ ბეგლიარში, ბეითარაფჩიში, ულაშლოში, დამიაში, კიროვკაში, თაზაქენდში, ბურმაში, გიულბახში;

- **მუნიციპალუტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, კერძოდ ქ.მარნეულში და სოფლებში წერეთელსა, დიდ მუღალნოში სკვერების მოწყობა, თამარისში და ბაიდარში საბავშვო მოედნების მოწყობა/რეაბილიტაცია, წერეთელში ბავშვთა გასართობი მოედნის, ბაითალოში გასართობი და დასვენების მოედნის მოწყობა.

- **მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მარნეულის მუნიციპალიტეტის ავტოპარკის გამართული ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით მისი სუბსიდირება;

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 13 საბავშვო ბაღი. პროგრამის ფარგლებში მოხდება ააიპ "სკოლამდელი აღზრდის ცენტრის" სუბსიდირება არსებული საბავშვო ბაღების სასწავლო–აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის, მათი ნორმალური ფუნქციონირების მიზნით. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დაგეგმილია სოფლებში, ალგეთში, არაფლოში, თაქალოში, მოლა-ოღლიში, ახკერპში, წერაქვში საჯარო სკოლების შენობებში სკოლამდელი აღზრდის ცენტრების გახსნა.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

მარნეულის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ადგილობრივი კულტურული და რელიგიური ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება, ასევე სპორტის განვითარებისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

2017 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები, უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ტურნირებზე და შეჯიბრებებზე ადგილობრივი სპორტსმენების მონაწილეობა, წახალისდებიან წარმატებული სპორტსმენები სხვადასხვა ჯილდოთი. დაფინანსდება სპორტული სკოლა, რომელშიც ფუნქციონირებს „ძიუდოს“, „სპორტული აკრობატიკის“, „ქართული ჭიდაობის“, „ძალისმიერი სამჭიდის“, „კრივის“, „კიკბოქსინგის“, „ტაიკვანდოს“, „ფეხბურთის“ ორი ასაკობრივი ჯგუფის – 12 წლამდე და 16 წლამდე, „კალათბურთის“ ორი ასაკობრივი ჯგუფის – 14 წლამდე და 18 წლამდე სექცია, რომელიც აერთიანებს 1000-მდე სპორტსმენს. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლებში მარადისში, კასუმლოში, თაქალოში და ხულდარში სპორტული მოედნებისა და დარბაზების მოწყობა- რეაბილიტაცია

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

როგრამის ფარგლებში 2017 წელს გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, 2017 წლის განმავლობაში დაფინანსდება: 6 კულტურის სახლი, 1 მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 90-მდე მოსწავლე, 6 ბიბლიოთეკა, 2 მუზეუმი. დაგეგმილია მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ წერაქვში ახალი მუზეუმის მშენებლობა; განხორციელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა, რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდის და მოსახლეობის სულიერების ამაღლების მიზნით. ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე შესაძლებელია განხორციელდეს მცირე სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოები.ასევე დაგეგმილია სოფელ თამარისში რიტუალების სახლის მოპირკეთება.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება; მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მოსახურების ხარჯების ანაზღაურებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## წალკის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მნიშვნელოვანი მონაკვეთების რეაბილიტაცია, შედარებით მეორეხარისხოვანი მონაკვეთების მიმდინარე შეკეთება და ასევე მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე ზამთრის პერიოდის განმავლობაში თოვლისაგან წარმოქმნილი ნამქერებისა და ყინულისაგან გაწმენდა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული წყალსადენების ქსელის დაზიანებული მონაკვეთების რეაბილიტაცია და დაფინანსდება ქსელის მოვლა-შენახვის ხარჯები, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება.

- **მუნიციპალუტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობის გადაწყვეტილების შესაბამისად შემდეგი ღონისძიებები: სპორტული მოედნებისა და დარბაზების რეაბილიტაცია-მშენებლობა; სარიტუალო სახლების რეაბილიტაცია-კეთილმოწყობა; გარე განათების მოწყობა; წყლის ქსელების რეაბილიტაცია; სპორტული დარბაზების და რიტუალების სახლების

ინვენტარით უზრუნველყოფა; სასოფლო სამეურნეო და კომუნალური დანიშნულების ტრანსპორტის შეძენა;

- **მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შიდარაიონული მუნიციპალური ტრანსპორტით მოსახლეობის მომსახურების უზრუნველყოფა და არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით. ასევე განხორციელდება მუნიციპალური ტრანსპორტის სრული რეაბილიტაცია და კაპიტალური რემონტი.

**განათლება**

თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი განათლება, რომლის დაფინანსებაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 1 საბავშვო ბაღი, იგეგმება 2 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ მიმდინარე ხარჯებს.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ერთი სპორტული სკოლა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. დაგეგმილია სოფლებში დარბაზების კეთილმოწყობა და მათ ბაზაზე დამატებითი სპორტული ჯგუფების დაფუძნება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის კულტურის სახლის დაფინანსება, მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკა ოთხი სოფლის განყოფილებით. წლის განმავლობაში გაგრძელდება ბიბლიოთეკის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება. განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების, ოლიმპიადებების, კონცერტების, გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება, ასევე ნიჭიერი მოსწავლეები წახალისება.

- **რელიგია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა წალკის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას. კერძოდ, არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაციასა და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტ აღრიცხვას, ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილებას; მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგს, ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებებს.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის, ონკოლოგიური დაავადებებით, ეპილეფსიით, პარკინსონიზმით, ბრონქიალური ასთმით, დიაბეტით დაავადებულ პირთა, C-ჰეპატიტით დაავადებულ პირთა, დიალიზზე მყოფ პირთა, დედ-მამით ობოლ ბავშვთა, მრავალშვილიანი დედების, მარჩენალდაკარგული ოჯახების და სხვ. ერთჯერად დახმარებას.

## ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სუფსა-გულიანის გზის რეაბილიტაცია, განხორციელდება ქალაქ ლანჩხუთის ცენტრის კეთილმოწყობა, მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების მოვლა და გამწვანების სამუშაოების ჩატარება, სასაფლაოების მოვლა პატრონობა;

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტს წარმოადგენს სოფლის მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების უზრუნველყოფა, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება წყალსადენის ექსპლოატაციაზე გახარჯული ღირებულების გადახდა. ასევე, ერთ–ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ღია ნაგავსაყრელის პოლიგონის მოვლა, სხვადასხვა სპორტული და კულტურული ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი ნარჩენების დაგვა–დასუფთავება და მისი ოპერატიულად გატანა. მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა. დღე–ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია.

**განათლების დაფინანსება**

- **სკოლამდელი განათლების დაფინანსება**

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, გაიხსნას ბაგა–ბაღები ისეთ სოფლებში, სადაც კონტიგენტის დიდი რაოდენობა არსებობს და უზრუნველყოფილი იქნას მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით მომსახურეობა.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ააიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრი, რომელიც აერთიანებს 21 საბავშვო ბაღს, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1350–ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციური და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და

მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში. 2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.

პროგრამით ხორციელდება სპორტული ცენტრის, საფეხბურთო კლუბ გურიას და საფეხბურთო სკოლის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ გოგონათა ექსპერიმენტალური სარაგბო - საფეხბურთო სკოლის ყველა ხარჯის დაფინანსება, რომელიც ემსახურება გოგონათა მაქსიმალური რაოდენობის ჩართვას სისტემატიურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში და მომავალი თაობების ჩამოყალიბებას პროფესიონალ ფეხბურთელებად, მორაგბეებად.

- **კულტურისა და რელიგიის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში გამოფენის მოწყობა, ასევე სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძრისადმი მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

- **ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობას, სხვადასხვა ფენისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, მოსახლეობის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობას და კონტროლის ღონისძიებებს, პარაზიტული დაავადებების პირველად კვლევას; დაავადებების დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკური მკურნალობას; სანიტარულ ღონისძიებებს. სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: ბიკარბონატული ჰემოდიალეზით – თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო საწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა, მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში გარდაცვლილი მეომრების ოჯახების დახმარების პროგრამა, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა სარიტუალო მომსახურების და მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთა დახმარების პროგრამა, დედათა და ბავშვთა დახმარების პროგრამა,

ჰუმანიტარული პროგრამების ხელშეწყობის პროგრამა, მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარებისა და დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა, ჰუმანიტარული ორგანიზაციების თანადაფინანსების ეროვნული სკრინინგ ცენტრიდან და სამედიცინო დაწესებულებაში მოწვეული სპეციალისტის ბინით უზრუნველყოფის პროგრამა  დევნილთა და შეჭირვებულ ოჯახთა საშეშე  მერქნით დახმარების პროგრამა,  ბავშვთა დღის  ცენტრ იავნანას თანადაფინანსება, მაღალმთიან სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტირების მომსახურების პროგრამა.

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზების  მდგომარეობის შენარჩუნება. 2017 წელს დაგეგმილია მუნიციპალიტეტის სოფლებში გზების სავალი ნაწილის  მიმდინარე შეკეთების სამუშაოები. კვლავ აქტუალური რჩება მუნიციპალური ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. ავტოპარკი შედგება 5 ერთეული მოძველებული ,,პაზიკის''-ს ტიპის ავტობუსისგან, რომლებიც სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტში შემავალი 4 დაბისა და 74 სოფლის მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად დაუცველი კატეგორიისა და პედაგოგების მგზავრობის შეღავათიან, სრულფასოვან მომსახურებას.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების შესამცირებლად გარე განათების ქსელში განხორციელდება ფოტონების დამონტაჟება. მუნიციპალიტეტის სოფლებში წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია  და ინფრასტრუქტურის სამუშაოების ჩატარება.  ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ღია ნაგავსაყრელის პოლიგონის მოვლა, დამსვენებელთა და ტურისტთა მაქსიმალურად მოზიდვის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ დაგვა–დასუფთავებას და ნარჩენების გატანას. ჩამოთვლილი მიზნების განსახორციელებლად შეძენილი იქნება ერთი ერთეული პლაჟის დასუფთავებისა და ნარჩენებისაგან გამწმენდი სპეციალური მანქანა.

**განათლების დაფინანსება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას.

- **სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 34 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1600  ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების

სხვა მიმდინარე ხარჯებს. ასევე ზოგადი განათლების ხელშეწყობის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაზიანებული საჯარო სკოლების აღდგენა-რეაბილიტაცია;

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს მდიდარი კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინებას. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციური და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური სახვითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციათა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

- **ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა**

აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას; ტურისტული მარშუტების დაგეგმარებას; ლაშქრობების და სკაუტების ორგანიზებას; ტურისტული დისლოკაციის ადგილების მოწყობას და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას ურეკში, შეკვეთილში ზღვის სეზონთან დაკავშირებული ღონისძიებების ჩატარებას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ადგილობრივი მოსახლეობა და დამსვენებლები, სეზონის გახსნას და დახურვას, სხვადასხვა სახის ფესტივალების მოწყობას. კურორტ გომისმთაზე სამთო ექსტრემალური სათავგადასავლო ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა პროექტების ორგანიზებას და ხელშეწყობას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და ევროკავშირის ერთობრივი პროექტის ,,მონაწილეობითი პრინციპები გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისათვის“ მეორე ეტაპის წარმატებით შესრულება.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში, თანამშრომლობა სხვადასხვა სამთავრობო, არასამთავრობო და უცხოურ ახალგაზრდულ ორგანიზაციებთა, ბავშვთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა მხარდაჭერა და წახალისება, თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ორგანიზება.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. 2017 წელს გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომლის ამოცანებია ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა და ეპიდემიოლოგიური კონტროლი, დაავადების გადაცემის გზების, რისკფაქტორების გამოვლენისა და შესწავლის მიზნით; პროფილაქტიკური აცრების დაგეგმვა, შესრულება, ასაცრელი მასალით უზრუნველყოფის ორგანიზაცია და კონტროლი, განსაკუთრების საშიშ ინფექციათა ბუნებრივი კერების გამოვლენა, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სამსახურების ხელშეწყობა და სხვა ღონისძიებები.

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა, მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა, ვეტერანთა დახმარების პროგრამა, ვეტერანთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარების პროგრამა, შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა, იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა, სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა, ხანდაზმულთა დახმარების პროგრამა, უსინათლოთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა, სოციალურად დაუცველ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამული დაფინანსება, თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარების პროგრამა, დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარების პროგრამა, ხანდაზმულთა სახლის კომუნალური გადასახადების სუბსიდირების პროგრამა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის მედიკამენტების შეძენის ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება.

## ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

**საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების, მოვლა-შენახვისა და ზამთრის პერიოდში ადგილობრივი მნიშვნელობის გზების

თოვლისგან გაწმენდის სამუშაოების ხარჯების დაფინანსება. დაგეგმილია ქ. ოზურგეთში დაზიანებული ქუჩების სავალი ნაწილის მოასფალტება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა ეზოებში ახალი წერტილების მოწყობა, მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახდის შეუფერხებელი დაფარვა; ქუჩების დასუფთავება და ნარჩენების გატანა, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, პროგრამა ითვალისწინებს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერას.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის მიზანია ქალაქისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაზიანებული საქალაქო ინფრასტუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია. ქალაქის მასშტაბით ნაპირდამცავი სამუშაოების, მრავალმხრივი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება (სკვერები, ეზოები, სპორტული მოედნები) მოვლა-შენახვა, ქუჩების ტროტუარების კეთილმოწყობა. ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; ღია ნაგავსაყრელის პოლიგონის მოვლა, ქალაქის ქუჩების ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა. გაგრძელდება ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე დიდი და პატარა დამატებითი ურნების დადგმა, ქალაქის ქუჩების მორწყვა და მორეცხვა.

**განათლების დაფინანსება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ქალაქ ოზურგთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა, აგრეთვე, ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს სკოლის გარეშე, შემოქმედებითი, ტექნიკური, ალტერნატიული და სხვა სახის დამატებითი განათლების მიღებას.

- **სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, ქალაქის საბავშვო ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბავშთა კვებას და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

- **ზოგადი განათლების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული დაწყებითი და ზოგადი განათლების მქონე დაწესებულებების სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლებისათვის ხელშეწყობა სხვადასხვა ხარჯებისათვის.

- **სკოლის გარეშე დაწესებულებათა დაფინანსება**

პროგრამის მიზანია მოსწავლე ახალგაზრდობის მოქალაქეობრივი, პატრიოტული ცნობიერების, შრომითი უნარჩვევების ჩამოყალიბება, განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვების ინტეგრირება საზოგადოებაში, სადაც სრული თავისუფლება მიენიჭება მათ შესაძლებლობებს.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა; სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების, ტურნირების, შეჯიბრებების ორგანიზება, ხელშეწყობა და დაფინანსება, აგრეთვე ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება; ასევე განხორციელდება სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა, სპორტულ ასოციაციასთან, კავშირებთან, სპორტულ ფედერაციებთან და სხვადასხვა სპორტულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. კლუბების, ნაკრები გუნდების მომზადება და მონაწილეობა ქვეყნის და საერთაშორისო ასპარეზობებში.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული პროფილის მქონე ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური, სახვითი, ქორეოგრაფიული ღონისძიებების ჩატარება, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციათა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ორგანიზება.

- **ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ტურიზმის ხელშემწყობი ღონისძიებების დაფინანსება. აღნიშნული პროგრამა ხელს შეუწყობს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას, ტურისტული მარშრუტების დაგეგმარებას, სხვადასხვა სახის ფესტივალების მოწყობას, ტურიზმის განვითრების ხელშეწყობას.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას ქალაქის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. გაგრძელდება თანამშრომლობა სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან, ბავშვთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციათა მხარდაჭერა და წახალისება; თავისუფალი დროის შინაარსიანად და ეფექტურად ორგანიზება.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე არსებული შემოქმედის ეპარქიის ფინანსური მხარდაჭერა (კომუნალური გადასახადებით), ასევე ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაფინანსდება სხვადასხვა რელიგიური ღონისძიებები.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებას და შეღავათებით უზრუნველყოფას. 2017 წელს გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომლის ამოცანებია ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა და ეპიდემიოლოგიური კონტროლი, დაავადების გადაცემის გზების, რისკფაქტორების გამოვლენისა და შესწავლის მიზნით; პროფილაქტიკური აცრების დაგეგმვა, შესრულება, ასაცრელი მასალით უზრუნველყოფის ორგანიზაცია და კონტროლი, განსაკუთრების საშიშ ინფექციათა ბუნებრივი კერების გამოვლენა, ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობის სამსახურების ხელშეწყობა და სხვა ღონისძიებები.

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

მუნიციპალიტეტის ერთ ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს მუნიციპალური გზების რეაბილიტაცია, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება, ზამთრის პერიოდში დიდთოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლის საფარისაგან განთავისუფლება, განხორციელდება დაბაში საგზაო მოძრაობის ნიშნების მოწესრიგება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება რომელსაც ახორციელებს კომუნალური სამსახური ,,სხივი". ასევე სკვერების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის სამუშაოები;

იგეგმება კურორტ ბახმაროს ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა, არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-პატრონობა, შემეცნებითი, გასართობი და სპორტული დანიშნულების ობიექტების შექმნა, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, კომუნალური მომსახურების ეფექტური პირობების უზრუნველყოფა რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს დამსვენებელთა მოზიდვას.

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და კომუნალური მეუნეობის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელებას, რომლის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერის კეთილმოწყობა.

მოხდება მაწანწალა ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. განხორციელდება: დაბასა და ადმინისტრაციულ ერთეულში კეთილმოწყობის სამუშაოები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დამონტაჟდება ვიდეოთვალები საგზაო მოძრაობის წესების რეგულირებისათვის.

**განათლების დაფინანსება**

პროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა. მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა , ახალი ბაღების გახსნა. განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ხელოვნებისა და სპორტულ სკოლებში გაერთიანებული მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურება.

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 19 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 710 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგემილია არსებული სკოლის დაფინანსება, რომელიც აერთიანებს ძიუდოს, ფეხბურთის, მძლეოსნობის, ბერძნულ-რომაული, თავისუფალი ჭიდაობის, ქართული ჭიდაობის, ბალახის ჰოკეის, კალათბურთის, რაგბის, ფრენბურთის ჭადრაკის სპორტულ წრეებს. სასპორტო სკოლაში ფუნქციონისრებს 9 სპორტული სახეობის 18 სექცია, სადაც გაერთიანებულია 285 მოსწავლე ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საფეხბურთო კლუბი ,,ბახმარო-2009", გურიის მხარის ოლიმპიური კომიტეტი, სპორტის განვითარების ცენტრი.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა.**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კურტურის ცენტრი, ბიბლიოთეკები, მუზეუმები, სამუსიკო სკოლა, სახელოვნებო სკოლები, სამხატვრო გალერეა, ჩატარდება სხვადასხვა ღონისძიებები. დაგეგმილია დაბა ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებლობა.

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება:

მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი; მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 150-მდე მოსწავლე; სამხატვრო სკოლა, სადაც სწავლობს 100 -მდე მოსწავლე; ბიბლიოთეკები; მუზეუმები; სამხატვრო გალერეა.

**ადგილობრივი მნიშვნელობის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების განხორციელება**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა/დადგენას; პრევენციული და კონტროლის ღონისძიებებს; პარაზიტული დაავადებების პირველად კვლევას; გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებებს; დაავადებების დიაგნოსტიკას, პროფილაქტიკური მკურნალობას; სანიტარულ ღონისძიებებს; მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობას; ჯანმრთელობის ხელშეწყობას;

- **სოციალური პროგრამების დაფინანსება**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით. პროგრამა ითვალისწინებს სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, დევნილთა და ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა ოჯახების დახმარებას, სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დახმარებას, სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ბორჯომის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი, მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდა საქალაქო გზების რეაბილიტაცია, განხორციელდება ქ. ბორჯომში შიდა ქუჩების კერძოდ აღმაშენებლის, შანიძის, ჭყონდიდელის, ნიკოლაძის ქუჩების, დაბა ახალდაბისა და წაღვერის, სოფლებში: მზეთამზე, საკირე, ტაძრისი, ცემი, ვარდგინეთის საავტომობილო გზების რეაბილიტაცია. განხორციელდება სოფ: ტიმოთესუბანში, დაბაში, ჭობისხევსა და ქვაბისხევში მოსაცდელის რეაბილიტაცია, სოფ.ჩითახევში ახალი ხიდის მშენებლობა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია, მოსახლეობის 24 საათიანი, სუფთა წყლით უზრუნველყოფა, ასევე საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა. განხორციელდება ქ.ბორჯომში საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაცია, ასევე სოფლებში: ყვიბისი, ტბა, სადგერი და პლატოს საკანალიზაციო ქსელის მოწყობა. მოხდება სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ცენტრის მშენებლობა ქ. ბორჯომში. ასევე განხორციელდება დვირის ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საცხოვრებელი სახლების ბრტყელი და ქანობიანი სახურავების შეკეთება, ლიფტების, კომუნიკაციების, სადარბაზოების, ფასადების, კიბეების, თაღების, შენობების კაპიტალური გამაგრების, აივნების, საერთო სარგებლობის ჭიშკრის ან სადარბაზოს კარების, მიშენებების მდგრადობის განსაზღვრის, სადარბაზოებში მოძრაობის სენსორული სანათების დამონტაჟების, შენობების კაპიტალური გამაგრების სამუშაოები. სადარბაზოებში შესასვლელის გაღების ვიდეო/აუდიო სისტემის დამონტაჟების სამუშაოები საცხოვრებელი სახლების ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თანადაფინასებით. სახურავების რეაბილიტაცია განხორციელდება: ქ.ბორჯომში -

აღმაშენებლის ქ. №32, შანიძის ქ. №3, თორის ქ.№116, 118, რუსთველის ქ. №117,მესხეთის ქ.№55, ფიროსმანის ქ. №16 ქუჩებზე , ასევე დაბა ბაკურიანში აღმაშენებლის ქ.№39-ში.ლიფტების რეაბილიტაცია განხორციელდება: ქ.ბორჯომში მესხეთის ქ.№29 და თორის ქ.№119-ში.ფასადისა და სადარბაზოს რეაბილიტაცია განხორციელდება ქ.ბორჯომში რუსთველის ქ.№77-ში.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, შადრევნების მოვლა-შენახვა და ექსპლოატაცია, ქალაქის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა სპორტული მოედნებისა და ატრაქციონების რეაბილიტაცია და სხვა ღონისძიებები. განხორციელდება სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია სოფ. ყვიბისში და დაბა წაღვერში. მოეწყობა სკვერები, კერძოდ: თორისა და აღმაშენებლის ქუჩებზე, რეაბილიტაცია ჩაუტარდება N1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ნინოშვილისა და თორის ქუჩებზე მდებარე სპორტულ მოედნებს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა–პატრონობა და მათი კეთილმოწყობა, მოწესრიგდება გამწვანების ზოლები.

- **ტრანსპორტის სუბსიდირება**

კვლავ აქტუალური რჩება შიდა საქალაქო ტრანსპორტის გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. საწვავისა და მარაგ ნაწილების სულ უფრო მზარდი ფასები ასახვას პოულობს მგზავრობის საფასურზე. პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა შიდასაქალაქო ტრანსპორტით მოსარგებლე მოსახლეობისათვის არსებული ტარიფის შენარჩუნება შესაბამისი ორგანიზაციის სუბსიდირების გზით. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ბორჯომის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯები.

**განათლება**

სკოლამდელი განათლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს. ბორჯომის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 10 საბავშვო ბაღი, პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ბაღების რეაბილიტაცია, კერძოდ მოხდება ქ. ბორჯომში მდებარე საბავშვო ბაღების, სოფლებში: ტაძრისი ,ციხისჯვარი, ჭობისხევი, ტბა, დვირი და დაბა წაღვერის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, ასევე განხორციელდება დაბა ბაკურიანის ბაღის ეზოს მოწყობა.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

- **სპორტული ღონისძიებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით. ქვეპროგრამა მოიცავს ააიპ „ბორჯომის სკოლისგარეშე სასპორტო გაერთიანების“ 500–მდე სპორტსმენის დაფინანსებას, გაერთიანება მოიცავს სპორტის 18 სახეობას და უზრუნველყოფს ამ სახეობების განვითარებას, მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას და მათთვის საწვრთნელი პირობების შექმნას.

მუნიციპალიტეტში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები, ტურნირები კალათბურთში , ფრენბურთში სკოლის მოსწავლეთა შორის, მხიარული სტარტები და მინი–ფეხბურთი მოსწავლეთა შორის, რესპუბლიკური ტურნირები ძიუდოში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, განხორციელდება სარაგბო კლუბის დაფინანსება. მოხდება წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოება წახალისება მიღწეული შედეგებისათვის.

- **კულტურული ღონისძიებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება  მუსიკალური სკოლა, სადაც სწავლობს 350-მდე მოსწავლე; მუსიკალურ სკოლასთან არსებული ანსამბლი „ბორჯომი - 2012“; ააიპ „ბორჯომის საბიბლიოთეკო გაერთიანება“, ააიპ „კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“ მიერ ორგანიზებული ღონისძიებები, სსიპ “ბორჯომის თოჯინების თეატრი”; ააიპ „ბორჯომის ცენტრალური პარკის“ დაფინანსება, დაფინანსდება სხვადასხვა კულტურული და სადღესასწაულო ღონისძიებები.

- **რელიგია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველობის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია–მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს აღნიშნული სფეროს დაფინანსებას.

- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხავა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;

დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;

მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;

მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობა, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები და განცხადებით მომართვამდე უწყვეტად არანაკლებს 1(ერთი) წლის განმავლობაში რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ ბორჯომის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ადიგენის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის რეაბილტაცია და ექსპლოატაცია**

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია ადიგენის მუნიციპალიტეტის ერთერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში არსებულ დაბებში საცხოვრებელ უბნებში ეზოების მოასფალტება და განათება, დასასვენებელი პარკების კეთილმოწყობა საასმელი წყლის სისტემების მოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გზების რეაბილიტაცია, დაზიანებული გზების და ხიდების შეკეთება, ქუჩების, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა ზამთრის სეზონზე.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია, დასუფთავების ღონისძიებები, საკანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია, სანიაღვრე არხების და კოლექტორების მოწყობა-მოვლა, წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სარწყავი სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია, ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება.

**განათლება**

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 9 საბავშო ბაღი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

- **სპორტული ორგანიზაციებისა და ღონისძიებების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ადიგენის კომპლექსური სასპორტო სკოლის(ფეხბურთის, ჭიდაობის, და რაგბის ასაკობრივი ჯგუფებით) ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. მოხდება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსება სასპორტო სკოლის მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სამცხე -ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი, რომლის მიზანია რაგბის როგორც სპორტის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის მხარეში, პროფესიული რაგბის დამკვიდრება და განვითარება.

- **კულტურული ორგანიზაციებისა და ღონისძიებების დაფინანსება**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი

პროგრამები. 2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: ააიპ ადიგენის მთავარი ბიბლიოთეკა, ააიპ ადიგენის სამუსიკო სკოლა, ააიპ ადიგენის კულტურის ცენტრი

- **ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მომავალი თაობის ფიზიკური გაჯანსაღების მიზნით ტურისტული ლაშქრობების და ალპინიადების მოწყობა. ასევე ახალგაზრდა თაობის ჩართვა მუნიციპალიტეტის ყოველდღიულ საქმიანობაში. ახალგაზრდების ინიციატივებით სხვადასხვა პროექტების განხორციელება

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური უზრუნველყოფა ასპინძის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს აღნიშნული სფეროს დაფინანსებას

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურეობა**

პრიორიტეტის ფარგლებში იგეგმება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, კერძოდ: გადამდებ დავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა; იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა; სანიტარული ღონისძიებები.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური დაცვა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში აფინანსებს შემდეგ პროგრამებს: ავადმყოფთა, ორსულთა, მშობიარეთა, ჩვილ ბავშვთა ოპერაციების ნაწილობრივი დაფინანსება; სოფელ უდის სათნოების სახლის დაფინანსება; ომის მონაწილეთა დახმარებები 9 მაისისთვის; ლტოლვილთა და იძლებით გადაადგილებულ პირთა, უკიდურესად გაჭირვებულთა და სოციალურად დაუცველთა, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომში დაღუპულთა ოჯახების ერთჯერადი დახმარებები; სოფელ არალის უნარშეზღუდულ ბავშვთა საინტეგრაციო ცენტრის დაფინანსება; მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი დახმარება.

## ასპინძის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

- **საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტი სამოქმედო ტერიტორიის არსებული ქუჩების, გზების და ხიდების რეაბილიტაცია, ასევე რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, მოხრეშვა, საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების, გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა. ზამთრის პერიოდში შიდა გზების ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბა ასპინძის სარწყავი და სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია ექსპლოატაცია, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და გარე განათება. მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, რაც გააუმჯობესებს დაბის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. ასპინძის მუნიციპალიტეტისა და მასში შემავალი

რამოდენიმე სოფლების რეაბილიტირებულ გზებზე ღამის განათება მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს, რის გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ასპინძის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 4 საბავშვო ბაღი სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 280- მდე აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

- **სპორტული ღონისძიებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებისა და სპორტული კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხირციელდება რაგბის, როგორც სპორტული, გამაჯანსაღებელი სპორტის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის მხარეში; დაფინანსდება - რაგბის კლუბი „ლომები“,ფეხბურთის კლუბი „ვარძია“, მშვილდოსნობის კლუბი ,,ჩუბინები“, ძიუდოს კლუბი ,,შორეთი“. პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები: მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი კალათბურთში; მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი ფეხბურთში; მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი მინი–ფეხბურთში;მაგიდის ჩოგბურთი; მხიარული სტარტები; მკლავჭიდი; მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში; მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში და სხვა.

- **კულტურული ღონისძიებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება**

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები და სახელოვნებო სკოლები. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტებისა და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა. მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი პროგრამები. პროგრამის ფარგელბში განხორციელდება სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი კულტურული ღონისძიებები. კერძოდ: ფოლკლორული საღამოები; საესტრადო კონცერტები; ქალთა საერთაშორისო დღე; საშემოდგომო ღონისძიებები; საახალწლო ღონისძიებები. დაფინანსდება ბიბლიოთეკები და სახელოვნებო სკოლები, სადაც ამჟამად სწავლობს 85 მოსწავლე მათი მიზანია ჩაატარონ სხვადასხვა სახის ღონისძიებები კერძოდ: საშობაო საახალწლო კვირეული, საშობაო კარნავალი და საგაზაფხულო კონცერტები.

- **ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა**

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები და სახელოვნებო სკოლები. გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტებისა და ღონისძიებების ფინანსური მხარდაჭერა. მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი პროგრამების. ასპინძის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლაში ამჟამად სწავლობს 85 მოსწავლე, მათი მიზანია ჩაატარონ სხვადასხვა სახის ღონისძიებები კერძოდ: საშობაო საახალწლო კვირეული, საშობაო კარნავალი და საგაზაფხულო კონცერტები. პროგრამა ითვალისწინებს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების მოვლა-

პატრონობას, ასევე არსებული სამუზეუმო ექსპონანტების მოვლა-პატრონობასა მის რესტავრაციაზე ზრუნვას

- **რელიგია**

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებით უზრუნველყოფას.

- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიების განხორციელება, კერძოდ: გადამდებ დავადებათა ზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები; იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა; პრევენციული კონტროლის ღონისძიებები; დაავადების დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალური ღონისძიებებს, რომელიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

- **საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

პროგრამის მიზანია გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქუჩების განტვირთვა ჭარბი სატრანსპორტო ნაკადებისაგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელ მოძრაობის ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება და ასფალტბეტონის საფარი, სანიაღვრე არხების მოწყობა განხორციელდება ქალაქ ახალციხეში ვაჟა-ფშაველას, ჭყონდიდელის, გვარამაძის, სულხან-საბას, შალვა ახალციხელის, გამრეკელის, ილია მართლის, მღვდელი თეოდორეს, ჯავახიშვილის ქუჩების, ასევე რუსთაველის ქუჩაზე დაგეგმილია სკვერისა და ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები, კოსტავას ქუჩაზე ტროტუარების რეაბილიტაცია, განხორციელდება ქალაქის ქუჩების იერსახის შენარჩუნებისა და მოვლა შენახვის ღონისძიებები; განხორციელდება ქუჩების ორმული შეკეთება; განთავსდება საგზაო ნიშნები; ვიდეო მეთვალყურეობის კამერები, უსაფრთხო და კომფორტული გახდება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მოქალაქეთა გადაადგილება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ასევე უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავების ღონისძიებები, ქალაქის იერსახის გაუმჯობესების ღონისძიებები კორპუსებისა და კორპუსის ტიპის შენობების ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამების ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა. განხორციელდება არსებული სკვერების და სპორტული მოედნების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა.

**განათლება**

პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მათი საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და ხელშეყწობა, დადგენილი სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა და ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.ქალაქში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 8 ბაგა-ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 1300-მდე ბავშვი.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წარჩინებული მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ყოველთვიური სტიპენდიის დანიშვნა. რაც გაზრდის მათ მოტივაციას სასწავლო პროცესის მიმართ. პროგრამის მიზანია ახალგაზრდების სწავლის ხარისხის ამაღლების სტიმულირება.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული ორგანიზაციებისა და ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული სკოლის და მძლეოსანთა სპორტული კლუბის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მას ჰქონდეს შესაძლებლობა უზრუნველყოს სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ფუნქციონირებს შემდეგი სპორტის სახეობები: მძლეოსნობა, ძალოსნობა, კრივი, ფეხბურთი, ჭადრაკი, რაგბი, თავისუფალი ჭიდაობა, კიგბოქსინგი, ველოსპორტი და კალათბურთი, სადაც აქტიურად არიან ჩართული სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის ბავშვები. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება სამცხე ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი "ტაო", რომლის მიზანია რაგბის პოპულარიზაცია და განვითარება, პერსპექტიული სპორტსმენების აღზრდა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების, კერძოდ: ა(ა)იპ ქალაქ ახალციხის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების, ფოლკლორული ანსამბლ "მესხეთის" და ქორეოგრაფიული ანსამბლის საქმიანობის ხელშეწყობა; დაფინასნდება ა(ა)იპ ახალციხის სამუსიკო სკოლა, ა(ა)იპ ახალციხის სამხატვრო სკოლა, ა(ა)იპ ქალაქ ,,ახალციხის ტბა“ _ ფინანსური მხარდაჭერა. ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

- **რელიგიული, საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. ასევე პროგრამის მიზანია ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, მათი საქმიანობის და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის ხელშეწყობა; ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, ქალაქის ტურისტული პოტენციალის

პოპულარიზაცია, სარეკლამო-საინფორმაციო მასალების მომზადება გავრცელება, ტურისტულ გამოფენა ბაზრობებში მონაწილეობის მიღება; ტურისტული პროდუქტების შექმნა.

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;დაავადებათა გავრცელების კონტროლი, ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;ქალაქის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში. ასევე ქალაქ ახალციხის ექსკლუზიური უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ახალციხის ტერიტორიაზე მცხოვრებ სკოლსმდელი და სასკოლო (ათ წლამდე) ასაკის ბავშვთა ჰელმინთებით ინვაზირების პროფილაქტიკის და მკურნალობის ხელშეწყობა.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ახალციხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

ახალციხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, დასასვენებელი პარკების, სკვერების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალციხის მუნიციპალიტეტი სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ქუჩების, გზების, ხიდების და მილსადენების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ასევე რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება. საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების, გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა. ზამთრის პერიოდში შიდა გზების ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა, მისი ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ასევე მოხდება ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასმელი წყლის სისტემების მაგისტრალების და სათავე-ნაგებობების, სარწყავი სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია, ასევე ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგვა დასუფთავება და მყარი ნარჩენების გატანა.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ახალციხის მუნიციპალიტეტში შემავალ ქ. ვალესა და დანარჩენ სოფლებში ადმინისტრაციული შენობების მოწყობა-რეაბილიტაცია და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (კორპუსების) გადახურვა, ასევე სტადიონების მოწყობა-რეაბილიტაცია;

**განათლება**

მუნიციპალიტეტის ერთერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლამდელი განათლება, რომლის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება საბავშო ბაგა-ბაღების საწვავი შეშით უზრუნველყოფა. ახალციხის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 15 საბავშვო ბაღი და იგეგმება სამი ტიპიური და ორი ალტერნატიული საბავშვო ბაღის გახსნა, სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 905-მდე აღსაზრდელი.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტი ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული და სპორტული ორგანიზაციებისა და ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ხდება კულტურის დაწესებულებების გაერთიანების, 8 ბიბლიოთეკის, 3 კულტურის სახლის, 6 ახალგაზრდული ცენტრის და ერთი სკოლა-მუზეუმის ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ვალესა და აწურის სამუსიკო სკოლების მხარდაჭერა, ხორციელდება ,,არტ–გენის“ ფესტივალის, დედაენის დღისადმი მიძღვნილი, 9 მაისის დღესასწაულის დღისადმი მიძღვნილი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი, შოთა რუსთაველის დღისადმი მიძღვნილი, შობა- ახალი წლის და სხვა ღონისძიებების მოწყობა.

- **საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული, ინტელექტუალური და სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია; ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება,

პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; ქალაქის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში. არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით ახალციხის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავე დროს მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და ზამთრის პერიოდში გათბობისათვის საწვავის შესაძენად თანხით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, შშმ პირთა, 2012 წელში აწყურში მომხდარი მეწყერის შედეგად დაზარალებულთა, სამუსიკო სკოლებში სხვადასხვა კატეგორიის ოჯახების შვილთა სწავლის დაფინანსებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს; ასევე ჯანდაცვის სფეროში მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევების, გეგმური და ურგენტული ოპერაციების და სხვა სამედიცინო მომსახურების დაფინანსებას, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ახალქალაქის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება. ახალი/მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია. 2017 წელს დაგეგმილია ქ. ახალქალაქის ქუჩების ორმოული შეკეთება. ქ. ახალქალაქის თუმანიანის ქუჩის, ვ. სარქისიანის ქუჩის, ერევნის ქუჩის, სპანდარიანის ქუჩისა და კნუნიანცის ქუჩის რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია**

წყალმომარაგების პრობლემა მნიშვნელოვანი საკითხია ყველასათვის. სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. ტრკნაში და სოფ. ბეჟანოში სასმელი წყლის წყალსადენის ქსელს. პროგრამის ფარგლებში 2017 წელს ახალქალაქის ქუჩებზე დაგეგმილია გარე განათების ლამპიონების დადგმა უფრო მეტ ადგილას. გაფუჭებული ნათურების შეცვლა, მათი მოვლა-შენახვისა და ელ.ენერგიის მომსახურების ხარჯის დაფინანსება. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფა, შესაბამისად პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა, გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილმოწყობის უზრუნველყოფა. 2017 წელს დაგეგმილია ქ. ახალქალაქისა და სოფ. ბარალეთის იუსტიციის სახლების ტერიტორიის

კეთილმოწყობა, ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია, სათვალთვალო კამერების შეძენა და მინი სტადიონების მოწყობა.

**განათლება**

მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზეფუნქციონირებს საბავშვო ბაღის გაერთიანება, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 780 მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა, აღმზრდელთა ხელფასებს, კვებისა და სხვა მიმდინარე ხარჯებს. ასევე ხორციელდება არსებული ბაღების რემონტი, იგეგმება სოფ. კარზახში საბავშვო ბაღის მშენებლობა (50 ბავშვისათვის).

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა**

- **კულტურული ღონისძიებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: ბიბლიოთეკები, კლუბები, სახელოვნებო სკოლები, მუსიკალური სკოლა, მუზეუმი, აშუღის სკოლა, მომავლის სახლი. დაფინანსდება ისეთი მასობრივ-ტრადიციული დღესასწაული, როგორიცაა „ ჯივანი“. ფუნქციონირებს ანსამბლი „ ჯავახკი“ , ქართული ანსამბლი „მურჯი“, საბავშვო თეატრი, საესტრადო ანსამბლი. არსებობს კლუბური გაერთიანებები მუნიციპალიტეტის 30 სოფელში, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებას, სახელოსვნებო სკოლებში 140-მდე მოსწავლე სწავლობს ხატვას, ძერწვას, კერვას, ქარგვას და სხვა მრავალ სახელოვნებო დარგს. მუსიკალურ სკოლაში სწავლობს - 170 მოსწავლე, სადაც იღებენ სრულყოფილ მუსიკალურ განათელებას, მონაწილეობენ სხვადასხვა კონცერტებსა და საერთაშორისო ფესტივალებში.

- **სპორტული ღონისძიებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის შესაბამისი სავარჯიშო პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება: სპორტული ღონოსძიებები, საჭადრაკო სკოლა, სადაც სწავლობს 75 -მდე მოსწავლე; სპორტული სკოლა, სადაც ირიცხება 198 -მდე სპორტსმენი; სპორტ კომპლექსი;სადაც 470 -მდე სპორტსმენია; საცურაო აუზი- სადაც 180-მდე მოსწავლეა.

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა ინფექციური დაავადებებისაგან.

- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხავა, დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის

გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; ქალაქის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში და ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება; არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

- **საგზაო ინფრასრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში სოფლების გზების რეკონსტრუქცია, ზამთრის პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გზების თოვლისგან გაწმენდა, ქ.ნინოწმინდის სომხური ქუჩის მოასფალტება, ასევე დაგეგმილია ქ. ნინოწმინდის ხიდების რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წყლის და საკანალიზაციო სისტემების მშენებლობა–რეაბილიტაცია, კერძოდ კარლ-მარქსის, კარს-ლენინაკანის, გინოსიანის, დ. აღმაშენებლის, რუსთაველის, მიასნიკიანისა და ლერმონტოვის ქუჩებზე. ქ. ნინოწმინდის, სოფ. ეშტიის, სოფ. დიდი არაქალის, სოფ. სათხის, სოფ. ფოკას წყალსადენის სისტემების რეაბილიტაცია/მშენებლობა: წყალსადენი სისტემისათვის ტუმბოების შეძენა; განხორციელდება ქალაქის (3500 მ3) ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების შიდა ბუნკერების და გარე ქსელის დასუფთავება; იგეგმება გარე განათების მშენებლობა: სოფ. უჩმანასა და სოფ. ყაურმაში.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფლებში რიტუალების სახლების რეაბილიტაცია: კერძოდ სოფ. განძასა და სოფ. უჩმანაში, ქ. ნინოწმინდაში რადარების მონტაჟი, ქ. ნინოწმინდის ტროტუარების კეთილმოწყობა, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სხვადასხვა შენობების რეაბილიტაცია; ასევე ქ. ნინოწმინდა, სოფ. სათხა, სოფ. ფოკა, სოფ, სპასოვკა,სოფ. როდიონოვკა, სოფ. ჰეშტიაში მინი სპორტული მოედნების მშენებლობა.

**სკოლამდელი განათლების ხელშეწყობა**

მომავალი თაობის აღზრდისთვის მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. ამჟამად მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 7 საბავშვო ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 640-მდე ბავშვი. გარდა ამისა სოფელ განძაში ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი „ძნწაღიკ" სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 100 ბავშვი.

**სპორტული და კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა.**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და გაგრძელებას. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტის განვითარების ხელშეწყობა, კულტურის განვითარების ხელშეწყობა, რელიგიისა და საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა.

- **სპორტული ღონისძიებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი ბაზის შექმნა. მუნიციპალიტეტი განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ თავიანთი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიებები მათ შორის: ფრენბურთი, მ. ჩოგბურთი, სასკოლო ოლიმპიადა, კარატე, ფუტსალი, მკლავჭიდი, ფეხბურთი, ჭადრაკი, სათხი, ჭიდაობა, მასობრივი ღონისძიება, ბილლიარდი, ათლეტიკა, ჯავახეთის ზამთარი, რეგბი, ტურისტული მოგზაურება და ექსკურსია.

- **კულტურული ღონისძიებებისა და ორგანიზაციების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. პროგრამა ითვალისწინებს: ააიპ „კულტურის ცენტრი"-ს მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, კერძოდ: ააიპ „ნინოწმინდის მთავარი ბიბლიოთეკა", მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, მუსიკალური სკოლა, ვაჰან ტერიანის სახელობის მუზეუმი. ქალაქ ნინოწმინდაში ფუნქციონირებს სკოლის გარეშე აღზრდის დაწესებულება, სადაც ფუნქციონირებს სხვადასხვა წრე, მათ შორის სამხატვრო, ქარგვის, ქსოვის, კერვის და სხვა.

- **ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა**

პროგრამით განხორციელდება განცხადებებისა და ინფორმაციის გამოქვეყნება პრესაში, ტელევიზიასა და ინტერნეტ პორტალებში, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის ინფორმაციის მიწოდებას. დაფინანსდება სატელევიზიო გადაცემა „ფარვანა" და შპს „არშალუის".

- **რელიგია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია- მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. დაფინანსდება სოფელ ფოკის წმინდა ნინოს სახელობის დედათა მონასტრის ელ.ენერგიისა და გათბობის საწვავის ხარჯები.

**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

- **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხავა, დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; ქალაქის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში და ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება; არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა, დასუფთავების ღონისძიებები, სკვერების, მოედნების კეთილმოწყობის ღონისძიებები, წყლის და საკანალიზაციო სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველ ქალაქ მცხეთაში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზების, საყრდენი კედლების მოწყობა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, გაზგაყვანილობის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქალაქ მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების და მოედნების კეთილმოწყობის სამუშაოები, გამწვანების, დასუფთავებისა და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, საკანალიზაციო სისტემის ექსპლოატაციის, მილგაყვანილობის და წყალსაქაჩების დამონტაჟება-რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისთვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ქალაქ მცხეთის ქალაქმშენებლობის დოკუნეტაციის მომზადება

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას. აღნიშნულიდან გამომდინარე გაგრძელდება ააიპ თვითმმართველი ქალაქ მცხეთის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, რომელიც გულისხმობს: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელებას, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწას, სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის განვითარებას, საბავშვო ბაგა-ბაღების მაქსიმალურ გამტარუნარიანობას და სხვა.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

თვითმმართველი ქალაქ მცხეთის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში თვითმმართველობა განაგრძობს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

თვითმმართველი ქალაქ მცხეთის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. ტურიზმის განვითარების და ხელშეწყობის

მიზნით ფინანსდება ა(ა)იპ ,, მცხეთის ტურიზმის განვითარების ცენტრი“ , რომლის საქმიანობის ძირითადი სფეროა შიდა ტურიზმი, შემოყვანის ტურიზმი, კურორტები და რეკრეაცია.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- ქ. მცხეთაში მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- ქ. მცხეთაში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების სასურსათო პაკეტით დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## მცხეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

2017 წელს დაიგეგმა სოფ. წეროვნის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დასახლებაში ასფალტიანი გზის მოწყობა; წეროვნის საბავშვო ბაღთან გზის მიყვანა; ვიდეოსამეთვალყურეო კამერების დამონტაჟება სოფლების გზებზე: საგურამო, წეროვანი, ნატახტარი, რაც უზრუნველყოფს მოქალაქეების უსაფრთხოებას..

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია, გაზგაყვანილობის სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია, სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების რეაბილიტაცია, მუნიციპალური შენობების მშენებლობა - რეაბილიტაცია.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მცხეთის მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების და მოედნების კეთილმოწყობის სამუშაოები, ძეგლების და მემორიალების რეაბილიტაცია, გამწვანების, დასუფთავების, გარე განათების და სასაფლაოების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა.სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას. მცხეთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 17 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1 420-მდე ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის ხელფასებს, აღსაზრდელთა კვების ხარჯებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება, ასევე სპორტის ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2017 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება ა(ა)იპ „ მცხეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა“.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე დაფინანსდება სხვადასხვა კულტურული, გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები. წლის განმავლობაში დაფინანსდება ი.ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი და ა(ა)იპ“მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება“.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსება, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქალაქში ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება.

- **სოციალური ღონისძიებები**

მსგავსად გასული წლებისა, პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით და საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალურ ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## თიანეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

ინფრასტრუქტურის მშენებლობა და გაუმჯობესება მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

თიანეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად მიზანს წარმოადგენს გზების რეაბილიტაცია და მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტში შემავალ სოფლებში რეაბილიტირებული იქნება ძირითადი გზები, მოიხრეშება და მოსწორდება სოფლების შიდა საუბნო გზები, რეაბილიტირებული იქნება ცენტრიდან სოფლებთან დამაკავშირებელი გზები, დ.თიანეთში დასრულდება შიდა საუბნო გზების მოასფალტება. იგეგმება თიანეთის მუნიციპალიტეტის სოფლებში ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ბოგირების მოწყობა-რეაბილიტაცია.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

მუნიციპალიტეტის პრიტორიტეტს წარმოადგენს კომუნალური მეურნეობის განვითარება, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლების განმავლობაში ყველა იმ სოფელში, რომლებშიც ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა სასმელი წყლის მიწოდება და გარე განათების მოწყობა, მოხდება მომდევნო წლებში აღნიშნული პროექტების განხორციელება, აგრეთვე მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, სარწყავი არხები და ნაპირსამაგრი ნაგებობები. რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება, შეიქმნას მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები. პროგრამის ფარგლებში, დაგეგმილია გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობა, მუნიციპალიტეტის გამწვანება,სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, წყალდიდობის შემთხვევაში სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარება, ქუჩების თოვლისგან გაწმენდა, სასაფლაოების მოვლა-დასუფთავება, ქარსაცავი ზოლების და მუნიციპალიტეტის დასახლებულ პუნქტებში კერძო საკუთრების გარეთ მდებარე ხეების მოვლა-პატრონობა.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 16 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 400-მდე ბავშვი. პრიორიტეტის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბავშვთა კვების და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. ასევე 2017 წელს გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა და რეაბილიტაცია.

**კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს კულტურული და სპორტული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა სპორტული სახეობების პოპულარიზაცია, განხორციელდება სპორტული კლუბი ,,თიანეთის“ ფინანსური მხარდაჭერა, რათა უზრუნველყოფილი იყოს სპორტსმენების სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება, სხვადასხვა სპორტული სახეობების ასაკობრივი გუნდების მზადება და მონაწილეობა საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრება ყოველთვის გამოირჩევა მრავალფეროვნებითა და ღონისძიებების სიმრავლით, რაც ხელს უწყობს, როგორც ქართველი ხელოვანების შემოქმედებითი იდეების რეალიზებას, ასევე მუნიციპალიტეტის, კულტურული სტატუსის დამკვიდრებას. პროგრამა გულისხმობს ხელოვანების ღირსეულად წარმოჩენას, მათ ხელშეწყობას და მათი პროექტების მეშვეობით მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნებას, ღვაწლმოსილი ხელოვანების სათანადოდ დაფასებასა და მათი შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას, სახელმწიფო სახალხო და რელიგიური სადღესასწაულო ღონისძიებების აღნიშვნას, ტრადიციების შენარჩუნების გათვალისწინებით და მოსახლეობისა და ტურისტებისათვის სასიამოვნო და დაუვიწყარი გარემოს შექმნას, სხვადასხვა კულტურული ღონისძიებების, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებების ჩატარებას, კულტურულ-საგანმანათლებლო პროცესებში სხვადასხვა თაობის ხელოვანების ჩართულობას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით, პროგრამის ფარგლებში აგრეთვე გაგრძელდება კულტურული დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა.

**რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

რელიგიური დაწესებულებენის ხელშეწობის მიზნით კვლავ გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული ეკლესია-მონასტრების კომუნალური ხარჯების დაფინანსება.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსება, კერძოდ: დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება.

- **სოციალური ღონისძიებები**

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა, სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის მკურნალობის და ოპერაციების ჩატარების ხარჯების დაფინანსება, უფასო სასადილოს დაფინანსება და სხვა სოციალურ ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## დუშეთის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

დუშეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ–ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების  და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება, ასევე მნიშვნელოვანია საჰაერო ტრანსპორტი მაღალმთიანი სოფლებისათვის (შატილი,არხოტი), სადაც დიდ თოვლობის დროს ავტოტრანსპორტით მისვლა შეუძლებელია. საჰაერო ტრანსპორტი ამ დროს იძენს სასიცოცხლო მნიშვნელობას მაღალმთიანი სოფლებისთვის.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

ბოლო წლებში განხორციელებული სხვადასხვა პროექტების მიუხედავად, კვლავ არასახარბიელო მდგომარეობაა მუნიციპალიტეტის კომუნალურ მეურნეობაში. პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებში  მოეწყობა წყალგაყვანილობის სისტემები, სარწყავი არხები და ნაპირსამაგრი ნაგებობები, რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფლებში დაზიანებულ წყალგაყვანილობის სისტემებს, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები. სანიტარული პირობების გაუმჯობესების მიზნით დამატებით იქნება შესყიდული ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის კონტეინერები. საბინაო ამხანაგობის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის თანადაფინასების პრინციპით შეკეთდება საცხოვრებელი კორპუსები.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

გზების მშენებლობა-რეაბილიტაციისა და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობას. მომდევნო წლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გამწვანება, ნარგავების მოვლა–პატრონობა, გამწვანების ზონაში დეკორატიული მცენარეების დარგვა და სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია. უპატრონო ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა.

**განათლება**

მსგავსად გასული წლებისა, პრიორიტეტის ფარგლებში მომდევნო წლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღებისა და სკოლა-პანსიონების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა.

- **სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა**

სკოლამდელი აღზდრის ხელშეწყობის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების თანადაფინანსება. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 14 საბავშვო ბაღი,  სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 650-ზე მეტი ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს. საბავშვო ბაღებში ერთი ბავშვის კვების ღირებულება შეადგენს 2.8 ლარს.  ასევე 2017 წელს დაგეგმილია სოფ. ბულაჩაურში, სოფ. ქვეშეთში ბაღების გახსნა.

- **მოსწავლეთა ხელშეწყობის ცენტრის დაფინანსება**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრელდება მოსწავლეთა ხელშეწყობის დაფინანსება, აღნიშნული მიზნით მუნიციპალიტეტი აფინანსებს მაღაროსკარის, ბარისახოს და შატილის პანსიონებს. პანსიონებში ბავშვთა რაოდენობა შეადგენს 32-ს. კვების ხარჯი ერთ ბავშვზე შეადგენს 2,80 ლარს, რაც მთლიანად

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ფინანსდება. კვების ხარჯების გარდა, მუნიციპალიტეტი აფინანსებს პანსიონების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა ხარჯს.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად აუცილებელია ხელი შეეწყოს სპორტული და კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. მოეწყობა რეგიონული და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში, ფრენბურთში, ნიჩბოსნობაში, კრივში და წახალისდენიან წარმატებული სპორცმენები.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები. დაფინანსდება მუნიციპალიტეტში არსებული საბიბლიოთეკო გაერთიანება, მუსიკალური კოლექტივები, სახელოვნებო სკოლები, მუზეუმი, კულტურის სახლები. სადღესასწაულო დღეებში მოეწყობა სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

- **ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება**

პროგრამის ფარგლებში მოხდება ახალგაზრდა შემოქმედთა გამოსავლენად და ხელშესაწყობად ფესტივალების, გამოფენების, ლიტერატურული საღამოების და სხვა კულტურული ღონიძიებების ორგანიზება, რომლებიც პირველ ყოვლისა ორიენტირებული იქნება განსაკუთრებული საჭიროების მქონე მომავალი თაობების წარმომადგენელთა დახმარებაზე.

- **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში ხელი შეეწყობა დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე ეკლესია - მონასტრების ფინანსურ მხარდაჭერას.

**მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსება, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა; იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა; პარაზიტული დავადებების ეპიდკვლევა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და პიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების ხელშეწყობა.

- **სოციალური ღონისძიებები**

პრიორიტეტი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. ასევე დაგეგმილია მოხუცებულთა, მიუსაფართა და სოციალურად დაუცველთა კვებით

უზრუნველყოფა, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მკურნალობის და ოპერაციის ხარჯების დაფინანსება, სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება და სხვა სოციალურ ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ყაზბეგის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. მსგავსად გასული წლებისა, მომდევნო წლებშიც აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია**

მუნიციპალიტეტის სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. მნიშვნელოვანია ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის გათვალისწინებულია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა.

2017 წელს საკუთარი შემოსულობებით ფარგლებში გათვალისწინებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები: სოფელ ტყარშეტში მისასვლელი გზის მოასფალტება, სოფ. ყანობში და სოფ. ფხელშეში ხიდების მშენებლობა,

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის კომუნალური მეურნეობის განვითარება. დაფინანსდება გარე განათების ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია, სანიტარული და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

- **კეთილმოწყობის ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება დ.სტეფანწმინდაში ბაღის და დაჯვრის უღელტეხილზე ე.წ. „გადასახედთან“ სკვერის მოწყობა.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 7 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 172 ბავშვი. პრიორიტეტის ფარგლებში მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

- **სკოლისგარეშე განათლების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მოსწავლეების ცოდნის დონის ამაღლებას. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 6 სხვადასხვა წრე ,სადაც ირიცხება 116 ბავშვი.

როგორიცაა: თექის შესწავლის, ქორეოგრაფიული, ხალიჩების ქსოვის,ხეზე კვეთის. ყველა მოსწავლეს აქვს საშუალება შესაბამისი განაცხადის საფუძველზე გაიაროს აღნიშნული წრეები.

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ასევე ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება კომპლექსური სასპორტო სკოლის ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. ყაზბეგის მუნიციპალიტეტი აქტიურად აფინანსებს სპორტულ ღონისძიებებს, როგორიცაა: თავისუფალი ჭიდაობა, რაგბი, ფეხბურთი, მეკლდეურობა. ასევე ყოველწლიურად იმართება ტ. ალიბეგაშვილის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში და ა.ალიბეგაშვილის სახელობის ტურნირი ფეხბურთში. გამარჯვებული გუნდები ჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.

**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის, მხარის ღირსეულად წარმოჩენის მიზნით ადგილობრივი და ჩამოსული სტუმრების დაინტერესების, სანახაობებისა და წარმოდგენების მიზნით გაიმართება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები.ყაზბეგის მუნიციპალიტეტში ყოველწლიურად იმართება სახალხო დღესასწაული ”ყაზბეგობა”, რომლის მიზანია ხევის ტრადიციების პოპულარიზაცია და დიდი ქართველი მწერლის ალ. ყაზბეგის ხსოვნის უკვდავყოფა. ღონისძიებაში მონაწილეობას ღებულობენ, როგორც ადგილობრივი, ასევე მოწვეული შემოქმედებითი კოლექტივები, პოეტები და მწერლები. მუნიციპალიტეტში იმართება აგრეთვე სხვადასხვა სადღესასწაულო თარიღებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

მსგავსად გასული წლებისა, მომდევნო წლებშიც გაგრძელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსება, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები; იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა; პარაზიტული დავადებების ეპიდკვლევა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების ხელშეწყობა.

- **სოციალური ღონისძიებები**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა. დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტ ბავშვზე) დახმარებას, ერთჯერადი დახმარება შვილის შეძენასთან დაკავშირებით და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებები მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას.

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვა და შემდგომი გაუმჯობესება. დაფინანსდება აგრეთვე მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯებიც.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**

მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაზიდვების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ამიტომ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ–ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობა. დაგეგმილია მომავალ წლებში სასოფლო და საუბნო გზების მოვლა-შენახვის დაფინანსება. ზამთარში დიდთოვლობის დროს ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილების მიზნით თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა; გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები; მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების, სანიაღვრე სისტემისა და მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფა. განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება, საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია. მუნიციპალიტეტის დასახლებების ცენტრების ინტესიური დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება, ბუნკერების შეძენა.

**განათლება.**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ და სკოლისგარეშე განათლებას. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 12 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 100 ბავშვი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს 13 საბავშვო ბაღი 150 აღსაზრდელით, რომლებიც დაფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასები და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯები. მოსწავლე–ახალგაზრდების ზოგადი განათლების გაღრმავების მიზნით დაფინანსდება სკოლისგარეშე აღმზრდელობითი ღონისძიების პროგრამა. პროგრამით გათვალისწინებულია, კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები, როგორიცაა თეატრალური, ლიტერატურის, ზოგადი უნარ–ჩვევების, მათემატიკური, კომპიუტერული, ეკოლოგიური წრეები.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

პროგრამის მიზანია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეულ გაგრძელება, ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტის პოპულარიზაციასა და ხელშეწყობის მიზნით ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობას. დაგეგმილია სხვადასხვა სპორტულ სახეობათა წრეების

(ფეხბურთი, ჭიდაობა, კალათბურთი, ჭადრაკი, რაგბი, ცურვა) ფუნქციონირების ხელშეწყობა და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, ადგილობრივი ახალგაზრდა სპორტსმენების სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობის დაფინანსება. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საცურაო აუზის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ხარჯების დაფარვა.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი კულტურული ტრადიციების დაცვა და მათი ღისეული გაგრძელება. პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული ორგანიზაციებისა და ღონისძიებების მხარდაჭერა კერძოდ: ამბროლაურის კულტურის ცენტრის დაფინანსება; სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძნობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას.

- **ჯანმრთელობის დაცვა**

ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯამრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე „საზოგადოებრივი ჯამრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანზსება. კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინენბების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადების გავრცელების ეტაპობრივი შემცირება, ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენა, მათზე სასწრაფო რეაგირება, და პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯამრთელობის დაცვის ხელშეწყობა.

**მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სხვადასვა ფენისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. კერძოდ: ლტოლვილთა და ომის ვეტერანთა სოციალური დახმარება. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლტოლვილთა, მე-2 მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერად დახმარებას და გარდაცვლილ ვეტერანის უკვდავყოფისათვის სარიტუალო მომსახურების ხარჯების დაფინანსებას, ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დახმარებას, ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ყველა ახალშობილის ოჯახის, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა; სამედიცინო მომსახურეობას, სახელმწიფო სადაზღვეო პოლისის არ მქონე მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობას ურგენტულ და ონკოლოგიური ავადობის შემთხვევაში. აგრეთვე მშობიარობის ხარჯების თანადაფინანსებას.

## ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოვლა–შენახვა და შემდგომი გაუმჯობესება.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**

პროგრამის ფარგლებში ქალაქ ამბროლაურში დაგეგმილია ქალაქის ქუჩებისა ჩიხების ბეტონის, ან ასფალტო-ბეტონის საფარით კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება, ასევე რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება, რაც გააუმჯობესებს საგზაო ინფრასტრუქტურას.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავება. მოწესრიგდება ქალაქის ინფრასტრუქტურა, კომუნალური, სასმელი წყლისა და სანიაღვრე ქსელის ფუნქციონირება. გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური და სანიტარული მდგომნარეობა.

პროგრამის ფარგლებში განხორცილედება ქალაქის სხვადასხვა ქუჩებზე სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, შეძენილი იქნება მაღალი ხარისხის სპეციალური ავტომანქანა , ქალაქის ქუჩების დასასუფთავებლად, განხორციელდება მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანის ღონისძიებები. განხორციელდება "მაგრელიოს“ სკვერის სრული რეაბილიტაცია. განხორციელდება ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე სკვერის დასრულების სამუშაოები, მოხდება სკვერის დარჩენილი ნაწილის და კოსტავას ქუჩაზე მდებარე ყოფილი სასტუმროს შენობის სახურავის სრული რეაბილიტაცია. ქალაქის სხვადასხვა უბნებში მოეწყობა ფანჩატურები, სადაც განთავსდება სპორტული ტრენაჟორები. 2017 წელს იგეგმება ქალაქის შესასვლელი ტერიტორიის კეთილმოწყობა.

მოეწყობა დასასვენებელი ფავჩატური, ე.წ. „ქვაბთკარის“ ტერიტორიაზე.

რეგიონალური ფონდით დაფინანსდება ქ.ამბროლაურში კულტურის სახლის, კოსტავას ქუჩაზე მდებარე სპორტკომპლექსის და ფეხბურთის სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

**განათლება.**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში 2017 წელს განხორციელდება საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, აგრეთვე დაფინანსდება სკოლისგარეშე განათლება.

- **სკოლამდელი განათლების დაფინანსება**

ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 1 საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 170 -მდე აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღის სხვა მიმდინარე ხარჯებს.

მოსწავლე–ახალგაზრდების ზოგადი განათლების გაღრმავების მიზნით დაფინანსებულია სკოლისგარეშე აღმზრდელობითი ღონისძიების პროგრამა. პროგრამაში ჩართულია ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის 90–მდე მოსწავლე, ასევე გათვალისწინებულია, მოსწავლეთა მოთხოვნის შესაბამისად კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიებები, როგორიცაა თეატრალური, ლიტერატურის, აგრეთვე ბავშვთა მომზადება სხვადასხვა წრეზე.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

პროგრამის მიზანია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე, მისი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული დაწესებულებების ფინანსურ მხარდაჭერას, სპორტის პოპულარიზაციასა და სპორტული პირობების შექმნა განვითარებას, რათა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების განვითარება და გამოვლენა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული სექციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მოსწავლე–ახალგაზრდობას ჰქონდეს შესაძლებლობა სპორტული ვარჯიშის განხორციელებისა თანამედროვე სპორტულ დარბაზებსა და მოედნებზე. განხორციელდება სპორტული მეცადინეობები და შეჯიბრი შემდეგ სახეობებში: (კალათბურთი, ჭიდაობა, ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, რაგბი, შიდოკან კარატე, ცურვა და სპორტის სახვა სახეობები) ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. 2017 წელს სპორტული ღონისძიებების ფარგლებში იგეგმება მარათონის გამართვა ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდობის, ჯანრმთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ინიციატივით.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტში 2017 წელს გაგრძელდება ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამღლების ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა.ა.ი.პ.ი „უჩა ჯაფარიძის სახელობის სამუსიკო სკოლა“, სადაც სწავლობს 27-მდე მოსწავლე.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძნობს მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. 2017 წელს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნმველყოფს მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

- **ჯანმრთელობის დაცვა**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს ქალაქ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობისათვის აგრეთვე მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები დროებით რეგისტრირებული დევნილი მოსახლეობისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების ოდენობასა და გაცემის წესს.

პროგრამის მიზანია იმ სამედიცინო მომსახურების დაფინანსება, რომელიც არ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამებით, ან/დაკერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ. აგრეთვე მომსახურების იმ ნაწილის დაფინანსება, რომელიც ნაწილობრივი დაფინანსებისას არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვა სახის დაზღვევით.

მიმდინარე პროგრამა მოიცავს ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა მედიკამენტური მკურნალობას, ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსებას/თანადაფინანსებას, ,,დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარებას, ამბულატორიულ მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსებას, C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკას, შაქრიანი დიაბეტით, იშემიური და ჰემორაგიული ინსულტით, ბრონქული ასთმით, კრონის დაავადებით, ეპილეფსიით, გლაუკომით, ფსორიაზით, სისხლის ქრონიკული დაავადებებით (თრომბოციტოპენური პურპურა), მიასთენიით, ციროზით (გარდა ,,C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში“ ჩართული პირებისა), ფარისებრი ჯირკვლით გამოწვეული დაავადებებით (დიფუზური ტოქსიური ჩიყვი, კვანძოვანი ჩიყვი, ჰიპოთირეოზი, აუტო იმუნური თირეოდიტი) ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებით (ფქოდ), ართრიტით და ართროზით

ხანგრძლივად მოავადე პირი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით სჭირდება უწყვეტი თერაპიული მკურნალობის კურსს და მკურნალობას.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამის მიზანია ეკონომიკურად შეჭირვებულ მოქალაქეთა სოციალური დაცვა; ახალშობილთა, მრავალშვილიანი, მარჩენალდაკარგული ოჯახების, შეზღუდული და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა, 90 წლის და ზემოთ ასაკის მქონე მოქალაქეების, ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების, მზრუნველობამოკლებული, მიუსაფარი ბავშვების სოციალური დაცვა და ფინანსური დახმარება; უკიდურესად გაჭირვებული, უსახლკარო ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა, ყოველდღიური ერთჯერადი უფასო კვების მომსახურება, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საშეშე მერქნით დახმარება.

## ლენტეხის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

2017 წელს მუნიციპალიტეტი განაგრძობს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე ქალაქის დასუფთავება.

**საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ასფალტის საფარის ორმული შეკეთება, ხიდების და ბოგირების მშენებლობა. გაიწმინდება და მოეწყობა შიდა სასოფლო გზები, გზის დამცავი ძელყორის ჯებირები. სოფლებში საყდარში, რცხმელურში, ბაბილში, ხაჩეშში აშენდება მარტივი ტიპის ხიდ-ბოგირები. მნიშვნელოვანია საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის როგორც ქალაქის ისე სოფლის ცენტრებში, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, შესაბამისად 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. მუნიციპალიტეტის წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია. დაგეგმილია სათავე ნაგებობის მშენებლობა–რეაბილიტაცია, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის სასმელი წყლით 24 საათიან მომარაგებას. მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.

ლენტეხის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 18 საბავშვო ბაღი, აქედან 1 ბაგა-ბაღი დაბის ტერიტორიაზე, 17-ბაღი ტერიტორიული ერთეულების 17 სოფელში, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 198 აღსაზრდელი. ბავშვთა აღზრდას ემსახურება 138 თანამშრომელი.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

პროგრამის ძირითადი დანიშნულებაა სპორტის შემდგომი პოპულარიზაცია, მაღალი კლასის სპორტული რეზერვების მომზადება, ჯანსაღი მომავალი თაობის ჩამოყალიბება და სპორტული ობიექტების მშენებლობა.

მოსახლეობის კულტურული მიმართულებით გააქტიურებისათვის საჭიროა კულტურული და პატრიოტული ღონისძიებების დაფინანსება, რელიგიური და სხვა სახის საქმიანობის ხელშეწყობა.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები. ტარდება საერთაშორისო, რესპუბლიკური და სამხარეო ტურნირები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში; ასევე სამხარეო და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში; სარაიონო ტურნირი ჭადრაკში და ტურისტური ლაშქრობა. დაკავებულია მინიციპალიტეტის 100–მდე სპორტსმენი ჭიდაობის, ფეხბურთის და კალათბურთის წრეებზე, რომლის დაფინანსება მთლიანად ხდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში 2017 წელს გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და სახელოვნებო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა: ლენტეხის სახელოვნებო სკოლის ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სახელოვნებო სკოლა სადაც გაერთიანებულია მუსიკალური და სამხატვრო სკოლა. მუსიკალური სკოლაში განათლებას იღებს 32-მდე მოსწავლე. სკოლის დაფინანსება ხდება როგორც ადგილობრივი, ისე მშობელთა შემონატანით ერთი ბავშვის გადასახადი წლიურად განისაზღვრება 89 ლარით. სამხატვრო სკოლაში თექის, კერამიკის და ხის მხატვრული დამუშავების განყოფილებებში დაკავებულია 42-მდე მოსწავლე;

რეაბილიტირებულ კულტურის ცენტრში მოქმედებს ქორეოგრაფიის წრეები, სადაც დაკავებულია 70 მოზარდი და რეპეტიციებს გადის ფოლკლორული ანსაბლი „ლაგუშედა“; მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში საგანმანათლებლო წრეებში (უცხო ენა, მათემატიკა და ა.შ.) დაკავებულია 180 ბავშვი.

პროგრამის ფარგლებში ფარგლებში გაგრძელდება, ასევე ლ. მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის სუბსიდირება, რომელიც ცნობილია თავისი უნიკალური ექსპონატებით და ადგილობრივი ბიბლიოთეკების ხელშეწყობა.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

- **ჯანმრთელობის დაცვა**

მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები; იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა; იმუნოპროფილაქტიკის ლოგისტიკის უზრუნველყოფა; პარაზიტული დავადებების ეპიდკვლევა, დიაგნოსტიკა, პროფილაქტიკური მკურნალობა; საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო–სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა, პრევენციული ღონისძიებების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯამრთელობის მდგომარეობაზე ზედამხედველობა და ხელშეწყობა.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენის შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ერთჯერადი; მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის ბრძოლაში დაინვალიდებულ პირთა სოციალური დაცვა; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა; ხანძრისა და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ოჯახების სოციალური დაცვა; ხანდაზმულთა სოციალური უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტში მცხოვრები 80 წელს გადაცილებულ მოქალაქეთა მატერიალური დახმარება.

## ონის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება:

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების ერთ–ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს საავტომობილო გზების, ხიდების და ბოგირების მშენებლობის აუცილებლობა. დაგეგმილია მომავალ 2017 წელს ქალაქის გზების მთლიანი ასფალტირება, სამთისიდან მრავალძრის ეკლესიამდე და ზუდალი-შქმერის მიმართულებით გზის ბეტონი-ასფალტირების სამუშაო, სასოფლო გზების მოვლა რეაბილიტაცია, მნიშვნელოვანია საკურორტო ცენტრებთან, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებთან მისასვლელი გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზება. ზამთარში დიდთოვლობის დროს მაღალმთიან სოფლებში ტრანსპორტის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია თოვლის საფარისაგან გზების გაწმენდა;

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება კეთილმოწყობის კუთხით სანიაღვრე არხების წმენდა-მოწყობა-რეაბილიტაცია, განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების რეაბილიტაცია და ტექნიკური მომსახურება. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება დასუფთავების ღონისძიებები; საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ერთი საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 125 ბავშვი, პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, რაციონალურ კვებას, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

მუნიციპალიტეტი ისევე როგორც გასულ წლებში 2017 წელსაც გააგრძელებს ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობას და მათი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, კულტურული ტრადიციების დაცვას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენა.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალერულად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა. 2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები. ტარდება საერთაშორისო, რესპუბლიკური და სამხარეო ტურნირები ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში, ახალგაზრდებსა და ჭაბუკებში; ასევე სამხარეო და რესპუბლიკური ტურნირები ფეხბურთში და ტურისტური ლაშქრობა. დაკავებულია მინიციპალიტეტის 115–მდე სპორტსმენი ჭიდაობის, ფეხბურთის და კალათბურთის წრეებზე, რომლის დაფინანსება მთლიანად ხდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ააიპ სპორტულ სკოლას წარმატებები აქვს ჭიდაობის სხვადასხვა სახეობებში და ფეხბურთში, აღსაზრდელები მონაწილეობას იღებენ სხვადასხვა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ტურნირებში, სადაც კარგი მიღწევებით გამოირჩევიან.

- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტში 2017 წელს გაგრძელდება ახალგაზრდების კულტურულ-საგანმანათლებლო დონის ამაღლების ხელშეწყობა. ქ.ონში ფუნქციონირებს ააიპ სახელოვნებო სკოლა სადაც გაერთიანებულია მუსიკალური და სამხატვრო სკოლა. სამხატვრო სკოლაში დაკავებულია 48-მდე მოსწავლე, ფუნქციონირებს კლასებისა და პროგრამების მიხედვით ხატვის, ფერწერის, ძერწვის, თექის, ბატიკის, კერამიკის და ხის მხატვრული დამუშავების შესწავლა. წლის განმავლობაში მიმდინარეობს სააღდგომო, გასვლითი სხვა რეგიონებში, საშემოდგომო, საახაწლო და საქველმოქმედო გამოფენა–გაყიდვები.

2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება კულტურის ცენტრი, სადაც განათლებას იღებს 100 ბავშვი. კულტურის ცენტრში მოქმედებს ქორეოგრაფიული წრე, ხალხური ინსტრუმენტების შემსწავლელი წრე, საესტრადო სიმღერის წრე, დრამატურგის წრე, ფოლკლორული ანსაბლი „რაჭა“ და „ბუბა“. პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, სადაც წლების მანძილზე ინახება უნიკალური ექსპონატები და დაცულია ეთნოგრაფიული მასალები. ახალგაზრდა თაობის ინტელექტუალური, ზნეობრივი და კულტურული განვითარების მიზნით, ისევე როგორც გასულ წლებში 2017 წელს გაგრძელდება ადგილობრივი ბიბლიოთეკების დაფინანსება. ბიბლიოთეკის გაერთიანებაში გადის 1 მთავარი და 17 სასოფლო ფილიალი.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას.

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, ხანდაზმულთა სოციალური დაცვის მიზნით ფულადი შემწეობის გაცემა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტ ბავშვზე) დახმარებას, ერთჯერადი დახმარება შვილის შეძენასთან დაკავშირებით და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება მოქალაქეთა სტაციონალური მკურნალობის, ოპერაციისა და ლაბორატიულ-დიაგნოსტიკური გამოკვლევების ერთჯერადი ფულადი დახმარება, არასაპერსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის მიზნით ერთჯერადი დახმარება. მრავალშვილიან ოჯახებზე, სოციალურად დაუცველ ოჯახებისთვის თავშესაფარი, სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, სტიქიური მოვლენების დროს (ხანძარი, მეწყერი, წყალდიდობა, გრიგალი, ღვარცოფი), რომელთაც გაუნადგურდათ ან მნიშვნელოვნად დაუზიანდათ საცხოვრებელი სახლი, ელემენტარული პირობების უზრუნველყოფის მიზნით თითოეულ ოჯახზე დახმარება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სამამულო ომის ვეტერანების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ მებრძოლთა და მარჩენალდაკარგულთა ოჯახებისათვის დახმარების გაწევა.

## ცაგერის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები

**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია;**

როგორც ყველა მაღალმთიანი რეგიონისათვის ასევე ცაგერის მუნიციპალიტეტისთვისაც დამახასიათებელი ბუნებრივ-რელიეფური პირობებიდან გამომდინარე ტრადიციულ პრობლემას წარმოადგენდა რეგიონის ინფრასტრუქტურული იერსახის გაუმჯობესება, სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მდგომარეობის, მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების არსებული სისტემის, ტურისტული და საკურორტო ადგილების ინფრასტრუქტურის განვითარება, იგეგმება მდინარე ცხენისწყლისა და ლაჯანურის ნაპირგამაგრებითი სამუშაოების ჩატარება, გაზიფიკაციის უზრუნველყოფის მიზნით წინაპირობის შექმნა.

- **საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული შიდა სასოფლო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებიასევე 2017 წელს პერიოდულად მოხდება სტიქიური და მეწყრული მოვლენებისაგან დაზიანებული გზების გაწმენდა ჩამონაშალი მასისაგან, ხოლო ზამთრის პერიოდში მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე გახორციელდება გზების თოვლწმენდა.

- **კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავებისა და სადარბაზოების კეთილმოწყობას, გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციასა და ექსპლოატაციას; დასუფთავების ღონისძიებებს; წყლის და საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაციას;

- **მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები**

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოების შესრულებას, გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება.

**განათლება**

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 16 საბავშვო ბაღი სადაც დაწყებით განათლებას იღებს 320-ზე მეტი ბავშვი.

**კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

- **სპორტის განვითარების ხელშეწყობა**

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცაგერის კომპლექსური–სასპორტო სკოლისა და საფეხბურთო კლუბი „ხვამლი“ს და საჭადრაკო კლუბის დაფინანსება., სპორტსმენებისათვის შეიქმნება შესაბამისი სავარჯიშო პირობები და მოხდება ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. 2017 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში სპორტის 8 სახეობაში გაიმართება რაიონული პირველობები ცაგერისა და ლაჯანის ზონებში: ქართულ ჭიდაობაში, ქალთა და ვაჟთა ფრენბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ფეხბურთში,მკლავჭიდში, ჭადრაკსა და შაშში. ასევე საქართველოს პირველობებზე

წარსდგებიან სპორტსმენები სპორტის 7 სახეობაში. (ფეხბურთი, ქართული ჭიდაობა, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ჭადრაკი).

**კულტურის განვითარების ხელშეწყობა**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, კერძოდ: ცაგერის კულტურის ცენტრის სუბსიდირება; მუზეუმისა და გალერეის ხელშეწყობა, რომლის მიზანია ცაგერის ისტორიული მუზეუმის და სურათების გალერეის დაფინანსება. მუზეუმი გამოირჩევა ქვეყანაში არსებულ მუზეუმებს შორის თავისი საინტერესო ექსპონატებით. მასში დაცულია ჩვ.წ.აღ.მდე შუა და გვიან ბრინჯაოს პერიოდის იარაღებისა და სამკაულების 10 000–მდე ნიმუში. მუსიკალური სკოლის დაფინანსება, სადაც 70 აღსაზრდელი ეტაპობრივად იღებს კლასიკურ მუსიკალურ განათლებას; სამხატვრო სკოლის დაფინანსება; ბიბლიოთეკების დაფინანსება; მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხელშეწყობა. სახლში ფუნქციონირებს 20 წრე, რომელშიც ჩაბმულია 200 მოსწავლე სხვადასხვა საგანმანათლებლო წრეებში (მხატვრული კითხვა, სახალისო მათემატიკა, ზოგადი უნარები, ქიმია, ნორჩი ფიზიკოსი). რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტში წელიწადში ორჯერ, თებერვალსა და აგვისტოში, აღინიშნება მსოფლიო მართლმადიდებლურ სამყაროში ერთ–ერთი უდიდესი წმინდანის წმ. მაქსიმე აღმსარებლის დღესასწაული, რომელიც დაკრძალულია ცაგერში და იგეგმება ამ დღესასწაულის ორგანიზების ხარჯების დაფარვა.

**მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფერო. იგი დაფუძნებულია ბენეფიციართა მიზნობრივ დახმარებებზე. დაგეგმილი ღონისძიებები უზრუნველყოფენენ მის შემდგომ განხორციელებას არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში.

- **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება**

პროგრამა ითვალისწინებს „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება; მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების გაუვნებელყოფის ღონისძიებები;

- **მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. ამ ღონისზიებების ფარგლებში იგეგმება: სარიტუალო მომსახურება, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა, მეორე მსოფლიო ომის და ავღანეთის ომის მონაწილეთა გარდაცვალების და იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება 200 ლარის ოდენობით. ერთჯერადი დახმარებები უსახლკარო და სოციალურად დაუცველების, ოპერაციების თანადაფინანსება, დიალიზზე

დამოკიდებული პაციენტების დახმარება, მრავალშვილიანი ოჯახების ერთჯერადი დახმარება, ორსულთა დახმარება, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ერთჯერადი დახმარება, კერძოდ :

ა) დიალეზზე დამოკიდებული მოსახლეობის დახმარება თვეში 100 ლარი;

ბ) სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევა, ოპერაციების თანადაფინანსება 50 %, მაგრამ არაუმეტეს 1000 ლარისა,მრავალშვილიანი ოჯახები 4 შვილზე 500ლარი და ყოველმომდევნო შვილზე 100 ლარის წრდით. სოციალურად დაუცველი ორსულებისათვის კვებით უზრუნველყოფისათვის თვეში 100 ლარის ოდენობით შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 0-18 წლამდე არასრულწლოვანზე ერთჯერადად 250 ლარის გაცემა; მზრუნველობამოკლებულ და უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობისათვის ერთჯერადი კვებით მომსახურება 103 ბენეფიციარზე.